

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
პუბლიცისტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№16

2018

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
პ-846

წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეწლება სსიპ გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2017 წლის 17-18 ნოემბერს ჩატარებულ მეათე
საერთაშორისო სამუცნიერო კონფერენციაზე - „უძალენები განათლების ობიექტები-
ორგანიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები“ ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი
ნაშრომები.

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი
რედკოლევიბი:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბება გუდავა

ლია მელიქეშვილი

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

როინ ყავრელიშვილი

დავით ჭოლაძა

პრეზენტორები: თამარ გოგოლაძე

პრაკიტორები: გიორგი ყაზიშვილი

In the current proceedings the History section works presented at the Xth International Scientific Conference “*Internationalization of Higher Education: Challenges and Perspectives*”, organized by LEPL Gori State Teaching University on November 17-18, 2017 are published.

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

Reviewer: Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

შ06აარს0 სტატიები
CONTENTS Articles

**იოსებ ალიმბარაშვილი – სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური
მოღვაწეობის ერთი საკულისხმო მომენტის შესახებ**

6

**Ioseb Alimbarashvili – ABOUT ONE SIGNIFICANT EVENT IN
SOLOMON LIONIDZE'S POLITICAL CAREER**

**დავით ახლოური – ქსნის ხეობაში ხელოსნობის ისტორი-
იდან**

24

**Davit Akhlouri – FROM THE HISTORY OF CRAFTS VALLY
OF KSANI**

**ლათავრა ბუკია – თელო სახოკიას პიროვნებისათვის - ერის
სულიერ საქმეში**

36

**Latavra Bukia – TEDO SAKHOKIA'S PERSONALITY – IN
THE SPIRITUAL SERVICE OF THE NATION**

**ირმა გიკაშვილი, დავით ახლოური – ქართული ემიგრან-
ტური პრესა 1924 წლის აჯანყების შესახებ**

57

**Irma Gikashvili, Davit Akhlouri – GEORGIAN EMIGRANT
PRESS ABOUT REBELLION OF 1924**

ოთარ გოგოლიშვილი – ევგენი ვეიდენბაუმი აჭარის შესახებ

**Otar Gogolishvili – HISTORIAN EVGENI VEIDENBAUM'S
WRITINGS ABOUT ADJARA**

75

**ელდარ თავბერიძე – ქუთაისის 1885 წლის ერთდღიანი აღ-
წერის ზოგიერთი ასპექტის შესახებ**

85

**Eldar Tavberidze – ABOUT SOME ASPECTS OF THE ONE-
DAY CENSUS OF 1885 IN KUTAISI**

ლელა თოგოშვილი – რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის
მიერ საქართველოში გატარებული საეკლესიო პოლიტიკის
შესწავლისათვის (XIX საუკუნე)

96

Lela Togoshvili – FOR STUDYING OF PURSUING POLICY IN
GEORGIA BY RUSSIAN STATE AND THE CHURCH (XIX
CENTURY)

ელდარ მამისთვალიშვილი – XVIII ს. უკანასკნელი მეოთხე-
დის და XIX ს. I მეოთხედის პოლიტიკური მოღვაწე ოთარ
ამილაზვარი

109

Eldar Mamistvalishvili – OTAR AMILAKHvari, A POLITI-
CAL FIGURE OF THE LAST QUARTER OF THE XVIII CEN-
TURY AND THE FIRST QUARTER OF THE XIX CENTURY

მანანა მიჩიტაშვილი – საციციანოს სოფლების ისტორიიდან
(ქვემო ქართლი)

120

Manana Michitashvili – FROM THE HISTORY OF
SATSISSIANO VILLAGES (KVEMO KARTLI)

გიორგი სოსიაშვილი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-
ქის შექმნის ისტორიიდან (ლიახვის ხეობის მოსახლეობის
პროტესტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სამხრეთ ოსე-
თის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შესვლასთან და-
კავშირებით)

144

Giorgi Sosiashvili – FROM THE HISTORY OF CREATING
THE AUTONOMOUS REGION OF SOUTH OSSETIA (THE
PROTEST OF LIAKVI GORGE POPULATION AGAINST THE
RUSSIAN GOVERNMENT TO INTRODUCE SOUTH OSSETIA
AS AN AUTONOMOUS REGION)

**Давид Шошиашвили – КОЛЛЕКТИВИЗАЦИЯ СОВЕТСКОЙ
ДЕРЕВНИ**

159

**David Shoshiashvili – COLLECTIVIZATION OF THE SOVIET
VILLAGE**

ვაჟა ჩოჩია – კატინის ტრაგედიის ისტორიიდან

177

**Vazha Chochia – FROM HISTORY OF THE KATYN
TRAGEDY**

**დავით ჩოჩიშვილი – ებრაული თემები „თბილისის ვილაიეთის
დიდი დავთრის“ მიხედვით**

190

**Davit Chochishvili – JEWISH THEMES ACCORDING TO “THE
GREAT BOOK OF TBILISI VILAYET”**

**ბადრი ძაგანია – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-
ების ჩამოყალიბებისათვის საქართველოში 1918 წლის 26 მა-
ისის შემდგომ და დღევანდელი პრობლემები**

202

**Badri Dzagania – FOR FORMATION OF LOCAL SELF-
GOVERNING IN GEORGIA AFTER 26 TH OF MAY, 1918 AND
MODERN PROBLEMS**

ვლადიმერ წვერავა – ოქროს ჩარდახი

214

Vladimer Tsverava – THE “GOLDEN CHARDAKHI”

**დავით ჯავახიშვილი – სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი –
მირიან ბაგრატიონი**

226

**David Javakhishvili – THE STATESMAN AND POET –
PRINCE MIRIAN BAGRATIONI**

**ნიკო ჯავახიშვილი – ცხოვრება და ღვაწლი მეფე-პოეტ
არჩილისა**

251

**Niko Javakhishvili – THE LIFE AND ACTIVITY OF THE KING
AND POET – ARCHIL**

**თოსებ ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მოღვაწეობის ერთი
საგულისხმო მომენტის შესახებ**

სოლომონ ლიონიძე საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უდავოდ გამორჩეული მოღვაწეა. იგი მონაწილე და ინიციატორი იყო ყველა იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებისა, რომლებიც XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთში და XIX ს-ის დასაწყისის იმერეთის სამეფოში განხორციელდა.

სოლომონი დაბადებული უნდა იყოს 1754 წელს კახეთის რაიონში, სოფ. კონდოლში, მამამისი - ანდრია თელავის კარის დეკანზი იყო და იგი სამეფო კართან ყოფილა დაახლოებული, ანდრიას შვილი თელავის სამეფო კარის სკოლაში შეუყვანია, რამაც ახალგაზრდა სოლომონს საშუალება მისცა წაეკითხა მეფის ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები¹. მას თავისი პერიოდისათვის შესაფერისი განათლება მიუღია და დაუფლებია უცხო ენებს (სომხეურს, სპარსულს, თურქულს, რუსულს).

სოლომონ ლიონიძე პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენისთანავე აქტიურად ჩადგა საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის მებრძოლთა რიგებში. ამ ფაქტმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ „მაღალი გონებისა და ქვეყნის

¹ ნიკოლოზ კანდელაკი, სოლომონ ლიონიძე, ქართული მჭერმეტყველების კლასიკოსი, თბ., 1962, გვ. 4.

ერთგულ, საქმის უცომელად შემმეცნებელ კაცს¹, ერეკლეს გარემოცვაში საპატიო ადგილი დაუმკვიდრა.

სოლომონი იყო უშუალო მონაწილე და შემოქმედი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და გაფორმებისა². ამ ხელშეკრულების ავკარგიანობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩვენი აზრით, გეორგიევსკის ხელშეკრულება, თავისი პირობების მიხედვით, იმ დროისათვის იყო საუკეთესო გამოსავალი, რისი მიღებაც ერეკლეს რუსეთი-საგან შეეძლო. სხვა საკითხია, თუ როგორ შესრულდა იგი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ერეკლეს რუსები ტრაქტატამდე 11 წლით ადრე ბევრად უფრო უარეს პირობებს სთავაზობდნენ და ფაქტიურად კაბალურ მდგომარეობაში აყენებდნენ³, ერეკლეს გონიერი საგარეო პოლიტიკის შედეგია XVIII საუკუნის 70-იან წლებში⁴.

სოლომონ ლიონიძის უშუალო ინიციატივით მომზადდა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი 1790 წელს, ესაა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული

¹ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რეზ, თბ., 1978, გვ. 24.

² Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею т. I, Тифл. 1866, გვ. 323-324, დოკ. 411.

³ ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომი და საქართველო, თბ., 1988, გვ. 27; ცაგარელი А. Грамоты и другие исторические документы относящиеся по Грузии, т. II, вып. I, Груз. тексты с 1768-1801 гг. СПБ 1898, გვ. 91-92.

⁴ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, „ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა XVIII ს-ის 70-იან წლებში და რუსეთი“, გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესიონალ-მასწავლებლოთა ერთობლივი სამუცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქელი ურთიერთობები“, თბ., 2012, გვ. 12-14.

ქართლისა, კახეთისა, იმერეთის, ოდიშისა და გურიისა, აღ-წერილი სამეუფოსა ქალაქს თბილის 1790 წელსა“¹. პლა-ტონ იოსელიანის ცნობით, ამ ხელშეკრულების მომზადებისას სოლომონი „მისრული კართა ზედა იმერთა მეფისა და მთა-გართა დადინისა გრივოლისა და გურიის სვიმონისა, მრავ-ლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათე-საობა ქართველთა, მეცადინეობა შინაგავშირითა, გაუქმდინა გარეკავშირი“¹. ცნობილია, რომ ამ ხელშეკრულებას წინ უძ-ლოდა დასავლეთ საქართველოს ხელისუფალთა ვიზიტი ერე-კლეს კარზე მთელი საქართველოს გაერთიანების პირობით. სოლომონ ლიონიძე აქაც ინიციატორთა შორისაა. სამწუხა-როდ, რეაქციულ ძალთა ზეგავლენით იმ დროისათვის ეს გა-ერთიანება ვერ შედგა, ამიტომ 1790 წლის დოკუმენტი იყო ერეკლეს ფაქტიური აღიარება საქართველოს უზენაეს ხელი-სუფლად. მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ისტორიაში ეს გახლდათ უპრეცედენტო გადაწყვეტილება ქვეყნის გაერთიანების თვალსაზრისით. თუ გავითვალისწი-ნებთ, რომ იმერეთში ახლად გამეფებული სოლომონ მეორე ერეკლეს შვილიშვილი იყო, ნათელი ხდება, საით უმიზნებდა გამჭრიახი გონების „ვიცე-კანცლერი“ საქართველოს მეფისა.

სამწუხაროდ, ამ ხელშეკრულებას მალევე მოჰყვა 1791 წლის კანონი „საუფლისწულოების შესახებ“, რომლის უარ-ყოფითი შედეგები ცხოვრებაში მალე გახადა საგრძნობი. გან-საკუთრებით ეს კრწანისის ბრძოლის შემდეგ გამოჩნდა.

როგორც ჩანს, მოზუც ერეკლეს მეფობის ბოლო წლებში ოჯახში ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა და ამბიციურ უფლისწულებზე გავლენას ვეღარ ახდენდა. სულ უფრო ხში-რად ერევა ქვეყნის მართვაში დარევან დედოფალიც. ამის

¹ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 24.

შესახებ მსჯელობას ქართველი მემატიანები გარკვეული მიზეზების გამო თავს არიდებენ (ნიშანდობლივია, რომ ამ მემატიანეთაგან უმრავლესობა ერეპლეს ოჯახის წევრია: თემურაზ, იოანე, დავით, ბაგრატ ბატონიშვილები). სამაგიეროდ, ამ ფაქტს ერთხმად აღნიშნავენ იმ დროს საქართველოში მოღვაწე რუსი ავტორები¹.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა კრწანისთან ერეპლეს მარცხმა (1795 წ. 11 სექტემბერს). მეფე სამუდამოდ თელავში დასახლდა და ქართლ-კახეთში არსებულ ვითარებას ვეღარ აკონტროლებდა². ფაქტი იყო, რომ ჯანმრთელობა შერყეული ერეკლე ქვეყნის მართვას დღიხანს ვეღარ შეძლებდა, ხოლო არსებული რეალობის პირობებში უფლისწული გიორგი ვერ ჩანდა იმ პიროვნებად, რომელიც უაღრესად გართულებულ საშინაო და საგარეო ვითარებაში ქვეყნის დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას შეძლებდა, ამიტომ ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში სამეფო კარზე ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული დაჯგუფება. ერთს დედოფალი დარეჯანი მეთაურობდა თავისი შვილებით (იულონ, ალექსანდრე, ფარნაოზი, მირიანი) და მეორეს - გიორგი XII (დავით ბატონიშვილის მეთაურობით). საქმე იქამდეც მივიდა,

¹ Н. Дубровин. История войны и владычества Русскихъ на кавказ, т. II, СПБ 1886, гг.38; П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. II, СПБ 1869, гг. 336.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 2087; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 539/7648, დავთ. 6; ი. ალმებარაშვილი, რამდენიმე საარქივო დოკუმენტი კრწანისის ბრძოლის შემდეგ ქართლ-კახეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №4, თბ., 2013, გვ. 170-178 და სხვ.

რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ორივე ფრთა ლეკებსაც ქირაობდნენ¹.

ასეთ დროს, როდესაც ქვეყნის არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, სოლომონ ლიონიძისთანა გონებისა და ენერგიის კაცი სტატისტის მდგრამარეობაში ვერ დარჩებოდა. როგორც ჩანს, ქვეყანაში მომზადდა შეთქმულება, რომელიც სამეფო კარზე გარკვეულ საკადრო ცვლილებებს ისახავდა მიზნად, მაგრამ სოლომონის წყალობით ეს მოძრაობა ერეკლესათვის შეუმნიკველი არ დარჩენილა და ბოლომდე ვერ განხორციელდა.

შეთქმულება 1796 წლის აგვისტოში გამჟღავნდა. არსებობს აღნიშნული წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული ერთი დოკუმენტი. ესაა, შიომ თუმანიშვილის წერილი მისი ძმის მანუჩარისადმი მიწერილი, სადაც შიომი აღნიშნავს: „იფიქრეთ რას გუნებით ვიქნები და ან როგორი სიცოცხლე მექნება. გვევდრები რაც ჩვენი სასიხარულო ამბავი იცოდეთ, არ დამიგვიანოთ. სხვა ამბის მოწერის გონება არ მაქვს, თორემ მრავალი საკურველი საქმე გამოცხადდა სოლომონ მდივანბეგისაგან და უფრო იმიტომ არ მოგახსენე, რომ არ გარდაწყვეტილა ...არ ვიცი, რას გონებითა ვსწერ ამასა უბედური”².

მომდევნო წერილში, სოლომონის სახელი უფრო ხშირად ისმის. სოლომონთან ერთად საქმეში ფიგურირებენ ვინმე გოდერძი, იოსებ მისკარბაში (ბასატამაშვილი), გოგია ნაზარბეგიშვილი და სხვა „მოქალაქენი”. ჩვენ მხოლოდ ის ნაწილი

¹ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011, გვ. 152.

² მამისა ბერძნიშვილი, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან, წიგნში: ქართული წყაროთმცოდნეობა, წიგნი I, თბ., 1965, გვ. 130, დოკ. 6.

მოგვყავს წერილიდან, სადაც შეთქმულების შესახებაა საუ-
ბარი: „აქაური ამბავი ეს არის”, - სწერს შიოში მანუჩარს:
„ბატონმა (იგულისხმება ერეკლე II - o. a.) რომ მელიქი და
მოქალაქენი დაიბარა, თურმე სოლომონ ანდრია დეკანოზის
შვილისაგან სხვადასხვა რიგის მანქანებით, მუხანათობით
დაბეზღებულნი ყოფილიყვნენ. პირველად მთიულეთს მოახსე-
ნა თურმე ბატონს: (ბატონი გამორჩეული ჰყავთო, აღა მაჰ-
მად სანთან კაცი გაგზავნილი ჰყავთო, წიგნსაც სწერენ და
თუ ამ სამს დღეზე შენს თავს არ უშველე, საქმე წასული-
აო). მასუკან დუქნების საქმეზე მიშკარბაშს და სოლომონს
რომ ჩხუბი მოსვლოდათ, გაჯავრებულს სოლომონს ბატონიშ-
ვილის გიორგის მაგიერ მეფესთან მისაწერად ერთი შავი
გაეკეთებინა, რომ მრავლის საშინელის დაბეზღებით აევსო
და უფრო ბასტამაშვილის საქმეზედ და უძლიერესი სიტყვები
ეს ეწერა: მოქალაქეები და მიშკარბაში ამბობენო, ჯერ რუსს
უფუროთ და მერე აღა-მაჰმად ხანს წიგნი მივსწეროთო. ბა-
ტონი კახეთს ბრძანდებოდეს და იქ იბატონოსო. ბასტამა-
შვილი ასე ჯანყურად მელაპარაკა, რომ ქვეყანას გაუკვირ-
დაო და თუნდ თქვენი შვილიც არ ვიყო, რადგან თქვენი
გამოგზავნილი ვარ, ამისთანა ურჩება რად უნდა მჭირდესო.
ასე მოუნდომებია სოლომონს, რომ გიორგი ბატონიშვილს
ესეები ბატონთან მოაწერინოს. შავი რომ მირთმეოდა გიორგი
ბატონიშვილს, არ ეყაბულებინა. ჩუმათ გარდაეწერებინა, შავი
შეენახა და თავისი წერილი ისევ მიეცა. ამაზედ ბატონიშვი-
ლი რომ ვერ აეყოლიებინა, მერე მწერლის შვილი გოდერძი
ეშოვნა და ბატონისათვის მოეხსენებინა ეს ამბავი: მიშკარბა-
ში იოსებ, ბასტამაშვილი და ნაზარბეგის შვილი გოგია ბა-
ტონიშვილთან მოვიდნენო და მოახსენეს - დიამც მამაშენი
არ გვივლისო და დაგვლუპაო. შენ მაინც მოგვიარეო. მამაშენ-
მა თავისი მამა რუსეთს გადაკარგა და იქ მოკლაო, რომ მა-

შინ შეწედ უფრო პატარა იყო. მრავალი ავი სიტყვა არის სულ მოწერა არ იქნება. ეს ასე მოხსენებოდა შვიდი-რვა თვის უწინ და გოდერძის დაეფიცებინა ბატონი - ნუ გამცემო. ესები ბატონმა გამოაცხადა, სოლომონ აშკარადა თქვა მოქალაქეების დაბიზღლად და გოდერძის სახელს არ ბრძანებდა და მოხსენებულს სიტყვებს აცხადებდა და მომხ-სენებული თქვენ იპოვნეთო. მე ნაფიცი ვარო. ოოგორც მოხ-და, ვაძოვეთ და დავიჭირეთ. მოვიდა და კიდევ როგორც დაებიზღებინა, წერილით მოართო და მოეხსენებინა: მართალი მომიხსენებია, სამართალში პირს დაუდგებიო. ...გაგზავნა ბა-ტონმა ყოვლად სამღვდელონი, დარბაისელნი და მეც (შიოშ თუმანიშვილი - ი. ა.) ფიცით ჰკითხა თავის შვილს გიორგის - მართლა ამათგან ეს შენ გაგიგონიაო თუ არა. საშინელი ფიცი შემოუთვალა: ჩემთან არა უთქვამთრაო. და მაშინვე ფი-ცი ირწმუნა და ბატონი ხათრივამი შეიქმნა (დარწმუნდა ი. ა.). გოდერძი წამოდგა და სთქვა: ამ საქმეს ასე გავარჩევ, ყველანი გაშტერდეთო და წაიყვანეს დაჭერილი”¹.

როგორც ვხედავთ, შეთქმულების გეგმა „შავში” წერია, რომელსაც სოლომონი გიორგი ბატონიშვილს წარუდგენს. გიორგი სოლომონს ბოლომდე არ ენდობა და ჩუმად „შავის” ერთ პირს იტოვს, რადგან არის რაღაც საკითხი, რომელზეც ბატონიშვილი „ყაბულს” არ არის. რა არის ამ უნდობლობის მიზეზი ქვემოთ ვიტყვით.

სოლომონის მთავარ მიზანს ის წარმოადგენს, რომ შეთქმულების ამბავი ერეკლემდე როგორმე მივიდეს. როდე-საც გიორგი ბატონიშვილისაგან ამას ვერ აღწევს, იგი ერეკ-ლესთან „მწერლის შვილს” გოდერძის აგზავნის.

¹ მამისა ბერძნიშვილი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართ-ველოს ისტორიიდან, წიგნში: ქართული წყაროთმულნეობა, წიგნი I, თბ., 1965, გვ. 131-132, დოკ. №7.

შეთქმულთა უკმაყოფილება იმითაა გამოწვეული, რომ ერეკლე „მათ არ უვლის” და მისი „წყალობით დაიღუპნენ”. ისინი კიდევ უფრო შორს მიღიან და ერეკლეს ოპონირებენ, თითქოს მან გაგზავნა და „გადაკარგა” გიორგისთან შედარებით ახალგაზრდა მამა (იგულისხმება თეიმურაზ II) რუსეთში და „იქ მოკლა”.

უნდა ითქვას, რომ ნაზარბეგიშვილისა და ბასტამაშვილის ბრალდებები ერეკლეს მისამართით საკმაოდ მძიმეა და პირადი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას. ამიტომ ფაქტებსაც განვებ ამძიმებენ. მაგ., ჯერ ერთი, თეიმურაზ მეორის რუსეთში გამგზავრების მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია. მეფე ვარაუდობდა, რომ ჯარს გადმოიყვანდა ჩრდილოეთიდან, ან შესაბამის თანხას მიიღებდა, რითაც ლეკიანობის პრობლემას მოაგვარებდა. უფრო მეტიც, მეფე რუსებს სთავაზობდა, რომ ირანის ტახტზე რუსებისათვის სასურველ პირს დასვამდნენ ტახტზე, მაგრამ ეს ელჩიბა ისევე უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ყველა სხვა წინამორბედი და მეორეც, ოპონენტების სიტყვებიდან ჩანს, თითქოს რუსეთში წასული თეიმურაზი გიორგი ბატონიშვილზე ახალგაზრდაა. სინამდვილეში 1760 წლისათვის, როდესაც თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა 60 წელს იყო მიღწეული (დაიბადა 1700 წელს), ხოლო 1796 წლისათვის გიორგი XII 50 წელს არ იყო გადაცილებული (დაიბადა 1746 წელს).

წერილის ავტორი შიოშ თუმანიშვილი ლიონიძისადმი საკმაოდ მტრულადაა განწყობილი და ცდილობს, სოლომონის მიერ სამეფო კარზე შეთქმულების შესახებ გაცხადების მიზეზად მიშკარბაშსა და სოლომონს შორის დუქნების საქმეზე მომხდარი ჩხუბი წარმოაჩინოს.

სინამდვილეში თუმანიშვილის ლიონიძისადმი მტრობის მიზეზი სულ სხვა რამ არის, რაც კარგად ჩანს წერილის

დასკვნით ნაწილსა და მომდევნო წერილებში. საქმე იმაშია, რომ თუმანიშვილი მეამბოხე მიშვარბაშ იოსებ ბასტამაშვილის ნათესავია და საკუთარი ქონების დაკარგვის შიში უფრო აწუხებს, ვიდრე ქვეყნის ბედი. ერეკლეს აჯანყებულთათვის სახალხო გასამართლება მოუწყვია: „შეიყარა ხალხი და მიშვარბაშის და მოქალაქეთ დაბეზღება და მუხანათობა აშვარად წაიკითხეს. შენი მტერი, რაც მწუხარება ჩვენ დაგვიდგა. ვინცავინ ამათი მოყვარენი ვიყავითო”, - სწერს ძმას შიოში¹.

სამწუხაროდ, არ კონკრეტდება ვინ იგულისხმებიან მოქალაქეებში, მაგრამ მომდევნო წერილი, ჩვენი აზრით, ამ კითხვასაც პასუხს სცემს. ისინი ბასტამაშვილის „ამხანაგობაში” მყოფი თბილისელი სომეხი ვაჭრები არიან. ერეკლეს მათვის ქონებაც ჩამოურთმევია, მაგრამ ვისთვისაც ბრალი ვერ დაუმტკიცებიათ, უკანვე დაუბრუნებიათ. 1796 წლის 30 აგვისტოს, თუმანიშვილების ახლობელი და სავაჭრო „გილდიის” წევრი დარჩია ბებუთოვი მანუჩარ თუმანიშვილისადმი მიწერილ საპასუხო წერილში აღნიშნავს: „თქვენი ბრწყინვალების წიგნი მებოძა, ჩვენი გამართლება მოგელოცა და გიამებოდათ დიახ ვიცი, რომ ამისთანას ცილისათვის შეგბრალებოდით, უმეტესათ, რომ ბასტამაშვილის ამხანაგობაში ვიყავითო”².

ასევე დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს შიოშ თუმანიშვილი ძმისთვის ქონების უკან დაბრუნების გამო და ამიერი-დან სიფრთხილისკენ მოუწოდებს: „ვმადლობ ღმერთსა, რომ თქვენი მშვიდობით მორჩენა გავიგონე და ამას იქით ფარეზით გაფრთხილებისათვის გევედრებიო”³.

¹ მამისა ბერძნიშვილი. მასალები... გვ. 131-132, დოკ. №7.

² მამისა ბერძნიშვილი. მასალები... გვ. 132, დოკ. №8.

³ მამისა ბერძნიშვილი. მასალები... გვ. 133, დოკ. №9.

სამაგიეროდ, თუმანიშვილები და მისი დამქაშები სიხარულს ვერ მაღავენ სამეფო კარის მიერ სოლომონ ლიონიძის შერისხვის გამო: „სოლომონ დიაკვნის ამბავი ხომ სრულად მომიწერია, ამისი საქმე ასე არის, რომ მგონია ლუკმის ნატრული შეიქმნას, ყმა და მამული იმისი ფარნაოზ ბატონიშვილს ებოძა, სახელოები სრულად ჩამოერთვა, მრავალი უსამართლო ქრთამი აუღია და სამართალს ართმევს და ამდენი კაცის სისხლი უნდა მისცეს: რით აუგა?”¹.

შეთქმულთა გეგმის მიხედვით, ერეკლე მხოლოდ კახეთის მეფობას უნდა დასჯერდეს. ქართლში ბატონობისათვის მათ „ბატონიც გამორჩეული ჰყავთ“. თუ ადგილობრივი ძალებით მიზანს ვერ მიაღწევენ, რუსის იმედი აქვთ და არც აღა-მაპმად-ზანთან კავშირს გამორიცხავენ.

წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ იგი წინა წერილის ახლო ხანებში, ანუ 1796 წლის აგვისტოს ბოლოს უნდა იყოს დაწერილი. შეთქმულება ჯერ კიდევ შვიდი-რვა თვის წინ, ანუ 1796 წლის დასაწყისში გამჟღავნებულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეთქმულები მანამ არ მოქმედებდნენ. შესაძლოა, ერეკლესათვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი ამ ფაქტის შესახებ. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ სოლომონი ჯერ კიდევ კრწანისის ბრძოლაში დამარცხებულ და მთიულეთში გახიზნულ ერეკლეს აფრთხილებს შეთქმულების აღა-მაპმად-ზანთან კავშირის შესახებ და რომ „ბატონიც“ შერჩეული ჰყავთ. სოლომონი კატეგორიულია და მეფეს თავის გადასარჩენად მხოლოდ სამი დღის ვადას აძლევს, რადგან კიდევ არის რაღაც, რასაც სოლომონი ვერ ამბობს, იმიტომ, რომ „ნაფიცია, და მეორეც, გიორგი უფლისწულის ფიცისა და ერეკლეს „ხათრიჯამობის“ მიუხედავად, გოდერძი

¹ მამისა ბერძნიშვილი. მასალები... გვ. 134, დოკ. №11.

კონფიდენტს იმიტომ აპატიმრებენ, რომ მან ისეთი რამ იცის, რასაც შეუძლია ხალხი „გააშტეროს“.

იმავე წლის 21 აგვისტოს, დარჩო ბებუთოვის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიწერილი წერილიდან „გო-ლერძის“ ვინაობაც ცხადი ხდება. იგი მწერალი გოდერძი პა-პუაშვილია, რომელსაც, ბებუთოვის სიტყვით: „ურცხვათ ერთი წიგნი დაეწერა, რომელიც მისკარბაშისა და ბასტამაშვილის ლაპარაკს უბნობდა“¹.

სსენებულ წერილში თბილისის მელიქი არც სოლომონ ლიონიძეს ინდობს: „სოლომონ მსაჯულს დიდრონი მახაები მოკაზმული ჰქონია და ვერას მიუხვდიო“².

მოგვიანებით შეთქმულებმა გოდერძი პაპუაშვილიც „და-ამუშავეს“ და ერეკლესთან წერილი მიაწერინეს, სადაც იგი სოლომონ მდივანსა და მის ნათესავ შაქარა ჩარჩიშვილის მიერ შეცდენა-გაბრიყვებასა და მათ ბრალეულობაზე საუბრობს და შენდობას ითხოვს: „ჩემო მოწყალეო, ვითარცა ეშ-მაკო მოიგონეს ადამის ცოტნება და გველში შევიდნენ და ის-რე აცოტნეს, ისრე მაგ თქვენმა კაი ყმამ (იგულისხმება სოლომონ ლიონიძე - ი. ა.), ვერც მე შევითყვე თუ მაგაში ან სულისა და ან ღორის სიყვარული არ იყო. გველად ჩემი მამიდაშვილი შაქარა გააკეთა ჩარჩიშვილი და ეშმაკათ თვითონ იძოქმედა. შემოძიეული შაქარა, რომ დიდი მეგობარი იყო მაგისი ყველამ უწყით ესა და ჩემიც მამიდაშვილი იყო და მეგონა კეთილსა ჰყოფს რასმე ჩემთვისა მეთქი, ოთხი თუ ხუთი დღე ის ჩემთან ალაპარაკა და შემამფიცა თქვენი მზე სოლომონნა - რასაც მე გვეცნები, ეს ყველა სწორე არის, მაგრამ მე მტერობაში ჩამომართმევენო, შენ თუ ბატონს ამას

¹ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 7992, დავთ. 2, გვ. 410, შემდეგ: გსიემ

² გსიემ, საბ. 7992, დავთ. 2, გვ. 410.

მოახსენებ ნახე რა დიდი ერთგულობა იქნება ამაშია და ხომ ხედავ არცრა გიორგი ბატონიშვილის საზარალო არისო და ბატონი ხომ ჩემს ჭრილო არის, იმისი მე ვიცი, რაკი შენ მოახსენებო, მე ხომ არას დამიმალავსო. ასრე ეს კაცი და ეშმაკი შემომადგა და თქვენის სიძალლისათვის მამექსენებინა და სასიკვდილოთ მიმცა და ამდენი სულიც სასიკვდილოთ მიმაცემინა ...რაც მოგახსენეთ წერილით სულ მაგისი (ლიონიძის - ი. ა.) გაკეთებული იყო და გაზეპირებული. მე ამის-თვის არ გამოვაცხადე აქამდინა, რომ უმაღლესსა მეფეს ჭრილო გულსმოდგინეთ გამოეძიებინა ტყუილად მამახსენებინა თუ მართლად, რომ ჩემი თავისთვის ისე მეწამლა ...პირველი დიდი მამა ჩვენი ღოის ხელითშექმნილი აცდინა ეშმაკმა და მეც მაცდინა, ვითხოვ მოტევებასა და სამართლსა¹.

როგორც აღიარებითი წერილის ტონიდანაც ჩანს, იგი გარეშე ძალთა ზეგავლენითაა დაწერილი. სავარაუდოდ, „გარეშე ძალები“ გავლენიანი თბილისელი სომხები: დარჩო ბებუთოვი, მანუჩარ და შიოშ თუმანიშვილები, მისკარბაში იოსებ ბასატამაშვილი და სხვები უნდა იყვნენ. გამორიცხული არ არის, მათ მწერალ გოდერძიზე ეკონომიკური ზეგავლენაც გამოეყენებინათ და ეიძულებინათ ამგვარი სახის წერილი მიეწერა მეფისათვის. მით უფრო, რომ გოდერძი პაპუაშვილი მაინცდამაინც მამაცი და პრინციპული პიროვნება ვერ ჩანს.

მათ ერეკლეც დაურწმუნებიათ თავიანთ „უდანაშაულობაში“ და მთელი ბრალეულობა სოლომონ მდივანბეგისათვის დაუკისრებიათ. როგორც დარჩო ბებუთოვი სწერს მანუჩარ თუმანიშვილს: „ღუთის მართალმა სამართალში ყოველი საქმე ნათლათ აღმოაჩინა. უმაღლესობამ (ერეკლემ - ი. ა.) ბძა-

¹ გსიემ, საბ. 7992, დავთ. 3, გვ. 520-521.

ნა მე არა მჯეროდაო, თქვენის თავის გამართლებისათვის გამოვიკითხეო. გამართლება მოგვილოცა და მუხლს გვაკოცნინა. ახლა ხომ აღუა ასეთ ყოფაში არის, რომ ისიც ღუთით ან ამაღამ ან დილაზედ თავის ამხანაკს ვისაც ასწავლა გოდერძის მიეტლება, სოლომონს, ისემც ღმერთმა ყოველი ჩემი ხელმწიფის მუხანათი შეწუხოს, როგორც ის იყოს შეწუხებული. ღმერთმა მართლის ოჯახის დამხობის მდომელი თვითონ დაამხოო¹.

მართლაც, დამსახურების მიუხედავად, შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე სოლომონ ლიონიძე ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან მოკვეთეს და იგი სოლომონ მეორესთან გადაიხვეწა იმერეთში.

ერეკლე მალევე მიმხვდარა შეცდომას, მოუნანიებია, ეს ყველაფერი საკუთარი ხელით მიუწერია სოლომონისათვის და ერთგული და უსამართლოდ შერისხული მსახურისათვის ძველი მამულ-წყალობებიც სრულად განუახლებია².

საპასუხი წერილში სოლომონი მეფის მადლიერია, თუ-მცა იმასაც აღნიშნავს, რომ ყველაფერს ბოლომდე მაინც ვერ ამბობს: „მაინც უღირსი მოწყალება იყო თუ ოდესმე გმისახურე ვითარც ამონამან რომელი თანა მედვა, ყოფად ვყავ და რა შემიძლიან ამდენის მოწყალებისა ჭირნახულობისა და მაშინ რომ სიკვდილს მომტაცეთ, ამათი მაგიერი, მაგრამ ვების ცოდვილსა ღმერთმან ისმინოს ...თქვენს წინ სისხლის დაღვრა მაღირსოს, თქვენის ჭირის სანაცვლო შემქმნას, ოპრაები მინდა ვსთქვა, მაგრამ სოფელი აღარც ლხინი ჭირთა

¹ გსიქმ, საბ. 7992, დავთ. 2, გვ. 520-521.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, ტ. 2, ისტორიული დოკუმენტები, ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძე, თბ., 1953, გვ. 54-55, დოკ. 37.

თქმა და მომცეს შეძლება ღმერთმან, რომ თქვენი სახსოვარი მეფობა ცას ქვეშეთს ხალხს შეყვარებად გამოუკადო¹.

ამის შემდეგ ერეკლე მალევე გარდაიცვალა. „მოთქმით ტირილში” საქართველოს მსაჯულთუხუცესმა კიდევ ერთხელ გამოხატა დიდი მწუხარება და მეფისადმი ერთგულება: „იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალაო”².

შედარებით დრამატულად გაგრძელდა გიორგი XII-სა და სოლომონ ლიონიძის ურთიერთობა. გიორგი XII მხოლოდ სიკვდილის წინ „შერიგებია“ ლიონიძეს (ანუ, ერეკლეს გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ) და მისი უდანაშაულობა უღიარებია. 1801 წლის 17 თებერვალს გენერალ კნორინგი-სადმი მიწერილ წერილში ლიონიძე აღნიშნავს: „მეფემ გიორგიმ, ავათ გახდომის წინა დღეს, შეჰყარა დედოფალი, თავისი შვილები და კარისკაცნი და იმათში ჩემი მრავალრიგად სამსახური აღიარა, ფიცით დაამტკიცა და ისე გარდაიცვალაო”³.

სამწუხაროდ, სოლომონთან ასევე „დიდი შუღლი აქვნდა“ დარეჯან დედოფალსაც⁴.

ერეკლე-გიორგის გარდაცვალების შემდეგ, რუსული ხელისუფლება, ბუნებრივია, კიდევ უფრო არ სწყალობდა და მოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს „ვიცე კანცლერს”, ამიტომ იგი 1801 წელსვე იმპერატორის ბრძანებით

¹ გსიქმ, საბ. 7992, დავთ. 2, გვ. 376.

² ნიკოლოზ კანდელაგი, სოლომონ ლიონიძე, ქართული მჭერმეტყველების კლასიკოსი, გვ. 27.

³ Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиою Т. I. ч. II. Тифл. 1866, гვ. 323-324, დოკ. 411.

⁴ ზაქარია ჭიჭინაძე. სოლომონ ლეონიძე, მსაჯული, ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმპერატორთა მეფისა, თფ., 1910, გვ. 26

დაუპატიმრებიათ. კნორინგისადმი მიწერილ ზემოხსენებულ წერილში ლიონიძეს საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება უხდება: „დიდათ უკვირსთ საქართველოს ერს, სამღვდელოთა და საეროთ ივან პეტროვიჩის ჩემი ყარაულქვეშ ტანკვა. ...დღეს მეფის შვილები ფიცით ამტკიცებენ, დანაშაული არა აქვს რაო, დიდებული ხელმწიფის ღრამოტა წაიკითხეს, თუ დანაშაული პეტრი ვისმე, იმპერატორის მოწყალებით გვი-აატივებიაო; და მე ყოვლითურთ უდანაშაულოთ ვიტანჯები ცუდის მტრის სიტყვით. ...დანაშაული არა მაქვს რა უმაღ-ლეს კარზე მტერმა წაიღო ჩემი ამბავი და იქიდან დაუნაშა-ვებელი არ დავისაჯო და აქაც ბრძანება მოსცეთ, რომ სომეხთ პატრიარქმა და პოქევარტერმა სამართალში მაღაპა-რაკოს და სარწმუნოს მოწმეებითა და საბუთებით ჩემი სიმა-რთლის წერილი თქვენს მაღალმსვლელობას მოერთვასო”¹.

წერილიდან გამომდინარე, სოლომონი სომხების პატ-რიარქის ენით დაუკავებიათ. ეს სომეხთ პატრიარქი ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იოსებ არლუთაშვილ-შხარგრძელია, რომელიც შემდეგ რუსეთში მცხოვრებ სომეხთა მთავარების-კოპოსი გახდა, ხოლო 1800 წლის ბოლოს კათალიკოსადაც აირჩიეს². ცნობილია მისი აგრესიული და რეაქციული პო-ლიტიკა ყოველივე ქართულის მიმართ.

როგორც ჩანს, სოლომონის წერილმა გაჭრა და მაღვევე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. იგი სოლომონ II-სთან გადა-დის დასავლეთ საქართველოში და აქტიურ პოლიტიკურ საქ-მიანობას იწყებს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ალექსან-

¹ Акты ... Гл. I. № 323-324, лист. 411.

² სარგის კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921, თბ., 2003, გვ. 39.

დრე, იულონ, ფარნაოზ ბატონიშვილებთან, დედოფალ დარე-ჯანთან და სხვებთან¹ ერთად.

1802 წელს ლიონიძე კვლავ ბრუნდება თბილისში და თან მოქვს ბაბა-ზანის ორი ფირმანი, რომლითაც სპარსეთის შაჰი იულონ ბატონიშვილს ქართლ-კახეთის მეფედ სცნობს².

ქვეყნის უპირველესი მსაჯული სოლომონ II-ის ელჩა-დაც იმყოფებოდა პეტერბურგში, მაგრამ იმერეთის ბედი, ქართლ-კახეთის მსგავსად, უკვე გადაწყვეტილი იყო. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა სოლომონ იმერთა მეფისა, რუსეთ-თან დამარცხების შემდეგ, მასთან ერთად ახალციხეში გადაიხვეწა და იქვე გარდაიცვალა შავი ჭირის ეპიდემიით 1811 წელს.

დამოწმებანი:

1. ალიმბარაშვილი იოსებ. რამდენიმე საარქივო დოკუმენტი კრწანისის ბრძოლის შემდეგ ქართლ-კახეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №4; თბ., 2013, გვ. 170-185.
2. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), „ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა XVIII ს-ის 70-იან წლებში და რუსეთი“, გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობები“; თბ., 2012.
3. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011;

¹ Акты ... Гл. I. Гв. 244, 316, 331.

² მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1983, გვ. 78.

4. ბერძნიშვილი მამისა, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან, წიგნში: ქართული წყაროთმცოდნეობა, წიგნი I, თბ., 1965;
5. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1983;
6. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 539/7648, დავთ. 6; საბ. 7992, დავთ 2, გვ. 416; დავთ. 3, გვ. 410-411; 520-521.
7. ოოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედ, თბ., 1978;
8. კაკბაძე სარგის, კრწანისის ომი, თბ., 1991;
9. კაკბაძე სარგის, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921, თბ., 2003;
10. კანდელაკი ნიკოლოზ, სოლომონ ლიონიძე, ქართული მჭერმეტყველების კლასიკოსი, თბ., 1962;
11. მაჭარაძე ვალერიან, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომი და საქართველო, თბ., 1988;
12. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, ტ. 2, ისტორიული დოკუმენტები, ტექსტი შენიშვნებითა და საბიექტებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1953;
13. ჭიჭინაძე ზაქარია. სოლომონ ლეონიძე, მსაჯული, ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა, თვილისი 1910;
14. ზელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 2087;
15. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисио т. I. ч. II. Тифл. 1866;

16. Бутков П. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. II, СПБ 1869;
17. Дубровин Н. История войны и владычества Русскихъ на кавказ, т. II, СПБ 1886;
18. Цагарели А. Грамоты и другие исторические документы относящиеся по Грузии, т. II, вып. I, Груз. тексты с1768-1801 гг. СПБ 1898.

Ioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

**ABOUT ONE SIGNIFICANT EVENT IN SOLOMON
LIONIDZE'S POLITICAL CAREER
RESUME**

In the article, a very complecated period of Georgian history – the XIX 90s and the beginning of XVIII century – is discussed based on archival, documentary, narrative sources and literature. The political activities and the subsequent fate of Solomon Lionidze who is undoubtedly a distinguished and talented diplomat of this period is examined in the article .

The dramatic situation after the Krtsanisi War (1795) in Kartl-Kakheti, then, the intrigues at the royal court and the collusion of 1796 against Erekle II, which is less explored in Georgian historiography are analyzed and evaluated in the article.

დავით ახლოური
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქსნის ხეობაში ხელოსნობის ისტორიიდან

ჯერ კიდევ განუსაზღვრელია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ქსნის საერისთავოს მიუძღვის საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. აქ აღმოჩენილი უნიკალური არქეოლოგიური მასალა, მათ შორის ახალგორის ცნობილი განძი, რომელიც ხუთასამდე ნივთს მოიცავს, ნათლად მიგვანიშნებს ამ მხარის შესაძლებლობებზე და მის დაწინაურებაზე შიდა ქართლში. სწორედ ქსნის ზემო წელზე აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარის ანალიზის შემდეგ მიიჩნია ცნობილმა მეცნიერმა იულონ გაგოშიძემ ქსნის საერისთავო ადრე ანტიკურ ხანაში ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ფორპოსტთაგანად და მიუთითა ქსნის ხეობის მცხეთის სამეფო კართან მჭიდრო კავშირურთიერთობაზე.¹

ყანჩაეთის, საძეგურის, ახალგორის, ალევის განძზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ქსნის ხეობაში ხელოსნობის დარგებიდან განვითარებული უნდა ყოფილიყო ოქრომჭედლობა. ქვემო აღვეში საოქრომჭედლოს შესაძლო არსებობაზე მიგვითითებს ბ. აფხაზავა.² „ახალგორის განძის რამდენიმე ოქროს ნივთი ძველადგვე შეკეთებულია ოქროს რჩილვის

¹ გაგოშიძე ი, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, 1964, გვ. 85.

² აფხაზავა ბ., რაზე მოგვითხრობს ალევის სამაროვანი, გაზეთი „ლენინელი“, 22.08.1987. გვ. 4.

გამოყენებით, რაც მხოლოდ პროფესიონალ ოქრომჭედელ ზელოსანს შეუძლია. წარმოუდგენელია, რომ ეს ნივთები უკვე ნახმარ-შეკეთებული მოხვედრილიყო ქსანზე, ანდა ყოველი დაზიანებული ნივთი შესაკეთებლად საზღვარგარეთ გაეტანათ.

ოქრომჭედლობის რომელიდაც უფრო დაწინაურებული, მაგრამ ასევე ქართული ცენტრებიდან შემოტანილი ნივთების გვერდით ახალგორის განძში გვაქვს ერთი რიგის ნივთები, რომლებიც პირველი ჯგუფის ნივთების ადგილობრივ მინაბაძებად უნდა ჩაითვალოს. ეს ფაქტიც ადგილობრივ, ქსნის ზეობის უშუალო სიახლოვეში საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობას გულისხმობს. ამასვე გულისხმობს ყანჩაეთის ბაგისა და თვალის საფრები, რომლებიც უშუალოდ დაკრძალვის წინ დამზადებული ნივთებია.¹ ქსნის საერისთავოში ზელოსნობის დარგებიდან განვითარებულ ოქრომჭედლობაზე მიგვითითებს ჯ. გვასალიაც.²

ახალგორიდან ჩრდილოეთით ქვემო აღევში გათხრილ 100-ზე მეტ სამარხში აღმოჩნდა მრავალფეროვანი, მრავალრიცხოვანი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მაღალი ოსტატობით დამზადებული სამკაული, უცნაური წარმოშობის ქარვა, მარჯანი, მარგალიტი, ნიჟარა, 2 ქარვის უნიკალური საბეჭდავი, ბრინჯაოს ბეჭედი წმინდა გიორგის გამოსახულებით, „მრავალენინი“ და სწავლასხვა ფორმის აბზინდა – ბალთებით შეკრული ქამრები... ნივთები, ძირითადად, ადრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნება და აღნიშნული პერიოდის ქსნის ზეობის ეკონომიკურ აღმავლობაზე მიგვანიშნებს. საყურადღებოა ლ. ჭილაშვილის დასკვნაც: „მთლიანად ქსნის ზეობა

¹ გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ზეობიდან, გვ. 82.

² გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997. გვ. 37.

უძველესი დროიდან მოყოლებული დასახლებულია, რის ფაქტორიც მისი მეურნეობის დაწინაურებაში შეიძლება დავინახოთ.“¹

უფრო ვრცელი ცნობები ქსნის ზეობაში განვითარებული ხელოსნობის დარგების შესახებ გვიანდეთ დალური ხანიდან გვხვდება, შ. მესხიას დაკვირვებით, ამ დროის საქართველოს მოსახლეობის ძირითად მასას ყმა-ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ.² ასე იყო ქსნის საერისთავოშიც, სადაც ხელოსნობის დარგებიდან განვითარებული ყოფილა სამღებრო, სადურგლო და სამჭედლო საქმე, მეჭურჭლეობა, საფეიქრო წარმოება. სამღებროები მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის ყველა დიდ ქალაქში არსებობდა, მათ შორის ახალგორშიც. უნდა აღინიშნოს, რომ სამღებრო ხელოვნება ამიერკავკასიაში ადრიდანვე განვითარდა. სამღებრო მცენარეთა შერჩევა და ღებვის წესები საგვარეულო საიდუმლოს შეადგენდა.³ დ. გვრიტიშვილის ვარაუდით, ახალგორის სამღებროებისათვის საღებავი ნაწილობრივ ადგილზე უნდა დაემზადებინათ თრიმლის ფოთლის, კოწახურის ქერქისა და კაკლის წენგო-საგან.⁴ აღსანიშნავია, რომ ქსნის საერისთავოში, ახალგორის გარდა, სამღებრო მეჯვრისხევშიც არსებობდა. საერისთავოში სამღებრო სარეწავების არსებობა ერისთავებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.⁵

¹ ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. 1. 1968. გვ. 66.

² მესხია შ., „საისტორიო ძიებანი“, ტ. 2. თბ., 1983. გვ. 293.

³ გუგუშვილი პ., შინამრეწველობა ამიერკავკასიაში, მსკი, ნაკვ. 3, 1939, გვ. 53.

⁴ გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955. გვ. 164.

⁵ ბერძენიშვილი ნ., სამღებროთა შესახებ მე-18 საუკუნის საქართველოში, მსკი, ნაკვ.1, 1944. გვ. 444.

ერისთავებისათვის შემოსავლის წყარო იყო ქსნის საერისთავოში განვითარებული ხელოსნობის ზემოთ ნაცხენები სხვა დარგებიც. მაგალითად, ერისთავებისათვის გარკვეული სარგებლის მომტანი იყო სადურგლო საქმე, რაზეც 1797 წლის 10 თებერვალს შედგენილი ერთი ისტორიული საბუთიც მიგვანიშნებს: შანშე ერისთავისშვილს დურგალ ნონიას-თვის გამოურთმევია ოთხი თუმანი, სანაცვლოდ მიუგირავებია სახლი. „სანამ ეს თეთრი მოგეცემოდეს, სახლის ქირას ვერა გთხოვ და სანამ ჩემს სახლში დგეხარ, თეთრის სარგებელს შენ ვერ მთხოვ“ - მიმართავს შანშე ნონიას.¹ როგორც დავინახეთ, დურგალს, შესაფერისი პირობები რომ ჰქონდა, შანშესთვის გარკვეული საფასური უნდა გაეღო.

ქსნის ხეობის მოსახლეობის სამურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მჭედლობა. „სამასალე საჭედური რკინა მჭედლებს თბილისიდან, გორიდან და ცხინვალიდან მოჰქონდათ. ზოგსაც ადგილზე იძენდნენ.“²

როგორც დანარჩენ საქართველოში, ქსნის ხეობაშიც მჭედლობა სამი დარგით იყო წარმოდგენილი, რკინის, რომელიც მჭედლობას და ნალბანდობას მოიცავდა, სპილენძის - მექაბეობა, მკალაობა, მეზანდუქეობა, ოქრომჭედლობის - სევალის, აუქრის და სმულის ხელობა. ცნობილი ეთნოგრაფის გ. ჩიტააის დაკვირვებით, ქსნელი მჭედლების ნახელავი ფორმითაც გამოირჩეოდა და თვისებებითაც. სიდიდესთან ერთად ახასიათებდა ტანის სიმტკიცე, ფხა-ალბასი და მკვეთ-

¹ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი 2, 6. ბერძნიშვილის რედაქციით, 1953. გვ. 119.

² რეზვაშვილი 6., მჭედლობა ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975. გვ. 191.

ლობა.¹ მუშაობის პროცესში დიდი ყურადღება ექცეოდა რკინის დაყენებას დუღილში, ცეცხლის ფერს, მთავარი ნიშა გახურებული რკინის ელვარება იყო. მეტ სიფრთხილეს მოითხოვდა მჭრელი იარაღის, განსაკუთრებით ნამგლების გამოჭედვა. ნამგალზე დიდი მოთხოვნილება იყო, საუკეთესო მჭედლებად ითვლებოდნენ ხარბალელი ქენქაძეები, მათი დამზადებული ნამგალი საგვარულო დამღით დღესაც ინახება ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში, რაც მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ასევე ლეხურისა და ლიახვის ხეობებში. ნაჭედი ნამგლები ურმებით გაჰქონდათ თურმე ხარბალიდან.

მჭედელთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი იყო ერთ კონკრეტულ საქმეზე მუშაობა, ზოგი ცულს ამზადებდა, ზოგი - გუთანს, ზოგი - ბარს, თოხს და ასე შემდეგ.

მჭედელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში, ამიტომაც იყო, რომ ქსნის ხეობის ძველი ყოფის-თვის დამახასიათებელი ყოფილა რკინის ხელობის დაუფლებისათვის ხელოსანთან მოწაფის მიბარება.² მშობლები ცდილობდნენ, შვილებისათვის გამოსაჩენი და ღირებული ხელობა შეერჩიათ.

საკმაოდ დიდი საქმე ჰქონდათ ქსნისხეველ ნალბანდებ-საც, ისინი საჭირო ინვენტარით ცხენზე ხურჯინგადაკიდებულნი სოფლიდან სოფელში დადიოდნენ საქონლის დასაჭედად.³ მე-18 საუკუნეში, ახალგორში, საკმაოდ დიდი რაოდე-

¹ ჩიტაა გ., ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლეანგარიში, ენიმკის მოამბე, 4, 1939. გვ. 4.

² რეხვიაშვილი ნ. მჭედლობა ქსნის ხეობაში, გვ. 193.

³ ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, გაზეთი „ლენინელი“, 19.03.1988. გვ. 4.

ნობა ყოფილან მექვაბები, ისინი, ძირითადად, ამზადებდნენ
საარაყე ქვაბებს, სინებს, კიცებს, თუნგებს...

ქსნის ხეობაში ფართო ხასიათი ჰქონდა საფეიქრო
წარმოებას, ქსოვილების დამზადება მჭიდროდ უკავშირდე-
ბოდა ხალხის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების
პირობებს. ერთი მხრივ, აქ არსებობდა მოსამზადებელი მასა-
ლის დიდი რაოდენობა და, მეორე მხრივ, ქსოვილზე ფართო
მოთხოვნილება. მთის მოსახლეობის და ხშირად ბარისაც,
ტანსაცმლის დიდ ნაწილს შალისგან ამზადებდნენ: ჩიხას,
შარვალს, ხალათს, ყაბალახს, ფაჩუჩს. ოჯახში მზადდებოდა
აგრეთვე საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების საგნები:
ფარდაგი, ფიჩი, ხურჯინი, ნაბდები, ცხენის გარსაკრავი,
ხელთათმანი, ქუდი, ფეხსამოსი...¹ საშალე და საფარდაგე ძა-
ფი ადგილობრივ სამღებროებში იღებებოდა. საფეიქრო ნაწა-
რმს მოსახლეობა ამზადებდა როგორც საოჯახო მოთხოვნი-
ლებისათვის, ისე ბაზარზე გასატანად.

ქსნის ხეობაში შალის წარმოების პარალელურად მის-
დევდნენ მეაბრეშუმეობას, რისი ხელშემწყობი ფაქტორიც
ახალგორის მიდამოებში გაშენებული თუთის კულტურა იყო.²

ქსნის ხეობა ცნობილი იყო კერამიკული წარმოებით,
მაღალ დონეზე იდგა მეჭურჭლეობა, მექვევრეობა, მეთონე-
ობა-მეგაცეობა, მეკრამიტეობა, მეაგურეობა. ქსანზე მეჭურჭ-
ლეობის ცენტრი სოფელი ცხავატი იყო. აქ, ძირიდადად,
მისდევდნენ თონე-კეცების მკეთებლობას, ამზადებდნენ ქვევ-
რებს... ცხავატური ჭურჭლით ქსნის ხეობასთან ერთად სა-
ქართველოს სხვა რეგიონებიც მარაგდებოდა. იწვევდნენ პრო-

¹ ყარაულაშვილი ც., ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975. გვ. 99.

² ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, გაზეთი „ლენინელი“, 19.03.1988. გვ. 4.

ფესიონალ ხელოსნებსაც, რომლებიც ადგილობრივებს ჭურჭლის წარმოებაში გამოცდილებას უზიარებდნენ. „წყლისა, ღვინისა და ცხიმეულისათვის ცხავატური ჭურჭელი კარგი იყო, ამის გამო მოწვეულებს ისეთ ჭურჭელს ამზადებინებდნენ, რომლებიც მარილიანისთვის გამოდგებოდა და გასაგალიც მეტი ექნებოდა. ასეთი იყო მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც ცხავატურთან შედარებით ორმაგად ფასობდა.“¹

დიდი მოთხოვნილება იყო ცხავატურ თონეზე, რომელსაც ცხავატში მამაკაცები ამზადებდნენ, სხვა სოფლებში რატომდაც - ქალები. თონე ყველას არ ჰქონდა, ზოგი მეზობლის თონით სარგებლობდა. პურის გამოცხობაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა, ხალხში გავრცელებული რწმენით ეს მიცვალებულისათვის ითვლებოდა საზიანოდ. თონე უფრო ქსნის ხეობის ბარის მოსახლეობისთვის იყო დამახასიათებელი, მთის ზოლში პურს ფურნეში აცხობდნენ.

ცხავატში 30-მდე სხვადასხვა დასახელების ჭურჭელს ამზადებდნენ, საჭმლისათვის განკუთვნილს, მევენახეობასთან დაკავშირებულს, საწყლეს, რძისათვის, პურეულისათვის, საკულტო დანიშნულებისათვის...

ქსნის ხეობის ქართული კრამიტის ერთ-ერთი მოჭრელი ყოფილა ვინმე დაგრამაშვილი, მისი მოჭრილი კრამიტი გამოირჩეოდა გამძლეობით და მომჭრელის სახელს ატარებდა. ახალგორში საკრამიტე ჰქონია დავით ერისთავს, სადაც აგურსაც ჭრიდნენ. გორიდან მოწვეულ მთავარ ხელოსანს სანდრო საბაშვილს დამზარე პერსონალიც ჰყოლია, რომელთა მეშვეობითაც სწორ ანუ ქართულ კრამიტს ჭრიდა.² დოგრაშვილის ქართულ კრამიტს დარიანი კრამიტი ჩაენაცვლა,

¹ ზანდუკელი მ., ქსნის ხეობის კერამიკა, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975. გვ. 175.

² ზანდუკელი მ., ქსნის ხეობის კერამიკა, გვ. 170.

რომელიც ქსნის ხეობაში შემოიტანა და გაავრცელა ქიტე იმედაშვილმა, მას ხელობა ჩრდილოეთ ოსეთში შეუსწავლია და ქსანზე კრამიტის მოჭრა სოფელ იკოთში დაუწყვია. მიმდევრებიც მაღლე გამოუჩნდა. მისი საქმიანობა გააგრძელეს ყიდა ქუტაშვილმა სოფელ წირქოლში, ბაზუანთ უბანში, დათიკო ხამედაშვილმა - სოფელ ახმაჯში. განსაკუთრებით განთქმული ყოფილა ხალიბეგანთ კრამიტი. ოთხ ძმას ხალიბეგაშვილებს, კრამიტზე მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით, საძეგურსა და ლარგვის შორის, ხალიბეგანთ უბანში გაუხსნიათ საკრამიტე-საგურე ქარხანა. ახალგორული დარიანი კრამიტი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა ქსნის ხეობის სოფლებში.¹ თუმცა, შევნიშნოთ ისიც, რომ კრამიტის შეძენა, მოსახლეობის უმრავლესობას არ შეეძლო, დიდი ნაწილი მიწურ სახლებში ცხოვრობდა. აგურს და კრამიტს უფრო ხშირად სამლოცველოების ასაგებად იყენებდნენ. აგური სჭირდებოდათ ასევე ბუხრებისა და თახჩების ამოსაყვანად, იატაკის საფენად, თონეების გარშემოსაწყობად.²

ქსნის ხეობა მდიდარია ფოთლოვანი ხეებით: მუხა, წიფელი, რცხილა, ნეპერჩხალი, თელა, ვერხვი, მურყანი, კაკალი, თხილი, წაბლი და სხვა ჯიშებია გავრცელებული, რომლისგანაც ხელოსნები დიდი ოსტატობით ამზადებენ სხვადასხვა საოჯახო და სამეურნეო ნივთებს, სახლის დედაბოძებს, რომლებზეც ხშირად ჩუქურთმები იყო გამოყვანილი, სახნელ და სალენ იარაღებს, კევრს, რომლისთვისაც არჩევდნენ თე-

¹ იქვე, გვ. 171.

² ჯღამაა ჯ. რუსთველის ხანის საქართველოს სამშენებლო კერამიკა, გვ. 51-53.

ლას, ლეკას ან პანტას გამძლეობისთვის. კევრით იღეწებოდა ქერი, პური, ჭვავი, ფეტვი, დიკა და ზოგჯერ ლობიოც.¹

ნისგან მზადდებოდა მთავარი სატრანსპორტო საშუალებები, ურემი და მარხილი. ურემი უფრო ბარის ზოლი-სთვის იყო დამახასიათებელი, ლარგვისის სამხრეთით, მარხილი, უფრო მთის ზოლისთვის - ჩრდილოეთით. ოუმცა მარხილით ბარის სოფლებშიც სარგებლობდნენ, მაგრამ მთიან აღგილებში ურემს ვერ გამოიყენებდნენ. ნისგან ამზადებდნენ უღელსაც, რომელშიც გამწევი ძალა ხარი უნდა შეებათ, აპეურებს, ხელნებს...

ნაირუეროვნებით და დამზადების ტექნიკით გამოირჩევა ქსნური ხის ჭურჭელი, საწყაოები, ამოსაღებ-ამოსახაპი, სარბევე, საფქვილე, პურის ცხობისთვის განკუთვნილი, ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელი კოვზები, ჯამები, ჩანახები, ტაბაკები, საღლვებლები... ფართოდ გამოიყენებოდა დაწნული ჭურჭელიც: გოდრები, ლასტი, ძარი, ცხავი, კალათა, ცხრილი...² მათი დამზადება ქსნის ხეობაში ბევრისთვის იყო მოსახერხებელი.

თავისებური მხატვრული ოსტატობითა და ხელოსნობით გამოირჩევა ქსნური ავეჯიც: საწოლები (ტახტი, ხის ლოგინი, სკამი), სასუდომები (სკამი, მერხი, სავარძელი) სატრაპეზო და შესანახი ავეჯი. ორნამენტი არაა მრავალსახოვანი, ჩანს კომპოზიციის უბრალოება და სიმკვეთრე, შესამჩნევია დიდი წრეხაზები ნაკვეთი ბეღაურებით. ლ. ბეღუკა-

¹ გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები და სატრანსპორტო საშუალებანი, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975. გვ. 142.

² იქვე, გვ. 149.

ძის დასკვნით, ქსნის ხეობაში ავეჯის წარმოება შინამრეწველური ხასიათის იყო.¹

შინამრეწველური ხასიათის იყო კირის წარმოებაც, რომელსაც, უკვე მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, განსაკუთრებული ყურადღება ეცემოდა.

მართალია, ბევრი, თავის დროზე მნიშვნელოვანი ხელოსნობის დარგი, დავიწყებას მიეცა, მაგრამ ქსნის ხეობაში, ყოველდღიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო მჭედლობა, საფეიქრო წარმოება, მეჭურჭლეობა, ხის დამუშავება, კირის წარმოება... დღეს ქსნის ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდევნილია საკუთარი მიწა-წყლიდან და არავინ იცის, როდის დაუბრუნდება ქსნელი კაცი ადგილის დედას და წინაპრის საქმეს...

დამოწმებანი:

1. აფხაზა ბ., რაზე მოგვითხოობს ალევის სამაროვანი, გაზეთი „ლენინელი“, 22.08.1987.
2. ბედუკაძე ლ., ქსნური ხის ავეჯი, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975.
3. ბერძენიშვილი ნ., სამღებროთა შესახებ მე-18 საუკუნის საქართველოში, მსკი, ნაკვ.1, 1944.
4. გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
5. გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები და სატრანსპორტო საშუალებანი, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975.
6. გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997.

¹ ბედუკაძე ლ., ქსნური ხის ავეჯი, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975. გვ. 160-163

7. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
8. გუგუშვილი პ., შინამრეწველობა ამიერკავკასიაში, მსკი, ნაკვ. 3, 1939.
9. ზანდუკელი მ., ქსნის ხეობის კერამიკა, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975.
10. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი 2, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1953.
11. მესხია შ., „საისტორიო ძებანი“, ტ. 2. თბ., 1983.
12. რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975.
13. ყარაულაშვილი ც., ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, 1975.
14. ჩიტაა გ., ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმების მოამბე, 4, 1939.
15. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. 1. 1968.
16. ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, გაზეთი „ლენინელი“, 19.03.1988.
17. ჯლამაა ჯ., რუსთველის ხანის საქართველოს სამშენებლო კერამიკა, „მაცნე“, №6, 1968.

Davit Akhlouri

Gori State Teaching University

FROM THE HISTORY OF CRAFTS VALLY OF KSANI RESUME

Vally of ksani from ansient time played an importent role of Georgia as a polotical and economic life. In this work is about from the ancient time in the ksani developed

craftsmanship, also review rich archaeological material found on the ksani indicates in antiquity in ksani the existence of golden.

It is also mention that in Georgia of crane was one of the famous hearth was village in Tskhvati which is located 15 to 20 kilometrs from Akhalgori. Extended review other disciplines of crafts.

It was also well known tile and brick which was produced vally of ksani workshops.

Finally the focus is on crafts in fields which were preserved here before the occupation of Historical ksani.

ლატავრა ბუკა
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

თედო სახოკიას პიროვნებისათვის - ერის სულიერ საქმეში

„ძნელი დასაჯერებელია ერთი ადამიანის სიცოცხლე ეყოს იმას, რაც თედო სახოკიას შთამომავლობისთვის დაუტოვებია, რაც მას თაგს გადახდომია... ამითაც იგი პირდაპირი მემკვიდრეა XIX საუკუნის დიდი მოღვაწეებისა, რომელთაც მდგომარეობა აიძულებდათ ერთდროულად მწერლებიც ყოფილიყვნენ, უურნალისტებიც, ფინანსისტებიც, ეთნოგრაფებიც, ენათმეცნიერებიც, პედაგოგებიც ერის სულიერ სამსახურში მსახურნიც... ამას მოითხოვდა საქვეყნო ინტერესები... საგულისხმო ისაა, რომ თედო სახოკია სავსებით ახალგაზრდა ჩამოყალიბდა ამგვარ მოღვაწედ”¹ (ვახტანგ ჯიბლაძე).

თედო სახოკიას ცხოვრებიდან ირკვევა, რომ მისი წინაპრები სასულიერო პირები ყოფილან, მამა ტიმოთე სახოკია მღვდელი და თავად სახოკიები რაჭველები ყოფილან. კაცის კვლის გამო, გამოქცეულან და ნიშნად მონობისა, კისრით გამობმიან მარტვილის ტაძრის კარტებს, თავად დადინანსაც კი არ შეეძლო პასუხი მოეთხოვა, ხელი ეხლო დანაშაულისათვის. აქედან იწყება გვარში ეკლესიისადმი მსახურება. თედო-საც თითქოს ყოველგვარი წინაპირობა ჰქონდა გამოსულიყო „ტრაპეზის სანაქებო მსახური”, დაწყებითი განათლების მიღებამდე, სამეგრელოში ტრადიციად შემოღებული ერთგვარი “განსაწმენდელი”, სწავლის დაწყებამდე, გარკვეული პერიო-

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი №76.

დი მღვდლის სახლში უნდა გაეტარებინა, ასეთი იყო მათი ახლო ნათესავი ხობის მონასტრის წინამძღვარი დეკანოზი შიო იოსავა¹. შემდეგ იწყება მარტვილის სასულიერო სასწავლებელში და ბოლოს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლები.

თედო სახოკია თავად იხსენებს თავის ავტობიოგრაფიაში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებს: “პირველი წელი სხვა საზრუნავი არ მქონდა გარდა სწავლისა. პროვინციდან ჩამოსულს მქონდა სარწმუნოება უფროსების, განსაკუთრებით მასწავლებლების, შემდგომ, კი იწყებს ახალი იდეების შეთვისებას, ეპრძვის სემინარიაში გაბატონებულ, მოწაფეთა სულისშემსუთველ რეჟიმს, თავის ავტობიოგრაფიაში მეტად საინტერესოდ აქვს აღწერილი ერთი დეტალი. “არდადეგებზე ჩამოსულმა, თან წამოვიდე სემინარიაში აკრძალულად მიჩნეული სურათები: დარვინის ბლოგის, პრუდონის და სხვათა, ეს სურათები მამაჩემის ოთახში ხატების მთავარი ხატი ღვთისმშობლის, მის ირგვლივ შემორიგებული სხვადასხვა წმინდანების ადგილას დავკიდე: - მამის სიტყვაზე ესენი ვინ არიანო, - ნასწავლი ხალხია მეთქი. მიკვირს თავი როგორ შეიკავა თავისი გულისწყრომა არ გამოხატა უფრო ენერგიული უესტით. მირჩიეს ხატები თავის ადგილზე ჩამესგა. თავად თედო კი ამას ასე ხსნის, „გულწრფელად მეგონა კარგს ვშვრებოდი და ოთახს ვამშვენებდი დიდებულ ადამიანთა სახეებით, „ისიც ღვთისმშობლის ხატის გვერდით, მღვდლის სამლოცველო ოთახში“. თედო სახოკია სემინარიიდან გარიცხულ იქნა, მან სწავლა ჯერ საზღვარგარეთ შვე-

¹ თედო სახოკია. მოგონებანი – “როგორ ვიზრდებოდით ძველად”, თბილისი, 1955, გვ. 20.

იცარიაში, ხოლო შემდგომ საფრანგეთში გააგრძელა¹. მიუ-
ხედავად ამისა, თედო სახოკიას ერთი წუთით არ შეუწყ-
ვეტია ზრუნვა ქართული ეკლესიის წინაშე. იგი დაუზოგავად
იღწვის, ქართველი ხალხის სულიერებისა და ერის კეთილდ-
ლეობისათვის, აკეთებს იმ საქმეს, რასაც ქართული საქმე მო-
ითხოვს.

თედო სახოკია ეხმიანება ყველა იმ მოვლენასა და
ფაქტს, რომელზედაც ქვეყნის მომავალია დამყარებული. მისი
საგაზეთო პუბლიკაციები, მიწერ-მოწერა საზოგადოების წარ-
მომადგენლებთან, მუდმივად ერის ონტერესების გამომხატვე-
ლია. თედო არ უშინდებოდა და აშკარად გამოხატვდა თავის
სამართლიან დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენების მი-
მართ, რაც ხშირად მისი თავისუფლების ხელყოფის წინაპი-
რობაც კი ყოფილა. ამის გამო, იგი არაერთხელ ყოფილა და-
პატიმრებული და საუკუნოდ გადასახლებული /ციმბირში/.
„გარუსება, ქართულის არგავონება, მოსახლეობის არჩარევა
სკოლის, პედაგოგიკაში ნორმალურად მიაჩნდათ“ - მეფის
რუსეთის მესვეურებს. აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა
მრევლს აფხაზები შეადგენენ ღვთისმსახურება საკლესიო-
სლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ; აფხაზეთსა და სამურ-
ზაფანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება. აშ-
კარაა, XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ერთმანეთს და-
უპირისპირდნენ ქართველი და რუსი სასულიერო პირები.
პირველი ძალა იბრძოდა აფხაზეთის ერთიან ქართულ სივრ-
ცეში ინტეგრაციისთვის, ხოლო მეორე - აფხაზეთის ეკლესი-
ის რუსეთის ეკლესიაში შერწყმისათვის, მხარის გარუსებისა-
თვის.

¹ თედო სახოკია. ავტობიოგრაფია. — იხ.: თედო სახოკია კრებუ-
ლი. თბილისი, 1969, გვ. 212, 216, 217.

თედო სახოკია რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი მოწინააღმდეგე იყო. ქართველ სამღვდელოებასა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებამ აფხაზეთში XIX-XX საუკუნეებში თავის აპოგეას მიაღწია. „რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და საეკლესიო ქონება საშემოსავლო საქმედ აქციეს”¹.

თედო სახოკია სოხუმში „ქართული პარტიის” სახელით, აშკარად უპირისპირდება არსებულ რეალობას, აქტიურად იბრძვის რუსული ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. სოხუმის ეპარქიაში ქართული წირვა-ლოცვის არძალვის წინააღმდეგია: „აქეთკენ ჩვენი საქმე სულ უარესად მიდის ეგზარხოსის დავალებით ეპისკოპოსმა აქაურმა ლამის არის ჩვენი ხორცი შესჭამოს. წმინდა ნინობას ქართულის წირვის ნება ვთხოვეთ, და კინაღამ გადირია ბრაზისგან. ამიერიდან არ მოხვიდეთ და ამგვარი რამ არა მთხოვოთ. ვინ ნინო ვინ წმინდანი!... ვაპირებთ უმაღლესი მთავრობის წინაშე ვუჩივლოთ”.²

ამგვარი შინაარსის იყო წერილები, რომლითაც ის ეხმიანებოდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ხახანაშვილსა და სხვებს.

„იმდენი უწესობა ხდება სოხუმის ოლქში და კრონდ სოხუმის ეპარქიაში, რომ ყოვლად შეუძლებელია მოთმენა განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ქართული წირვა-ლოცვის

¹ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან ნარევები II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბილისი, 1999, გვ. 26.

² თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან. „საიტორიო მოამბე”. – თბილისი, 1976, №33-34; გვ. 207.

მოსპობის საქმე. საჭიროა, ქვეყანამ გაიგოს, რომ სოხუმე-ლები რა ბურბონების ხელში ვართ”¹.

თედო სახოკია ოცავს ქართული ეკლესიის ღირსებას, რის გამოც მას კვლავ გადასახლებაში უშვებენ, როგორც „ანტისახელმწიფოებრივი საქმეების“ მოთავეს.

ემიგრაციაში ყოფნისას თედო სახოკია აგზავნიდა კორესპონდენციებს. იხილავდა სხვადასხვა საკითხებს და დაინტერესებულ მკითხველს საქართველოში არსებული გამომცემ-ლობებისათვის უგზავნიდა როგორც საინფორმაციო, ასევე სამეცნიერო ხასიათის წერილებს, რომელშიც საკითხები განხილული იყო საქართველოსთან მიმართებაში, აგზავნიდა ახალი გამოცემების შესახებ მასალებს. ერთ-ერთი ასეთია 1912 წელს გამოცემული წიგნის “საქართველოს საეკლესიო ისტორიის მიმოხილვა”, შედგენილი მღვდელმთავრის დიულინგის მიერ და მკითხველს აწვდის ამ წიგნის შესახებ მეცნიერულ მიმოხილვას, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წლის “სახალხო გაზეთი”-ში №823, 824, 827. ხსენებულ ნაშრომში თედო სახოკია გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ამ დროისათვის საქართველოს ისტორიაში არსებული და გამოქვეყნებული მასალები რომელთა ავტორებიც იყვნენ დ. ბაქრაძე, პროფ. ალ. ხახანაშვილი, თ. უორდანია, მოსე ჯანაშვილი, ექ. თაყაიშვილი, პროფ. ივ. ჯაგახიშვილი, ჩვენი მეცნიერი ეკლესიოლოგი კირიონი ხელმისაწვდომი არ იყო ევროპული სამეცნიერო წრისთვის; ასევე მიხ. თამარაშვილის დიდი შრომა “საქართველოს საეკლესიის ისტორია” გამოსული 1912 წელს, რომელიც უკვე მეორე წიგნი იყო საქართველოს შესახებ. სინანულს გამოთქვამს, რომ ევროპა დღე-

¹ თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან. „საიტორიო მოამბე“. — თბილისი, 1975, №31-32; გვ. 212.

საც ვერ იცნობს საქართველოს, რომელიც, რა მხრითაც გნებავთ, ავიღოთ - მწერლობისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა თუ სარწმუნოებრივისა - ყველა მხარე ღირსია შესწავლისა და გაცნობის.

თედო სახოკია ახლოს იცნობს ქართველ სასულიერო პირებს, თავის მეგობრად თვლის დეკანოზ ანტონ კეკელიას, მარტვილის ტაძრის წინამძღვარს (შემდგომში მის სიმამრს, მეუღლის ნადე კმეტლიას მამას). აგრეთვე, ამბროსი ხელაიას, რომელიც ჯერ კიდევ მარტვილის სემინარიაში სწავლისას გაიცნო და დაუმეგობრდა (ბესარიონი - შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი - ამბროსი ხელაია), რომელმაც თედოს ქართული წერა-კითხვის უცოდინრობას, რამდენიმე ხანში უშველა, “უმტკივნეულოდ, რაც მანამდე ექვსი წელი ვერ შეასწავლეს, - ქართული წერა-კითხვა ბესარიონმა ასწავლა”¹.

თედო სახოკია აგრეთვე კარგად იცნობდა ეპისკოპოს კირიონს, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, რომელიც მას სხვა ყველაფერ სიკეთესთან ერთად საზღვარგარეთ სწავლისას ფინანსურად ეხმარებოდა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს თედო თავის უახლოეს მეგობრად თვლიდა. პირად წერილებში, რომელიც ძირითადად 1932-1950 წლებით თარიღდება და კათალიკოსის მიერაა მოწერილი თედოსადმი, მოკითხვების, მოლოცვების გარდა ირკვევა, რომ თედო სახოკია მას დახმარებას უწევდა თარგმანებსა და სხვადასხვა ნაწერების კორექტურაში. მეგობრებისათვის განკუთვნილ დღეებში, რომელიც ტრადიციად ქცეული წესი იყო თედოსთვის,

¹ თედო სახოკია. ავტობიოგრაფია. — იხ.: თედო სახოკიასადმი მიძღვნილი საუბილეო კრებული. გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1969, გვ. 209.

პატრიარქს ყოველ ორშაბათს სტუმრობდა. ამ წესს ის უცვლელად ასრულებდა, თავის უახლოეს მეგობრებს სტუმრობდა, კვირის ყოველ დღეს საღამოს 8 საათზე, მეგობრების ოჯახის კარი მუდმივად ღია იყო მისთვის. მათ შორის განსაკუთრებულად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის, რომელსაც ყოველ ორშაბათს სტუმრობდა¹.

თედო სახოკია წლების მანძილზე მეგობრობდა იტალიაში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთან, ლვთისმეტყველების დოქტორ კათოლიკე ბერ მიხეილ თამარაშვილთან, მათ მრავალწლიანი მიმოწერა ჰქონდათ. იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე მომუშავე მეცნიერთან ხშირად ჩადიოდა საფრანგეთში მყოფი თედო; “რომში მიმიწვია, რათა მივწველებოდი ამ ნაწერების დაბეჭდვაში”. მათ შორის, მიმოწერა გრძელდებოდა 1906-1911 წლებში, ვიდრე ტრაგიკულად არ დაიღუპა, სრულიად ახალგაზრდა 48 წლისა. “პატივცემულო მამაო მიქაელ!... მადლობელი ვარ ბეჭნიერი დღეების მოლოცვისთვის, მოლოცვასავე გიბრუნებთ და ღმერთსა ვთხოვ დიდ ხანს აშრომოს თქვენი თავი ჩვენის მამულის სასარგებლოდ. “საქართველოს ეკლესიის ისტორიის” დაწერით მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე იდო თავს მამა თამარაშვილმა: გაფანტვა იმ უმცირებელისა, რომელიც დღემდე ევროპაში სუფევდა ჩვენი ეკლესიის შესახებ:.... ევროპის მკითხველი საზოგადოებისათვის, დამწერისგან მოითხოვს არაჩვეულებრივ სიყვარულს საქმისადმი, მოთმინებას, ხანგრძლივ შრომას და ათასგვარ დაბრკოლებების დაძლევას. ჩვენდა სასიამოვნოდ და პატივცემული ავტორის სასახელოდ უნდა

¹ თედო სახოკია. - იხ.: თედო სახოკიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამოქცემლობა „მეცნიერება“ თბილისი, 1969, გვ. 73.

აღვნიშნოთ, ნაკისრი საქმე მიხეილ თამარაშვილს წუნდაუდებლად აქვს შესრულებული”¹.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება 1917 წლის 12 მარტს შედგა, მცხოვრის საკათედრო ტაძარში, სინოდში სასულიერო პირების გარდა, საეროთაგანაც იყენებოდა საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის იყო თედო სახოკია, მისივე თქმით, “როგორც სასულიერო სემინარიის მასწავლებელი”. როგორც ვიცით ამ პერიოდისათვის თედო ასწავლიდა სასულიერო სემინარიაში, ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, სხვათაშორის აღნიშნავს იპოლიტე ვართაგავა, „როდესაც გადაწყვიტეს სემინარიაში შემოეღოთ ფრანგული ენის სწავლება მასწავლებლებმა გამოიჩინეს თაონისნობა, რომ ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლების კურსი წაეყვანა თედო სახოკიას. აღნიშნავს იქვე, ამ გადაწყვეტილებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია აგრეთვე მოწაფეებშიც-ო”,² ასეთი პიროვნება აუცილებლად უნდა ყოფილიყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი. ნამდვილად სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია თქმა იმისა, რომ თედო ნამდვილად საჭირო იტყვას იტყოდა საკათალიკოსო საბჭოში, თავისი ერისა და ხალხის სასიკეთოდ.

მეტად საინტერესოა, ამ მწირ ცნობებთან ერთად, თედო სახოკიას შესახებ ცნობებს ვხვდებით მოქალაქე მღვდლის სახელით ცნობილ დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის დღიურებში. თავად მისი დღიურიდან ირკვევა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინა საიდუმლო კრება გამართულა მის ბინაში, რომელსაც თედო სახოკიაც ესწრე-

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მიხეილ თამარაშვილის ფონდი №68.

² იპოლიტე ვართაგავა. მოგონებები ნაწილი II. თბილისი, 1962, გვ. 317-318.

ბოდა, თავად ჰყავს მოხსენიებული თედო. საინტერესოა აგრეთვე, თედოსთან ერთად ამ კრებაზე დასახელებულნი არიან ნოე ჟორდანია, (სოსიკო მერკვილაძის მიერ მოყვანილი) დარიის მონასტრიდან ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი ვასილ გარბელაშვილი, იპოლიტე ვართაგავა და პეტრე ბარათაშვილი, - ამ კრებაზე გადაწყვეტილა, რომ 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში გადახდილიყო მშვიდობის პარაკლისი და წაკითხულიყო ჩვენი ეკლესის აკტოკეფალის აქტი.¹

1917 წლის 12 მარტს აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს ეკლესის აკტოკეფალია. კათალიკოსის არჩევამდე ეკლესის გამგედ დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე, საქართველოს ეკლესის მმართველობა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები, მათ შორის თედო სახოკია.

“მმაო თედო! აღსრულდა, რაც სანატრელი და მოსალოდნელი იყო: შეიძლება ჩვენთვისა გათენდეს. მივიღე დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა სხვათა შორის “Сахокин”-იც, რომელიც შენ უნდა იყო... ნუ დაიზარებ მოწერას იმის შესახებ, თუ როგორ მიდის საქმე. თუ მე საჭირო და რამეში გამოსაღევი ვიქნე, მომწერე და წამოვალ”². შენი ერთგული არქიმანდრიტი ამბროსი 12/03/1917.

დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეებში, სახოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად, საქართველოს გველა კუთხეში იყვნენ წარგზავნილები, თედო სახოკია, როგორც

¹ ნიკიტა თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. ლიტერატურის მუზეუმი, თბილისი, 2013, გვ. 73.

² გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები. ხელნაწერი №11295.

სამეგრელოს მკვიდრი დასავლეთ საქართველოში იქნა გაგზავნილი.

ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით სამღვდელოებისა და სამრევლოს წარმომადგენელთა კრებები შედგა ქუთაისში 1916 წლის დეკემბერში, დაბა სენაკში 1917 წლის იანვარში. ამ კრებებმა მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ წარმოყენებულ მოთხოვნებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, ქართულ საეკლესიო ბეჭდებზე ქართული წარწერების შენარჩუნების, ნათლობისას ქართული საეკლესიო სახელების დარქმევის აუცილებლობისა და საეკლესიო საბუთების ქართულად წარმოების შესახებ. სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაციამ 1917 წლის 23 თებერვალს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე თავისი მოთხოვნა რუსეთის იმპერატორისადმი გადასცა მეფის ნაცვალს კავკასიაში, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

ავტოკეფალიის გამოცხადების დღეს, საქართველოში არ იყო თავად ეპისკოპოსი კირიონი. აქტის გამოცხადებისას სვეტიცხოველში შეკრებილი იყო ყველა მღვდელმთავარი და საზოგადოების დიდი ნაწილი, ხალხი. ამავე საბჭოს წევრების მიერ, ეს აქტი ეუწყა დეპეშით პეტერბურგის დროებით მთავრობას, სინოდს და ამიერკავკასიის კომისარიატსაც. აქ აღარ გავაგრძელებო საუბარს თუ როგორ განვითარდა მოვლენები, მაგრამ, ცხადია, თედო სახოკიას საკათალიკოსო საბჭოში თავისი ადგილი ჰქონდა და პირნათლად ასრულებდა მოვალეობას ერისა და განსაკუთრებით ეკლესიის წინაშე.

1934 წლის საქართველოს საპატრიარქოს სამოციქულო ეკლესიის მე-7 საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით საკათალიკოსო საბჭოს ნაცვლად შეიქმნა წმინდა სინოდი, ეს ნიშნავდა, რომ საერო პირთა ყოფნა იზღუდებოდა, რაც იმას

ნიშნავდა რომ ამიერიდან, მხოლოდ სასულიერო პირები უნდა ყოფილიყვნენ სინოდში.

თედო სახოკია მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს სამღვდელოების, სიონში არსებულ სიძელეთა მუზეუმის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, საგანმანათლებლო საზოგადოებათა ყოველდღიურ საქმიანობაში.

თედო სახოკიას ცხოვრების ნახევარზე მეტი მოუხდა მოღვაწეობა სოციალიზმის პერიოდში. ამ პერიოდის ნებისმიერი საქმიანობა, საზოგადოებრივ სარბიელზე, მწერლობაში თუ სხვაგან მიზანმიმართულად უნდა ყოფილიყო საბჭოური იდეოლოგიის მქადაგებელი, აუცილებელი იყო მარქსისტული იდეოლოგიით მოქმედება, რომ ნებისმიერი ნაწერი საბჭოური ცენზურისათვის მისაღები ყოფილიყო.

სოციალისტური მთავრობა თედო სახოკიას ახასიათებდა, როგორც რევოლუციური წარსულის მქონე, საზოგადო მოღვაწედ. მეფის ხელისუფლებასა და მისი პოლიტიკის საწინააღმდეგო მუშაობისათვის გაწეული საქმეებისა გამო, მაგრამ უდავოდ, ყველა მისი საქმე, საქართველოს კეთილდღეობისთვის ზრუნვა იყო. მისი ყველა ნაწერი აშკარა ცენზურას გამოტარებული იყო. თავად ამბობს ერთ-ერთი ნაწერის გაგზავნისას “საცენზურო რამ არ გაიპაროს”, მიუხედავად ამისა მან მოახერხა და თარგმნა სოციალისტურ პერიოდში, იტალიელი მწერლის, აღორძინების ხანის წინამორბედის, ჯოვანო ბოკაჩოს “დეკამერონი” რომლის გამოცემაც, საბჭოთა მთავრობამ მხოლოდ იმიტომ ჩათვალა ღირსად, რომ მასში შესული ასი ნოველიდან მხოლოდ სამში ავტორს გამასხარავებული ჰყავს სამღვდელოება. 1928 წელს ამ გამოცემას გამოხმაურება და დიდი მოწონება ზვდა საბჭოთა მთავრობი-

დან. გაზეთ “კომუნისტში”¹ გამოქვეყნდა სიმონ გაჩეჩილაძის (მწეველის) ფსევდონიმით სტატია, სადაც “დეკამერონის”, შეფასებისას აღნიშნული იყო მთარგმნელის ენა და მისი თარგმანი, მაგრამ საბჭოთა ცენზურა მას, თუ რა მხრივ უწევდა პროპაგანდას, ყველასათვის გასაგებია. ასევე გამოსცა საბჭოთა მთავრობამ თედო სახოკიას ავტობიოგრაფიული მოგონებანი “როგორ ვიზრდებოდით ძველად”. წიგნის მთლიანად გამოცემამდე გამოქვეყნდა ნაწილი ამ წიგნისა “შიო მღვდელი”. საქართველოს სსრ ულმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს რეცენზიით, რომელშიც ნათქვამი იყო, “ამასთანავე წარმოგიდგენთ თედო სახოკიას ნაწერს “შიო მღვდელს”, რომელიც ანტირელიგიური პროპაგანდის გასაძლიერებლად მეტად საყურადღებო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს... მოგახსენებთ, რომ წიგნის დასასურათებლად მხატვარ შმერლინგს გავაკეთებინეთ 7 კარიკატურა... ამ წერილს ხელს აწერდა, საქართველოს მებრძოლ უდმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე”²: /სახაროვი/. (N27. 1/07/1938 წ).

საქართველოს გასაბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, შედარებით უცნობია მისი პოლიტიკური საქმიანობა, ეს პერიოდი ემთხვევა თედოს ნებაყოფლობით განთავისუფლებას პედაგოგიური საქმიანობისგანაც, მართალია, აქტიურად არ მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების ამბებში, მაგრამ თანაუგრძნობდა ამ მოვლენების მეთაურებს და ფარულად თავშესაფარსაც აძლევდა. ამ აჯანყების ჩახშო-

¹ სიმონ გაჩეჩილაძე (წლი) ბიბლიოგრაფია. ბოკაჩო ჯ. “დეკამერონის”, ნაწ. I. ნათარგმნი თ. სახოკიასი, - გაზ. “კომუნისტი”, 1928, №110.

² კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი №395.

ბის შემდეგ ის პოლიტიკურ საქმიანობას საბოლოოდ ჩამო-შორდა, იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებიდან თავ-დასაღ-წევად, სავარაუდოა, ესეც ყოფილიყო პედაგოგიური საქმია-ნობის ნებაყოფლობით თავის დანებების მიზეზიც. ამიერიდან ლიტერატურულ, სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობა-ში ერთვება.

გიორგი ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმში ინახება ალექსანდრე მიქაელიძის მიერ ჯერ კიდევ თედოს სიცოცხ-ლის წლებში დაწერილი მონოგრაფია “თედო სახოკიას ცხო-ვრება და მოღვაწეობა”. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა თედო სახოკიას სარწმუნოებრივ მრწამსს. მიუხედავად სა-ხელმწიფოში მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივი აგიტაციისა და საშიშროებისა, აშკარად გამოგეხატა საკუთარი ეკლესი-ურობა, ვკითხულობთ: “ათეიზმის ბატონობის” პერიოდში, “გაბედულობა და პირში მთქმელობა თედოს პიროვნების გა-ნუყოფელი თვისებაა”.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეკლესია და სახელმწიფო გააცალკევა სა-ქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამის მი-ხედვით საბჭოთა მთავრობამ სასტიკი დევნა დაუწყო ეკლე-სიას და მათ წარმომადგენელ ღვთისმსახურებს.

ეკლესიები დღითი-დღე იხურებოდა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამღვდელოების წარმომადგენლები და ეკლესის სხვა ღვთისმსახური, რომელთაც ცხოვრების საზ-რისი მთლად მოესპორ, უმეტეს შემთხვევაში ანაფორას იხ-დიდნენ ერისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი, საერო მოღ-ვაწეობის ფერხულში ებმოდნენ. სამღვდელოების ერთი ნაწი-ლი კი მტკიცედ იდგა თავის საპასუხისმგებლო პოსტზე და ყოველივე საშუალებით სცდილობდა თავის რწმენისათვის არ ეღალატა და ჯერ კიდევ აქა იქ დარჩენილ დაუხურავ ეკლე-

სიაში განაგრძობდა ღვთისმსახურებას. ხალხი მთავრობის შიშით ეკლესიაში ვერ შედიოდა, სამღვდელოების წარმომადგენლებთან სიარულსაც ვერ ჰქედავდა, არათუ მასთან რაიმე კავშირსა და დამოკიდებულების დაჭერას.

თედო სახოკია კი არ შეუშინდა მთავრობის ესეთ რეპრესიებს, აღნიშნავს ალექსანდრე მიქაბერიძე თედო სახოკია-სადმი მიძღვნილ მოგონებანში – “იგი ყოველ უქმე დღე უშიშრად დადიოდა სიონის ეკლესიაში და დიდის მოქრძალებითა და სასოებით ისმენდა ღვთისმსახურებას. თედო სრულიად მოურიდებლად იჭერს ურთიერთობას, სასულიერო პირებთან, ხშირად დადის მათ ოჯახებში და სიყვარულითა და დიდის პატივისცემით მოსავს ამ ოჯახის წევრებს.

თედო სახოკიას ღრმად სწამს, რომ მთავრობა სინდი-სის საქმეში არ უნდა ეროდეს, მაგრამ რადგანაც ეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში სამწუხაროდ ასე ხდება, იგი თავისი ყოველდღიური მოქმედებით პროტესტის ნიშნად თავის რწმენასა და შეხედულებებს არ ღალატობს”.¹

ალექსანდრე მიქაბერიძე აღნიშნულ მოგონებანში იქვე აგრძელებს, - „თედო სახოკია, თუმცა ბუნებით სოციალისტი იყო, მაგრამ იგი დიდი მოქრძალებით დღესასწაულობდა ისეთ უქმებს, როგორიცაა ქრისტეს შობა, ახალი წელიწადი, აღ-დღომა და სხვა ბრწყინვალე უქმე დღები. ამ უქმებისათვის თედო განსაკუთრებით ემზადებოდა, სათანადო თადარიგს იჭერდა და იგი კიდევაც ღირსეულად ხვდებოდა ამ დღესასწაულებს.

აღდგომა თედოს საყვარელი დღესასწაული იყო, კვირა უქმე დღეებში თედო სტოკებდა “ხმაურობით” გაყრუებულ

¹ ალექსანდრე მიქაბერიძე; თედო სახოკია. — გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თედო სახოკიას პირადი ფონდი, ხელნაწერი №19868/302.

თბილისს, ერთი დღით სოფლად გადიოდა ჩვეულებრივ მცხე-
თასა ან დიღომში. მცხეთაში წირვის მერე, თედო სტუმრო-
ბდა არმაზის მიდამოს კალთებზე სააგარაკოდ გასულ საქა-
რთველოს კათალიკოს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს,
ხოლო სოფელ დიღომში, თავის მეგობარ ვანო სონლულა-
შვილს. მთელი დღის განმავლობაში ამ ორ მეგობარ კაცთან
აჭარებდა და საღამო ჟამს, ისევ თბილისს უბრუნდებოდა”.¹

თედო სახოკიას შესახებ ნინო ნადირაძეს აქვს საინტე-
რესო მოგონებანი, სადაც აღნიშნავს, მისი რელიგიური მრწა-
მსის შესახებ: “გვიყვარდა კამათი სხვადასხვა საკითხზე. გან-
საკუთრებით ხშირად ვკამათობდით იმაზე, შეიძლება თუ არა
განათლებული ადამიანი იყოს მორწმუნე. თედო, რა თქმა უნ-
და, მორწმუნე არ იყო. ამას ადასტურებს თუნდ ის ფაქტი,
რომ მღვდლის შვილმა, სემინარიის მოწაფემ სახლში ხატები
დარკინისა და სხვა მეცნიერების სურათებით შესცვალა.
პარიზში ყოფნის დროს კი იღებდა ანტირელიგიურ გამოსვ-
ლებში მონაწილეობას “ანტიკლერიკალურ მოძრაობაში”, მაგ-
რამ მე თავს ვითომ მორწმუნედ წარმომიდგენდა და ცხარე
კამათში ჩაებმებოდა”. „საწერი მაგიდის ერთ კუთხეში ჩემი
ყურადღება წითელი კვერცხებით სავსე მოზრდილმა ლარნაკ-
მა მიიპყრო. მან ეს შენიშნა და მითხრა, რომ ყოველ აღდგო-
მას ახალ წითელ კვერცხს ვუმატებ ამ კვერცხებსო. მე ძა-
ლიან გამაკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ ვერ შევბედე კითხვა,
თუ რა მიზანი პქონდა წითელი კვერცხების შევროვებას”.²

თედო სახოკია, მოუხედავად მისი ამაგისა და ღვაწლისა
ქვეყნის წინაშე, არ ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი,

¹ იქვ. №19 868/302.

² ნინო ნადირაძე მოგონება - იხ.: თედო სახოკიასადმი მიძღვნილი
საიუბილეო კრებული. გამომცემლობა ”მეცნიერება” თბილისი, 1969, გვ.
76-80.

რის გამოც ხშირად უხდებოდა ზემდგომი ეშელონებისათვის მიემართა საპროტესტო წერილებით. მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ამონარიდი მისი განცხადებიდან “სოცუზრუნველყოფის მინისტრის სახელზე სთხოვს განკარგულება მოახდინოს, რომ მას მიუცეს საგზური ახალი ათონის სანატორიუმში სამკურნალოდ. განცხადებაში ჩამოთვლილი აქვს, თავისი დამსახურების ამსახველი მოვლენები, ბოლოს აღნიშნავს; მინდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისთვის შემეჩივლა, მაგრამ უთქვენოდ ამ ნაბიჯის გადადგმას მოვერიდე. ახლა მოგმართავ და გთხოვთ უბრძანოთ თქვენის კანცელარიის გამგეს ჩემის “უპარტიობით” არ დამიწუნოს 87 წლის დაავადებული ადამიანი და მომცეს ერთი საგზური ახალი ათონისათვის.

ბოლიშს გიხდით თქვენის შეწუხებისათვის და მადლობას წინდაწინვე მოგახსენებთ თქვენის პატივისცემისათვის. მარად თქვენი პატივისმცემელი თედო სახოკია. 1954 წელი სექტემბრის 8 დღეს.”¹

თედო სახოკიას შესახებ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ცნობილი ისტორიკოსი თედო ჟორდანიას ვაჟი გიორგი იხსენებს თედოს, განსაკუთრებით აღნიშნავს მის ფედერალისტურ საქმიანობაზე. “უცხოეთში რომ გაიქცა ძია თედო, მაშინ ჯერ კიდევ იზიარებდა ქართველ ფედერალისტთა სოციალისტურ აზრებს, მათ შორის, მათ მიერ მიღებულ ანტირელიგიურ მოძღვრებასაც. ამასთან დაკავშირებით ძია თედოს საფრანგეთში ცხოვრებისას მონაწილეობა მიუღია დიდ ანტიკლერიკალურ დემონსტრაციაში, საფრანგეთში ამ მოვლენების, ანტიკლერიკალთა გამოსვლების შესახებ, თედო სახოკია ქართველ მკითხველს თავის საგაზეთო კორესპონდენციებითაც აუწყებდა,

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი №40.

რომელიც უსიამოვნო მოგონებით დასრულებულა.”¹ საქართველოში დაბრუნებულმა საბოლოოდ მოიშორა თავისი სოციალისტური “ბაგაჟი” და ცხადია ანტიკლერიკალური იდეებიც, საქმე იმით გათავდა, რომ იგი საკათალიკოსო საბჭოს წევრადაც აირჩიეს.

დიახ, ძია თედომ მოიშორა სოციალისტური “შხამი”. იგი არა თუ საკათალიკოსო საბჭოს წევრი გახდა, არამედ თავად ემეგობრებოდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქებს.

ძია თედოს სიმპათიები შეეძლო შეეცვალა და იცვლიდა კიდეც, უკეთუ ამას საჭიროდ დაინახავდა. უცვლელად რჩებოდა მხოლოდ ძირითადი იდეა და სიმპათია ეროვნული იდეა, სულიერი მრწამსი, იშვიათი, გულწრფელი სიყვარული თავისი ერისადმი. აზრები და სიმპატიები იცვლებოდნენ, ეროვნული იდეა და პატრიოტული გრძნობა უცვლელი და ურყევი იყო.²

თედო სახოკიას მოვლილი აქვს თითქმის ყველა კუთხე, იგი განსაკუთრებული სისათუთით ეპყრობა ყველა იმ მოვლენისა და ფაქტის აღწერას, რაც ეკლესიასთან, სულიერებასთან არის დაკავშირებული, ერთგან დიდი გულისტკივილით ამბობს: “შემთხვევით წავაწყდი საკურთხეველში ერთს ნაფლეთებად ქცეულ საეკლესიო წიგნს, ტყავზე დაწერილს, ზოგი ფურცელი ჩრჩილისგან საცოდავად დახრული იყო, ზოგი სქელს მტკერს დაეფარა და ზოგანაც წვიმის წყალი მოხვედრია გული გამეწურა სიბრალულისაგან, ერთის მხრით -

¹ თედო სახოკია. წერილი პარიზიდან - ანტიკლერიკალთა გამარჯვება გაზ. “ცნობის ფურცელი”, 1904, N2459.

² გივი ქორდანია. თედო სახოკია - 130 დიდი მამულიშვილი. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 1998 21/07. 183.

მაგალითი ჩვენის წინაპართა, გულმოდვინებისა მათთა უანგარო ღვაწლისა, ხოლო, მეორეს მხრივ, დაუდევრობა ჩვენი, არცოდნა ნაანდერძევის განძისა, უსასყიდლოდ მოპოვებულის წმინდა ნივთის ფასისა, თითქმის დაცინვა, აბუჩად აგდება ჩვენის მამებისა, რომლებიც იღვწოდნენ ჩვენი სასულიერო მწერლობის გამდიდრებისათვის თვალს იწყალებდნენ წიგნების გადაწერაში...¹

თედო სახოკია ქართული სიტყვა-თქმანის უბადლო ოსტატია, ქართული ანდაზები, რომელიც მას გამოცემული აქვს, დაყოფილი იყო 66 ჯგუფად, მათ შორის მე-17-ე ჯგუფში ცალკე აქვს გამოყოფილი საკითხები ღმერთისა და სამღვდელოების შესახებ.

მნელია ამ კუთხით პიროვნების შესახებ დასკვნის გამოტანა, ვინაიდან სახელმწიფოში, სადაც ათეიზმი ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენდა და თედო სახოკია მიუხედავად იმისა, რომ ის სასულიერო პიროვნება არ ყოფილა, მას ამ ისტორიული მნელბედლობის ხანაში მოუხდა მოღვაწეობა, რომელსაც შეიძლება თამამად ვუწოდოთ “სანქცირებული უღვთოობის” პერიოდი და პერიოდი, როდესაც “ღმერთის სახელით წარმოებული უღმერთოება აღზევდა” და სწორედ ამ იდეოლოგიის ფონზე გააკეთო და იღვაწო ქვეყნისათვის ერთეულთა ხვედრია. მაგრამ თედო სახოკიამ ყოველივე მოახერხა იმით, რომ მასში სწორედ ქართული სული, ქართული გენი, იყო გასისხლხორცებული, რომლისთვისაც საქართველო და მართლმადიდებლობა ერთ მთლიანობაში მოიაზრებოდა და, მოუხედავად ათეიზმის ბატონობისა, ერის სულიერი სამსახურის ფერხულში გაბეჭდულად თქვა თავისი სიტყვა.

¹ თედო სახოკია. მოგზაურობანი - (გურია, აჭარა, სამურზაფანო, აფხაზეთი) გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1985, გვ. 96.

თედო სახოკია სიცოცხლის ბოლომდე ერის სამსახურშია, თავისი ეროვნული გრძნობისა და მრწამსის დამცველია. შეიძლება დავამთავროთ მისივე სიტყვებით: “იმედი მაქვს შთამომავლობამ ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს თავისი წინაპარი, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად მიაჩნდა სამშობლოსა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ გარჯა და შრომა და გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ძალედვა”.¹

დამოწმებანი:

1. აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან ნარკევევი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904), თბილისი, 1999.
2. იპოლიტე ვართაგავა თედო სახოკია მისივე წიგნში: მოგონებები ნაწილი მეორე, თბილისი, 1962.
3. ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. ლიტერატურის მუზეუმი, თბილისი, 2013.
4. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული. გამომცემლობა “მეცნიერება” თბილისი, 1969.
5. ნინო ნადირაძე მოგონება. - იხ.: თედო სახოკიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1969.
6. თედო სახოკია მოგონებანი - ”როგორ ვიზრდებოდით ძველად” თბილისი. 1955.
7. თედო სახოკია, მოგზაურობანი, (გურია, აჭარა, სამურზაფანო, აფხაზეთი) გამომცემლობა ”საბჭოთა აჭარა” ბათუმი, 1985.

¹ თედო სახოკია. ავტობიოგრაფია. – იხ.: თედო სახოკიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1969, გვ. 245.

8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი.
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ თამარაშვილის პირადი ფონდი.
10. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები.
11. საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო. ტომი 31-32. თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1890-1898), გვ. 135-246. თბილისი, 1975.
12. სიმონ გაჩეჩილაძე (წ-ლი) ბიბლიოგრაფია. ბოკაჩო ჯ. ”დეკამერონის”, ნაწ. I. ნათარგმნი თ. სახოკიასი, - გაზ. ”კომუნისტი” 1928, N110.
13. გივი უორდანია. თედო სახოკია - 130 დიდი მამულიშვილი. გაზ. ”საქართველოს რესპუბლიკა” 1998 21/07. N183.
14. თედო სახოკია. წერილი პარიზიდან - ანტიკლერიკალთა გამარჯვება გაზ. ”ცნობის ფურცელი” 1904, N2459.

Latavra Bukia

Georgian Aviation University

TEDO SAKHOKIA'S PERSONALITY – IN THE SPIRITUAL SERVICE OF THE NATION RESUME

Tedo Sakhokia dedicated his life to the nation's service. It is known as the translator, ethnographer, lexicographer, political and public figure. From 1884 he studied at Tbilisi Theological Seminary, where he was expelled from participating in the illegal circle of pupils.

He studied abroad at different times, first in Geneva, then at the Paris Sorbonne University. Also in Paris's highest anthropology school. Since 1888 the literary work has begun in Ilia Chavchavadze "Iveria". Since 1901 he has worked in Rome with Mikhail Tamarashvili. From 1903 he was a fellow of the illegal newspaper "Georgia" of Georgians living in France. Because of the importation of arms from abroad, detained and exiled forever.

For years he was emigrated. Since 1916, he has finally returned to Georgia. Started the pedagogic activity, actively involved in the autocephaly of the Orthodox Church of Georgia, was a member of the Catholic Council. Until the end of his life, he worked on scientific and literary publishing activities.

**თომა გიგაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით აბლოური
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ქართული ემიგრანტული პრესა 1924 წლის აჯანყების
შესახებ**

1924 წლის აჯანყებას დიდი გამოხმაურება მოყვა ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებზე.

ამჯერად შევეხებით ემიგრანტული ჟურნალისტიკის რამდენიმე თვალსაჩინო ნიმუშს, რომლებიც კარგად ასახავნ ემიგრაციაში არსებულ დაპირისპირებასა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებისადმი მკვეთრად არაერთგვაროვან დამოკიდებულებას.

ჟურალებას იპყრობს ჟურნალი „ბრძოლა“ - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო, რომლის პირველი ნომერი პარიზში გამოვიდა 1925 წლის ივლისში, ხოლო უკანასკნელი 35-ე ნომერი 1928 წლის ნოემბერში. მასში დაბეჭდილია ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის, კარლო ჩხეიძის, ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, კონსტანტინე კანდელაკის, რაფენ არსენიძის, დავით შარაშიძის (ჟურნალის რედაქტორი) და გამოჩენილი ევროპელი სოციალისტების წერილები.

საინტერესოა „ბრძოლის“ მეორე ნომერი (1925 წ. აგვისტო), რომელიც ფაქტიურად ეროვნულ-დემოკრატების მისამართით გამართულ მწვავე პოლემიკის ფონზე იკითხება. ჟურნალში გამოქვეყნებულია ყოფილი ოუსტიციის მინისტრის

რაჟდენ არსენიძის წერილი „საერთო ფრონტისათვის”, სა-დაც მძაფრი კრიზის მბიეჭიდა გრიგოლ ვეშაპელი და მისი მომხრეები ბოლშევიკებთან შერიგების პროპაგანდისათვის.

ბრძოლის მესამე ნომერი (1925 წ. სექტემბერი) უაღ-რესად საინტერესო ცნობებს განწვდის 1925 წლის სექტემ-ბერში უნევაში გამართულ ერთა ლიგის მეხუთე ყრილობის შესახებ, რომელსაც ქართველი ხალხის სახელით მიმართეს საქართველოს ელჩმა საფრანგეთში აკაკი ჩხერგელმა და უე-ნევაში საქართველოს დელეგატმა ერთა ლიგის წინაშე ხარი-ტონ შავიშვილმა. საკითხი ეხებოდა ბოლშევიკების მიერ ქა-რთველი ხალხის 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტი-ის საზღვარგარეთელ ბიუროს ასევე პქონდა ყოველთვიური ორგანო „ბრძოლის ხმა”. თუმცა გამოცემის პერიოდულობა ყოველთვის არ იყო დაცული და ხშირად ირღვეოდა. 1929 წლის ნოემბრიდან 1938 წლის მარტამდე გამოდიოდა გაზე-თის ფორმატით, ხოლო 1938 წლის აპრილიდან 1940 წლის თებერვლამდე გადაკეთდა უურნალის ფორმატად.

„ბრძოლის ხმის” N46 ნომერში, 1934 წელს გამოქ-ვეყნდა ნოე ჟორდანიას წერილი „მიმართვა ქართველ ერს”. წერილს თან ახლავს რედაქტორ დავით შარაშიძის შენიშვნა: „ამ წერილით მიმართა ქართველ ხალხს მთავრობის თავმჯ-დომარე ნ. ჟორდანიამ აჯანყების შემდეგ ნოემბერში 1924 წ. იბეჭდება პირველად”.¹

წერილში ჟორდანია ცდილობს შეაფასოს 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობა, მიუხედავად მისი მარცხისა და ტრაგიკული დასასრულისა.

¹ შარაძე გ, „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორი-იდან”, გ. 6, 2005, გვ. 102

ჟორდანია 1924 წლის ამბოხს „უაღრესად დემოკრატიულ და ეროვნულ აჯანყებას უწოდებს, ბოლშევიკებს კი - „პოლიტიკურად გაკოტრებულებს, რომლებმაც ნიღაბი ჩამოიხსნეს”.

იგი წერდა: „ნუ სტირით, მომავალი ჩვენია” - „ქართველებს დღეს მართებს მოთმინება, გამაგრება და მომავლისაკენ იძედიანად გახედვა”. „ქართველი ერი დღეს სამუდამიდ გამოელდა”... „არცერთ პატარა ერს არ ღირსებია ასეთი საყოველთაო თანაგრძობა, როგორც ქართველ ერს. მისი რეალიზება უეჭველად მოხდება. როდის - ეს სხვა საკითხია. აჩ-ქარება არ გვმართებს. რაც დრო მიღის მოსკოვი სუსტდება და უფსკრულისაკენ მიექანება, ქართველი ერი კი ერთი აზრით, ერთი გრძნობით გაჟღენთილი ერთი დროშისკენ ერთიანდება.

წერილში ჟორდანია კიდევ ხელახალი აჯანყებისაკენ მოუწოდებს თანამემამულეებს: „შიში არ იცის ქართველმა ერმა. ერთი დაღუპულის ადგილას ასი ჩადგება. სულიერ მონობას ჩვეული არ არის ქართველობა”.¹

ჟორდანიამ ამ წერილით სთქვა ის, რაც უნდა ეთქვა ემიგრაციაში თავშეფარებულ დამარცხებული მთავრობის ხელმძღვანელს, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობაზეც და შედეგებზეც. საინტერესოა, ჰქონდა თუ არა მას მორალური უფლება პარიზიდან ხელახალი აჯანყებისაკენ ეკიუინა ქართველი ერისათვის, რომელიც ჯერაც დასტიროდა 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთ?

ბოლშევიკურ წრეებში გადაწყდა, რომ განხეთქილება შეეტანათ უშუალოდ ქართულ ემიგრაციაში. ამ მიზნით,

¹ შარაძე გ, „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორიანი, გვ. 6, 2005, გვ. 103.

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით 1924-1926 წლების განმავლობაში საფრანგეთში მიაკლინეს ბევრი მნიშვნელოვანი პარტიული ფუნქციონერი საქართველოს კომპარტიიდან. საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებში პროპაგანდის საწარმოებლად, ასევე გადაწყდა იქ ქართულენოვანი გაზეთის გამოცემა. სწორედ ასეთი გაზეთი გახლდათ „ახალი საქართველო”, რომლის რედაქტორი იყო გრიგოლ ვეშაპელი. გაზეთი, რომელიც იყო ორკვირული ორგანო, 1924 წლიდან გამოდიოდა, იცავდა ქართველი ემიგრანტების საქართველოში დაბრუნებისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის იდეას. დღეს გაზეთის სხვადასხვა ნომრები ინახება თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს რევოლუციურ მუზეუმში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ვეშაპელს ჰქონდა პრორუსული ორიენტაცია და იმედოვნებდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო დაიბრუნებდა თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტეროტორიებს. ვეშაპელი ყველანაირად ცდილობდა კომუნისტური ოკუპაციის გამართლებას. აღიარებდა, რომ საქართველოში მდგინვარებდა კომუნისტური ტერორი, თუმცა ამისთვის პასუხისმგებლობას ამ ტერორის მსხვერპლს აკისრებდა და არა ჯალათებს. ვეშაპელის ამ პოზიციის გამო მის მიმართ მკვერად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ ემიგრანტებს, მით უმეტეს, რომ ბევრმა მათგანმა ნათესავები და ახლობლები დაკარგა ამ ტერორის შედეგად. ამიტომ გაზეთ „ახალი საქართველო“-ს გამოცემა დიდ სირთულეებს წააწყდა. სტამბის ერთადერთი არსებული „ამკრეფი“ ისეთი ტერორის ქვეშ მოაქციეს მენშევიკებმა, რომ ვერ რისკავს გააგრძელოს გაზეთის გამოცემაში მონაწილეობა. ასევე მითითებულია, რომ თვითონ ვეშაპელიც საშინელ დევნას განიცდის

და ბერლინშიც კი იყო ჩასული სიტუაციის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად და საბჭოს დახმარების მისაღებად.

თავიდან რომ აეცილებინათ გაზეთის მეორე ნომრის გამოსვლის შეფერხება, ისიც კი გადაწყდა, რომ სანამ ახალ „ამკრეფს“ იშოვიდნენ, ან თბილისიდან ჩაიყვანდნენ, გაზეთი ბერლინში გამოცათ და შემდეგ გადაეგზავნათ პარიზში. 1924 წლის დეკემბერში გამოსული მეორე ნომრიდან მოყოლებული 1926 ივლისში, ამ გაზეთის ბოლო ნომრის გამოსვლამდე „ახალი საქართველო“ თავისი შინაარსით და ილუსტრაციებით თითქმის არ განსხვავდებოდა თბილისში გამოცემული „კომუნისტი“-სა და „ზარია ვასტოკა“-საგან.¹

გაზეთ „ახალი საქართველო“-ს გამოსვლამ და მათთან დაკავშირებულმა ჭორებმა და მითქმა-მოთქმამ დაძაბულობა, არეულობა და სიძულვილი გამოიწვია ქართველ ემიგრანტთა შორის. ამ სიძულვილს განსაკუთრებით ამძაფრებდა გაზეთის ზედმეტად ახლო კავშირი ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან. „ფრანგული პოლიციის მონაცემებით, ბოლშევიკები გულუხვად უხდიდნენ ვეშაპელს მისი მუშაობისთვის. კერძოდ, პარიზში სსრკ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლისგან, გაზეთის გამოცემის მიზნით ის ყოველთვიურად იღებდა 10-15 ათას ფრანგს და გარდა ამისა 400 აშშ დოლარს, მისი პირადი ხელფასის სახით.“²

1925 წლის დეკემბერში საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დადგენილება ვეშაპელის ქვეყნიდან გაძევების შესახებ, თუმცა სსრკ-ს ზეწოლის შედეგად იძულებული იყო მისი აღსრულება შეეჩერებინა. ვეშაპელის მდგომარეობის გამყარების მიზნით ის აკრედიტირებულ იყო სსრკ-ს

¹ Георгий Мамулиа. Борьба за Свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тбилиси-Париж, 2012, გვ. 129

² იქვე.

სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან „ამიერკავკასიის პრესის წარმომადგენლის“ სტატუსით.

ემიგრანტთა რიგებში განხეთქილების შეტანის მიზნით ვეშაპელი არ თაკილობდა „ახალ საქართველოში“ აშკარა სიყალბის დაბეჭდვასაც კი. მაგალითად ემიგრაციის ორმეტი გამოჩენილ წარმომადგენელზე, მისი დისკრედიტაციის მიზნით წერდა, რომ მან შეიცვალა თავისი შეხედულები, შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას და ბრუნდება სსრკ-ში. როგორც წესი, ამისთანა ცილისწამების ობიექტი აღმფოთებული რეაგირებდა ხოლმე მსგავს დეზინფორმაციაზე, თუმცა ამ მხრივ ხშირად მაინც ხერხდებოდა ემიგრანტთა კონკრეტულ წარმომადგენელთა მიმართ სხვა ემიგრანტების უნდობლობის გაღვივება. ასეთი ცილისწამების ობიექტი ხდებოდნენ არა მარტო ქართველი ემიგრანტები, არამედ სხვა კავკასიელებიც.

„ახალი საქართველოს“ ყველა მოწინავე წერილი ეკუთვნოდა გრ. ვეშაპელის კალამს. იგი გაზეთის ფურცლებიდან კრიტიკას და შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ იშურებდა ნოე ჟორდანიას მთავრობის მიმართ. „ჩვენ გვახსოვს 1918 წელი, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მიჩნეულ იყო ეროვნული იდეალის განხორციელებად კი არა, არამედ როგორც მარცხი, როგორც იძულება და უბედურება, განსაკუთრებით მათ მიერ, ვინც შემდევ დაესაკუთრა საქართველოს სხეულს და მონოპოლია აიღო პატრიოტის ყოველგვარ გრძნობებზე“¹. წერდა ის გაზეთის ფურცლებიდან. ¹ სამაგიეროდ ხოტბას ასხამდა საბჭოთა საქართველოს - „საბჭოთა საქართველო არ არის ქაჩალი კონფერენციების მიერ შექმნილი გეოგრაფიული ტერმინი. მისი მომავალი გადაჯაჭ-

¹ შარაძე გ. „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორიიდან, ტ. 1, 2001, გვ. 240

ვულია დიდი პროგრესიული მსოფლიო მოვლენის მსვლელობაზე და აწი შეუძლებელია საქართველოს უფლებრივი ცხოვრება შეტრიალდეს ისე, როგორც დაიხა და დაიშალა „ფაქტიური” და „იურიდიული” აქტები „კეთილშობილი” ევროპისა. ¹

1924 წლის 13 დეკემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ დუმერგის მიერ სსრკ-ს ცნობის და მისი ელჩის, კრასინის, რწმუნების შესახებ ფაქტს გრ. ვეშაპელი განხეთის მეორე ნომრის წერილში „ცნობის შემდეგ”, ასე გამოხმაურა: „ამიერიდან ევროპის საერთაშორისო უფლების წესით ძალა ეკარგება უორდანიას მთავრობის ოურიდიულ ცნობას, რომელიც გამოიხატა თავის დროზე (1921) ჩხენკელის მიღებაში ელჩად მაშინდელი პრეზიდენტის მიღეირანის მიერ... ვერც ფაქტიურად და ვერც იურიდიულად მენშევიკურ რესპუბლიკას ვეღარავინ აღადგენს. საჭიროა აქ წერტილის დასმა და ახალი გზით სიარული.”

იგივე წერილში ვეშაპელი კვლავ აგრძელებს: „სამოქალაქო ომი წაგებულია. ან იცანით ეს არსებული (საბჭოთა) რუსეთი, ან დარჩით ურუსეთოდ, რადგანაც სხვა რუსეთს ვერ მოესწრებით.”

1925 წლის „ახალი საქართველოს” N4 ნომერში ვეშაპელმა გამოაქვეყნა წერილი „რეალური საქართველოს-თვის”, რომლის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „უნდა შევიგნოთ, რომ საზოგადოდ რუსეთის, როგორც უძლიერესი მეზობლის ორიენტაცია ყველაზე უფრო რეალურია ქართველი ერისათვის სამხედრო თვალსაზრისით და ამავე დროს, რუსეთისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიები უკეთესი ასპარეზია მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციი-

¹ Георгий Мамулиа. Борьба за Свободу и независимость Кавказа (1921-1945), 23. 243.

სათვის, ვიდრე ევროპა.”¹ იგივე წერილში ვეშაპელი წერდა: „ინტერნაციონალური სახე საბჭოთა მოსკოვისა და მისი მმართველი კომუნისტური პარტიისა უკეთესი საერთაშორისო დაზღვევაა მცირერიცხოვან ქართველი ერის რესპუბლიკისა, ვიდრე უნევის „ერთა ლიგა” ან ამსტერდამის ინტერნაციონალი, რადგან იგი უკავშირებს საქართველოს საქმეს მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ფაქტორის - პროლეტარიატისა და კოლონიალურ ერთა სოციალურ და ნაციონალურ განთავისუფლების პერსექტივებსა და ამ ფაქტორთა აქტიურ ავანგარდში საპატიო პოსტზე გვაყენებს აზიის ჭიშკარში”¹.

„ახალი საქართველოს” N6 ნომერში ბოლშვიკურ ორიენტაციაზე დამდგარი ვეშაპელი განსაკუთრებული სიმბაფრით აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას ბროშურას „რა მოხდა”, რომელიც პარიზში 1925 წლის 15 იანვარს გამოვიდა და ეძღვნებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. ის გაუმართლებლად მიიჩნევდა მენშევიკების მიერ ინსპირირებულ ამ აჯანყებას, როგორც პოლიტიკურ ავანტიურას და წერდა, რომ „მთელი საქართველო საფლავში არ უნდა ჩაწვეს „ჟორდანიას საქართველოსათვის” მოტყუებით დაღუპულებთან”.

თვალს თუ გადავავლებთ „ახალი საქართველოს” ჩვენს ხელთ არსებულ ნომრებს, შევამჩნევთ, რომ გაზეთი ვერ დაიტრაბახებს პროფესიონალი ურნალისტების სიმრავლით. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაზეთის სასურველი სტუმარი არაერთხელ ყოფილა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (N14, 1925 და N17, 1926). აგრეთვე ვეშაპელი გაზეთში ხშირად ბეჭდავდა საბჭოთა საქართველოს ლიდერთა გამონათქმებსაც. მაგალითად, „ახალი საქართველოს” N17-ში დაიბეჭდა სერგო ორჯონიგიძის სიტყვა, რომელიც მან წარ-

¹ Георгий Мамулиа. Борьба за Свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 251.

მოთქვა 1924 წლის 5 სექტემბერს, თბილისის საბჭოს სხდომაზე, 1924 წლის აჯანყების შესახებ. აქვე მოვიტანთ ამონარიძს ამ გამოსვლიდან: „რა იყო მენშევიკების მიზანი ამ აჯანყებაში? მათ ჰქონდათ ერთი შაბლონური ლოზუნგი: „საქართველოს გათავისუფლება” - „საქართველოს დამოუკიდებლობის დამყარება”. ჩვენ ვიცით, როცა ბატონი ჩხერიკელი და უორდანია და სხვები გაპკიონენებ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, იმავე დროს მიმართავდნენ ინგლისელებსა და ფრანგებს თხოვნით: გამოიყენონ ისინი და მათი ტერიტორია ბაქოსა და ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. იმ დროს, როდესაც აქ იყვნენ იმპერიალისტების ფერადი ჯარები, მაშინ ისინი კრინტსაც ვერ სძრავდნენ, მაგრამ, როგორც კი გამოჩნდნენ წითელი ჯარები, ისინი იწყებენ ყვირილს, რომ ჩვენ ვარღვევთ საქართველოს დამოუკიდებლობას. აი რას წერენ ისინი ამ დოკუმენტში: „თუ ქართველ კომუნისტებს ჰყავთ რუსთი, ჩვენ გვყვაგს ევროპა. მაგრამ, რომელი ევროპა? - ევროპა-მაკლონალდის, ევროპა-ერრიოსი, ევროპა-შტრეზემანისა, მარქსის, მუსოლინისა თუ რომელი?... თქვე მამაცხონებულებო, გაიძახით - გაიყვანეთ რუსის ჯარი, და ამავე დროს გვახარებთ - ინგლის-საფრანგეთის ჯარი მოგვყვავსო....

„რაც საქართველოში მოხდა, ბრალი მიუძლვით არა მარტო მენშევიკ -ავანტიურისტებს, არამედ უმთავრესად საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც ათასგვარი დაპირება მისცა მენშევიკებს. ახლა, როცა პარიზში გამოქვეყნდა ამერიკული დეპეშა, იმის შესახებ, რომ აჯანყება მოხდა საფრანგეთის კარნახით, საფრანგეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონია საქართველოს აჯანყებასთან.

„გვიჩვენეთ, ვაუბატონებო, რომელი პატარა ერი დაიცვეს და გაათავისუფლეს ერრიო-მაკლონალდ, პუანკარე-კერ-

ზონმა. ნუთუ მენშევიკებმა არ იციან, რას შვრება ინგლისი და საფრანგეთი ინდოეთსა და აფრიკაში, სპარსეთში და ავ-ლანისტანში, რას უშვებიან იგინი ჩინეთს, რას შვრება ინგ-ლისი ირლანდიაში.”¹

გრიგოლ ვეშაპელი გაზეთის ფურცლებიდან ცილისწა-მებასა და ლანძღვა-გინებას არ იშურებდა სპირიდონ კედიას მიმართ, რომელსაც საფრანგეთის კონტრდაზვერვასთან ურ-თიერთდამოკიდებულებაში ამხელდა. ბველი ეროვნულ-დემოკ-რატი გრიგოლ ვეშაპელი, ცხადია თავისი ყოფილი თანაპარ-ტიელებისაგან ქებას და მოწონებას არ დაიმსახურებდა. ასეც მოხდა: 1925 წელს, პარიზში სპირიდონ კედიასა და ალექ-სანდორე ასათანის მცდელობით გამოცემულ ქართველ ეროვ-ნულ-დემოკრატთა ჟურნალი „სამშობლოსათვის”, რომლის რედაქტორი სპირიდონ კედია გახლდათ, მკვეთრად დაუპი-რისპირდა გრიგოლ ვეშაპელს.

სპირიდონ კედია იმ ასობით ემიგრანტთა რიცხვშია, რომლებმაც სამშობლო იძულებით დატოვეს. შსს-სარქივის მასალებით ირკვევა, რომ სამშობლოდან გადახვეწილი სპი-რიდონ კედია მაინც განაგრძობდა პოლიტიკურ და ლიტერა-ტურულ მოღვაწეობას, იყო პარიზეტული კოლეგიისა და ემიგრაციაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვარგარეთის დელეგაციის წევრი, გამოსცემდა გაზეთ „ერის გუშაგს”, ჟურნალს „სამშობლოსათვის” და ურთიერ-თობდა ემიგრაციის არამარქისტულ ნაწილთან, რადგან ნოე ჟორდანიას პრინციპები მისთვის მიუღებელი იყო. ის ხმირად საყვედურობდა მთავრობის მეთაურს ეროვნული პრინციპების-თვის დალატისა და მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგიის, კლასთა ბრძოლის ქადაგების გამო.

¹ Георгий Мамулиа. Борьба за Свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 251.

განსაკუთრებით გამოირჩევა სპირიდონ კედიას წერილი „ფრონტის გარღვევა”, რომელიც გამოაქვეყნა შურნალ „სამშობლოს” 1925 წლის 10 აგვისტოს, №-ის ნომერში. ამ წერილში სპ. კედია ეხება უორდანიას მიერ მეორე ინტერნაციონალის კონკრეტულ მონაწილეობასა და ისეთ რეზოლუციაზე ხელის მოწერას, რომელიც გმობდა პუანკარეს პოლიტიკასა და რურის ევაკუაციას მოითხოვდა. კედიას აზრით, თავისთავად ეს ნიშნავდა უორდანიას მხრიდან რუსეთის იურიდიულად ცნობასა და მასთან დიპლომატიური და საგაჭრო ურთიერთობის აღდგენას. წერილის ავტორს მიაჩნდა, რომ უორდანიას საქციელი საფრანგეთის მიმართ იყო „ყოვლად უტაქტო და უღირძი საქციელი... იმ ქვეყნის თავმჯდომარეს, რომელიც საბჭოთა რუსეთს იარაღით ხელში ებრძოდა, არ ჰქონდა არც ზნებრივი და არც პოლიტიკური უფლება მოსისხლე მტრის მოვლა-პატონობას დადგომოდა.”¹

იგივე წერილში კედია მკაცრად აკრიტიკებდა ნ. უორდანიას იმის გამო, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვიწრო პარტიული ინტერესებიდან ვერ გამოდიოდა, „ბ-ნი უორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეა და ეკუთვნის მთელ ერს და არა რომელიმე კლასს ან წოდებას... მისი პოლიტიკა, სიტყვა და მოქმედება, ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა შემთიკრიბოს და აღაფრთოვანოს... იგი ყველგან არ უნდა წავიდეს და ბევრისგან თავი უნდა შეიკავოს... თუ ამას ვერ შეასრულებს, ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე არ იქნებოდა და ქვეყნას სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანდა.”²

¹ შარაძე გ, „ქართული ემიგრანტული შურნალისტიკის ისტორიიდან. ტ. 1, გვ. 271.

² შარაძე გ, „ქართული ემიგრანტული შურნალისტიკის ისტორიიდან. ტ. 1, გვ. 271.

წერილის ბოლოს კედია მთავარ სათქმელს ასე აყალიბებს: „საქმე ის კი არაა ვიღაცის მოსატყუებლად თუ შესაშინებლად გარეგნული ერთობა აცოდვილო, არამედ ის, რომ ამ ერთობამ ქვეყანას მართლაცდა სარგებლობა მოუტანოს... ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ოფიციალურმა ჭირისუფალთა წრემ თუ ხელი არ აიღო თავის ძველ პოლიტიკაზე და იმ მუშაობის სისტემაზე, რომელსაც ჯიუტად განაგრძობს, მასთან თანამშრომლობა, ეს პირდაპირ დანაშაული იქნებოდა.”

ავტორი იქვე განაგრძობს: „თუ ჩვენი მოვალეობაა შევინახოთ და დავიცვათ საქართველოს ეროვნული მთავრობა, ჩვენი მეორე მოვალეობა, უაღრესად მოქალაქეობრივი ის არის, რომ ვამხილოთ მისი ყალბი პოლიტიკა და შემცდარი ნაბიჯები... თუ იგი თავის თავს დაძლევს და გარემოების გაგების უნარს გამოიჩენს, მართლაც ნამდვილი ეროვნული ფრონტი გვექნება, თუ არა და ჩვენი დაშორება აუცილებელია”.

ამ უაღრესად საინტერესო და ბრწყინვალე პოლემიკურ წერილში სპირიდონ კედიამ ობიექტური მიზეზებით ახსნა და ასევე დაანონსა ეროვნულ-დემოკრატების მემარჯვენე ოპოზიციურ ფრაქციად ჩამოყალიბების აუცილებელია.

როგორც ცნობილია, სიციალ-დემოკრატებთან ერთად ეროვნულ-დემოკრატებიც მხარს უჭერდნენ საქართველოში ანტიბოლშევიკური მოძრაობის გაჩაღებას. 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყებაც მათი აქტიური ხელმძღვანელობითა და ჩარევით განხორციელდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ სპ. კედიამ 1925 წელს უურნალის N5-ში გამოაქვეყნა წერილი „აჯანყების გასამართლება”. ავტორი წერილში ყურადღებას ამახვილებს აჯანყებაში მონაწილე 55 კაცის საჯარო გასამართლების პროცესზე, რომელიც საბჭოთა საქართველოს

ისტორიაში ძალიან იშვიათი მოვლენა იყო. პირველად საჯარო გასამართლება მოუწყეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ამბროსი ხელაიას, მეორე კი 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს. აქვე ავტორი ყურადღებას ამაზვილებს 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებაზე და აღნიშნავს, რომ „პოლიტიურ პარტიებს ინტრიგები რომ არ დაეწყოთ და ხელის შეწყობის მაგიერ ხელი არ შეეშალათ და ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ პროვოკაცია არ გაევრცელებიათ, ამ აჯანყებას გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა გამარჯვებისა, საქართველოს ფარგლებში, ვიდრე 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას“. წერილის ბოლოს სპ. კედია დასკვნის სახით წერს: „უპირვე ფაქტად ქცეულმა აჯანყებამ და მისთვის გაღებულმა მსხვერპლმა საქართველოს დაუმკვიდრა საერთაშორისო უკვდავება.“

როგორც წინამდებარე წერილიდან ირკვევა, სპ. კედია, მიუხედავად მარცხისა, მაინც დადებითად აფასებდა 1924 წლის აჯანყებას. „როგორც არ უნდა იყოს მომზადება, ან თვით აღსრულება ამ აჯანყებისა, რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ შერჩეული მომენტისა და პირობების შესახებ, ერთი რამ ხომ უეჭველია - აჯანყების სული და გამართლება ეს იყო თვით საქართველოს ეროვნული იდეა, საქართველოს დამოუკიდებლობა.“¹

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ თავდაპირველად, ემიგრანტული ოპოზიციური პრესა 1924 წლის აჯანყების მკეთრად უარყოფითად შეფასებისაგან თავს იკავებდა.

გადის დრო და 1930-იან წლებში ძალიან მწვავდება ურთიერთობა ემიგრაციაში მოხვედრილ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის: თავი იჩინა პარტიულმა უთანხმოებამ:

¹ შარაძე გ, „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორიიდან. ტ. 1, გვ. 274.

ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები გაერთიანებული ძალით დაუპირისპირდნენ მმართველ პარტიას - სოციალ-დემოკრატებს და მათ დააკისრეს დამარცხების მთელი სიმბიმე. შემდგომში თვით ამ პარტიებს შორის წარმოშვა შილა დაპირისპირება და განხეთქილება. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გაითიშა სამ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ფრთად (სპირიდონ კედია, რეზო გაბაშვილი, ალ. ასათიანი), ხოლო სოციალ-დემოკრატებში კი ორი მიმართულება გაჩნდა - ნოე ჟორდანიასი და ორაკლი (კაკი) წერეთლისა.

ჟურნალი „სოციალისტური აზრი”, რომელიც პარიზში გამოდიოდა 1930-იანი წლებიდან, წარმოადგენდა „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უცხოეთის ოპოზიციის ორგანოს”, რომლის სულისხამდგმელი გახლდათ სწორედ ირაკლი წერეთელი - ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი.

ნოე ჟორდანია უფურადღებოდ არ ტოვებდა მათგან გამოყოფილ ოპოზიციურ დაჯგუფებას და პოლემიკურ ბრძოლას არ აკლებდა. ის გაუბრაზებდა „სოციალისტური აზრის“ N2-ში დაბეჭდილ სტატიას, რომლის ავტორი გახლდათ ჟურნალის რედაქტორი, მირიან მელუა, სადაც ავტორი აკრიტიკებდა მმართველ პარტიას 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით: „ჩვენ თამაად შეგვიძლია ვსქვათ, რომ დღიდან საქართველოს ოკუპაციის მოხდენისა - აჯანყების დღემდე - აჯანყების მოსახდენად, აგვისტოზე უარესი პირობები არცერთ დღეს არ ყოფილა. კარლოს (ჩხეიძე) სიტყვებით რომ ვთქვათ - „თვით მტერიც ვერ აგვირჩევდა უარეს დროს აჯანყების მოსახდენად... მაგრამ ჩვენთვის ამ ბურუსით მო-

ცულ შინაურ სირთულეებს ემატება ის როლი, რომელიც საზღვარგარეთელმა ორგანიზაციამ ითამაშა. თუ ანდრონიკაშვილს და ქართველ ხალხს იქ, ბოლშევიკებიდან შევიწროებულ და დახუთულ პირობებში უხდებოდათ გადაწყვეტილების მიღება, სამაგიეროდ საზღვარგარეთელ ორგანიზაციას, რომლის ნდობაც დიდი იყო საქართველოში, აյ თავისუფალ პირობებში დღის სინათლეზე შეეძლო მუშაობა, აჯანყების შესახებ აზრის შედგენა და მიწოდება... და მაშინ, როცა ის აშკარად ხედავდა მსოფლიოს მეექვსედის წინააღმდეგ აჯანყებული ერთი მუჭა ხალხი მხლოდ თავის ამარად იყო და მიშველების იმედი არ ჩანდა ...როცა ის ხედავდა, რომ რუსულ არმიას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ბოდიშის მოუხდელად შეეძლო შური ეძია და სისხლში ჩაეხშო, თუნდაც თბილისში გამარჯვებული ქართველი ხალხიც კი, საჭირო არ იყო ამ თვალ დანახულის „დიდი კომპანიით ხალხში გადატანა და მთ უნიადაგო ილუზიების გაფანტვა.”

წერილის ავტორი 1924 წლის აჯანყების წარუმატებლად დამთავრებაში ბრალს დებს ემიგრანტულ მთავრობას. „როგორ მოიქცა საზღვარგარეთელი ორგანიზაცია? ...ის თავის სიმაღლეზე არ აღმოჩნდა... ბიუროს მუშაობაში დამყარებული სისტემა უბედურ პოლიტიკურ და მორალურ შედეგებს იძლევა დღემდე და მოგვცემს მომავალშიც, თუ ეს სისტემა ძირიანად არ შეიცვალა.”¹

დამარცხების უმთავრეს მიზეზად იგი ასახელებს ყალბი იმედებს ემიგრაციიდან და შინაურ პირობებზე გადაჭარბებული წარმოდგენების ქონას, ასევე საზღვარგარეთული ორგანიზაცია „საჭირო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა” - აღნიშნავს სტატიის ავტორი. აქვე იგი საინტერესო დასკვნას აკეთებს:

¹ შარაძე გ. „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორიიდან, ტ. 7, 2005 გვ. 372-373.

„თუმცა, დახმარება რეალური რომ ყოფილიყო, ის მაინც ჩვენთვის საბოლოოდ სასარგებლო არ დარჩებოდა. ჩვენ კარგად ვიცით რა ფასი აქვს დღევადელ მილიტარისტულ სახელმწიფოების მიერ დაპყრობილ ხალხთა „გათავისუფლებას”, რომ უცხოეთიდან შემოსული „განმათავისუფლებელი” სამხედრო ძალა ისე „გაანთავისუფლებს” ჩვენს ქვეყანას, როგორც ის ერთ დროს ბოლშევიკურმა წითელმა არმიამ გაათავისუფლა.”¹

სტატიის ბოლოს ავტორი კითხვას სვამს: „ჩვენ კიდევ უნდა ვამზადოთ ასეთი აგვისტო?” და თვითონვე პასუხობს: „ისეთი პატარა ერის აჯანყება, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა, ნიშნავს მის ფიზიკური კატასტროფის გამოწვევას, მისი გეოგრაფიული რუქიდან მოშლის საფრთხის წინაშე დაყენებას.”²

დასკვნა

ამრიგად, 1924 წლის აჯანყების შემდეგ პოლიტიკურ ემიგრაციაში სერიოზული დაპირისპირება გაჩნდა პოლიტიკურ პარტიებს შორის. აჯანყების ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, მომხდარიყო ინტერესთა შეკავშირება და ერთიანი სახალხო ბრძოლის წარმოება. სამწუხაროდ, თავი იჩინა დაქსაქსულობამ, შინაპარტიულმა დაპირისპირებამ, ურთიერთშეუთანხმებლობამ. მიგიღეთ საგალალო და ტრაგიკული შედეგი, რაც კარგად გამოჩნდა ემიგრანტული პრესის ფურცლებზე. რამდენიმე ნაწილად დაქსაქსული პოლიტიკური პარტიები ერთმანეთის ლანძღვითა და ცილისწამებით იყვნენ გართულნი. ისინი ერთმანეთზე გადაბრალებით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ 1924 წლის აჯანყების ტრაგიკულად დასრულების პასუხისმგებლობა. უნდა განხორციელებულიყო თუ

¹ იქვე. გვ. 483.

² იქვე. გვ. 484.

არა ეს აჯანყება? - ყველა პოლიტიკურ პარტიას პრინციპულად განსხვავებული პასუხი ჰქონდა ამ კითხვაზე, რასაც დაუფარავად აფიქსირებდნენ კიდეც ემიგრანტული პრესის ფურცლებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აჯანყების მოწყობის წინააღმდეგნი იყვნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები, რომლებიც უორდანია-რამიშვილის ჯგუფს ავანტიურაში და ქართველი ერის გენოციდში ადანაშაულებდნენ, აქტიურ ანტიქართულ პროპაგანდაში არ ჩაერთვნენ და შესაბამისად, დასავლეთის პოლიტიკურმა ძალებმა ქართველი ერის აჯანყება ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ დადებით მოვლენად აღიქვეს.

დამოწმებანი:

1. Георгий Мамулиа. Борьба за Свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тбилиси-Париж, 2012.
2. Шарардзе Г., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, ტ. 1, 2001.
3. Шарардзе Г., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, ტ. 6, 2005.
4. Шарардзе Г., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, ტ. 7, 2005.
5. გაზეთი „ახალი საქართველო“, N4, 1925.
6. გაზეთი „ახალი საქართველო“, N6, 1925.
7. გაზეთი „ახალი საქართველო“, N17, 1926.
8. ჟურნალი „ბრძოლა“, N2, 1925.
9. ჟურნალი „ბრძოლის ხმა“, N46, 1934.

Irma Gikashvili

Georgian Technical University

Davit Akhlouri

Gori State Teaching University

GEORGIAN EMIGRANT PRESS ABOUT REBELLION OF 1924 RESUME

As a consequence of the rebellion in 1924, a serious disagreement arose between the political parties in political emigration; the revolted authorities could not manage to combine own interests and come up with a national war. Unfortunately, dispersion, tension and disagreements emerged inside the party. All this resulted into a deplorable and tragic outcome which was well illustrated in the emigrant press. Dismembered political parties engaged themselves in cursing and slandering each other. By blaming each other they tried to avoid the responsibility for the tragic end of the 1924 uprising. Should this uprising have had occurred or not? - All the political parties had a different answer to this question, which they openly stated in the emigrant press.

Although in Georgia the uprising had opposing political forces the opponents of the Georgian Social-Democrats, which accused Zhordania's and Ramishvili's group of scam and genocide of nation, they did not involve in active anti-Georgian propaganda and the Western political forces apprehended the revolting of Georgian nation against Bolshevik Russia positively.

**თთარ ვოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ევგენი ვეიდენბაუმი აჭარის შესახებ

ევგენი ვეიდენბაუმს საპატიო ადგილი უჭირავს იმ ისტორიკოსებს შორის, რომლებიც კავკასიას იკვლევდნენ. იგი თარგმნიდა შრომებს, მონაწილეობდა ცნობილი მეცნიერის პეტრე უსლარის წიგნის „ძევლი თქმულება კავკასიაზე” რედაქტირებაში. მანვე გამოსაცემად მოამზადა კრებული, რომელშიც შესულია ინგლისელი პალგრევის ანგარიშები აჭარაზე. ე. ვეიდენბაუმის თაოსნობით გამოქვეყნდა ფრანგი ლ. გრანჯეს და სხვათა მასალები, რომლებიც აჭარას ეხება.

ვეიდენბაუმმა არაერთი გამოკვლევა უძღვნა საქართველოს. ზოგიერთი მათგანი შეიტანა კრებულში „კავკასიის ეტიუდები”. საყურადღებოა მოგზაურული ჩანაწერები „ბათუმიდან ართვინამდე”, რომელიც პირველად 1878 წელს გაზეთ „კავკაზში” გამოქვეყნდა. ასევე აჭარის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული მის უაღრესად საყურადღებო ნაშრომში „კავკასიის გზამგებელი 1888 წლისათვის”. 1878 წლის 31 ოქტომბერს გემ „რიონით” ვეიდენბაუმი ბათუმს ეწვია. ნავსადგურში დახვდა რუსეთის ხომალდები „კოცებუ”, „რედუტ-კალე”, „ჩიხაჩევი” და სხვა, აგრეთვე უამრავი ფელუგა, რომლებიც სიმინდით, ყურძნითა და თიხის ჭურჭლით დაეტვირთათ.

ბათუმი წარმოშვა მდინარე ჭოროხმა, რომელმაც დროთა განმავლობაში მოზიდა ქვა-ღორღი, სილა და ამოავსო ნაპირი, - შენიშნავს ვეიდენბაუმი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი

ვი გახდა მას შემდეგ, რაც ნავსადგურის ტალღებისაგან დასაკავად წყალში სპეციალური კედელი გაიყვანეს. ამან უფრო შეაკავა ხრეში და სილა, რის გამო ბულვარი მაშინ თუ ზედ ზღვაზე იყო, 1902 წლისათვის ზღვა ასი საუნიონ დაშორდა ნაპირს და ბათუმელებს საშუალება მიეცათ ბულვარისათვის კიდევ ორი ხეივანი მიემატებინათ. ბათუმის კონცხი ჭოროხის ნალექებით შეიქმნა – წერს გ. წერეთელი. ¹

ბათუმი გამოირჩეოდა სწორი და სიცოცხლით სავსე ქუჩებით. ზღვისპირა ქუჩას ამშვენებდა ერთ-ორსართულიანი ქვის სახლები მაღაზიებით, აგრეთვე სასტუმროები და ყავა-ხანები. გამოირჩეოდა სასტუმრო „მოსკოვი“. პარალელური ქუჩები ბაზარს ეკავა, აქა-იქ ქვაფენილიც დაეგოთ. ქალაქში ანტისანიტარია არ ყოფილა, რადგან სილა და ქვიშა წყალს ადვილად ატარებდა. სასმელი წყალი ურეხის მთიდან მოედინებოდა. წყალსადენის მოსაწყობად სამების ტაბარი დაეშალათ. ბათუმს იცავდა ზღვისპირას აგებული სამი საარტილერიო ბატარეა ქვის ყაზარმებით. მათ შესანიღბავად უამრავი მცენარე დაერგოთ.

ყველაზე დიდი პრობლემა მაშინ საცხოვრებელი ბინის ნაკლებობა იყო. ამის მიუხედავად მშენებლობა მაინც მიმდინარეობდა, თუმცა ნელა. აგური და კრამიტი ადგილზე შეიძლება დამზადებულიყო, მაგრამ საშენი ხის მასალა ძალიან ცოტა იყო. მიზეზი ამისა კი ის გახლდათ, რომ ტყე ადრე გაჩერებს და ევროპაში გაზიდეს. ამიტომ ხე-ტყე ხერსონიდან და ქერჩიდან შემოაქვთ, - აღნიშნავს ისტორიკოსი. ²

მშენებლობის დაბალი ტემპის მიზეზი იყო აგრეთვე მერყევი პოლიტიკური ვითარებაც. 1879 წლის გაზაფხულისათვის გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ თურქეთი

¹ გ. წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ., 1974, გვ. 141.

² Е. Вейденбаум, Кавказоведение, т. I, Тиф., 1901, стр, 110.

ახალ ომს იწყებს რუსეთის წინააღმდეგო. ამის გამო შემცირდა ვაჭრობა. გაჩერდა მრეწველობა. ბათუმი ერთ დიდ სამხედრო ბანაკად არის გადაქცეული და თუ ახალი ომი ისევ დაიწყება, მაშინ აზრი არა აქვს საქმის კეთებას – აცხადებდნენ ბათუმში მოლვაწე ვაჭარ-მრეწველები. ეს იქნება კაპიტალის წყალში გადაყრაო. ასევე, ამის გარდა ბათუმში ძალიან ცუდი ქუჩები იყო. წვიმის დროს, რომელიც ხშირი იყო, ქალაქი თითქმის პარალიზებული გახლდათ.

ვეიდენბაუმი ობიექტურად აშუქებს პორტო-ფრანკოს საკითხს, რომელიც ბათუმში 1878 წელს შემოიღეს ბერლინის კონგრესზე ინგლისელების დაუინებით და მან 1886 წლამდე იარსება. პორტოს-ფრანკოს – თავისუფალი ნავსადგურის შემოღებით, ბევრს ეგონა იაფ ევროპულ საქონელს მიიღებდნენ, ამიტომაც აქეთკენ გამოსწიოს, მაგრამ ადგილობრივი პროდუქტებისა და მარსელის ლიქიორის მეტი არაფერი დახვდათ. უკეთესი ხარისხის საქონელი იმიტომაც არ შემოჰქონდათ, რომ მყიდველი ცოტა იყო. ახლო სოფლებიდან თუ მოდიოდნენ გლეხები. ამასთან ლიქიორის, რომისა და ასანთის გარდა, სხვა საქონლის გატანა შეუძლებელი ყოფილა. პორტო-ფრანკო ემსახურება არა ვაჭრობის განვითარებას, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთა შევიწროებას. მათ მართლაც მოაქვთ პროდუქტები გასაყიდად, იძნენ ქსოვილს. მაგრამ საკორდონო დაცვა, არ ვიცი ინსტრუქციის საფუძველზე, თუ გაუგებრობით, შეიძლება რომელიღაც სხვა მიზეზის გამო, ხშირად მათ აკავებს და ბაჟის გადახდას ითხოვს იმის გამო, რომ ქალაქიდან საჭირო საქონელი გააქვთ. გლეხებს რომ საქონელი გასაყიდად გაპქონდეთ, მაშინ შეიძლება გაგვემართლებინა კორდონის მოქმედება, მაგრამ პირადი მოხმარებისათვის შეძნილ საქონელზე არ შეიძლება მოვითხოვოთ ბაჟი და, საერთოდ, განა ღირს ბაჟის გამო მოსახლეობის

უკმაყოფილება გამოვიწვიოთ, - ამბობს ვეიდენბაუმი. შემდეგ
იგი კვლავ უბრუნდება პორტო-ფრანკოს საკითხს და ამბობს,
რომ მაჭახლელებს ევროპული საქონელი წინათაც ბათუმიდან
გაჰქონდათ, მაგრამ ბაჟს არ იხდიდნენ, როგორც ეს პორტო-
ფრანკოს შემოღების შემდეგ ხდებაო. იგი გაბედულად ამ-
ხელს იმათ, ვინც ყოველმხრივ ავიწროვებდა ხალხს, ვინც
არათუ აზიარა ისინი ახალი ხელისუფლების სიკეთეს, არა-
მედ აიძულა ოსმალეთში გადახვეწილიყო.

ვეიდენბაუმმა ციხისძირიც მოინახულა. მან აღნიშნა,
რომ ციხისძირს გამაგრებული პოზიცია უჭირავს და ამიტო-
მაც იყო, რომ მისი აღება გაუჭირდა რუსის ჯარს, როგორც
1829 წელს, ასევე 1877 წლის 11 ივნისს. ვეიდენბაუმი ის
პიროვნებაა, რომელმაც ციხისძირი ძველ სიმაგრე პეტრად
მიიჩნია. ციხისძირის ტერიტორიაზე მას ეკლესიის ნანგრევე-
ბიც უნახავს. ახლოს მოჩუხჩებდა წყაროს წყალი. 1883
წელს რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით აქაურობა გადა-
თხარეს, ააფეთქეს, ქვები კი ჯებირების მშენებლობაზე გამო-
იყენეს, რის გამოც ციხე-სიმაგრემ დაკარგა პირვანდელი სა-
ხე, არემარე გაუვალ ტყეებს დაეფარა.¹

1878 წლის 4 ნოემბერს მოგზაურმა თანმხლებ ოსებთან
ერთად ართვინისაკენ აიღო გეზი. კახაბრის დაბლობი იალა-
ნუზის მთებიდან (თურქეთშია) მოსულ ქურთებსა და 1886
წელს გადმოხვეწილ აფხაზებსაც ეკავათ. აქ მცირე სიღრმე-
ზე დაესაფლავებინათ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის
ომში დაღუბული 12 ათასი თურქი ჯარისკაცი, რის გამოც
უამრავი ტურა მოყრილიყო. აქ ხელისუფლებას გაეყვანა
გზატკეცილი, რომლის კიდეებზე ქვები დაეწყო, აეგო ზიდე-
ბი. ყველგან სიმინდი ეთესა. ვეიდენბაუმი და მისი თანმხლები

¹ Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тиф., 1888, стр. 303-305.

პირები მალე მიადგნენ სადგურ კაპანდიდს, ანუ იმ ადგილს, სადაც ახლა მახოს ხიდია. აქ იწყებოდა გზა მდინარე ჭოროხის აყოლებით. სამისოდ იყენებდნენ ნავებს-კაიუკებს. ისინი ბათუმს ართვინთან აკავშირებდნენ. სამი-ოთხი მენავე ოსტატურად მართავდა მათ. თითოეული მგზავრი ათ მანეთს იხდიდა. ყოველ კაიუკს ასი ფუთი ტვირთი გადაპქნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ გზით 1876 წელს იმოგზაურა ისტორიკოსმა ლუკა ისარლოვმა, 1909 წელს კი რუსმა პროფესორმა ალექსი კისელმა.

კაპანდიდში ვეიდენბაუმმა სიმინდითა და თიხის ჭურჭლეულით სავსე კაიუკები ნახა. აქ გაცვლითი ვაჭრობა გაეჩაღებინათ. მდინარეებისა და გზების შესაყარში გაეკეთებინათ ქვის ხელოვნური სადინარები, რომ წყალს არ ჩაერეცხა გზები. იქ, სადაც აჭარისწყალი ჭოროხს ერთვის, ორივე მხარეზე უნახავს ქვის ხიდის მაღალი საყრდენები. ქვითკირით ნაგები ხიდი ამ ცოტა ხნის წინ წაულეკია მდინარესო – აღნიშნავს ვეიდენბაუმი. შემდეგ მას გაუვლია სოფელი მორვანა, რომელიც ჭოროხის მარჯვენა ნაპირზეა შეფენილი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამ სოფელს მირვანას სახელით იხსენიებს ისარლოვი და სხვა მოგზაურებიც. რუკაზე კი ეს სოფელი აღნიშნულია სიმორისის სახელით. მარადიდის უბნის უფროსს ახმედ უფროდის განუმარტავს ვეიდენბაუმისათვის, რომ ამ სოფელს სიმონეთი ჰქვიაო. შემდეგ ვეიდენბაუმი მისულა სოფელ მაჭახელაში, სადაც მას დახვედრია სოფლის მეჯლისის თავმჯდომარე და სხვა წარჩინებული პირი. ვეიდენბაუმი ამბობს, რომ აქ ლაპარაკობენ ქართული ენის იმ კილოთი, როგორითაც აჭარის სხვა კუთხეშიო. ვეიდენბაუმი ცივად იხსენიებს მაჭახლის უბნის უფროსს – წერეთელს (აკაკის ძმას). უბნის უფროსი განაწყენებული ყოფილა იმით, რომ გლეხები მასთან მისვლამდე თავიანთ ბეგებს ეთათბირე-

ბოდნენ. ვეიდენბაუმი აქვე შენიშნავს: „აბა რა ქნას ხალხმა. თურქები მათ უმტკიცებს, რომ საზღვარი მალე აჭარისწყალზე გავა, ე. ი. თქვენ ისევ ჩვენს ხელში მოხვდებით და მაშინ ნახეთ მოღალატეებს რას გიზამთო”. მოსახლეობის მერყეობა ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, დასაგმობი არაა. მთავარი მაინც ისაა, რომ ისინი ქართულად ლაპარაკობენ და დადებითად მიიღეს ახალი ხელისუფლება. ამიტომაც იყო, რომ ვეიდენბაუმი წერეთელს არ ეწვია ოჯახში. აქვე შევნიშნავ, რომ უბნის უფროს წერეთელს არცთუ ისე თბილად იხსენიებს ზაქარია ჭიჭინაძეც. იგი ამბობს, რომ: „ამ ბატონი თავადის გამგეობის პერიოდში, ფეხი მოიკიდა მუჰავირობამო”.¹

ვეიდენბაუმს მაჭახელასა და ჭოროხის შესართავში დაუთვალიერებია ქვის ხიდის ნანგრევები. ქვედა მარადიდში ნახა, თუ როგორ ოსტატურად აგებდნენ კაიუქებს. ეს სოფელი გემთმშენებლობის ძველი ცენტრია, - შენიშნავს იგი. აქ მას დახვდა უბნის უფროსი ახმედ ეფენდი, რომელიც, ვეიდენბაუმის თქმით, გამოირჩეოდა „ტიპიური ქართული ცხვირით, ქართული ლაპარაკით, ოხუჯობითა და სტუმარ-მასპინძლობით. მიუხედავად თურქულის დიდი ზეგავლენისა, მასში არ ჩახშობილოყო ქართული სისხლი”. ახმედ ეფენდიმ სტუმრები ოჯახში მიიპატია, მაგრამ დროის უქონლობის გამო ვერ ეწვივნენ მას. ახმედ ეფენდი დაეხმარა მათ ტოპონიმების დადგენაში. მან კელასურის წყალთან ციხისა და ეკლესიის ნანგრევები უჩვენა, რაც რუკაზე აღნიშნული არ ყოფილა. ჭოროხის ქვემო წელის ერთი სოფელი ვეიდენბაუმა კამურენის სახელით მოიხსენია, ამაზე უბნის უფროსს უთქვამს, რომ მისი ნამდვილი სახელი წითურეთიაო. ახმედის გვარს ვეიდენბაუმი არ ასახელებს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ

¹ ჭ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფელები საქართველოში, თბ., 1914, გვ. 199-200.

ეს პიროვნება ახმედ ხალვაში უნდა იყოს. ამ ვარაუდის შესახებ ისევ მინდა მოვიყვანო ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვები. იგი 1892 წლის შემოღვომაზე ახმედის სტუმარი იყო. აი, რას წერს ზაქარია ჭიჭინაძე: „დიღმა მოჭირნახულემ, საქართველოს სიყვარულით დამწვარი ახმედ ხალვაშმა ჯერ კიდევ 1875 წელს, თბილისიდან გამოიწერა ქართული წიგნები... 1878 წელს მარადიდის ხოჯა ქადაგებდა აჭარლების თურქეთში გადასახლებას, რის გამოც ახმედმა კინალამ ციმბირში გადასახლებინა იგი. თავის ხარჯზე ააგო სკოლის შენობა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სკოლაში გამოგზავნეს ქართულის არმცოდნე მასწავლებელი, რაზეც უარი განაცხადეს – ქართულის მცოდნე მასწავლებელი გვჭირდებაო. ასეც მოხდა.” სკოლის გახსნას შემდეგშიც აპირებდნენ, მოხელე ანდოლულადის დახმარებით. ეს მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა. ამ მოხელემ შეძლო ყველა პრობლემის მოგვარება და სკოლის გახსნა.

ვეიდენბაუმი აჭარის მოსახლეობის შესახებ ამბობს: „აჭარლები ფეხმარდნი არიან. ერთ ხელში კალათა და ინგლისური წარმოების იარაღი, მეორეში – ქოლგა უჭირავთ... თურქებმა ომის წინ 14 ათასი ცალი იარაღი დაარიგეს, რომ მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ, მაგრამ ამაოდ”.¹

რუსეთის მოხელე მეფისაშვილს, რომელიც აჭარის მმართველ ხიმშიაშვილებს თანამემამულებთან და რუს გენერლებთან აკავშირებდა, მოგზაურისათვის უცნობებია, რომ აჭარლებს დღემდე ჩვეულებად აქვთ, მივიდნენ თავიანთი წინაპრების ეკლესია-ტაძრების ნანგრევებთან და აანთონ სანთელი. შემდეგ ვეიდენბაუმი ამბობს: „აჭარლები ქართველები არიან, ქართულად ლაპარაკობენ, მშობლიური ენა თურქების

¹ Е. Вейденбаум, Кавказоведение, Т. I. Тиф., 1901, стр. 128.

მიერ მიტაცებული ქართული კუთხეებიდან, სუფთად მხოლოდ აქ შემოინახა.” შემდეგ ვეიდენბაუმი რუსული შოვინისტური ხელისუფლებისაგან განსხვავებით აკეთებს იმ დროისათვის მეტად თამამ და პროგრესულ დასკვნებს. კერძოდ, ის ამბობს, რომ: „აჭარლებისათვის ოფიციალური ენა ქართული უნდა გახდეს. მშობლიური ენა დააახლოებს მათ თანამე-ამულებთან, საშუალებას მისცემს ზნეობრივად იღტვოდნენ ერთანი საშობლოსაკენ, რითაც დაირღვევა კავშირი მუს-ლიმანურ იდეასთან. ხელისუფლებამ კი ამ ხალხს ქართუ-ლად უნდა მიმართოს”. შემდეგ ვეიდენბაუმი რუსეთის ხელი-სუფლებას მიმართავს და თანაც აფრთხილებს, რომ: „ისე არ მოგვივიდეს, როგორც 1829 წელს ახალციხის შემოერთები-სას. მაშინ მოსახლეობას უდიერად მოვექეცით, რითაც სულ დავავიწყეთ მშობლიური ენა, ხელი ავალებინეთ ქართველ-ობაზე. ასე რომ არ მოხდეს აუცილებლად საჭიროა აჭარაში გავხსნათ მხოლოდ ქართული სკოლები... აქ ხოჯა-მოლები ცოტანი არიან, ამასთან ბავშვებს თითქმის არ ასწავლიან ყურანს”.

1888 წელს თბილისში გამოცემული ვეიდენბაუმის მეორე წიგნი „კავკასიის გზამკვლევი” შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, რომ ბათუმის ოლქის მოსახლეობა 1887 წელს 117 873 კაცამდე აღწევდა. 1886 წელს გაუტანიათ 14,5 მილიონი მანეთის მარცვლეული და ნავთობი. შემოუტანიათ მხოლოდ 4 მილიონი მანეთის საქონელი. მაშინ ბათუმში 1088 გემი მოსულა, აქედან 473 - საკაბოტაჟო.

ვეიდენბაუმი აღნიშნავს, რომ: „ადგილობრივი მოსახლე-ობის გადმოცემით, ივლის-აგვისტოში, აჭარის ზღვისპირეთში მძვინვარებდა ციებ-ცხელება. ამას ისიც განაპირობებდა, რომ წვიმებისას მთებიდან მომდინარე წყალი ზღვას ვერ აღწევდა, რადგან არ იყო არხები. ამიტომ წარმოიქმნებოდა ჭაობები,

ტბორები. სინესტეს ხელს უწყობდა აგრეთვე გაუვალი მცე-ნარეული საფარველი, ხელოვნური საგუბარები, რომლებიც ბრინჯის ნაკვეთების მოსარწყავად მოეწყოთ”.

ვეიდენბაუმი წერს: „არა უგვიანეს ორასი წლისა ე.ი. მე-17 საუკუნეში, ქართული ენა ბატონობდა მთელი ჭორო-ხის ხეობაში, ახლა კი მხოლოდ აჭარაში შემორჩა. ყოველთ-ვის უნდა გვახსოვდეს, რომ აჭარლები ქართველები არიან, საერთო აქვთ ენა, ზოგიერთები კი უცოდინარობის გამო ცდებიან”.¹

ასეთი მოსაზრებები კი ნამდვილად ცხადყოფს ვეიდენ-ბაუმის პროგრესულობასა და მის კარგ დამოკიდებულებას ადგილობრივი მოსახლეობისადმი.

დამოწმებანი:

1. გ. წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ., 1974.
2. E. Вейденбаум, Кавказоведение, т. I, Тиф., 1901.
3. E. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тиф., 1888.
4. ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 1914.

¹ E. Вейденбаум, Кавказоведение, Т. I. Тиф., 1901, стр. 128.

Otar Gogolishvili

Batumi Shota Rustaveli State University

**HISTORIAN EVGENI VEIDENBAUM'S WRITINGS
ABOUT ADJARA
RESUME**

Some of the scientific researches of Evgeni Veidenbaum are dedicated to adjara. Some of these researches are included into the book “essays about Caucasus”. It is worth mentioning the essay “from Batumi to Artvin”. This essay was publishes in 1878 in the newspaper “Caucasus”. Very interesting information about Adjara was published in a very important scientific research “the guideline to Caucasus for the 1888 year”. On October 31, 1878 Evgeni Veidenbaum returned to the town of Batumi by the ship “Rioni”.

ელდარ თავმერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისის 1885 წლის ერთდღიანი აღწერის ზოგიერთი
ასპექტის შესახებ

ქუთაისის 1885 წლის 10 აპრილის ერთდღიანი აღწერა, რომელიც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ა. სმეკალოვის ნებართვით ქალაქის თვითმმართველობამ, ქალაქის თავ ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობით 1887 წელს გამოსცა და ზედგენიძისა და ფერაძის სტამბაში დაბეჭდა¹, ჯერჯერობით სპეციალური სამეცნიერო კვლევის საგნად არავის გაუხდია, თუ არ ჩავთვლით პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის საგაზეთო სტატიას „ქუთაისი ასი წლის წინათ“². მიხეილ ნიკოლეიშვილმავე განსაზღვრა აღწერის მნიშვნელობა ქალაქის ისტორიის მრავალმხრივი შესწავლისათვის და დასძინა: აღწერაში „საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ქალაქის განაშნიანების, მოსახლეობის და კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ეს აღწერა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის შესახებ. ამ მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავადგინოთ სავაჭრო, სამრეწველო და სახელოსნო საწარმოების რაოდენობა, მათი სახეები და ამ დაწესებულებებში

¹ Кутаись по однодневном переписи, 10 апреля 1885 г.
Кутаисъ, типография В. Зедгинидзе и П. Ферадзе

² მიხეილ ნიკოლეიშვილი, ასი წლის წინათ, გაზეთი „ქუთაისი“, 1985

დასაქმებულთა, ოსტატთა, ქარგალთა, შეგირდთა რაოდენობა¹ და სხვა. ჩვენი მხრივ იმას დავძმატებთ, რომ აღწერა იშვიათ, ხშირ შემთხვევაში ერთადერთ ცნობას გვაწვდის საქალაქო ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებით, რაც საბოლოოდ გვაძლევს საშუალებას მეტ-ნაკლები სიზუსტით აღვადგინოთ საქალაქო ცხოვრება და ყოფის წვრილმანებზე ვიქონიოთ გარკვეული წარმოდგენა.

ქუთაისის 1885 წლის ერთდღიანი აღწერა საქალაქო ცხოვრების ბევრი კუთხით შესწავლის საშუალებას იძლევა და იგი ჩვენ მიერ უფრო ვრცელ ნაშრომში აისახება. ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ აღწერის ზოგად ნაწილსა და პირველ თავზე – ქალაქის ფართობი და მიწების განაწილება.

აღწერას წინ ერთვის ზოგადი ნაწილი, რომელშიც განმარტებულია მისი ჩატარების აუცილებლობა, დასახელებულია აღწერის განმხორციელებლები, ჩამოთვლილია ამოცანები, რომლებიც დაისახეს, იმაზეცაა ნათქვამი, რას მიაღწიეს და რას – ვერა.

უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ხელისუფლება და აღწერის ჩატარების მესვეურები კარგად გრძნობდნენ აღწერის განმხორციელების აუცილებლობას. საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქში 1875 წელს შემოღებული თვითმმართველობა ფიქცია იქნებოდა აღწერის გარეშე, უფრო სწორად, იმის აღუნუსხავად, რა ეკუთვნოდა ქალაქს, როგორ იყო განაშენიანებული, მიწების რა ნაწილი ექცეოდა მის საკუთრებაში, რომელი გზები იყო მოკირწყლული, რომელი მოუკირწყლავი, ბოლოს და ბოლოს, რა ოდენობის ხალხი ცხოვრობდა და მისთანები. მართალია, ქალაქის თვითმმართველობის შემოღებისას ხელთ ჰქონდათ 1870 წლის 16 ივნისის აღწერა,

¹ მ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნაშრომი

მაგრამ მასში არ იყო ქალაქის გეგმა და მეორე, არ არსებობდა, მოსახლეობის აღწერა, მათი ქონებრივი მდგომარეობის აღნუსხვით, ვინც იხდიდა ბეგარას, ყველა გადამხდელად ითვლებოდა, რამაც კიდევ უფრო აუცილებელი გახადა მოსახლეობის აღწერა მათი ქონებრივი ავლადიდების ფიქსაცია, ურომლისოდაც არჩევნებიც ვერ ჩატარდებოდა. სახელმწიფო ქონების კანონიერ ფორმებში მოქცევა მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს აკუთვნებდნენ, ახალ თანამდებობებსაც იგონებდნენ¹. აღწერაც აქეთკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

ქუთაისის 1885 წლის ერთდღიანი აღწერის ზოგად ნაწილში აღნიშნულია, რომ სამშენებლო ნაწილი ქალაქის თვითმმართველობას მეფისნაცვლის ბრძანებით 1879 წლის აპრილში გადაეცა, ხოლო მეშჩანთა საქმეები ქალაქის გამგეობის საქმეებისგან, ქალაქის თავის ბრძანებით, 1879 წელს გაცალკევდა და გაირკვა, რომ ბეგარის გადამხდელი მოსახლეობა შეადგენდა 2031 სულს. მოსახლეობის ოდენობის უცოდინრად შეუძლებელი იქნებოდა განესაზღვრათ, პოლიციის რამდენი საშტატო ერთეული ჭირდებოდა ქალაქს, აგრეთვე, სახელმწიფო ბანკის განყოფილების დაფუძნება შეიძლებოდა თუ არ შეიძლებოდა და სხვები.

ერთი სიტყვით, აღწერის აუცილებლობა საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისთანავე გაჩნდა. ნებართვასაც არ დაუგვიანია, 1881 წელს უკვე დართეს ნება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, სახსრების უქონლობამ საქმის განხორციელება კიდევ ოთხი წლით გადადო, უნდა აღინიშნოს, რომ აღწერის განხორციელებას დანიშნისთანავე სერიოზული ყურადღება მიაქცია სამხედრო გუბერნატორმა ა. სმეკალოვმა,

¹ გ. ვაჭრიძე, დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთ., 2006, გვ. 122-134

მან მისცა ქალაქს ფულადი დახმარება, რითაც გადაუდებელი ონისძიების განხორციელება შესაძლებელი შეიქნა.

ფულადი სახსრების გაჩენისთანავე, ქალაქის თავის – ლუკა ასათიანის თაგმჯდომარეობით დაარსდა საზოგადოებრივი მმართველობის განმკარგულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: დ. აბდუშელიშვილი, ვ. აბულაძე, კ. ბაქრაძე, დ. გაბაევი, ა. დადიანი, ე. კავოსი, ი. ქვარიანი, კ. ლორთქიფანიძე, ერ. ლუკაშვილი, ი. მესხი, მ. რიუინაშვილი, გ. სელიტ-რენიკოვი, პ. თუმანოვი, პ. წულუკიძე¹.

ნიმუშად თბილისის 1876 წლის 25 მარტს ჩატარებული აღწერა გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღწერა ორგანიზებულად ჩატარდა, რასაც ქალაქის თვითმმართველობას და ქალაქის თავ ლუკა ასათიანს უნდა ვუმადლოდეთ. ქუთაისი გაყვეს ოც უბნად, აქედან 1-13 რიონის მარცხნა მხარეს, ხოლო 13-20 მარჯვენა მხარეს მდებარეობდა².

აღწერაში, ქალაქის თვითმმართველობის წევრებს გარდა, ინტელიგენციისა და ვაჭრების წარმომადგენლებიც იყენენ ჩართულნი, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სათანადო ინსტრუქციით, მითითებით, მათი გათვითცნობიერებისა და აღწერისთვის მოსამზადებლად კომიტეტს 2-3 სარეპეტიციო სხდომაც ჩაუტარებია.

აღწერის არც ჩატარება, არც მოპოვებული ცნობების დამუშავება გახლდათ იოლი საქმე, აღწერილი მასალის მიხედვით, შესაბამისი ტაბულის შედგენა გამგეობის წევრი ი. მესხსა და ქალაქის მდივან მ. კანდელაკს აუღიათ თავიანთ თავზე და 1886 წლის 23 აპრილისთვის გაუსრულებიათ კიდევ³.

¹ Кутаись по однодневном переписи, Кутаиси, 1887, стр. 3

² იქვე

³ იქვე

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ო. მესხისა და მ. კანდელაკის წყალბით ქუთაისის ერთდღიანი აღწერა ყველა ქალაქის აღწერაზე იაფი დაჯდა. სულ ამ საქმისთვის 806 მანეთი და 49 კაპიკი დაიხარჯა. აქედან ფურცლებისა და ბლანკებისათვის 16 მან. და 99 კაპ. აღწერის დღეს მთვლელთა და დამკვირვებელთა, მგზავრობისა და სხვა საჭიროებებისთვის დაიხარჯა 115 მანეთი და 50 კაპ. მესხმა 300 და კანდელაკმა 230 მანეთი მიიღეს ჰონორარად.

ინტერესმოკლებული არ იქნება, ვიცოდეთ, რომელ წელს რა თანხით დაფინანსდა ეს მართლაც საშვილიშვილო საქმე. 1884 წელს გამოიყო 300 მანეთი, აქედან დაიხარჯა 113 მანეთი და 49 კაპიკი, 1885 წელს – 213 მანეთი და 90 კაპიკი, დაიხარჯა 233, 1886 წელს – 300 მანეთი გამოყვეს, დაიხარჯა 460. სულ სამივე წელს 813 მანეთი და 90 კაპიკი იქნა გამოყოფილი, ხოლო დაიხარჯა 806 მანეთი და 49 კაპიკი¹.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1885 წლის ერთდღიანი აღწერა საკმაოდ ორგანიზებული გახლდათ, მასში თითქმის ყველა ასე თუ ისე განათლებული ადამიანი მონაწილეობდა. საქმეც საკმაო წარმატებით გასრულდა და მოპოვებული მასალებიც შესაფერის დონეზე დამუშავდა და დახარისხდა.

1885 წლის 10 აპრილისთვის ქუთაისის დასახლებული და დაუსახლებელი მიწის ფართობი შეადგენდა 781 დესეტინასა და 600 კვ. საუენს ანუ 1. 875 000 კვ. საუენს. აქედან დასახლებული გახლდათ 727 დესეტინა და 150 კვ. საუენი ანუ 1. 744. 950 კვ. საუენი, დაუსახლებელი კი 54 დესეტინა და 45 კვ. საუენი ანუ 130. 050 კვ. საუენი.

¹ იქვე

დასახლებული მიწა ასეთნაირად ნაწილდებოდა – ნაგებობებზე, ეზოებსა და ბაღებზე მოდიოდა 1. 666, 35 კვ. საჟენი, ანუ 88%. ქუჩებსა და შესახვევებზე 76. 000 კვ. საჟენი, ანუ 4%, მოედნებზე – 1400 კვ. საჟენი, ანუ 0,08%, სასაფლაოებზე 1200 კვ. საჟენი, ანუ 0,6%. ყოველივე, როგორც მოგახსენეთ, შეადგენდა 1. 744. 950 კვ. საჟენს.

დასახლებული მიწები როგორც დავინახეთ, ძირითადად ეზოებსა და ნაგებობებს ეკავა. მცირებზე მცირე გახლდათ მოედნების ხვედრითი წილი, ასევე შეიძლება ითქვას ქუჩებსა, შესახვევებსა და სასაფლაოებზე, რაც ქალაქის ნაკლებ განვითარების მაჩვენებელია. საქალაქო ცხოვრების ტემპის დუნე და მდორე მდინარებას აჩვენებს ისიც, რომ მოედნებისა და სასაფლაოსთვის განკუთვნილი მიწის ფართობი დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ქალაქის დაუსახლებელ ნაწილს, რომელიც 130.050 კვ. საჟენს შეადგენდა, ძირითადად მდინარე რიონი, კუნძულები, მდინარის მიმდებარე დაბლობები და სანაპიროზე არსებული დაუსახლებელი ადგილები შეადგენდა.

იმდროინდელ ქუთაისში 18 ვერსი ქუჩებისა მოკირწყლული, ხოლო 20 ვერსი მოუკირწყლავი გახლდათ. ესეც საქალაქო ცხოვრების ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, ქუჩა მოუკირწყლავად ქუჩაც არაა, იმდროინდელ ქალაქში მოუკირწყლავი აჭარბებდა მოკირწყლულს.

ქალაქის დასახლებულ ფართობზე, ანუ 1.6663 კვ. საჟენზე ცხოვრობდა 23. 644 სული ანუ ერთ სულზე მოდიოდა 7,04 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი. ესეც ცოტაზე ცოტა გახლდათ, სხვა ქალაქებში ეს რიცხვი ხშირად ორ ათეულ-საც აღწევდა.

იმდროინდელ ქუთაისში რიონის მარცხენა მხარეს ცხოვრობდა 12. 605 სული, აქედან 7. 868 მამაკაცი, ხოლო 2.

685 ქალი გახლდათ. ქალაქის მთიან ნაწილში იმ დროისთვის 1948 სული ცხოვრობდა. მათგან 1282 მამაკაცი, ხოლო 665 ქალი გახლდათ. ტრადიციულად ქალაქის მარცხენა ნაწილი გახლდათ განვითარებული, რაც მოსახლეობისგან მის ათვისებასაც გულისხმობდა.

საერთოდ, რუსეთის ანექსიის შემდეგ (1810) ქუთაისის მოსახლეობა დიდად არ გაზრდილა. მართალია, საგუბერნიო ქალაქად გადაქცევის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ ზრდა მხოლოდ მექანიკური მატების ხარჯზე ხდებოდა¹.

აღწერის პუბლიკაციაში ისიც იყო ნაჩვენები, მიწის რა რაოდენობა შედიოდა ქალაქის გამგებლობაში, ეს მაჩვენებელი ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიუწოდებია, საიდანაც ვგებულობთ, რომ იმ დროისთვის ქალაქის საკუთრებაში შედიოდა 335 დესეტინა და 436 კვ. საუკინე სახელმწიფო მიწა, რომელიც წელიწადში იძლეოდა სალალო გადასახადს 2171 მანეთსა და 85 კაპიკს, ანუ 6 მანეთზე ცოტა მეტს დესეტინიდან.

იმდროინდელ ქუთაისში 144 ქწა ყოფილა, რომელთაგან ოცდათვრამეტს რქმევა სახელი. აღწერაში რუსული ანბანის რიგის მიხედვითაა დალაგებული სახელიანი ქუჩები, რომლებიც პროფესიონალი მიხეილ ნიკოლევიშვილი რუსულიდან ქართულად თარგმნა. მოკლედ, იმდროინდელი სახელიანი ქუჩები ქართული ანბანის რიგით ასე გამოიყურებოდა: აგურის, აგურის (ძველი), ალექსანდრეს, აფთიაქის, აფხაზეთის, ბაღის, ბაღის (ახალი), ბაღახვნის, ბანოჯის, ბახტურიძის, ბაგრატის, ბაზრის, გაგარინის, გარნიზონის, გარეუბნის (მეორე), გარეუბნის (მესამე), გეგუთის, გელათის, გელათის (ძველი).

¹ ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ქუთ., 2013, გვ. 369-370

ლი), გენერლის, გერმანელთა, გიმნაზიის, გოჭოურის, გუმა-
თის, გაუვალი ქუჩა, ებრაელთა, ვორონცოვის, თევზის, თბი-
ლისის, ივანოვის, იურჩენკოს, ინჟინრის, ინგლისის, კარლო-
ვის, კათოლიკეთა, კახნიაურის, ლავირის, ლეჩხუმის, მაღლა-
კის, მესხეთის, მისასვლელი ქუჩა, მიხეილის, მოწამეთის,
მოწამეთის (ძველი) მთისძირის, მრუდე ქუჩა (დიდი), მურვა-
ნოვის, მწვანეყვავილას, ორპირის (ძველი), ოფიცრის, ოღას-
კურის, პეტრებავლეს, პოლიციის, რიონის, საყასბოს, სას-
როლეთის, საფიჩხიის, სატვირთო ქუჩა, სომხეთის, ტყიბუ-
ლის, ფოსტის, ქარვასლის, ქვარიანის, ქვიტირის, ყაზარმის,
წყალსაწევის, წისქვილის, წვიმსარიდის, წყალწითელას, ხე-
ლოუფლიშვილის, ხონის, ჰოსპიტლის (პირველი), ჰოსპიტ-
ლის (მეორე).

მიხეილ ნიკოლეიშვილს ამ ჩამონათვალში გამორჩენია
არქიელის ქუჩა და სლაბოდკის მეორე და მესამე ქუჩები.

როგორც ვხედავთ, ქუთაისში ქუჩებისთვის სახელის
დასარმევად თითქმის ყველა ცნობილი ხერხი იყო გამოყენე-
ბული. უპირველეს, ქუჩები სახელიწოდებოდნენ იმის მიხედ-
ვით, თუ საით მიემართებოდნენ, მაგ. ორპირის – ორპირი-
სკენ, ლეჩხუმის – ლეჩხუმისკენ მიემართებოდა და ა. შ.
ასეთ ქუჩათა რაოდენობა, ბუნებრივია, მეტი იყო. იყო ქუჩები,
რომლებიც სახელს ატარებდნენ იმის მიხედვით, თუ რა შე-
ნობა მდებარეობდა იმ ადგილას, მაგ. ჰოლიცის, ფოსტის და
სხვები. იყო აგრეთვე, სახელის დარქმევის ის შემთხვევაც,
თუ რა საქონელი იყიდებოდა იმ ადგილას, თევზის ქუჩაზე
თევზი, მაგრამ უფრო ხშირად, გასასვლელების მერე, იქ
მცხოვრები ეროვნების მიხედვით ასახელებდნენ ქუჩებს –
გერმანელთა, ებრაელთა, სომხების და ა. შ. იყო, აგრეთვე,
პიროვნების სახელის მატარებელი ქუჩებიც – ივანოვის, ბახ-
ტურიძის, კარლოვის და სხვ. იყო უცნაურსახელიანი ქუჩე-

ბიც – მრუდე ქუჩა, გაუვალი ქუჩა, წვიმსარიდის ქუჩა. წვიმსარიდი არა გვგონია, სწორი თარგმანი იყოს, რუსულად Сливная – ქართულად უფრო სანიაღვრეს ნიშნავს ან წყალსარიდის, წვიმის არიდება ისედაც შეუძლებელია. ამიტომ უფრო სანიაღვრე გვგონია სწორი თარგმანი.

აქვე იმასაც გავიმეორებთ, რომ 144 ქუჩიდან 106-ს სახელი არ ერქვა, ან ისეთი ან ასეთი. ესეც საქალაქო ცხოვრების ნაკლებ განვითარების მაჩვენებელია.

გადავიდეთ შესახვევებზე. იმდროინდელ ქუთაისში ყოფილა აგენტის, აბულაძის, ბაზრის, ბალახვნის, ბაღის, ბანოჯის, გაგარინის, გიმნაზიის, გეგუთის, გელათის, გიორგის, გიმნაზიის, გოჭოყრის, გუბერნატორის, ებრაელთა (ახალი), თათრის, თბილისის, თხელაძის, ინგლისის, ირიბი შესახვევი, კათოლიკეთა, კახიანისეულის, კლუბის, ლაგირის, მდინარის, მთისძირის, მოწამეთის, ნაცვალოვის, ორპირის (ძველი), საჯაბადროს, სასაფლაოს, საყისძოს, სანაპიროს, საკარეტოს, პეტრე-აკვლეს, პოლიციის, ტეხილი შესახვევი, ტელეგრაფის, ტყიბულ-მოწამეთის, ციცაბოს, ქვილიშორის, ქვის, ტალახიანი შესახვევი, ღოღობერიძის, ციხის, წყალსაზიდისა და წყაროს შესახვევი.

შესახვევებზეც იგივეს თქმა შეიძლება, რაც ქუჩებზე.

იმდროინდელ ქუთაისში – არქიელის, წყალსაზიდის, ზექუდას, აგურის, ფერმისა და ჩარკვიანის აღმართები ყოფილა.

სულ სამი მოედანი არსებობდა ქალაქში – მწვანე, კათოლიკეთა და ტაძრის. სამივეს რა ფართობი ეკავა, ზემოთ აღვნიშნეთ.

დაღმართიც სამი ყოფილა – წყალსაზიდის, გასასვლელისა და სასაფლაოს.

მათ სახელწოდებათა წარმომავლობასა და მათში ქალაქის იერსახის არეკვლასთან დაკავშირებით სამართლიანად წერდა პროფესორი მიხეილ ნიკოლეიშვილი:

“ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებათა აბსოლუტური უმრავლესობა მჭიდროდ უკავშირდება ქალაქის სამეურნეო და სამოქალაქო ცხოვრებას. თითოეული მათგანი ადგილობრივ კონკრეტულ ნიადაგზეა აღმოცენებული და ამიტომაც საჭირო იქნებოდა არმარტო ზოგიერთი მათგანის დაცვა, არამედ შესაძლებლობის მიხედვით აღდგენაც კი”¹.

რასაკვირველია, არც მათ აღდგენასა და არც დაცვაზე უზრუნვის ვინძეს, ქუთაისი, როგორც საქართველოს ქალაქთა უმეტესობა, ვითარდებოდა წარსულის გაუთვალისწინებლად, იმის გაუაზრებლად, რა ცოდნა, გამოცდილება დაგროვილა წინა თაობებში. ამიტომაცაა, 1885 წლის ერთდღიან აღწერას დღიდი მნიშვნელობა რომ გააჩნია, ქუთაისის საქალაქო ცხოვრების ყველა სფეროს გაგებისა და შესწავლისათვის.

დამოწმებანი:

1. Кутаисъ по однодневном переписи, 10 апреля 1885 г. Кутаисъ, типография В. Зедгинидзе и П. Ферадзе, 1887.
2. მიხეილ ნიკოლეიშვილი, ასი წლის წინათ, გაზეთი „ქუთაისი“, 1985.
3. გოდერძი ვაჭრიძე, დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთ., 2006.
4. ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ქუთ., 2013.

¹ მიხეილ ნიკოლეიშვილის დასახელებული სტატია.

Eldar Tavberidze

Akaki Tsereteli State University

**ABOUT SOME ASPECTS OF THE ONE-DAY CENSUS
OF 1885 IN KUTAISI
RESUME**

The one-day census on April 10, 1885 in Kutaisi (the military governor of Kutaisi A.Smekalovi and the head of the city Luka Asatiani printed it in Zedgenidze and Peradze's press in 1887) has not been regarded as a subject of special scientific research, unless we consider Professor Michael Nikoleishvili's newspaper article "Kutaisi a hundred years ago." He also defined the importance of the census for the studying of the history of the city and added that we find some interesting information about the development of the city, population and communal situation too. This census also gives us especially important information about trade and industrial activities. According to these materials it becomes possible to understand the exact number of trade, industrial and workshop enterprises, their faces and the number of people employed there. In short, we can add that the census often gives us only one information about the urban life related to any field, which gives us a chance to know more about Kutaisi as a town, its life and existance.

The topic reviews the general part of the one-day census and first chapter- the distribution of the city area and urban lands. It also shows how important was the census of the urban life after the establishment of the city self-government (1875), without which the function of the city self-government, care for the correction of the existance and the set future orientations would be impossible.

ლელა თოვოშვილი გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ საქართველოში
გატარებული საეკლესიო პოლიტიკის შესწავლისათვის
(XIX საუკუნე)**

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის პარმონიული ურთიერთობები მე-19 ს-ის დასაწყისში დაირღვა რუსეთის მიერ ჯერ სახელმწიფოებრიობისა და, შემდეგ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შედეგად. რუსეთის სახელმწიფომ თავისი ეკლესიის გამოყენებით მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული პოლიტიკურ-რელიგიური ცნობიერება.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოზე იყო დაქვემდებარებული და მის დანამატად იყო ქცეული. ეკლესია რუსეთის იმპერიული პოლიტიკის განხორციელების მთავარ იარაღს წარმოადგენდა. ეს ყველაზე კარგად გამოჩნდა საქართველოსთან დამოკიდებულებაში. რუსეთის იმპერიამ უდიდესი დაღი დაასგა ქართულ პოლიტიკურ და რელიგიურ აზროვნებას. რუსულ სივრცეში გაერთიანებით საქართველო მოვარდა თავისი გეოპოლიტიკური და ისტორიული ადგილიდან; მისთვის უცხო სივრცის შემადგენელი ნაწილი გახდა. მართალია, ეს სივრცე მართლმადიდებლური იყო, მაგრამ არა ქართული, არამედ უკვე ცარისტულ რუსეთზე დამოკიდებული მართლმადიდებლური¹. რუსეთის მართლმადიდე-

¹ ა. აბზიანიძე, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, თბ., 2006; გვ. 82.

ბელი ეკლესია რუსული სახელმწიფოს მისწრაფების ისე-თივე მსხვერპლი იყო, როგორც საქართველოს სახელმწიფო და ეკლესია. რუსეთი, რომელიც გახდა ე. წ. „მესამე რომი“, მართლმადიდებლობის სახელით ეწეოდა ერთმორწმუნე მართლმადიდებლური სახელმწიფოების ექსპანსიას, ცდილობდა მათ ასიმილაციას ან უბრალოდ მორჩილებას მაინც.

1801 წელს პავლე I-ის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. გატარდა რეფორმა, დამყარდა რუსული მმართველობა. მეფემ ითხოვა ფიცის დადება: „სამღვდელოებამ, როგორც სულის მწერებისმა, პირველმა უნდა აჩვენოს მაგალითო“¹. ეპლესიაც ასე მოიქცა. ამის სანაცვლოდ იმპერატორმა შემდეგი ღონისძიებები გაატარა: 1811 წელს მთავარმართებელმა ტორმასოვმა საქართველოს პატრიარქი რუსეთში გაიწვია, ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმა, ხოლო კათალიკოსის ადგილას ეგზარქისი დანიშნა. ეს იყო საერო ხელისუფლების იმპერიული აქტით ჩადენილი ძალადობა, რომლითაც იგნორირებულ იქნა მეორე, მესამე და მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებების საკანონმდებლო მუხლები, რომელთა არსი ერთია: „კანონი უკრძალავს ეპისკოპოსს სხვა რომელიმე ეკლესიის ფარგლებში შესვლას და მის დამორჩილებას, რომელიც არ შედის მის იურისდიქციაში“².

ქართულ ეკლესიას ისტორიულად ათობით საეპისკოპოსო ანუ ეპარქია ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. მესხეთის 14 საეპისკოპოსო ოსმალო დამპყრობლებმა მოსპეს. მუსლიმებისაგან გადარჩენილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების უმე-

¹ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დოკუმენტები, თბ., 1949; გვ. 45.

² ა. აბზიანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 84.

ტესი ნაწილი რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა. მათ ქართული ეკლესიის გავლენის შესუსტება სურდათ ქართველ ქრისტიანთა შორის, ამასთანავე ეკონომიკური ინტერესებიც ამოძრავებდათ. შემდგომში ავტოკეფალისტები აღნიშნავდნენ, რომ საეპისკოპოსოთა მოსპობით დაცა ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა შორის. ქართველმა სასულიერო მამებმა კარგად იცოდნენ, რომ საეპისკოპოსოების გაუქმება ქრისტიანობას მნიშვნელოვნად დააზარალებდა. ეს კარგად ჩანს მე-18 ს-ის ერთი სიგელიდან, რომელიც მცხეთიდან საათაბაგოში გაუგზავნიათ: „რა რომ საათაბაგო სჯულზე მიდრკა და ეპისკოპოსნი მოიშალნენ, მას აქეთ თქვენს ქვეყანაში ეპისკოპოსი აღარ შემოსულა და რომელ ადგილშიც ეპისკოპოსი არ შევა და იმისი მადლი და კურთხევა არ მივა, ან მისი მამამთავარი და მოძღვარი არ ასწავლის და არ ჰმწესის, ის ქვეყანა და იქ მახლობელნი ქრისტიანნი არ იქნებიან და არც მართლმადიდებლობაში აღირიცხებიან“¹. აშკარაა, რომ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში საეპისკოპოსოების გაუქმებით ქრისტიანები მოაკლდნენ ეპისკოპოსის მიერ გაცემულ საღმრთო მადლსა და კურთხევას. გარდა ამისა, „25 სამღვდელმთავრო კათედრის დახურვამ ეპისკოპოსებს წაართვა სამღვდელოებაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის საშუალება“: მეორე მხრივ, იმ ეპარქიებშიც კი, რომლებიც არსებობდა, ეპისკოპოსის ხელმძღვანელობა ეგზარქოსს იმდენად შეუზღუდავს, რომ ეპისკოპოსს არ ჰქონდა საშუალება რეალურად ეხელმძღვანელა სამღვდელოებისათვის. წაქეზებული მღვდლები ეპისკოპოსს აღარ ემორჩილებოდნენ და ამიტომაც მრევლზე ნაკლებად ზრუნავდნენ. რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებას სურდა თბილისიდან, ეპარ-

¹ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, 1999; გვ. 193.

ქიების მონაწილეობის გარეშე, ემართა მთელი ეკლესია, რა-
მაც სავალალო შედეგი გამოიღო.

ქართველობა სარწმუნოების გადარჩენისათვის გამუდმე-
ბით ითხოვდა გაუქმებული ეპარქიების აღდგენას, კერძოდ,
ითხოვდნენ ურბნისის, ალავერდის, ბოლტისა და სხვა გაუქმე-
ბული კათედრების აღდგენას. 1841 წელს ეგზარქოს ევგენის
მიმართეს თხოვნით: „გურიაში მღვდელმთავართა კათედრის
დახურვის შემდეგ რელიგიურობამ დაქვეითება იწყო. გურუ-
ლები, მცხოვრები მაპმადიანური თურქეთის საზღვარზე, სა-
ჭიროებენ მღვდელმთავრის მიერ დამოძღვრას“¹. კათედრა
აღადგინეს, მაგრამ 1885 წელს ეგზარქოსმა პავლემ გურიაში
დახურა ჯუმათის, ხოლო სამეგრელოში ჭყონდიდის კათედ-
რები. 1821 წელს იმერეთის ოთხი ეპარქიის გაერთიანებით
შეიქმნა მხოლოდ ერთი; სამეგრელოს სამი (ჭყონდიდის, ცა-
გერის და ცაიშის) გაერთიანებით შეიქმნა ერთი – სამეგრე-
ლოს ეპარქია (1829 წლიდან). 1833 წელს გურიის ერთად-
ერთი ჯუმათის ეპარქია შეუერთეს იმერეთის ეპარქიას, აღა-
დგინეს 1844 წელს (ცენტრი ჯუმათში), მაგრამ 1885 წელს
შეუერთეს სამეგრელოს ეპარქიას. 1851 წელს აღადგინეს აფ-
ხაზეთის ეპარქია, 1889 წელს შეუერთეს იმერეთისას, 1885
წელს კვლავ აღადგინეს (ცენტრი სოხუმში). ჩრდილო ოსე-
თი 1811 წლამდე შედიოდა წილების საეპისკოპოსოში, 1870
წლიდან შეუერთეს მოზდოკის ეპარქიას. 1875 წელს შეიქმნა
ვლადიკავკაზის საეპისკოპოსო, რომელიც შედიოდა საქართ-
ველოს საეგზარქოსოში 1885 წლამდე ².

საეგზარქოსოს პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, იწვევდა
მრევლის სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს, უკარგავდა ქარ-

¹ იქვე, გვ. 194.

² იქვე, გვ. 194.

თულ ეკლესიას ეროვნულ სახეს. ხალხს განსაკუთრებით აღაშფოთებდა ქართული ენის ნაწილობრივი აკრძალვა ეკლესიებსა და სასწავლებლებში. სასულიერო სემინარიები საქართველოში მე-19 ს-მდეც არსებობდა. ისინი ხელისუფლებამ გააუქმა. თელავის სემინარიის უკანასკნელი რექტორი დავითი წერდა: „მას უამსა რუსნი მოვიდეს და სკოლა შეურაცხყვეს და სადაც სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირად-პირადი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალი ბოროტი მოაწიეს ჩემ ზედა“¹. მე-19 ს-ში დაარსდა მრავალი, მათ შორის სასულიერო სასწავლებელი, მაგრამ ესენი უკვე არა ქართულენოვანი, არამედ რუსულენოვანი იყო. კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს თქმით, ეს გარემოება იწვევდა მომავალი სამღვდელოების გაუნათლებლობას (ენის უცოდინარობის გამო საგნებს ვერ სწავლობდნენ): „გაუნათლებელ, თუმცა კი სემინარია დამთავრებულ ქართველ მღვდლებს არ შეეძლოთ გაენათლებინათ თავიანთი მრევლი“. თანდათანობით სემინარია დამთავრებული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი გაუუცხოვდა ქართულს, დაეწაფენ რუსულ და ევროპულ იდეებს (სოციალიზმის, ათეიზმის, ანარქიზმის) და სხვა მიმდინარეობებს².

გატარდა საეკლესიო რეფორმა. 1815 წელს დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა³. ახალი საეკლესიო რეფომის მიხედვით ეკლესიის მამულები სახაზინო მართვა-გამგებლობაში გადავიდოდა, სასულიერო პირებს კი ჯამაგირი დაენიშნებოდათ, მე-19 ს-ში „დაიხურა 15 მონას-

¹ მ. დარჩა, გაიოზ რექტორი, თბ., 1972; გვ. 19.

² მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, 1999; გვ. 193.

³ მ. ხუციშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ღონისძიებანი რევოლუციის პერიოდში, თბ., 1972; გვ. 3.

ტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. რუსეთის ხაზინაში ქართული ეკლესის 150 მღნ მანეთის ღირებულების ქონება მიითვისა, საიდანაც ჯამაგირის სახით ეკლესიას ყოველწლიურად 700 ათასი მანეთი გამოუყო, აქედან 150 ათასი მანეთი რუსულ და ბერძნულ ეკლესიებს ხმარდებოდა¹. ნ. დურნოვის აზრით, რუსეთის ხაზინას ქართული ეკლესიისათვის ჩამოურთმევია 323 ათასი დესეტინა მიწა². ეს გადაანგარიშებით შეადგენს 460 ათას ჰა-მდე მიწას. ეკლესიებიდან და მონასტრებიდან დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები უძვირფასესი ქონება, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული სასულიერო ნივთები. ასეთ ვითარებაში არაა გასაკვირი ქართველი სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა საქართველოს გასათავისუფლებლად მოწყობილ აჯანყებებში 1804, 1812 და სხვა წლებში. აღნიშნული ღონისძიებების შედეგი იყო 1819-1820 წლებში დიდი აჯანყება დასავლეთ საქართველოში, რომელიც მეფის მთავრობაში სასტიკად ჩაახშო³. 1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი უდიდესი წარმართველი იყო არქიმანდრიტი ფილადელფოს კიკნაძე, „კახეთის შეთქმულთა საზოგადოების ორგანიზატორი და სულის-ჩამდგმელი, რომელმაც რელიგიურ კონცეფციამდე აიყვანა შეთქმულების საქმე“⁴. მის მიერ საიდუმლო ანბანის გამოყენებით შედგენილი „აქტი გონიური“ აჯანყების წესდებას წარ-

¹ ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოს 1900-1917 წლებში, თბ., 1995; გვ. 23.

² ნ. დურნოვი, ქართული ეკლესიის ბედი, ჟ. „განთიადი“, 1990, №10;

³ ა. აბზიანიძე, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, თბ., 2006; გვ. 84.

⁴ გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; გვ. 69.

მოადგენდა. მას რუსული გამოძიება საგანგებო მნიშვნელობის მეტად მავნე დანიშნულების დოკუმენტს უწოდებდა. „აქტი გონიურის“ შედგენაში, თავის დროზე, მონაწილეობა მიუღია სასულიერო მოღვაწეს იოანე ხელაშვილს¹.

1860-იანი წლებიდან თბილისის სასულიერო სემინარი-აში აიკრძალა ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის სწავლება. ასეთი ღონისძიებები გატარდა სხვა სასულიერო სასწავლებლებშიც². საეგზარქოსომ საქართველოს საეკლესიო ცხოვრება რუსულ ეკლესიურ წესებზე გადაიყვანა. რუსეთის უწმინდესი სინოდი ხელმძღვანელობდა ბიზანტიზმის თვალსაზრისიდან გამომდინარე დებულებით: „იმპერატორი არის თავი ეკლესიისა“. დიდი რუსეთის ეკლესიის თავი კი ვერ მოერგო პატარა საქართველოს ეკლესიის სხეულს. მან მოაშორა საქართველოს სულის ხელმწიფე, ჩაუკეტა ტვირთმმიეთა და მაშვრალთა ნავსაყუდელი და წმინდა ნინოს ეკლესია გადააქცია „მართლმადიდებელი აღსარების უწყების“ განყოფილებად. ჩვენი ენის, ზნე-ჩვეულებების და წარსულის არმცოდნე სინოდის ეგზარქოსები საქართველოს ეკლესიას მართავდნენ „ბრძანებით და მისი უდიდებულესობით და არა სჯულის კანონისა და საქართველოს ეკლესიის კრებათა ხელმძღვანელობით“³. სინოდის მოხელეებმა მტკვარში გადაყარეს ყველა კანონი და დადგენილება საქართველოს ეკლესიის შესახებ. დაწვეს უმაღლესი საეკლესიო დოკუმენტაცია, საეკლესიო მამულები ხაზინას გადასცეს. ევსევის ეგ-

¹ ოქვე, გვ. 71.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970; გვ. 654.

³ ი. გიორგელიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღგილი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქუთაისი, 1992; გვ. 140.

ზარქოსობის დროს საქართველოს ეკლესიას 2 მლნ ქონება დაეკარგა. იმავე პერიოდში (1860 წელს) გაიძარცვა გელათის, სიონის, მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის, იოანე ნათლისმცემლის, ქუთაისის, შემოქმედისა და სხვა ეკლესია-მონასტრები¹.

მე-19 ს-ის 60-იანი წლების რეაქცია ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და გამოიწვია მთელი მისი პროგრესულ-განმათავისუფლებელი ძალების და საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა. დევნას განიცდიდა ქართული სკოლა, ქართული ეკლესია. 1881 წელს ეგზარქოსად დაინიშნა პავლე, რომელიც რუსული შოვინიზმისა და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ერთგული გამტარებელი გამოდგა. ამის შესახებ 1883 წელს იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ახალმა ეგზარქოსმა ისე ცხადად გამოავლინა თავისი ტომობრივი განკერძოება... და მოგვცა ქართველთა ელემენტარული უფლებების მიმართ უპატივცემულობის იმდენი აშკარა საბუთი, რომ გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა“². პავლემ ქართული ეკლესიის გარუსების მიზნით თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება; სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვა ქართველი მასწავლებლები და რუსებით ჩაანაცვლა ისინი. თბილისის, თელავისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებიც დაითხოვეს და რუსებით ჩაანაცვლეს. „სხვა ზედამხედველების მდგომარეობაც შერყყეულა და ყველაფერი მზადდება მათ დასათხოვნად“, - წერდა იაკობი³.

¹ ა. აბზიანიძე, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, თბ., 2006; გვ. 85.

² ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I, თბ., 1955. გვ. 455.

³ იქვე, გვ. 456.

თბილისის სემინარიაში 16 დამრიგებლიდან მხოლოდ 2 ქართველი დარჩა და „მათაც ითმენდნენ გამონაკლისის სახით და პირობით - იყვნენ წყალზე ჩუმი, ბალახზე დაბალი, უტყვი მოწამენი ყოველივე ქართულის უგულებელყოფისა“¹.

ქართულ ეკლესიას რეაქციონერთა თავდასხმისაგან იცავდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნიც ქრისტიანობის, ქართული ენისა და კულტურის გადარჩენის მიზნით. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა ეკლესიასა და საეკლესიო სკოლებში ქართული ენის აღდგენას, ქართული ენის კათედრის დაარსებას, რომელიც უზრუნველყოფდა ქართული გრამატიკის, სასულიერო და საერო ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის შესწავლას სათანადო დონეზე. თერგდალეულები რეაქციის წლებში კიდევ უფრო მეტად აღვივებდნენ მამულიშვილურ გრძნობებს, სამშობლოს სიყვარულს. მათი აზრით, „სამშობლოს სიყვარული მეტად სათუთი გრძნობაა და „მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება“. ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანს ბუნებითვე თან დაჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა არაა საჭირო“².

საქართველოში რუსული საერო და სასულიერო მმართველობის კოლონიზატორულ-ასიმილატორული მიზნებისა და საქმიანობის საფუძვლიანი მცოდნე რუსი მკვლევარი ნ. დურნოვი თავის ნაშრომში „ქართული ეკლესის ბედი“ ამხელს ცარიზმის პოლიტიკის ვერაგულ ზრახვებს და მიუთითებს: „ერთი რამ არ დაგავიწყდეთ, საქართველო ლვოთისმშობლის წილხვედრია, რომ ამ ქრისტიანულ და მრავალტანჯულ ეკ-

¹ ოქვე, გვ. 456.

² ოქვე, გვ. 370.

ლესიას დიდი დამცველი ჰყავს მსოფლიო ქრისტიანობის სახით, ჰყავს წმინდა წამებულთა და ღვთის წინაშე აღმსარებელთა დიდი გუნდი და როგორი მზაკვრობაც არ უნდა ჩავიფიქროთ რუსი ეგზარქოსებისა და სასულიერო უწყების მიერ გაძარცული ეკლესიის მიმართ, ჩვენ ვერ შევძლებთ მის დათრგუნვას“¹.

ეს მცირე ჩამონათვალია იმ პოლიტიკური ღონისძიებებისა, რასაც რუსეთის სახელმწიფო რუსეთის ეკლესიის წელით ახორციელებდა საქართველოს ეკლესიაში მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობის გასანადგურებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს ეგზარქოსების მოღვაწეობის შედეგები. მაგალითად, თეოფილაქტე რუსანოვს (1817-1821) გაუხსნა სასულიერო სასწავლებლები თბილისში, გორში, თელავსა და სიღნაღმი, სადაც მოსწავლეებს მშობლიურ ენასაც ასწავლიდნენ. საქართველოს მეორე რუს ეგზარქოსს იოანე ვასილევსკის (1821-1832) გაუხსნა სასწავლებლები ვლადიკავკაზია და ალაგირში. ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი (1832-1834) ყოფილა მეტად განათლებული პიროვნება; ეგზარქოს ევგენი ბაჟანოვს (1834-1844) შეუძენია ახალი შენობა თბილისის სასულიერო სემინარიისათვის, შეუკეთებია სვეტიცხოველი გარედან, რაზეც 30 ათასი მანეთი დაუხარჯავს. ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი (1844-1858) ჭკვიანი და დინჯი პიროვნება ყოფილა. მას სურდა ქართული ეკლესიების მოწესრიგება. ფრესკები ჩამოცვენილი და გახუნებული იყო, ამიტომ უბრძანებია კირით შეეღებათ ეკლესიები, რამაც გაანადგურა ქართული ფერწერა. ეგზარქოსი ევსევი ილინსკი (1858-1877) ხელს უწყობდა სასულიერო სასწავლებლების

¹ ი. გიორგელიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქუთაისი, 1992 გვ. 142.

კეთილმოწყობას, მაგრამ მის დროს ეკლესიებიდან დაკარგულა 2 მლნ მანეთის საეკლესიო განძი¹. ეგზარქოს იოანიკე რუდნევის (1877-1882) დროს დაარსებულა სანთლის ქარხანა, ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. სასწავლებლებში დაარსდა ქართული საეკლესიო ენის კათედრა.

ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) დროს სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი. მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, როგორც ამბობდნენ, ეგზარქოსს დაუწყევლია მკვლელის „წარმომშობი ხალხი“. აღშფოთებული ქართველების აზრი გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა. მან მოუწოდა ეგზარქოსს, თუ მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა, მაშინ „შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებული ქვეწიდან“. დიმიტრი ყიფიანი ამისათვის დასაჯეს გადასახლებით, სადაც 1887 წელს მოკლეს. ეგზარქოსი პალადი რაევი (1887-1892) დიპლომატი, ლოიალური ადამიანი ყოფილა, ცდილობდა ქართულ ოჯახებთან დაახლოებას. ეგზარქოსი ვლადიმირ ბოგოიავლენსკი (1892-1898) შეცვალა ფლავიანე გოროდეცკიმ (1898-1901). მას შემდეგ, ყოველ ერთ-ორ წელიწადში, ვიდრე 1915 წლამდე, შეიცვალა 6 ეგზარქოსი. საქართველოს უკანასკნელი ეგზარქოსი იყო პლატონ როჭდესტვენსკი (1915-1917).

რუსეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოში გატარებული საეკლესიო პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მე-19 ს-ში საქართველოში არათუ გაძლიერდა მართლმადიდებლობა, არამედ პირიქით, განელდა ქართველთა სარწმუნოება. კერძო პირების მიერ მოწოდებული ცნობებიდან და ოფიციალური ანგარიშებიდანაც კი ჩანს, რომ ქართველები აღარ დადიოდ-

¹ გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; გვ. 47.

ნენ ეკლესიებში ისე, როგორც ძველად; ნაკლებად ამბობდნენ აღსარებას; არ ეზიარებოდნენ. ქვეყანა დაადგა ზნეობრივი გა-დაგვარების გზას. მე-19 ს-ის 80-იანი წლებიდან დაიწყო ეკ-ლესიების ძარცვა ყაჩაღთა ჯგუფების მიერ. ამის მიზეზად მიიჩნიეს ის, რომ რუსეთის წმიდა სინოდმა ვერ შეძლო ქარ-თველი ერის სარწმუნოებრივი პატრონობა. წარმოიშვა იდეა, რომ მხოლოდ ეროვნული ეკლესის აღდგენით იქნებოდა შე-საძლებელი მდგომარეობის გამოსწორება¹.

დამოწმებანი:

1. ა. აბზიანიძე, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, თბ., 2006;
2. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერ-თობათა დოკუმენტები, თბ., 1949;
3. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოცი-ქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, 1999;
4. მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1972;
5. მ. ხუციშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ღონისძიე-ბანი რევოლუციის პერიოდში, თბ., 1972;
6. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995;
7. 6. დურნოვი, ქართული ეკლესიის ბედი, ჟ. „განთიადი“, 1990, №10;
8. გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკო-ნომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 1983;
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970;

¹ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, 1999; გვ. 196.

10. ი. გიორგელიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქუთაისი, 1992;
11. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I, თბ., 1955.

Lela Togoshvili

Gori State Teaching University

**FOR STUDYING OF PURSUING POLICY IN GEORGIA
BY RUSSIAN STATE AND THE CHURCH
(XIX CENTURY)
RESUME**

At the beginning of the 19th century harmonic relationship between Georgia and Russia was dissociated by Russia. At first Russia abolished the statehood of Georgia and the autocephaly of Georgian church. As a result development of Georgia was shifted its historical roots and geopolitical center. The country was focused in foreign Russian space. Russian significantly changed the political and religious consciousness by using the church.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

**XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედის და XIX ს. I მეოთხედის
პოლიტიკური მოღვაწე ოთარ ამილახვარი**

წარმოდგენილ სტატიაში ნაჩვენებია ერთ-ერთი, ეპოქისათვის დამახასიათებელი, ტიპიური მერყევი ფეოდალის სახე, ფეოდალისა, რომლისთვისაც ქვეყნის ინტერესებისადმი ერთგულება და სამსახური განპირობებულია საკუთარ ინტერესებთან შესაბამისობით.

ოთარი რევაზის ძე ამილახორი, ზემო ქართლის სადროშის სარდალი და გორის მოურავი 1787-1801 წლებში. ოთარმა გააშენა სოფ. ორჭობი, გაიყვანა სარწყავი არხები და აღორძინებულ ადგილებში ტყვეობიდან გათავისუფლებული გლეხები დაასახლა. ოთარი 1785 წელს დაღესტნელების წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობდა¹.

ოთარ ამილახვარს მეფესთან რომ ყოველთვის კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, ჩანს 1780 წლის 16 ოქტომბრის ერთი საინტერესო საბუთიდან. ეს არის ოქმი ერეკლე მეორისა ოთარ ამილახვრისადმი. მოვიყვან ამ საბუთს მთლიანად:

„ქ. ჩვენ მაგიერად მის ბრწყინვალებას ამილახვარს ბატონს ოთარს მრავალი მოკითხვა მოხსენდეს. მერე დღეს რომ ამ თვის თექვსმეტი არის ჩვენი შვილის ფარნაოზისა და ქისიყის მოურავის ზაქარიას წიგნი მოგვივიდა. წუხელის სა-

¹ სერგი მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი (გსიექ), 7782, ფ. 373.

მი საათი იყო დამისა გასული რომ ფარაულები მოვივიდნენ, ომარ-ხან ჯარით ურდოს ფონზე გამოვიდათ. ეს ათო-თორმეტი დღე არის რომ წიგნი მოგწერეთ და შენი სასარდლოს ჯარით ქალაქს დაგიბარეთ. შენ ახლა ქალაქს გვვონიხარ და თუ კინიცობა არის ჯერ არ წამოსულიყო ეს ჩვენი ოქმი რომ მოვივიდეს მაშინვე საჩქაროდ ძღვრულად გამოსწოო და შენის სასარდლოს კაცით ამ თარიღიდამ თოხს დღებზე ქალაქს უნდა ჩამოხვიდე. არ დაიგვიანო თორებ პასუხს ვეღარ მოგცემ დიდად. სიჩქარეს უნდა უცადო, დღე და დამე გაასწორო და ქალაქს ჩამოხვიდე და ქალაქს როგორც ჩვენი ამბავი... ჩვენს უწინდელს ოქმში ეწერა ჩვენ ამის მეტს ოქმს აღარ მოგწერთო, მაგრამ ხალხი არ მოგვეშვა და იმათ მოვვაწერინებს თორებ შენთან წიგნის მოწერას აღარც ვაპირებდით, ამიტომ, რომ უწინდელის ოქმი რაც ასე მოგწერეთ, რომ... სხვა ოქმ აღარ მოგწერთო⁴.

თუ ციტირებული საბუთი ს. გაკაბაძემ სწორად დაათარიღა, მაშინ ოთარი ამილახვარი და ზემო ქართლის სადრო-შოს სარდალი ყოფილა ჯერ კიდევ 1780 წელს. მნელია თქმა იმისა, თუ რამდენი ხანი ეკავა მას აღნიშნული თანამდებობა, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, 1776-1787 წლებში იასე ამილახვრობდა. მგონია, რომ ციტირებული საბუთი 1787 წლის ოქტომბერს განეკუთვნება, რადგან სწორედ ამ დროს კახეთში შემოიჭრა საბუთში დასახელებული ხუნდახის ბატონი ომარ-ხანი, რაზეც მევე ერეკლე ოთარ ამილახვრის ყურადღებას მიაპყრობს და ამ თავის არც თუ მოლად მორჩილი მოხელისაგან შესაფერის მოქმედებას მოითხოვს.

¹ Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, Тифлис, 1866, с. 154, №77; იგივე წერილი შემოკლებით იხ. Дубровин Н., История войны и владичества русских на кавказе, III, Санкт-Петербург, 1886, с. 281.

ოთარ ამილახვარმა თავი გამოიჩინა გორელებისადმი მკაცრი მოპყრობით და გადასახადების გადიდებით. ჩვეულებრივი ამბავი იყო მისი კაცების მიერ გორში დუქნების ძარცვა, ხალხის მოტაცება გამოსასყიდის წასარომევად. ქალაქის საგადასახადო დავთარი, რომელიც მოქალაქეთა მიერ ამორჩეულ თავკაცებს უნდა ჰქონოდათ, ოთარმა წაიღო, თავის სახლში დასდო და გადასახადებს მოქალაქეებს როგორც უდოდა ისე ახდევინებდა. გორელებს განსაკუთრებით აწუხებდათ ოთარ ამილახვარის გორში დასახლება.

1789 წელს გორელებმა ერეკლე მეფესთან იჩივლეს ამილახვრის თვითნებობის გამო. მეფემ ბრძანა: „ამილახვრის გორიდან აუყრელობა არ იქნება. ეს ძალა და კალო რომ გათავდეს, უნდა აიყაროს და გორიდამ გადავიდეს, ჭალას ჩავიდეს და იქ თავის სამკვიდრო სახლში დადგეს“. მეფის ბრძანებით, გორელებს თავიანთი მოვალეობა ოთარ ამილახვრის წინაშე ჰირნათლად უნდა შეესრულებინათ. მაგრამ ოთარის გორიდან გაყვანა ვერ შეძლეს ვერც მეფე ერეკლემ და ვერც გორელებმა.

გორელებსა და ამილახვარს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ. მას გორელები აღარ ემორჩილებოდნენ და ემუქრებოდნენ კიდეც. ამიტომ იყო, რომ გიორგი XII გორელებს აფრთხილებდა და მოუწოდებდა ოთარისადმი ერთგულნი ყოფილიყვნენ, თუ არა მკაცრად დაისჯებოდნენ.

ისე გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, რომ გორელების და ამილახვრის შერიგება ვერ შეძლო.

ოთარ ამილახვარი ხელისუფლებისათვის მებრძოლთა იმ დაჯგუფებას მიემსრო, რომელიც იულონ ბატონიშვილის გამეფებას ცდილობდა. იულონი ოთარის სიძე იყო.

1800 წლის 20 დეკემბერს ამილახვრების სოფ. ჭალაში შედგენილ იქნა მოწოდება, რომლითაც ბატონიშვილებმა — იულონმა, ვახტანგმა და მირიანმა ამილახვარს და გორელებს მიმართეს.

1801 წლის 28 იანვარს ოთარ ამილახვარი ბატონიშვილ იულონს მიემსრო სხვა თავადებთან ერთად და აცხადებდა: უმჯობესია მოვკვდე, ვიდრე ბატონიშვილი დავითი გვყავდეს მეფედ¹.

ბატონიშვილმა დავითმა თავისთან დაიბარა ოთარ ამილახვარი სხვა თავადებთან ერთად. იგი მათ დაემუქრა: ვინც შეყოვნდება იმპერატორის ჯარის მიერ დაისჯებაო². მან თავის ძმა თეიმურაზს უბრძანა ამილახვრები და სხვა თავადაზნაურები სურამიდან ჭალამდე შეკრიბე გორში და ფიცი დაადგინეო³.

ოთარი დააპატიმრეს. იგი შემდეგნაირად აღწერდა თავის დაპატიმრებისა და სატუსალოში მისადმი მოპყობას: „წინაპართა ჩემთა პქონდათ ამილახვარობა, სარდლობა და გორის მოურაობა... მეფე ერუკლესაგან ბოძებული და ევრეთ-ვე მეფის ვიორგისაგან დამტკიცებული და არც იმის სიცოცხლეში ეს სახელოები არ ჩამომრთმევია. იმის მიცვალებას უკან ეს სახელოები ორი თვე კიდევ მეფირა. მას უკან ჩემ მტრებმა ასე რიგად დამბატვდეს ბატონიშვილის დაკითხან, რომ არას გლეხს ისე არ მოეპრობოდა, მე ისე მომეპყრო, ამისთვის, რომ იულონ ბატონიშვილი ჩემი სიძე იყო, ერთმანეთს რომ მტრობდნენ, იმისთვის. გამომისია სამოცი ყაზახი, გორს, ჩემს სახლში ვიყავი. ჩამომიხდნენ დამე, მძინარე ამა-

¹ Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. I, Тиф., 1866, с. 262.

² Тамже, с. 295.

³ Тамже.

უენეს და გარეთ გამათრიეს ტიტველა და იქ ერთის ვღების ტყავი ჩამაკვეს, გამიკრეს ძკლავები, ორი საბჯლიც წელზე მომაბეს და ისე წამომიყვანეს ქალაქისაკენ. წინ და უკან შებებით მიმიყვანეს ქალაქში და თათრის მეიდანში სალდა-თვეს მიმაბარეს. დამსვდეს ერთს სახლში. არც კაცი მამიყვა-ნეს და არც საჭმელი შემოუშვეს თვინიერ სალდათის პურის მეტი. ღვინოს თხოვნაზე ერთია სალდათმა თავიც გამიტეხა. ვიყავ ამ მწუხარებაში სამი თვე, ამასაც არ დამაჯერეს. სახ-ლში თუ რამ მებადა, ბატონიშვილს თეიმურაზს ამიკლებინეს. დავით ბატონიშვილის ბრძანებით ზემოხსენებული სახელოე-ბიც ჩამომართვეს, გიორგი ამილახვარს მისცეს¹.

1801 წლის თებერვალში დაკითხვის დროს, აზნაურმა დავით მამაცოვმა, რომელიც ბატონიშვილებთან ერთად იმყო-ფებოდა კახეთში, განაცხადა, რომ ბატონიშვილებიდან რუსუ-ლი რეჟიმის დამყარების წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიუ-რობს ვახტანგი, შემდეგ ფარნაოზი; თავადებიდან ჯანყის თავები არიან ოთარ ამილახვარი, თამაზ ორბელიანი, ჩოლო-ფავები, რევაზ ბარათოვი და გორჯასპი ქაიხოსრო².

დავით ბატონიშვილის თხოვნით, გენერალმა ლაზარევმა ოთარ ამილახვარი, როგორც შფოთის თავი, გორში დაპა-ტიმრა და თბილისში წაიყვანა. 1801 წლის თებერვალში მას ქონება და ყველა თანამდებობა ჩამოართვეს. 20 თებერვალს ლაზარევი კნორინგს მოახსენებდა, რომ ოთარმა დაკითხვის დროს თქვა: „მე ქვეთ ამილახვარი, ვარ ქართველი თავადი, ვცხოვრობ გორის ციხეში“. ბატონიშვილები კახეთში

¹ მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყო-ბის შესახებ // ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მა-სალები, თბ., 1948, გვ. 84.

² Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. I, с. 242.

გადავიდნენ იმ განზრახვით, რომ იქაური მოსახლეობა დაუფიცებინათ ქართლელების მსგავსად, შემდეგ თბილისზე გაელაშქრათ და რუსები საქართველოდან გაეძევებინათ. მაგრამ ქიზიყში მისულმა რუსეთის ჯარმა აიძულა ბატონიშვილები დაბრუნებულიყვნენ ქართლში. მათ მუხრანთან დაეწია ალექსანდრე ბატონიშვილი და შეთქმულთა გეგმები ჩაშალა. ბატონიშვილები თავიანთი მომხრეებითურთ გაიფანტნენ: იულონი იმერეთში გადავიდა, რათა იქაური ჯარით შეჭრილიყო ქართლში. ამის შემდეგ ოთარ ამილახვარი გორში, თავის სახლში დაბრუნდა¹. დავით ბატონიშვილმა წერილობით აცნობა ლაზარევს, რომ საქართველოს დაუმორჩილებლობის მთავარი დამნაშავე არის ოთარი ამილახვარი. მან თავადი რამდენჯერმე დაიბარა თავისთან, მაგრამ არ ეახლა. ამის შემდეგ დავითმა მისი დაპატიმრება მოითხოვა. ლაზარევმა გორის ციხეში გაგზავნა რაზმი და დაპატიმრებინა ოთარი, რომელსაც ზემოთ ციტირებული ჩვენება ჩამოართვა. დავითი მოითხოვდა ოთარი გაესამართლებინათ რუსული ან ქართული კანონებით².

კნორინგი ლაზარევს წერს (1801 წ. 12 მარტი), რომ „ოთარ ამილახვაროვი, რომელიც დაპატიმრა თქვენმა უმაღლესობამ მემკვიდრე ბატონიშვილის, დავითის მოთხოვნით, უქვეშევრდომილესი წერილით მოვახსენე მისი იმპერატოროსობის უდიდებულესობას“³.

ოთარ ამილახვარი გორში დაბრუნდა. დავით ბატონიშვილმა გენერალ ლაზარევს სთხოვა, რომ ოთარ ამილახვარი, როგორც შფოთის თავი, დაისაჯოს რუსული ან ქართული კანონების მიხედვით. დავითი მის ერთ-ერთ სერიოზულ დანა-

¹ Тамже, с. 324.

² Там же, с. 327.

³ Там же, с. 331.

შაულად იმას უთვლიდა, რომ გორიდან ამილახვარი რამდენ-ჯერმე თავისთან დაიბარა, მაგრამ არ ეახლა¹.

ამის შემდეგ (1802 წ. 10 აგვისტო), ხელისუფლებამ გადაწყვიტა ოთარ ამილახვარი თბილისიდან არ გაეშვა².

ოთარ ამილახვარს მფარველად მოევლინა პ. ციცანინვი, რომელმაც 1803 წ. 26 მარტს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნა: „თავ. ოთარ ამილახვარმა მოძართვა თხოვნა, რომელშიც განმარტავს, რომ მისი წინაპრები და თვითონაც უკანასკნელი მეფის ვიორგის აღსასრულამდე საქართველოში ფლობდნენ ამილახვრის, სარდლის და გორის მოურავის ჩინებს; მაგრამ ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ, რომელსაც იმედი ჰქონდა საქართველოს სამეფოზე მემკვიდრეობისა და ამის გამო წინააღმდეგობაში იყო ბატონიშვილ იულონთან, რომელსაც ცოლად ჰყავს ხესნებული ამილახვრის და, დაბეჭდების და ურთიერთმტრობის შედეგად, მაშინ, როდესაც მთელი საქართველო იყო დაფლეთილი, — მევე გიორგის გარდაცვალების შეძლევ, მალე, მოითხოვა სამხედრო რაზმი და თავ. ამილახვარი დააპატიმრა მისნივე სახლში; ის ჩაიყვანა თბილისში და დაპატიმრებული ჰყავდა სამი თვის განმავლობაში, ბოლოს მას ჩამოართვა ყველა ჩინი და ღირსება და ისინი გადასცა თავ. გიორგი ამილახვარს. თ. ოთარ ამილახვარმა დაივიწყა განცდილი წეენა, ითხოვს დაუბრუნონ მისი კუთვნილი ტიტულები სარდლის, ამილახვრის და გორის მოურავობისა, რომელებიც უკანონოდ და ძალით ჩამოართვეს ბატონიშვილი დავითისაგან პირადად დევნის შედეგად, რომელსაც არავითარი უფლება არ ჰქონდა საქართველოს მართვისა. როგორც მე-17 ეგერთა პოლკის შეფა, გენერალ-მაიორმა ლაზარევმა, რომელიც იმ დროს საქართველოში ჯა-

¹ Тамже, с. 327.

² Тамже, с. 247.

რის მეთაური იყო, წერილობით მაცნობა, რომ თავ. ოთარ ამილახვრის ჩვენება მისი დაპატიმრებისა და ჩინების ჩამორთმევის შესახებ ჭეშმარიტებაა და ის ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ბატონიშვილ დავითთან ურთიერთობით, რომელსაც აღიარებდა უფროსად საძევო ოჯახში. გავტედავ და ვითხოვ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნებართვას, თავ. ოთარ ამილახვარს დაუბრუნდეს წინანდელი ტიტულები და აღსდგეს წინანდელ ღირსებაში...¹

1803 წლის 5 მაისს ციციანოვმა იმპერატორისაგან მიიღო პასუხი ოთარ ამილახვარის საქმეზე: „ვანკიზილე რა თქვენი 26, 28 და 31 მარტის წარდგინებები სხვადასხვა, თქვენდამი რწმუნებულ სამართველოსთან დაკავშირებული საქმეების შესახებ, ვძრანება“:

1) თავ. ოთარ ამილახვარს საქართველოში არეულობის დროს წართმეული ტიტულები და ღირსებები ამილახვრის, სარდლისა და გორის მოურავობის დაუბრუნდეს...²

პ. ციციანოვმა იმპერატორის ბრძანების შესახებ აცნობა გორის კომენდანტს, მაიორ რეიხს იმავე წლის 22 აგვისტოს.

პ. ციციანოვმა განიზრახა ქართველი თავადაზნაურობის გულის მოგების მიზნით მათოვის აღელგინათ ქართველი მეფეების დროინდელი პრივილეგიები. მისი აზრით, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების – გიორგის ან ერეკლეს მიერ დანიშნული ჯამაგირის ან პენსიების რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება დაენიშნოთ სამხედრო მოხელეებს, კარის მოხელეებს და პენსიონერებს სხვადასხვა თანხები, მარჯვენა ფრთის სარდალს თ. ოთარ ამილახვაროვს, იგივე ამილახ-

¹ Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, II, Тиф., 1868, с. 174.

² Тамже, с.1011-1012.

ვარს და გორის მოურავს დაენიშნოს 5.000 რუბლი. იმის გამო, რომ იგი მთელ ქართლში სარგებლობს პატივისცემით და ნდობით დაჯილდოვდეს წმ. ანას მეორე კლასის ორდენით და 2.000 რუბლით¹.

მართებელმა სენატმა 1804 წლის იანვარში, პ. ციციანოვის წარდგინებით ოთარ ამილახვარს აღუდგინა გორის მოურავობა და მიანიჭა გენერალ-მაიორის წოდება².

რუსმა მოხელეებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს ქართველ თავადებთან სასურველი ურთიერთობის დამყარება და, როგორც ჩანს, უკანასკნელნი ამბოხებითა და სხვა ძალისმიერი საშუალებებით მიზანს ვერ აღწევდნენ ისევ თავიანთ რიგებში არსებული წინააღმდეგობის გამო. ამით მოხერხებულად სარგებლობდნენ იმპერატორის მოხელეები. თავადები ცდილობდნენ თავიანთი უკმაყოფილების შესახებ იმპერატორისათვის მიეწვდინათ ხმა. ქართველი თავადების ერთი ჯგუფის ასეთი განზრახვა გამჟღავნდა 1806 წელს: ისინი აპირებდნენ პეტერბურგში წერილის გაგზავნას. საქართველოს მმართველმა ლიტვინოვმა თავისთან დაიბარა, მისი აზრით, საეჭვო რეპუტაციის თავადები — თ. გენერალ-მაიორი ოთარ ამილახვარი, ბრიგადირი³ თ. თამაზ ორბელიანი, სტატსკი სოვეტნიკი⁴ ევსტაფი ციციანოვი, კოლექსკი სოვეტნიკი და გორის მარშალი თ. რევაზ ერისთავი, თ. ივანე ანდრონიკოვი და კოლექსკი სოვეტნიკი⁵ თ. დიმიტრი ბარათოვი. დასახელე-

¹ Тамже, с. 33.

² Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, c. 44.

³ ბრიგადირი — სამხედრო ჩინი იმპერიის დრონდელ რუსეთის ჯარში, ე.ი. სამი პოლკის გაერთიანების მეთაური ან ბრიგადირი, ან V კლასის მოხელე.

⁴ V კლასის მოხელე.

⁵ VI კლასის მოხელე.

ბულმა პირებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთმა თავადმა ზელი
მოაწერა პეტერბურგში გასაგზავნ წერილს, მაგრამ იმას არა
აქვს ძალა, რადგან ის არ ეკუთვნის მთელ საზოგადოებას
(იგულისხმება თავადობა). ქვემოთ ხელმომწერები ადასტუ-
რებენ, რომ არავითარი ქალაქიდი არ გაუგზავნიათ, არც
აგზავნიან და არც მომავალში გააგზავნიან მთავრობასთან შე-
თანხმების გარეშე¹.

ოთარ ამილახვარს ვხედავთ 1807 წლის ზაფხულში,
როდესაც მთავრობის, კონკრეტულად კი გენერალ-მაიორ ორ-
ბელიანის დავალებით მან უნდა ჩამოაყალიბოს ქართველი
ცხენოსნების რაზმი ახალციხიდან გადმოსული მმარცველე-
ბისაგან ქართლის საზღვრების დასაცავად². მაგრამ მან გაუ-
რკვეველი მიზეზების გამო ამის გაკეთება ვერ შეძლო³.

ოთარ ამილახვრისადმი, როგორც იმპერიის მსახური-
სადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოსჭვივის საქართვე-
ლოს და კავკასიის ხაზის მთავარსარდლის, კავალერიის გე-
ნერლის ა. პ. ტორმასოვის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის
მოადგილე ო. პ. კოზოდავლოვისათვის გაგზავნილ შუამდგომ-
ლობაში. ტორმასოვი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო,
რომ გენერალ-მაიორი თამაზ ორბელიანი, რომელმაც თავი
გამოიჩინა ყველგან, სადაც კი იმპერიის ინტერესები დაცვას
მოითხოვდა და ეს პიროვნება გასამრჯველოს იღებს ასიგნაცი-
ებით, რომელსაც არავითარი ფასი არ აქვს საქართველოში.
მისი აზრით, ასეთი მდგომარეობა მით უფრო მიუღებელია,
„მაშინ, როდესაც სერდარი ვენ.-მ თ. ივანე ორბელიანი და
სერდარი ვენ.-მ თ. თათარ ამილახვაროვი, რომლებსაც თავი

¹ Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею,
III, Тиф., 1869, с. 12.

² Тамже, с. 109.

³ Тамже, с. 106-107.

არ გამოუჩენიათ სამსახურში, წოდების მიხედვით ჯამავის
იღებებ კერცხლით“¹

ოთარ ამილახვარი გარდაიცვალა 1827 წელს.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University

**OTAR AMILAKHvari, A POLITICAL FIGURE OF
THE LAST QUARTER OF THE XVIII CENTURY AND
THE FIRST QUARTER OF THE XIX CENTURY
RESUME**

In the present article one of the feudal lords, Otar Amilakhvari is shown, the image of a typical hesitant person, which was a characteristic feature of the epoch. His dedication to the country's interests and service was stipulated by the accordance to his own interests. It was the reason of his relationship, first with Georgian Kings: Erekle II and Giorgi XII, and then with the officials of the annexed by Russia Empire.

¹ Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею,
III, Тиф., 1870, с. 956.

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

საციცავოს სოფლების ისტორიიდან (ქვემო ქართლი)

XV ს. 70-80-იან წლებში ქვემო ქართლში მეწინავე სადროშოს ჩამოყალიბებისთანავე, ბარათაშვილების გვერდით საკმაო მამულებს ფლობდნენ ციციშვილები. ქვემო ქართლის სტრატეგიული მდებარეობა, ბუნებრივი სიძლიდრე, მესაქონლეობის მზარდი ტემპი ყოველთვის იზიდავდა მეზობელი მხარეების მებატონებს. საძოვრებით სარგებლობა საკმაო გამოსაღების გადახდას საჭიროებდა.¹ ხშირი იყო საქონლისა და ფრინველის შესანახად მიბარება თრიალეთის მოსახლეობისათვის, რომლის სარგო საკმაო შემოსავლის წყაროს შეადგენდა.² წიაღისეული სიძლიდრის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა 1707 წ. უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრისათვის სახასო სოფლის - უზნარიანის, შეწირულების სიგელმა, სადაც ვკითხულობთ: „არა ეთხოვებოდეს ...არცა ნახშირი... არა ოქრო და ვერცხლი, არა რკინა და სპილენძი, არა კალა და ტყვია, არა პირუტყვი...“³ უცხოელ მოზაურებს ყურადღებიდან არ გამორჩენათ წიაღისეულით მდიდარი ქვემო ქართლი. სოფ. დამპლუტოან გიულდენშტეტს უნახავს:

¹ მუსხელიშვილი დ., სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 102;

² ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 619;

³ კაკაბაძეს., ისტორიული საბუთები III, ტფ., 1913, გვ. 14;

, „ერთი საჟენი სიმძლავრის ძარღვი ტყვიის კრიალათი (ვერც-ხლით) სპილენძის ლაჟვარდთან და სპილენძის ალმადანთან ერთად...“¹

ერეკლე მეორის კარზე მყოფი რაინექსი ბოლნისის შესახებ წერდა: „აქეს ძალზე მდიდარი რკინისა და ვერცხლის მაღნები... სამფლობელო ქვეში საესეა მარმარილოთი და მწვანე და წითელზოლიანი იასპის სატეხებით. არც სპილენძის მაღნებია იშვიათი.“² მასზე გამავალი სატრანზიტო გზების სიმრავლე, მფლობელებს საბაჟო გადასახადებით საკმაო შემოსავალს აძლევდა. „დასტურლამალის“ მიხედვით ცნობილია თრიალეთური ბაჟის აღების წესიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაჟს იღებდნენ როგორც ვაჭართა და მოგზაურთა მცირე ჯგუფებისგან, ასევე შორეული ქვეყნებიდან შემოსული დიდი ქარავნებისგან, რასაც ემატებოდა სავაჭრო ფუნდუკებიდან შემოსავალი, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ამ გზით მიღებული სიმდიდრე. საციციანოსთან კეთილმეზობლობის აუცილებლობას განაპირობებდა, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობანი. თრიალეთის ქედის ჩრდილოეთით ტყის ნაკლებობის გამო თრიალეთის სოფლები სარგებლობდნენ საციციანოს ტყეებით, მათ მფლობელებს ფულთან ერთად უხდიდნენ ნატურით გამოსალებს. ქვემო ქართლის ყველა ამ ხელსაყრელ გარემოებათა გათვალისწინებით გასაგები ხდება მეზობელ „მეწინავე სადროშოში“ მამულების „შოვნას“ და დამკვიდრებას რატომ ესწრაფოდა ციციშვილთა საგვარეულო,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 147;

² იაკობ რაინექსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 159-160;

მეორე მხრივ, გასაგებია, სამეფო კარის მცდელობა საუკუნეების განმავლობაში არ დაეშვათ საციციანოს შემდგომი გაძლიერება მასზე გამავალი სტრატეგიული გზების ხელში ჩაგდებით, რაც კიდევ უფრო დაასუსტებდა სამეფო ხელისუფლებას და შეაფერხებდა ქვეყნის გაერთიანების მცდელობას. ყველაზე მეტ მამულებს ციციშვილები თრიალეთში ფლობდნენ.¹ რასაც პირველწყაროები, თრიალეთის ეპიგრაფიკული წარწერებიც მოწმობენ. მკვლევარ კ. სარაძის ხატოვანი გამოთქმით: „თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოს გული იყო, კლდეკარი კი მისი გასაღები.“ საუკუნეების მანძილზე იგი აღმოსავლეთ საქართველოს გზასაყარს წარმოადგენდა. აქედან გადადიოდა სტრატეგიული სატრანზიტო გზები შიდა ქართლის ყოველ ხეობასა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებთან. ამ გზების სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით მისი ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლა საუკუნეების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა უცხო დამპყრობელთა მხრიდანაც. 1604 წ. შაჰაბასმა დებედას ქვემო წელზე ბორჩალუს მომთაბარე თურქმანული ტომი ჩამოასახლა. მასზე ადრე შაჰ-თამაზ I-ს (1524-1576 წწ.) „თეზქერეს“ მიხედვით ჩამოუსახლებია ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი. XVIII საუკუნეში კი ოსმალობა-ყიზილბაშობამ, ლევთა ხშირმა თარეშმა და შინაფეოდალურმა ბრძოლებმა ქვემო ქართლის ტერიტორია ქართველი მოსახლეობისაგან თითქმის გააუკაცრიელა. აქ დამკვიდრებულმა თათრულმა და ყარაბაღიდან ჩამოსახლებულმა, სომხურმა უცხო ტომელებმა თავდაპირველი საცხოვრისიდან ტოპონიმებიც თან მოიტანეს. ქართული ძეგლების მათმა „რესტავრატორობამ“ შეიწირა უძველესი ეპიგრაფიკული წარწერა.

¹ ბერძენიშვილი დ., ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014, გვ. 51-55;

რები, ამით დავიწყებას მიეცა ქვემო ქართლის ბევრი ისტორიული სოფელი. ქართველთა გასომხების პროცესი ადვილად შეიმჩნევა კამერალური აღწერის დავთრებიდან, სოფლებში მღვდელ-ტერტიურების გასომხების მიზნით გაწეული მღვდელ-მსახურებით.¹ ბერძენ მოახალშეწეოთა გადმოსახლების 1832 წ. უწყისი იძლევა ძირითადად სოფლების ძველსა და ახალ სახელებს.² თავდაპირველად ერეკლე მეორემ მაღნების დამუშავების მიზნით მოიწვია ბერძენი ქვემო ქართლში. XIX ს. 20-იან წლებში დაიწყო ძირითადად მათი შემოხიზნა საქართველოს ტერიტორიაზე. 1829 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ კვლავ ახალი ტალღა შემოვიდა.³ ახალმოსახლეობამ თან მოიტანა მათი პირველსაცხოვრისის სახელები. ისტორიული სახელების აღდგენაზე მეცნიერების აქტიურად მუშაობისა, მაინც რთულია ამ მხარეში ისტორიული სოფლების სრული სურათის აღდგენა. შესაბამისად დღემდე შეუსწავლელი იყო ქვემო ქართლში ციციშვილების გავლენისა და სამკვიდრო მამულების მფლობელობის საკითხი.

XV საუკუნიდან თრიალეთში ციციშვილები ფლობდნენ მნიშვნელოვან სოფლებს: ბარეთს, ლიპებს, საპონაურს, ცხვა-

¹ ფ. 254, I, 1217, 8923, 8947, 9021;

² ყაუხჩიშვილი ს., ბერძენების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის ჟედ. ინსტიტუტის მრომები, ტ. IV, თბ., 1942, გვ. 220;

³ Акты VII, II, стр. 434, 805; Акты VI, I, стр. 249, 802;

* სოფლის სახელწოდება მრავალწლიანი ბალახის სახელისგან მოდის, მისი ფესვები წყალში ქაფდებოდა საპონივით, მის შესახებ სულხან-საბა განმარტავს: „საპონი, საპონი სხვათა ენათა მიერ მოპოვნებულ არს. ხოლო საღმრთო წერილში რომელსამე ადგილსა შენაზავები, რომელსამე განსაწმენდელი აღუწერიათ, ხოლო იერემიას წიგნში და დანიელის წიგნსა შინა მდელოდ აღუწერიათ. რამეთუ არიან მდელონი ესევითარნი, რომელნი ფრიად განრსცხიან და განასპეტაკებენ სასარცხლოსა და განბანს მწიკვლსა კაცთასა“ (სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1993).

რეთს, რეხას, ახალშენს. თრიალეთის ქედის ჩრდილო-და-სავლეთით, სადაც საპონაურისა და ცხვრისის ხევები მდ. ქციას სათავეს მარცხენა შენაკადად ერთვიან, მდებარეობდა სოფლები ცხვარეთი (ცხოირეთი) და საპონაური. ამ სოფლებიდან გზა ტანისხევში, სოფ. ბოშურთან გადმოდიოდა. ნა-სოფლარებში დღემდე შემორჩენილია საერო და სამეურნეო დანიშნულების ნამოსახლართა კვალი, ასევე XII ს. მცირე ბაზილიკა. ცხვარეთში 1721 წ. აღწერით ითვლებოდა ერთი მებატონე, სახლთუხუცესი ედიშერ ციციშვილი - 3 გამოძლები კომლით, თავი - 5 და 2 ბოგანო მოლაშქრით. 1701-1703 წწ. გაყრის განჩინებით საპონაურში ყმა-მამულის გაყოფაზეა დავა პაპუნა და ედიშერ ციციშვილებს შორის.¹ 1721 წ. აღწერით საპონაურში ითვლებოდა 2 მებატონე. სახლთუხუცეს, ედიშერ ციციშვილს ჰყავდა, 2 გამოძლები კომლი, თავი - 3; ციციშვილ-პაპუნაშვილ ზაზას 3 კომლი, თავი - 4, 1 ბოგანო მოლაშქრე; საარქივო დოკუმენტების მიხედვით სოფ. ახალშენში ციციშვილები აქტიურად ყიდულობენ ყმა-მამულს და აფართოებენ მეურნეობას.²

ძველი ქართული სოფელი, რეხა (რეკი) მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ქციის (საპონაურის ხევის) მარცხენა მხარეზე. (რეხი - ქვიან გზას, მთის კლდოვან კალთებს აღნიშნავს). თრიალეთის რეხა სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩეოდა, აქტიურად მიემართებოდა გზები: ტანას, თემის, გუჯარეთის და ძამის ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე ორი რეხაა ნაჩვენები დასახლებული პუნქტების თავში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. 1721 წ. აღწერით, თრიალეთის რეხაში ითვლებოდა სამი

¹ ფ. 1448, ს. 5010;

² ფ. 1450, დ. 52, ს. 61-ა, 62;

მებატონე: ნოდარიშვილი-ციციშვილი ზაზა, სახლთუხუცესი ედიშერი და ციციშვილ -პაპუნაშვილი ზაზა, რომლებიც ფლობდნენ - 19 გამომღებ კომლს, თავი - 31 და 4 ბოგანო მოლაშქრეს. შიდა ქართლის სოფ. რეხისაგან რომ განესხვავებინათ წყაროებში თრიალეთის რეგად მოიხსენიება. 1829-1832 წწ. ცარიზმა აქ თურქულენოვანი ბერძნები (ე.წ. ურუმები) და სომხები შემოასახლა თურქეთიდან.

ბარეთი ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიაზე დართული სიის მიხედვით, ჩამოთვლილ თრიალეთის სოფლებში მე-40 სოფლად მოიხსენიება. მკვლევართა მოსაზრებით ძველი ბარეთი დღევანდელი სოფ. ბაშქოია. ადგილმდებარეობის გამო სახელი თურქულად „თავსოფელს“, „მთავარ სოფელს“ ნიშნავს. ბარეთის ლოკალიზების შესახებ საინტერესო მინიშნებაა დასტურლამალაში.¹ 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსოს მამულების სითარხნის გუჯარში ორი ბარეთია მოხსენიებული. თრიალეთში მდებარე ბარეთისა და ცოტა ბარეთის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს.² 1447-1559 წწ. ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში კი მამულები თრიალეთსა და ქვემო ქართლში მეტად შემცირებულია და ბარეთი აღარ მოიხსენიება.³ როგორც ჩანს, XV ს. მეორე ნახევრიდან ციციშვილები სოფ. ბარეთს მეფისაგან წყალობის სახით იღებენ. ციციშვილების 1664-

¹ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ო. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 622;

² Hd-8712;

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საექლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები და დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 177, 187, 263;

1673 წწ. გაყრის განჩინებაში მოხსენიებულია როგორც სამკვიდრო-მამაპაპეული მამული.¹ ჩვენს მიერ მოძიებული მეფე შაჰნავაზის დროინდელი (1658-75 წწ.) საციციანოს დავთრის მიხედვით აქ ციცის 4 კომლი ყმა ჰყავდა. ქვემო საციციანოს გაუქმების შემდეგ მეფე ვახტანგ VI-ემ ციციშვილების სოფლები ღორისთავი და ბარეთი მათივე აზნაურ თულაშვილებს გადასცა.² ამ ისტორიულ ქართულ სოფელში დღემდე შემორჩენილია საბი ეკლესიის ნაშთი, აქედან პირველ ეკლესიაში ექვთიმე თაყაიშვილს სამხრეთ კადელზე ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე სტრიქონიანი წარწერიდან შემორჩენილ ფრაგმენტში წაუკითხავს: „ქრისტე ადიდე ზაქარია.“ თლიოლი ქვით ნაშენი ეკლესიები ბერძნების მიერ გადაკეთებული დაწვედრია, ქვები წაღებული და ძველი იერსახე დაკარგული.³ ჩვენი ვარაუდით „ვინმე ზაქარია“ „დიდი ფანასკერტელის“ შვილი, ზაქარია ციციშვილი „მეორედ მაშენებელი“ უნდა იყოს. იგივე პიროვნებას ვვარაუდობთ სოფ. ქვემო ლიპის, ხაჩქოის ეკლესიის წარწერაზე.

თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, ვახუშტისეული რუკის მიხედვით ლიპები ერთმანეთის მიყოლებით ლოკალიზდება. ერთი ლიპი ხაჩქოით მოიხსენიება. „ხაჩ“ სომხურად ჯვარს ნიშნავს და ამდენად სახელწოდება სოფელში არსებულ ჯვრების გამო ახალგადმოსახლებულ სომხებს შეურქმევიათ. დღევანდელი ხაჩქოის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების ნაკვალევი დღემდე მოჩანს, რომლებიც აქ მოგვიანებით გადმოსულ სომებს მოსახლეობას გადაუკეთებია და ქართული წარწერების კვალიც წაუშლიათ. სოფ. ხაჩქოის

¹ ფ. 1448, ს. 5042;

² ფ. 1450, დ. 51, ს. 48;

³ Арх. Экскурсии, разискания и заметки: тиф. губерния Борчалинский уезд, Триалетское приставство, 1913. Вып. 4, стр. 59-60;

ეკლესიის ორსტროფიან ასომთავრულთან ნარევი ხუცური წარწერის ფრაგმენტიდან ექვ. თაყაიშვილმა ამოიკითხა „ზაქარია.“¹ ვფიქრობთ, სწორედ მეოთხე სადროშოს საზღვრისპირა მესამე ლიპი იყო ზაქარია ციციშვილის სოფელი, საიდანაც გზა გადადიოდა თემმისხევში და ტანას ხეობაში, სოფ. ორმოცთან. ბარათაშვილებს კი ხელი მიუწვდებოდათ მხოლოდ ზემო ლიპზე, რასაც ადასტურებს 1523 წლის ბარათაშვილთა გაყრის განჩინება, საღაც გაყრისას მზოლოდ ზედა ლიპნის იყოფენ.² 1701-1703 წწ. გაყრის განაჩენით კი სოფ. ლიპების ნახევარს იყოფენ პაპუნა და ელიშერ ციციშვილები, ნახევარს ნოდარიშვილთა შტო [ფ. 1448 ს. 5010ა-ბ] 1721 წლის აღწერით სამი ლიპიდან ორში მებატონე მეფეა, მესამეში კი ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით³ სამეფო საგვარეულოს შთამომავალი გოჩაშვილია. ციციშვილების ქვემო ლიპი გოჩაშვილებისთვის მეფე ვახტანგს 1719 წ. უნდა გადაეცა ქვემო საციციანოს გაუქმებისას. ავთენტურ წყაროთა სიმცირის მიუხედავად ჩვენეულ ვერსიას ამყარებს პირველწყაროთა პარალელური ანალიზი, რომელიც იძლევა საკვლევი თემისთვის საინტერესო ინტერპრეტაციის შესაძლებობას: 1. „ვინმე ზაქარიას“ იდენტიფიცირების კვლევისას გავეცანით თორელ-ჯავახიშვილთა სახლის XII-XIII სს. ისტორიული დოკუმენტებს და ეპიგრაფიკულ მასალას. პირველწყაროთა მიხედვით თორელთა სახლი XIV საუკუნიდან უკვე იმდენად „დამცრო-

¹ იქვე გვ. 57.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, სპარსული ტექსტები თ. აბაშიძემ, თბ., 2016, გვ. 87;

³ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 25;

ბილა“, რომ ძირითადი შტო ჯავახიშვილად იწოდება. XV ს-დან საბოლოოდ კარგავენ თორსა და ჯავახეთს. ამ პერიოდში როგორც ჩანს, ისინი ცდილობენ „დაემოყვრონ“ და დაემორჩილონ გავლენიან ციციშვილებს, მზად არიან „უილბლო“ ქორწინებაც როგორმე შეინარჩუნონ, მათი პატრონი თაყა და ზაზა ციციშვილების გულისთვის.¹ ვითარება იცვლება XV ს. 60-იანი წლებიდან. გაღმა მხარის და ციციშვილთა დაუმორჩილებლობით განაწყენებული მეფე გიორგი VIII-ის მხარდაჭერა ამჯობინეს და შედეგმაც არ დააყოვნა, 1463 წ. წყალობის სიგელით ზაქარია ჯავახიშვილს გადაეცა ავეტი და ისციხე.² 1468 წ. ბაგრატ და კონსტანტინე მეფეების წყალობის სიგელით მიიღეს: „სომხითს ქვეში ციხითა, ბაჟითა და მისითა მიმდგომითა და სოფელი რატევანი“, მაგრამ სათანადო საფასურის სანაცვლოდ.³ საბოლოოდ კვლევამ საფუძველი მოგვცა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში თრიალეთში, კერძოდ ბარეთსა და ლიპებში ჯავახიშვილთა მფლობელობა არ დასტურდება. ამდენად, „ვინმე ზაქარია“ ჯავახიშვილთა საგვარეულო სახლიდან ვერ იქნებოდა. 2.ასევე საყურადღებოა, კონსტანტინე მეორესგან „დიდი ფანასკერტელისადმი“ 1467 წ. დოკუმენტით მინიჭებული და იმავდროულად მრავლისმთქმელი განუსაზღვრელი უფლებები, „გაღმა მხარის“ სრულ შეუგალობაზე: „...ქლებენიფების გასყიდად, გაზითვებად, შეწირვად... გვითარხნებია ყოვლის სათხოვარისაგან და გამოსაღებისაგან... მოასილი ამა თქვენთა მამულთა შიგა ვერ-

¹ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, ღ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 79;

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, ღ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 130;

³ იქვე გვ. 171

სად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს“¹ ე.ი. ზაზგასმით მიუთითებს, რომ მეფის ხელდებულმა ვერც ერთმა მოხელემ ვერ გაბედოს შესვლა და ჩარევა საგადასახადო, სასამართლო, სამხედრო და აღმინისტრაციულ საქმეებში. 3. ამავე პერიოდში, ზაზას მემკვიდრის ზაქარია ციციშვილის ტანას ხეობის ბატონ-პატრონობაზე მიუთითებს ფეტვისხევში (ზემო ბოშური) ეკლესიის საკურთხეველთან, ხის კანკელზე, XV-XVI სს. დათარილებული ასომთავრული წარწერა: „ძელო ცხოვრებისაო, ადიდე ორთავე ცხოვრებასა შინა პატრონი ფანასკერტელი ზაქარია.“ ბარეთი სწორედ ბოშურიდან თრიალეთში გადასასვლელი სტრატეგიული გზის სიახლოვეს მდებარეობდა და ვფიქრობთ მის მფლობელობაში შედიოდა. 4. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს XV ს. წერაქვის ეპიგრაფიკული წარწერა, რომელიც ამტკიცებს, ზაზა ციციშვილის ყმა-მამულის მფლობელობას არა მარტო თრიალეთში, არამედ სომხითშიც. წერაქვი შულავერის ხეობაში სოფ. სიონის შემდეგ ერთადერთი ქართული სოფელია, სადაც ქართველებთან ერთად ბერძნები, სომხები და თათრები ცხოვრობენ. ციციშვილების ნასოფლარი წერაქვი, დღევანდელი წერაქვისგან 2კმ. არის დაშორებული და შულავერის წყლის მარცხენა შენაკადი ხევის სათავეში, მთის ფერდობზე იყო შეფენილი. თავისი მდებარეობით ზემო წერაქვი დღევანდელი სოფ. წერაქვია. დ. ბერძნიშვილმა 1958 წ. ქვემო ქართლში ექსპედიციისას აქ აღმოაჩინა ასომთავრულთან ნარევი ნუსხა-ხუცურით ამოკვეთილი საკვლევი თემისთვის მეტად საინტერესო XV ს. წარწერა, რომლის მიხედვით დევოისმშობლის სახელობის ეკლესია აღსაღები დახვედრია ზაზა ფანასკერტელს და დაუწყია „მეორედ განახლება.“ წარწერა ასე იკითხება: „სახელითა

¹ ფ. 1448, ს. 64;

ღვთ[ისამთა] შე[წევნით]ა სულის წმიდისა[ვთა] [მეო] ხეობი-
თა ყოვლად [წმიდისა] ღვთისმშობლისამთა ვიწყ[ე] [მე] დიდ-
მან ფანასკერტელმან მეორედ განახლება[დ] [ამის] [წმიდის]სა
ღვთისმშობლის] [ეკლესიის]სა [სულისა] [ჩვენისა] [სახსრად]
და სამლოცველოდ.¹ დ. ბერძენიშვილი მანიშნებდა განახლე-
ბის აშკარა კვალს დასავლეთის კარიბჭის თაღზე. განმაახ-
ლებლად კი მიუთითებდა XV ს. ცნობილ მოღვაწეს, ზაზა
ფანასკერტელს, რომელსაც წერაქვზეც მიუწვდებოდა ხელი.
მკვლევრის დასმულ კითხვაზე - რა ხელი უნდა ჰქონოდა
შიდა ქართლის ამ დიდ ფეოდალს ქართლის განაპირა სო-
ფელში, სავარაუდოდ, ცნობილი მეცნიერი ნ. ბერძენიშვილი
იმით ხსნიდა, რომ შესაძლოა ზაზას, ბარათაშვილის ქალი
ჰყოლოდა ცოლად და ქვემო წერაქვიც მზითევში მოჰყოლო-
და. ამ მოსაზრებას იზიარებდა დ. ბერძენიშვილიც. თუმცა არ
გამორიცხავდა სხვა შესაძლებლობას. აღნიშნული სოფლის
მფლობელობის საკითხის კვლევამ დაგვიდასტურა, რომ 1392
წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების
სითარხნის გუჯარები მოხსენიებული არ იყო წერაქვი. 1447-
1559 წწ. ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მმმულების სითარ-
ხნის გუჯარის² მიხედვითაც არსად მოიხსენიება არა მარტო
სოფელი წერაქვი, არამედ შულავერის ხეობაში ციციშვილთა
მფლობელობაში მყოფი ოფრეთი და თეთრი სოფლის მამუ-

¹ ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს
ისტორიიდან, (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართვე-
ლოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960, გვ. 96;

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკნონმდებ-
ლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლე-
ბი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 187. 263;

ლები. ბარათაშვილთა XVI ს. გაყრის განჩინებების¹ შესწავლით დავადგინეთ, რომ წერაქვი ბარათაშვილთა საკუთრებაში არ ყოფილა და ამდენად ნამზითვი მამული ვერ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, წერაქვი სამეფო სახასო მამული იყო და ზაზა ფანასკერტელისათვის მეფის ნაწყალობევი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ XV ს. მეორე ნახევარში ქართლის სამხრეთი პროვინციების, კერძოდ, სომხითის ტერიტორიების მიტაცება ირანისაგან საშიშროებას უქმნიდა ქვეყნას და წყალობის მიზანიც ამ საფრთხისაგან დაცვის პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო. მათი პრივალეგია ჩანს იქიდანაც, რომ ციცაშვილ მერაბის და ზაალის გვერდით ბარათაშვილები „თანადამშედომნი და მოწამენი“ არ ჩანან 1492-1497 წწ. სვეტიცხოვლის კახური მამულების სასაზღვრო წიგნის დადგენისას.² ბუნებრივია განჩდა ლოგიკური კითხვა, რით აიხსნება ზაზა ფანასკერტელის ასეთი გავლენა XVს. მეორე ნახევარში ახლად ჩამოყალიბებულ მეწინავე სადროშოში? ამ მიმართულებით კვლევამ საშუალება მოგვცა აღვნიშნოთ: 1. მეფე კონსტანტინე II-ის (1478-1505წწ.) სამეფო კარის გავლენიანი, ერთგულებით გამორჩეული დარბაისელი ზაზა ფანასკერტელი, მეფის უახლოესი ნათესავი, მაღალ სამოხელეო სახელოსთან ერთად, ვფიქრობთ მეწინავე სადროშოს სპასპეტიც უნდა ყოფილიყო. შესაბამისად მის შვილებს ზაქარიას, მერაბს, თაყას, ქაიხოსროს დაევალებოდათ მტკვრის „გაღმა მხარის“ და ქვემო ქართლის სტრატეგიული გზების სამცხე საათაბაგომდე საზღვრის დაცვა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა. 2. ზაზა ფანასკერტელ-ციცაშვილის მაღალ

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, სპარსული ტექსტები თ. აბაშიძემ, თბ., 2016, გვ. 85, 143-153;

² იქვე, გვ. 85;

სამეფისკარო თანამდებობასა და სპასპეტობაზე უნდა მიანიშნებდეს, 1483 წ. არადეთის ბრძოლაში სამეფო ლაშქრის მეთაურობა. 3. ამის საფუძველს იძლევიან პირველწყაროები, რომელებიც ადასტურებენ, რომ ბარათაშვილების საგვარეულო სახლის სამოხელეო საკელო, მეფის სალაროს მოლარეობა იყო, რომელიც მეფე ალექსანდრე I-გან (1412-1442 წწ.) მიუღია „დიდ ბარათა“ ქაჩიბაძეს. საბარათიანოს მკვლევარი გ. ჯამბურია პირველ სარდლად საჩინო ბარათაშვილს თვლიდა, რომელიც სიმონ I-ის (1558-1599 წწ.) მეფობისას უნდა მიეღო. XVIIს. პირველი ნახევრის შეწირულების სიგელები კი საბარათიანოს სარდლად დავით X-ის შვილიშვილს უფლისწულ ბაგრატ რამაზის ძეს მოიხსენიებენ.¹

ქვემო ქართლის დიდ მემამულებად ითვლებოდნენ სომხითის მელიქებიც. ბაგრატ-ხანმა 1616 წელს სომხეთის მელიქს უწყალობა ქვემო წერაქვი.² როგორც ჩანს, ციციშვილებს მის გარდაცვალებისთანავე მოუხერხებიათ სამკვიდრო მამულის დაბრუნება. 1688-1703 წ. განჩინებით სოფ. წერაქვზე სამელიქო გამოსაღები უკვე სადავო გამხდარა მელიქ ავთანდილსა და უთრუთ ციციშვილს შორის, მეფის გადაწყვეტილებით დავა უთრუთის სასარგებლოდ გადაწყვეტილა.³ მიუხედავად 1719 წ. ქვემო საციციანოს გაუქმდისა, 1721 წ. აღწერით წერაქვში ციციშვილებს ყმა-მამული მაინც შეუნარჩუნებიათ: პაპუნას გამომღები 3 კომლი. ზაზას - 2 კომლი; ციციშვილ უთრუთს კომლი - 7, თავი 9, მოლაშქრე - 2;

¹ ფ. 1449, ს. 2649; ს. 1542; ფ. 1448, ს. 1543; ს. 2328;

² ფ. 1448, ს. 1024;

³ ქართული სამართლის მემკვიდრეობის ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთოვით, დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 201.

გვიანფეოდალური ხანის სომხითში, რომელიც „ქართლის სომხითად“ იწოდებოდა ციციშვილებს სხვა სოფლებიც ჰქონდათ. შულავერის ხეობის ზემო წელზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობდა სოფ. ოფრეთი. 6. ბერძენიშვილის და დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით ოფრეთი ლოკალიზდება დღ. ოფრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით.¹ ოფრეთზე გადიოდა წოვიდან ტაშირში მიმავალი გზა.² მნიშვნელოვანი ციხისა და სტრატეგიული გზის სიახლოეს მამულების მფლობელობა სწორედ ციციშვილთა გავლენაზე მიუთითებს. 1632-1658 წლების დოკუმენტით, სომხითის მელიქმა ყორნხმაზბეგმა (პირველი მელიქის-მირმანის შვილი), რომლის კუთვნილი ყოფილა შულავერს მოხნული მიწის ღალა, ათავისუფლებს წერაქველებს სამელიქო გამოსაღებისაგან. ციხის სიახლოეს სოფ. ოფრეთის მხარეს ჩახლაბერდს უძახიან. ცნობილია, რომ სახლთუხუცესს ქაიხოსრო ციციშვილს 1688 წ. უწყალობა მეფე ერეკლე ნაზარალიხანმა აღრე ყაენისაგან ნაბოძები სკრა და ბებიამისის ნამზითვი გლეხები, ასევე ოფრეთი, სამწევრისი, კარალეთი და სადგერი.³ ოფრეთი სახასო სამეფო მამულია მეფე ვახტან VI-დროს. 1721 წ. აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე (დედოფალი) 18 გამომღები და 2 ბოგანო ყმა. ჩვენ მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი 1723 წლის დოკუმენტის მიხედვით კახეთის სამეფო კარს შეკედლებული ედიშერ ციციშვი-

¹ მუსხელიშვილი დ., სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014 მუსხელიშვილი დ., სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 175-176;

² ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგრინილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 310, 20-22;

³ ფ. 1449, ს. 5019;

ლი ირანის შაჰთან შუამავლობის გამო, კახეთის მეფე კონსტანტინეს განაცხადი იბრუნებს თავის სამკვიდრო მამულებს¹ დოკუმენტი მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული მამულები დაკარგა ედიშერ ქაიხოსროს ძემ, სახლთუხუცესობის დაკარგვასთან და ქვემო საციცანოს გაუქმებასთან ერთად. ყიზილბაშობის პერიოდში, ვახტანგ VI-ის მეფობისას დასჯილ-შევიწროებული ციციშვილები, მათთან „მორჩილებითა და თანამშრომლობით“ ცდილობენ სამკვიდრო ყმა-მამულის დაბრუნებას და აღწევენ კიდევ. 1737 წ. აზერბაიჯანის ბეგლარბეგ, მთავარ-სარდალ იბრაჰიმ-ხანის ბრძანებით უზბაშ ზაზა ბეგ [ციციშვილს] უბრუნებენ მის კუთვნილ სოფლებს საინტერესო მინიშნებით „...ხატითელითი, აყქანდი, დირაყქანდი, ბუხარი ზირაქი [წერაქვი] იქიზირაქ, არასინდა (არაშენდა) ...უკეთუ ხსენებული სოფლები უძველესი დღოიდან მას ეკუთვნონდნენ და არ ჰყავს ვინმე მოდაგვ.“ იგივე რიცხვით დათარიღებულ მეორე საბუთს ხელს აწერს სეფი-ხანი, ზაზა ბეგისთვის ხუთი სოფლის გადაცემაზე „...სოფელი ხაჯოთელითი, სოფელი აყქანდი (რომელიც მდებარეობს შულავრის ოლქში), სოფელი დირაყქანდი, სოფელი ზემო წერაქვი, ადგილები ზემო და ქვემო წერაქვს შორის...“² მინიშნებულ ადგილებში ტერიტორიულად ოფრეთი და თეთრი სოფელიც შედიოდა. რაც შეეხება ხატითელეთს, ციციშვილებს 1678-1696 წწ. დოკუმენტის მიხედვით აქ შეუნარჩუნებიათ მამულები.³ ბოლნის-შულავერის ხეობაში შულავერის და თეთრი სოფლის მიწები

¹ ფ. 1448, ს. 5546;

² დუნდუა ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბ., 2010, გვ. 34, 36;

³ Ad-1226

ხშირი დავის საგანი გამზღარა საქარავნო გზის ბაჟის გამო.¹ ყიზილბაშობისას სარდლიშვილებს, თეიმურაზ და ფარსადან ციციშვილებს, დიდი წყალობა, სამოხელეო სახელო-მდივან-ბეგობა ყიზილბაში სპასალარისაგან მიუღიათ. თეიმურაზის მოხერხებულობით, თავისი და ცოლად მიუთხოვებია სპასალარისთვის და მდივანბეგობასთან ერთად ციციშვილებს, სიძისგან წყალობის გზით მიუღიათ: „თეთრი სოფელი... დიაღარა“.² 1769 წლის საარქივო მასალის ცნობით ბაგრატ ციციშვილის შთამომავლები კვლავაც ფლობდნენ თეთრ სოფელში ყმა-მამულს.³

ციციშვილებს მამულები ჰქონდათ მდ. ალგეთის ხეობაში (თეთრიწყაროს მუნიც.) ალგეთის ხეობა შიდა ქართლის ხეობებს თრიალეთის ქედით ემიჯნება. აღმოსავლეთით მას მდ. მტკვრის ხეობა საზღვრავს, სამხრეთით -ბედენის ქედი და წინწყაროს პლატო, რომელიც ლომთაგორა-მარნეულთან ქვემო ქართლის ველში გადადის. დასავლეთით ალგეთის ხეობა წალკა-თრიალეთის ზეგანს ეკვრის. ბარისა და მთის ზონის მეურნეობის მრავალმხრივობასთან ერთად გამოირჩეოდა სტრატეგიული მდებარეობით. ალგეთზე გადიოდა უძველესი სავაჭრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზები, რომლითაც შიდა ქართლი, კერძოდ მცხეთა და თბილისი უკავშირდებოდა ქვემო ქართლს, სომხეთს, თრიალეთ-ჯავახეთს. ხეობაში, როგორც ჩანს მტკიცედ დამკვიდრდნენ ციციშვილები. მიუხედავად იმისა, რომ ალგეთის ხეობა XV საუკუნიდან საბარათიანოს შემადგენლობაში იყო, ხშირადაც იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში და ციციშვილების დამოკი-

¹ Sd-1932

² დუნდუა ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბ., 2010, გვ. 43;

³ ფ. 1448, ს. 4968

დებულებანი სამეფო კართან, მაინც შეძლეს XVIII ს. ბოლომდე შეენარჩუნებინათ მამულები. 1948-1950 წწ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის ანგარიშები დაგვეხმარა საკვლევი სოფლების ლოკალიზაციაში. ეს სოფლებია: ცოვრეთი, ღორისთავი, დალეთი, სამღერეთი, სამღერეთის მონასტერი, სამღერეთის ახალშენი.

აღგვთის (გუდარეხისწყლის) მარჯვენა მხარეზე მდებარეობდა სოფ. ღორისთავი მის სამხრეთით ცოვრეთი (ცხორეთი). სოფელი იხსენიება მეფე ლუარსაბ 1-ის 1535-1538 წწ. იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის განჩინებაში. იოთამ ბარათაშვილს ერგო ნახევარი ცოვრეთი 15 კომლით და საუხუცესო.¹ მოგვიანებით ცოვრეთი და გუდარეხი ნასოფლარათ მოიხსენიება მეფე ლუარსაბ 1-ის 1543 წლის ბარათაშვილთა გაყრის განჩინებაში. აქვე მინიშნება „ნასოფლარი... ცოვრეთი ვითამც ორბელიანთაგან გაცვლილი იყოს-ო.“² 1642-1643 წწ. როსტომ მეფემ გერმანოზ ბარათაშვილს სამკვიდრო სოფელი ცოვრეთი გამოართვა და გიორგი მუხრანის ბატონიშვილს გადასცა. ბარათაშვილები სოხოვენ მეფეს სანაცვლოდ სხვა მოწყვალება მოიღოს მათზე და როსტომ მეფისაგან სანაცვლოდ „დიდ წერაქუის“ იღებენ. 1643 წ. სიგელით მეფე როსტომი სოფ. ცოვრეთს გერმანოზ ბარათაშვილს კვლავ უმტკიცებს. აღნიშნული წყალობის შესახებ საკვლევი თემისთვის საინტერესო ცნობაა მასში დაცული: „ვითარცა ნოდარზედი გავიმარჯვეთ და ცოვრეთი გამოვართუით და ბატო-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, სპარსული ტექსტები თ. აბაშიძემ, თბ., 2016; გვ. 143

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაუროო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 34;

ნისშუილსა გიორგის მივეცით თქუენი სამკვიდრო, მას უკან გიორგი ჩუენს სიკუდილსა და დალატში გაერივა, იმას ყაზბი უყავით... ცოვრეთი ისრევე თქუენ დაგიმკვიდრეთ.“¹ ამდენად, ღოკუმენტის მიხედვით ცოვრეთი ბარათაშვილებთან მამულის გაცვლის გზით XVI საუკუნის შუა ხანებიდან ციციშვილთა საკუთრებაში ყოფილა, 1642-43 წწ. ნოდარ ციციშვილის შე-თქმულებამდე.

მარიამ დედოფალმა თავის ერთგულ სახლთუხუცესს, სარდალ პაპუნა ციციშვილს მისთვის ნაბოძები სოფელ ღორისთავის თარხნობა მისცა 1659 წ.² 1699 წლიდან აღნიშნული სოფლები საეკლესიო მამული ჩანს. ეს სოფლები ციციშვილების სამეფო კართან ურთიერთობის ცვლილებისთანავე ბარათაშვილ-ორბელიშვილთა ხელში გადადიოდა და კვლავ გაუთავებელი ცილობის საგნად დარჩენილა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1700 წლის ღოკუმენტების³ მიხედვით კი ჯილდამი და ღორისთავი ვახტანგ ორბელიშვილის ცოლ-ყოფილის, თამარის ნამზითვი ქონება და მისი შვილების კანონიერი საკუთრება იყო. ღორისთავი სომხით-საორბელოს წარწერების მიხედვით⁴ მდივანბეგ, ერასტი ყაფლანიშვილის მფლობელობაშია, რასაც ადასტურებს 1721 წ. აღწერის მასალებიც. მასში დაცული ცნობით ცოვრეთი გერმანოზიშვილების ხელშია, ღორისთავი კი მდივანბეგ ერა-

¹ დუნდუა ნ., აღმხავლეთ საქართველოს მეფეების ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბ., 2010, გვ. 129;

² ფ. 1450, ს. 2614; ფ. 1448, ს. 2316

³ Sd-2301

⁴ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ქეგლების წარწერები, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ნაწ. მეორე, ტ. 43, თბ., 1951, გვ. 165;

სტისა და სეხნია ჩხეიძის საკუთრებაშია. ეროვნულ არქივში დაცული ვახტანგ მეფის 1726წ. წყალობის წიგნით, სამკვიდროდ სოფ. ღორისთავს უმტკიცებს არქიმანდრიტ, ნიკოლოზ აბაშიშვილს.¹ ყიზილბაშობის პერიოდში (1737 წ.) კვლავ ციციშვილები იბრუნებენ ღორისთავს.

სოფ. სამღერეთი (თეთრიწყაროს მუნიც.) მდებარეობს თეთრიწყაროს დასავლეთით 8 კმ-ით, დაშორებულ თანამედროვე სოფ. სამღერეთის მიდამოებში. უცხოური პირველწყაროს ცნობით,² XVI ს-დან სააკაძეების საქართველოდან გადახვეწის შემდეგ, რაშიც ნოდარ ციციშვილის მამის, ფარსა-დანის ბრალეულობა იკვეთება, მამულები ფარსადანის მფლობელობაში გადადის. 1643 წელს მეფე როსტომი და დედოფალი მარიამი, წყალობის წიგნით სააკაძისეულ ნაძალადევად წარომეულ მამულებს, სამღერეთს, ახალშენს და ღორისთავს აძლევენ ბარათაშვილებს. სიგელის გაცემის თარიღის და წყაროს ანალიზის მიხედვით თუ ვიშსჯელებთ, აღნიშნული სოფლები ნოდარ ციციშვილისთვის, 1643 წელს, შეთქმულების დამარცხების შემდეგ ჩამოურთმევიათ. ვახუშტი ბატონიშვილს თავის რუკაზე სამღერეთსა და ღორისთავში მხოლოდ გერმანოზიშვილების რეზიდენციები აქვს აღნიშნული, მაშინ, როცა 1721 წ. აღწერით სამღერეთში მამულები აქვთ ქაიხოსრო, ზაზა და ზაალ ციციშვილებს.

სოფ. მონასტერი ვახუშტის რუკის მიხედვით მდებარეობდა ახალშენსა და სამღერეთს შეა. სამღერეთის სამხრეთით მდ. ხრამის მარცხნა ფრიალო ნაპირას, მდ. ხრამისა და ტორნეს ხევის შესართავთან დღემდე შემორჩენილია ნაგრევების სახით. იგი სამიმოსვლო გზებთან დაცილებულია და მოიხსენიებოდა მხოლოდ „საბეროს“ სახელით. 1948 წლის

¹ ფ. 1450, დ. 15 ს. 13

² <https://archive.org/stream/catalogueofpersi01brituoft#page/188/mode/2up>

ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციის შემდგომ სამღერეთის სამონასტრო კომპლექსის კვლევა ირ. ციციშვილს უკავშირდება. სამწუხაროდ, საციციანოს ეს ქართული სოფლები: ცოვრეთი, ლორისთავი, სამღერეთის მონასტერი და სამღერეთის ახალშენი მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად დარჩა.

სოფ. დაღეთი, დღ. დაღეთ-ზაჩინი მდებარეობს (თეთრიწყაროს მუნიც.) მდ. ხრამის ხეობაში. სოფლის სამხ. აღმით სამიოდე კილომეტრის დაშორებით, სადაც ხეობა შედარებით განიერია უხვად შემორჩენილია, ნასახლარები, ციხეკოშების და ეკლესიების ნანგრევები, სამეურნეო დანიშნულების ტერასები. ვახუშტი ბაგრატიონს ქვემო ქართლის რუკაზე ამ ადგილას მონიშნული აქვს სიმაგრე „მუგუთი“. პაპუნა ორბელიანი - „მუგუთის ქვაბებს“ უწოდებს. ტოპონიმი ლ. ჭილაშვილის მოსაზრებით, იგივე „მოგვთაა“ და არ გამორიცხავს ძეგლის წინაქრისტიანულ წარმოშობაზე მიუთითებდეს. არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და დოკუმენტური წყაროები მჩქეფარე სამონასტრო ცხოვრების კვალზეც მიანიშნებს, რომელიც სავარაუდოთ თემურ-ლენგის ლაშქრობის შემდგომ შეწყვეტილა. საარქივო მასალის მიხედვით, ბაგრატ-ზანმა 1617 წ. ბაადურ ციციშვილს, განუახლა წყალობა თავისი სამკვიდრო სოფლებისა - დაღეთსა და წინწყაროში¹ ყორჩიბაშ ბაადურ ციციშვილს, [1651-1658 წწ.] თავის ძმასთან ყაიასთან ერთად სამამულო დავა აქვს სარდალ პაპუნა ციციშვილთან (1633-1658 წწ.) და იყოფენ ყმებს დაღეთში.² 1721 წლის აღწერით დაღეთსა და დიდ დაღეთში საკმაოდ დიდ მამულებს ფლობს ციციშვილთა საგვარეულო, 30 – გამომღები კომლი, თავი - 46; ბოგანო მოლაშქრე - 10; ბოგა-

¹ ფ.1450, დ.37, .190;

² ფ.1450, დ.37, ს. 162-174

ნო - 4; ჟამთა ვითარების მიუხედავად ალგეთის ხეობის სოფლებიდან ციციშვილებმა XVIII ს. ბოლომდე მაინც შეძლეს სამკვიდრო მამულების შენარჩუნება.

სოფ. ჩიტალა მდებარეობს სომხითში, ფოლადაურის მარცხენა მხარეზე. (ჩატალი მდინარეთა შესაყარს ნიშნავს, რადგან აქვე ფოლადაურს მარცხნიდან უერთდება ლოქის-წყალი). დ. ბერძენიშვილი ამ ისტორიულ სოფელს დაახლოებით დღ. სოფ. ჩათახის ადგილზე ვარაუდობს. დოკუმენტური წყაროებით ჩიტალა სახლთუხუცესს მანუჩარ ციციშვილის 1637-1646 წწ. სამკვიდრო მამულია. სომხითის მელიქმა ყორნებაზეგმა, რომლის კუთვნილი ყოფილა შულავერთა მოხუცლი მიწის ღალა, 1637 წ. მანუჩარის ყმები ჩიტალაში, გაათავისუფლა სამელიქო გამოსაღებისაგან იმ პირობით, რომ მის მამასახლისს ლაშქარში კაცი არ უნდა დაეკლო.¹ საკმაო ყმა-მამული აქვს ყორჩიბაშ ბაადურ ციციშვილსაც ჩიტალაში² ყორჩიბაშს თავის ძმასთან ყაიასთან ერთად სამამულო დავა აქვს სარდალ პაპუნა ციციშვილთან და ჩიტალაში იყოფენ ყმა-მამულს.³ სოფ. ჩიტალას ადგილის ლოკალიზების განსაზღვრა შესაძლებელია 1697 წ. ნასყიდობის წიგნის სპარსული ტექსტით. 1721 წ. აღწერით ითვლებოდა მებატონე ციციშვილი ბადურაშვილი ზაალი - გამომლები კომლი - 4, თავი - 5.

ვფიქრობ, აღნიშნული საკითხის შესწავლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საციციანოს საზღვრების ლოკალიზაციას, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკურ-დემოგრაფიული ცვლილებების რეალური ისტორიის აღდგენას და სამეფო კართან ციციშვილების ურთიერთობის ისტორიის შესწავლას.

¹ ფ. 1450, დ. 37, ს. 191;

² ფ. 1450, დ. 37, ს. 166-171;

³ Sd-871; Sd -872;

დამოწმებანი:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძნიშვილის რედაქციით, თბ., 1941;
2. ბერძნიშვილი დ., ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014;
3. ბერძნიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960;
4. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964;
5. ლუნდუა ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მეფების ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბ., 2010;
6. ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ნაწ. მეორე, ტ. 43, თბ., 1951;
7. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები III, ტფ., 1913;
8. მუსხელიშვილი დ., სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014;
9. იაკობ რაინექსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმანა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002;
10. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014;

11. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, საარსული ტექსტები თ. აბაშიძემ, თბ., 2016;
12. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970;
13. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970;
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972.
15. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973;
16. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბ., 1942;
17. Арх. Экскурсии, разискции и заметки: тиф. губерния Борчалинский уезд, Триалетское приставство, 1913. Вып. 4, стр. 59-60;
18. Акты VII, II, стр. 434, 805; Акты VI, I, стр. 249, 802;
19. ფ. 1448 ს. ს. 2316; 4968; ს. 5010ა-ბ; ს. 5546; ს. 1543; ს. 2328; ფ. 1449, ს. 5019; ს. 2649; ს. 1542; ფ. 1450, დ. 15 ს. 13; ფ. 1450, დ. 37, ს. 162-174, 190, 191; დ. 51, ს. 48; დ. 52, ს. 61-ა, 62; ფ. 1450, ს. 2614; ფ. 254, I, 1217, 8923.8947, 9021;

20. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad -1226; Hd-8712;
Sd-871; Sd-872; Sd-19 32;

21. <https://archive.org/stream/catalogueofpersi01brituoft#page/188/mode/2up>

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

**FROM THE HISTORY OF SATSITSIANO VILLAGES
(KVEMO KARTLI)
RESUME**

The paper presents the villages of the Tsitsishvili family on the bases of comparability analysis of Georgian historical documents and epigraphic material. The number of Satsitsiano villages is determined according to historical sources. The paper also studies the issues related to a toponymy and location of Satsitiano villlages. It explains the historical reasons of ethnic- demographic situation in Kvemo Kartli as well.

An increase of the Phanaskerteli- Tsitsishvili family influence on the Royal family in the XV century and also the bases of granting of lands and peasant serfs by the Royal family, that was a matter of strategic importance, are clarified in the paper though interpretation of primary sources available for the study. The paper highlights a significance of ownership of lands in Kvemo Kartli for Satavado's power and immunity. It also explains interdependence of Satsitsianos' relation with the Royal family and changes of the borders of Satsitsiano land.

გორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან
(ლიახვის ხეობის მოსახლეობის პროტესტი საბჭოთა
ხელისუფლების მიმართ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური
ოლქის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით)

1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა ოს სეპარატისტებს, რომელთა მიზანი საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა იყო. სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილებით სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის იდეა გამოიკვეთა. საკითხი საბოლოოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტის კაგბიუროს უნდა გადაეწყვიტა. 1921 წლის 31 ოქტომბერს სწორედ კაგბიურომ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით. კაგბიუროს დადგენილებით, 1921 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კომისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ა. ჯატიევისა და მ. ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად

ცხინვალი განსაზღვრა.¹ 1921 წლის 23 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იმ კომისიის შემადგენლობა, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები. პრეზიდიუმმა საქართველოს რევკომს წინადაღება მისცა ამ კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი და გაგლოვანი.² კომისია მუშაობას 1921 წლის 5 დეკემბრიდან შეუდგა. კომისიის თავმჯდომარედ კირილე კაკაბაძე აირჩიეს, მდივნად - სერგო გაგლოვანი.³ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალის გამოცხადებას, ასევე ოლქის შემადგენლობაში ქართული სოფლების გადაცემას დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, ასევე ფრონის ხეობაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის დიდი პროტესტი მოჰყვა. სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარედგინა მოხსენებითი ბარათი, საიდანაც ჩანს, რომ ცხინვალის შემოგარენ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა აღშფოთებული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეეყვანით. მათ მიერ სპეციალური წერილები დაეგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ისინი გორის მაზრაში დარჩენას ითხოვდნენ.⁴ სოფლებში სპეციალური კრებები ჩატარდა, სადაც შემუშავებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობაში გადასაგზავნი ოქმები. თუ როგორ აპროტესტებდა ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე გადაცემას შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დიდი და პატარა ლიახ-

¹ თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 67.

² იქვე, გვ. 68.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 75-76.

ვის ხეობების რამდენიმე სოფლის მაგალითზე. სოფელ დგვ-რისის მოსახლეობის მიერ შედგენილ ოქმში კითხულობთ: “31 დეკემბერს 1921 წ. ჩვენ სოფ. დგვრისში მცხოვრები შე-ვიკრიბენით და ვიქონიეთ მსჯელობა შესახებ საგანგებო კო-მისის თავმჯდომარე კაკაბაძის (იგულისხმება მთავრობის მი-ერ შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვ-რების დამდგენი კომისიის თავმჯდომარე კირილე კაკაბაძე - გ.ს) და გამოცხადებისა ცხინვალის გადაცემაზე სამხრეთ ოსეთის მმართველობაში და მივიღეთ რა მხედველობაში მისი განცხადება ჩვენ ერთხმად დავადგინეთ, რომ ემცნოს უმაღ-ლეს მთავრობას ჩვენი განმეორებითი და დაბეჯითებითი უა-რის თქმა ჩვენ მიერ ამორჩეული და ნდობით აღჭურვილი კა-ცის გაგზავნით უმაღლეს მთავრობაში. ვსოთხოვთ მთავრობას, რომ მიიღოს ჩვენი რწყელი განცხადება და ჩვენ სოფელს ნუ გადასცემს სამხრეთ ოსეთის მმართველობაში, რაღაც ჩვენი სოფელი ქართველი მცხოვრებლებისაგან შესდგება. რაც შეე-ხება მეზობლურ განწყობილებას, ჩვენ კავშირს არა ვწყვეტთ და ყოველგვარად დავეხმარებით როგორც გადაცემულებს შეძლების დაგვარად.” დოკუმენტს ხელს აწერენ სოფელ დგვრი-სის მცხოვრები.¹ დგვრისელთა მსგავსად მთავრობას პრო-ტესტით მიმართა კეხვის მოსახლეობა: “1921 წელს ქრისტე-შობისთვის 28 დღეს ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერელნი გორის მაზრის ცხინვალის რაიონისა სოფელს კეხვი მოვახდი-ნეთ კრება და ამოვარჩიეთ კაცი ზურა გაიოზის(?) ძე მელანა-შვილი და დათა ივანეს ძე კახნიაშვილი გასაგზავნად ქალაქის ცენტრში მასზედ, რომ ამათ გაიგონ დანამდვილებით შესახებ დაბა ცხინვალის რაიონის სოფლების გადასულა სამხრეთ

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საინსტიტუტო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საოკუპაციო მუზეუმი.

ოსეთის განკარგულების ქვეშ. გაიგონ თუ რა მიზეზით ჩამოგვაშორეს ჩვენ საქართველოს. ეს არის ჩვენი სრული ოქმი და ხელსაც ვაწერთ მთელი სოფელი.“ დოკუმენტს 64 ხელმოწერა ახლავს.¹ ასეთივე ოქმი შეუდგენიათ სვერის და ქემერტის მკვიდრ მოსახლეობას: „რწმუნების ქაღალდი 1921 წელსა დეკემბრის 24 დღესა, ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერელნი გორის მაზრის, ცხინვალის რაიონის სოფ. სვერსა და ქემერტში მცხოვრებელნი მოქალაქენი, ჩვენს საერთო კრებაზედ ერთ ხმათ ვირჩევთ ამომრჩევლად დელეგატებისა ამავე სოფ. ქემერტში მცხოვრებს შაქრო ისაკის ძე კასრაძეს. აღნიშნული კასრაძე ვისაც ამოირჩევს ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებით. მხოლოთ საქართველოს ცენტრალურ რევკომში მთავრობასთან გასაგზავნ დელეგატებს ჩვენგან ევალებათ შემდეგი: წარსდგნენ საქართველოს მთავრობის წინაშე და გადასცენ ჩვენი უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლათ რაისათვის უნდა ვიქწეო მოქცეულნი - ოსების თვით გამორკვევის ფარგალში? ვინაიდგან მთელი სამი მხარე ცხინვალის რაიონისა და ჩვენს ჩრდილოეთი მცირე გამონაკლისი დასახლებული 1921 წლისა შეხიზნულია შიშიანობის გამო სოფ. ქემერტში.“ დოკუმენტს ხელს აწერს ქემერტის 61 მცხოვრები და სვერის 12 მკვიდრი.² საბჭოთა მთავრობას საპროტესტო წერილებით მიმართეს პატარა ლიახვის ხეობის სოფლების წარმომადგენლებმაც. სოფელ ერედვში მცხოვრები მოსახლეობის მიერ გაგზავნილ წერილში, რო-

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საოკუპაციო მუზეუმი.

² საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საოკუპაციო მუზეუმი.

მელსაც ხელს 250 ადამიანი აწერს, ვკითხულობთ: “1921 წელს, დეკემბრის 24 დღეს, ჩვენ სოფელ ერედვის მცხოვრები ვადგენთ ამ ოქმს სოფლურად იმის შესახებ, რომ გადაეცეს ეს ოქმი ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებ, ე.ი დელეგატებს ს.ს.რ. მთავრობასთან წარსადგენად. დელეგატებს ევალებათ გააგებინოს სოფელს მთავრობის მიერ ცხინვალის რაიონში გამოგზავნილი კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების შინაარსი. კომისია გამოგზავნილი იყო იმ მიზნით, რომ ადგილობრივ გამოეკვლია ხალხის დაკითხვით წინააღმდეგნი ხომ არ იქნებოდნენ, რომ ცხინვალის რაიონის სოფლები გადასულიყვნენ ოსეთის რესპუბლიკის მმართველობის ქვეშ. ზემოაღნიშნულ კომისიის მიერ დაბა ცხინვალში მოწვეულ რაიონის სოფლების წარმომადგენელთა ყრილობაზე გამოიკვა, რომ ხალხი ერთხმად წინააღმდეგია საქართველოს რესპუბლიკას ჩამოშორდეს და მიეწეროს ოსეთის რესპუბლიკას. მიუხედავათ ასეთი აშკარა პროტესტისა ყრილობაზე არ იყო ოფიციალად გამოტანილი რეზულუცია და მიღებულ დადასტურებული ყრილობის მიერ. ვინაიდან ასეთი მოპყრობა მშრომელი ხალხისადმი სრულიად უსამართლოდ მიგვაჩნია. ვინაიდან ხალხმა არ იცის კომისია რა აზრით და გადაწყვეტილებით წარსდგება ს.ს.რ. მთავრობასთან ამ ფრიად მწვავე და მნიშვნელოვან საკითხის შესახებ. ვირჩევთ დელეგატებს და მოვითხოვთ მათ გამოარკვიონ ზემოთაღნიშნული და განმეორებით მოახსენენონ მთავრობას, რომ სოფ. ერედვის 250 კომლი მცხოვრები, ერთხმად, როგორც ერთი კაცი მოელითავისი არსებით წინააღმდეგია ოსეთის რესპუბლიკათან შეერთებისა. სოფ. ირჩევს გადასახლდეს (ამ ადგილზე ერთი სიტყვა გაურკვევლად წერია) ადგილებიდან სხვა მიწა მოძებნოს, ვინენ საქართველოს რესპუბლიკას ჩამოშორდეს... მასთან ერთად გავალებთ დელეგატებს გადასცენ ს.ს.რ. მთავრობას

რომ უკეთუ მათ არ დაუჯერებენ ამ ოქმის სიმართლეს, მაშინ ჩვენ მზადა ვართ ქუდზე კაცი გავგზავნოთ მთავრობას-თან ჩვენი გულის ნადების გადასაცემად.“¹

როგორც ჩანს, კომისიას, რომელსაც პ. კაკაბაძე ჩაუდგა სათავეში ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შეთანხმებით უნდა ემოქმედა და დიალოგის ფორმატში განეხილა ისტორიული ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთზე გადაცემის საკითხი, მაგრამ კომისიის მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რასაც მწვავე პროტესტი მოჰყვა. ერედველების მსგავსად საპროტესტო წერილი მთავრობას სოფელ დიცის მაცხოვრებლებმაც გაუგზავნეს: “1921 წელი დეკემბრის 26 დღე ჩვენ სოფელ დიცი მცხოვრებელნი გორის მაზრის ვადგენთ რა ამ ოქმს სოფლეურად მასზედ, რომ გადაეცეს ეს ოქმი ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს ე.ი. დელეგატებს წარსადგენათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან რომ გაგვაგებინონ შინაარსი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც გადასწყდა მთავრობის მიერ გამოგზავნილ კომისიის ამხანაგ კაკაბაძის თავმჯდომარეობით დაბა ცხინვალში, რომელიც იყო ყრილობა მოხვდენილი კომისიის მიერ დეკემბრის რიცხვებში ვითომ და გადაცემის შესახებ ცხინვალის და მის რაიონის ოსების ხელში; განმეორებით უცხადებთ ჩვენ 150 კომლი მცხოვრებელნი პროტესტს ცხინვალის გადაცემაზე ოსების ხელში. კომისიის წინაშე იყო მოთხოვნილება, რომ კომისიას წაეკითხა ჩვენთვის ყრილობის რეზულუცია, მათ წაგვიკითხეს ესე „კრება ერთხმად უარს არის, რომ ცხინვალი გადაეცეს ცენტრად ოსეთს“. ჩვენ მოვითხოვთ ამის პირი რომ საბუთათ გვქონდა მათი რეზულოციისა, კომისიაც დაგვპირდა ხვალ დილით

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საოკუპაციო მუზეუმი.

რევკომში დავაბეჭდინებთ და გადმოგებზავნებათ თქვენ რევკომებში, მეორე, მესამე დღეს გავგზავნეთ კაცები რევკომში რეზულუციის მისაღებად, მაგრამ ვერ ვეღირსეთ მის მიღებას და დაგრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ, თუ მოისურვებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა, რომ დანამდვილებით გაიგოს ხალხის გულის პასუხი გავუგზავნით ორსამ კაცის მაგიერ ქუდზე კაცს და ანდა იყოს გამოგზავნილი ახალი კომისია კიდევ ცხინვალში დასაკითხად ხალხისა. პირველს მოვითხოვთ ჩვენ, რომ ოსეთის რევკომი, რომელიც ცხინვალში იყოს გადატანილი ს. ჯავაში, რომელიც შეადგენს ოსეთის შუა გულს, რომელზედაც ხელს ვაწერთ.“ დოკუმენტს აქვს სოფელ დიცის მცხოვრებთა ხელმოწერები. სულ 150 ხელმოწერა, ვინაიდან სოფლის მცხოვრებლებმა წერაკითხვა არ იცოდნენ მათ ნაცვლად ხელ აწერს დოკუმენტის შემდგენი (სავარაუდოდ უნდა ეწეროს მ. ხომასურიძე).¹

როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსახლეობის თვალის ასახვევად ცხივნალში დროებით კომისიის სხდომა ჩაატარა და ხალხს დადგენილების ნაყალბევი ვარიანტი გააცნო, სადაც ცხინვალი თითქოს არ ცხადდებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონიური ოლქის ცენტრად. მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად, კომისიამ ყრილობის რეზულუცია არ გააცნო. დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ახალი კომისიის დანიშვნას ითხოვდნენ. ამ თხოვნაში იყო ასევე გაუღერებული ოსეთის რევკომის გადატანა ს. ჯავაში.

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საოკუპაციო მუზეუმი.

საბჭოთა მთავრობას ოცამდე სოფლის საპროტესტო წერილი გაეგზავნა.¹ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ-მა კომიტეტმა ცხინვალი და მისი მიმდებარე ქართული სოფ-ლები დროებით გორის მაზრის რაიონულ რევკომს დაუქვემ-დებარა, თუმცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმი-ნისტრაციულ ცენტრად ცხინვალი მიიჩნია.² ხელისუფლების კომპრომისი დროებითი იყო, 1922 წლის 20 აპრილს კრემ-ლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომი-ური ოლქის შექმნა³. გამოიცა დეკრეტი (№2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კო-მიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭო-თა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრუ-ლებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.⁴ ქართველებით იყო დასახლებული სოფლები იძულებით შეიყვანეს ახლად შექმნილ ავტონომიურ ოლქში. ამის შესახებ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.⁵

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა – ა. გეგეშკორმა 1922 წლის 20 აპრილის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეკრეტის გამოცემის შემდეგ სრულიად საქართვე-ლოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის

¹ ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

² იქვე, გვ. 75.

³ იქვე, გვ. 80.

⁴ ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁵ იქვე, გვ. 76, 77, 78.

პრეზიდიუმს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც დეკრეტის მე-2 პუნქტის გადასიჯვას ითხოვდა (ეს ეხებოდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში გადასაცემ ტერიტორიებს), ა. გეგეჭკორი წერდა: „რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი - ა. გეგეჭკორი.“¹ როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლება გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ქართული სოფლების გადაცემასთან დაკავშირებით და ეს საკითხები იმ კომისიას უნდა განეხილა, რომელსაც, როგორც მივუთთოებდით, კ. კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიუხედავად ცხინვალსა და მის შემოგარენში არსებული დაძაბული ვითარებისა 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი ახლად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადასცა. მოსახლეობის პროტესტი ხელისუფლებამ ყურად არ იღო. შინაგან საქმეთა კომისრის მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პროტესტის გამომხატველი ოქმები, აღნიშნული ოქმები გამოქვეყნებული აქვს ლ. თოიძეს. თიღვისა, ოქნისა, სუნისისა, ნაბაკვევისა, ტყის უნისა, შინდარისა, ნედლათისა, ალი-ბარისა, ახალშენისა და ხუნდისუბნის მცხოვრებელთა ოქმში, რომელიც შედგენილია მკათათვის 11-ს (11 ივლისს) გვითხულობთ: „სამხრეთ ოსეთის ხაზის გავლების დროს

¹ ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

მოვყევით მის ფარგლებში, რაც წარმოადგენს ეკონომიური თვალსაზრისით დიდ უხერხულობას – ა) ცხინვალში სიარული არ გვეხერხება, ძველთაგან ჩვეულნი ვართ გომში, სურამში და გორში სიარულს, რომელთა ბაზრითაც ვსარგებლობდით მუდამ და სადაც საღლება ყოველი ჩვენი ნაწარმოები; ბ) ცხინვალის გზები იმდენად ძნელი სასიარულოა, რომ ყოვლად აუტანელია ჩვენთვის და ჩვენი საქონლისათვის და გ) დაწესებულებებში სიარულის დროს, ჩვენი საქმეებისა გამო, მიგვაქვს იმავე დროს გასასყიდლათ ყოველი ჩვენი ნაწარმოები და ამით ვიმატებდით სამუშაო დღეებსო... დავადგინეთ: ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ოლქზე მიწერა გამოიწვევს დაღუპვას, კატეგორიულად მოვითხოვთ, რათა ჩვენი სოფლები დარჩეს გორის მაზრის ფარგლებში და მიეწეროს მახლობელ საციხურის თექს.“¹

23 აგვისტოთი დათარიღებულ ოქმში ოლქში შესვლას აპროტესტებდნენ სოფ. ჭარების (პატარა ლიახვის ხეობა) მცხოვრები.² ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მცხოვრები ა/წ 26 აგვისტოს წერილით ხელისუფლებას ასე მიმართავდნენ: „სამხრეთ-ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილათ და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ ქართველებს გვარტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარეუბანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებანიო“.³ ასეთივე პროტესტს გამოხატავდნენ რაჭის მაზრაში შემავალი ქართული სოფლების წარმომადგენლები. ისინი შინაგან საქმეთა სა-

¹ ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

² იქვე.

³ იქვე.

ხალხო კომისარიატისადმი 20 აგვისტოთი დაღარიღებული წერილში აღნიშნავდნენ: „რაჭის მაზრის ქართველ გლეხობის საბუთებით შეძენილი უძრავი ქონება, სახნავი, საძოვარი მიწები და ტყეები მოჰყვა სამხრეთ-ოსეთის ოლქში და დღეს თითქმის სადაოთ ხდება ეს მათი საკუთრება, რადგან ამ ადგილებს ოსები თავიანთ საკუთრებათ სოვლიან... გლეხობის-თვის ტყით სარგებლობა იმ მხრითაც უხერხული ხდება, რომ ნებართვოს ასაღებათ მათ ცხინვალში უნდა წავიდნენ, რომელიც 70 ვერსის მანძილზეა... აღმ. კომიტეტი თხოულობს: შეჩერებულ იქმნას ოსეთის ფარგლებში შეტანა იმ ტყეებისა, რომელიც ქართველ გლეხობის საკუთრებას შეადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის მოსალოდნელიაო”.¹ იგივე აზრს გამოხატავდნენ რაჭის მაზრის წედისის თემის სოფ. წედისის, ქვედის... მცხოვრებთა რწმუნებული 6 სექტემბერს დაწერილ მიმართვაში: „ოსების საზღვრებში მოხვდა ზემო-რაჭის თითქმის ყველა სატყეო აგარაკები, სათიბები და სახნავი ყანები, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა წედისის თემის სატყეო აგარაკი, სახნავი და სათიბი ადგილები, რაიც ზემოაღნიშნულ სოფლების საკუთრებას შეადგენს; ეხლა კი ოსეთის განკარგულებაში გადავიდა. უნდა მოვახსენოთ ცენტრი. აღმასკომს (განცხადება ცენტრ. აღმ. სახელზეა), რომ თუ ის არ მიაქცევს ყურადღებას ასეთს მნიშვნელოვან საკითხს, იმულებული გავხდებით ყველამ თავები დავიხოცოთ და ჩვენი ოჯახები წყალში ჩავყაროთ, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენს აგარაკს, სათიბებს, სახნავ მიწებს ისევ ჩვენ დაგვიძირუნებთ ე.ი. მოაქცევთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაში”.² ასეთივე შინაარსის წერილით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს

¹ იქვე.

² იქვე.

სოფ. ძვილეთის მცხოვრებლებმა 5 ივლისს (მკათათვის): „სოფ. ძვილეთი აღმოსავ. დასავლეთით და სამხრეთით გარს შემორტყმულია ქართული სოფლებით და ეს სოფლები და თვით ძვილეთი ეკუთვნიან ზემო ქართლს. წინად ვიყავით მიწერილი დირბის საზოგადოებაზე ანუ შემდეგ დირბის თემზე, ახლა მიგვაწერს სამხრეთ-ოსეთის ოლქზე. ჩვენ პიტალო ქართველები ვართ, ოსური ენა სრულიად არ ვიცით. დირბის სასამართლო ჩვენგან სამ ვერსზეა, ხოლო თუ სამხრეთ-ოსეთის ფარგლებში დავრჩით, მაშინ წუნარში 15 ვერსტზე მოგვიზდება სიარული. ამასთანავე მდ. დვანის ფრონე დიდია და ჩვენთვის ძალიან ძნელია იქ სიარული, ამიტომ გთხოვთ მიგვაწეროთ ისევ დირბის თემზე...“¹

ხელისუფლებას თხოვნით მიმართა ასევე ქსნის თემმა (დუშ. მაზ). 21 ოქტომბერს.

„გამოგვეცხადა რა, რომ ქსნის თემი გადადის სამხრეთ-ოსეთზე, ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლათ მიგვაჩნია”: ა) ცხინვალი დაშორებულია ჩვენს თემზე 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული საჩივრებისა თუ სხვადასხვა საქმის გამო შეუძლებელია, რადგან მოითხოვს მუშა-კაცისგან მოცდენას, წასვლა-წამოვლაში არა ნაკლებ 3-4 დღისა, რაიც დამღუპველ იქნება იქ სიარული, მაშინ, როდესაც დუშეთი ჩვენზეა 18 ვერსის მანძილზე... რაც უნდა გაგვიჭირდეს ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და ჩვენი გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ძლიერ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეზობელ სოფლებთან, რომლებიც მდებარეობენ დუშეთისაკენ, გვაქვს ახლო დამოკიდებულება მამულის და სხვა საქმეებისა გამო და ამათან საქმის მოსაგვარებლათ უნდა ვიაროთ დუშეთს და ისინი კი თუ ჩვენზე

¹ იქვე.

საჩივარი ექნებათ, - ცხინვალს ამნაირად სულ აგვეწეწება საქმე, ამიტომ, ვთხოვთ მთავრობას მიგვაწეროს ისევ დუშეთს და აგვაცდინოს მრავალი გაჭირვება და უსიამოვნება... ამგვარად, ქართველი მოსახლეობა გორის მაზრისა დაქინებით კატეგორიულათ ერთსა და იმავეს, ითხოვს არაერთხელ, - სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით (წერილობით თუ პირადად დეპუტაციის საშუალებით). ერთსა და იმავე სურვილს გამოსთხვამს ოთხჯერ – არ დაუმორჩილონ იგი ოსთა ხელი-სუფლებას”.¹ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის ამ მწვავე პროტესტის ძირი დავად, უამრავი ქართული სოფელი ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემადგენლობაში მოექცა, რამაც გრძელვადიანი პოლიტიკური ნაღმის ეფექტი იქონია. სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი ე.წ. სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკამ სოფლები, სადაც უძველესი დროიდან ქართველთა ცხოვრების უწყვეტი კვალია, ოსურ მიწა-წყლად მიიჩნია, ხოლო 2008 წლის აგვისტოს რუსეთის მიერ თავსდატეხილი აგრესის შედეგად იმ მოსახლეობის შთამომავალნი, რომლებიც თავის დროზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესვლას მწვავედ აპროტესტებდნენ, საკუთარი საცხოვრებლებიდან გამოდევნეს და ქართული სოფლები მიწის პირისაგან აღგავეს.

¹ იქვე, გვ. 86-87.

Giorgi Sosiashvili

Gori State Teaching University

**FROM THE HISTORY OF CREATING THE
AUTONOMOUS REGION OF SOUTH OSSETIA
(THE PROTEST OF LIAKHI GORGE POPULATION
AGAINST THE RUSSIAN GOVERNMENT TO
INTRODUCE SOUTH OSSETIA AS AN AUTONOMOUS
REGION)
RESUME**

The ethnic Ossetian population who were settled in Georgia had a desire for national self-determination and establishment of autonomy prior before the sovietization of Georgia. This issue, as it is known, was discussed in the June of 1917 during the congress of the Ossetians of Georgia, which took place in Djava. Ossetians residing in Georgia peremptorily requested “introduction of nationality in South Ossetia and establishment of South Ossetia as a special administrative unit”. The main aim of Ossetians was separation from Georgia and unification with Russia. Backed by the support of the Bolshevik government of Russia, they became active in 1918, when they introduced an ultimatum to Gori Executive Committee. Despite the peaceful negotiations from the Georgia side, Ossetian separatists started array of attacks and conducted terrible acts of violence in Tskhinvali. On February 25th 1921 after the Soviet annexation of Georgia the Ossetians became freer in their actions. As according to the decree of the Revolutionary Committee of South Ossetia there was supposed to be established a South Ossetian Soviet Socialist Republic, finally with the efforts of the Bolshevik party an autonomous republic of South Ossetia was established. The above mentioned fact was finalized on April

20th, 1922 with a specific decree of the government. Despite the fact that ethnic Georgian population protested against this matter, Soviet government did not take into consideration it and transferred the governance over 40 Georgian villages to the newly established administrative district. Oppression of ethnic Georgian population continued even after the establishment of the new district, as the armed Ossetian raided ethnic Georgian population. Many Georgian villages were left under the rule of Autonomous republic of South Ossetia, which in the long-term perspective resulted in having a political dynamite effect. The so-called South Ossetian Republic during the 90s of the XX century proclaimed all villages, where ethnic Georgians resided part of South Ossetia, especially in 2008 during the Russian aggression against Georgia. The descendants of the population, who fiercely protested the establishment of the autonomous district of South Ossetia, were forcefully displaced from their homes and Georgian villages were completely destroyed.

Давид Шошиашвили
Сибирский Федеральный Университет,
Россия, г. Красноярск

КОЛЛЕКТИВИЗАЦИЯ СОВЕТСКОЙ ДЕРЕВНИ

Аграрные реформы в России носили актуальный характер и вызывали острую реакцию со стороны крестьянства и исследователей аграрной отрасли экономики и историков. Реформы всегда были призваны снять остроту земельного вопроса в селе, поднять урожайность и ликвидировать зависимость российского аграрного сектора экономики от необходимости поставок многих продуктов сельского хозяйства из зарубежных стран. Это особенно актуально стало в связи с наложением Россией продовольственного эмбарго на продукцию села из Европы, что считается необходимым в данный период, чрезмерной зависимости российского рынка от поставок сельхоз продукции от заграницы. Эмбарго в принципе должно стать локомотивом быстрого роста российского аграрного сектора экономики. С начала своего создания и по сей день Россия является аграрной страной с большими запасами земельного фонда. Но неэффективное его использование приводит к разрушению сельского хозяйства страны. Знание исторического опыта развития села важно не только для того, чтобы лучше понимать перспективы современного развития сельского хозяйства, но и для того, чтобы по возможности избежать опасных, трагических повторений прошлого, возможность

применить эти знания в практической деятельности, направленной на развитие российского АПК.

История развития советского села изучена недостаточно, хотя в постсоветский период появилось много интересных монографий и статей, опубликованы документы, которые помогают в исследовательской работе. Но в региональных и местных архивах лежат много неизученных документов, которые ждут своего автора,

Методологической основой исследования являются принципы историзма и объективности, позволяющие изучать историю единоличного крестьянского хозяйства в Курагинском районе в неразрывной связи с историческими условиями страны в 1917-1937 гг. Принцип историзма позволяет изучить явления в их возникновении развитии, в их связи с конкретными историческими условиями. Развитие крестьянского хозяйства с периода реформы П. А. Столыпина шло по естественному пути, а после октябрьской революции на селе стали происходить качественные изменения, которые перевернули всю психологию русского крестьянства, которое прошло сложный путь от эйфории до глубокого разочарования и трагедии, которое пришло в большинство семей жителей села. Принцип объективности — научный подход к исследованию разнообразных явлений реальной действительности. Принцип объективного взгляда на историю единоличного крестьянского хозяйства возможен с учетом анализа разнообразных источников.

Индустриализация в СССР была задумана Сталинским руководством для решительного рывка в развитии промышленного производства. Однако перед правительством советского государства вставал объективный вопрос — откуда же брать деньги на модернизацию? Многие

капиталистические страны, в первую очередь Великобритания, брали средства для роста собственной промышленности из многочисленных колоний, путем беспощадного ограбления и уничтожения местного населения. Молодые государства, такие, как Германия, для этого использовала иностранные займы, а в первую очередь 5 миллиардная контрибуция, взятая у Франции. Для молодого советского государства такие варианты для стимулирования собственного промышленного роста были неприемлемы в принципе, поэтому нужны были другие источники для финансирования. Таким источником и явился рабочий класс и крестьянство. В своем выступлении на пленуме ЦК ВКП (б) 4-12 июля 1928 г. И. В. Сталин откровенно говорил что: «Наша страна тем, между прочим, и отличается от капиталистических стран, что она не может, не должна заниматься грабежом колоний и вообще ограблением чужих стран. Стало быть, этот путь для нас закрыт. Но наша страна не имеет также и не хочет иметь кабальных займов извне. Следовательно, закрыт для нас и этот путь. Что же остается в таком случае? Остается одно: развивать промышленность, индустриализировать страну за счет внутреннего накопления»¹.

Крестьянство для Сталина было тем единственным источником поставки денежных средств, с помощью которого и можно было вывести страну в первые ряды экономически развитых стран и тем самым обеспечить для страны экономическую и заодно и политическую самостоятельность.

Сталин хорошо понимал, что средства из деревни выводятся немалые, и крестьянский класс испытывает

¹ <http://www.petrograd.biz/stalin/11-18.php>. Дата обращения 04.11.2014.

огромные трудности. Он переплачивал за товары промышленного производства, недополучал от продажи продуктов сельского хозяйства, еще платило прямые и косвенные налоги. Советское руководство это отлично понимало и в своем выступлении Сталин об этом откровенно говорил: «С крестьянством у нас обстоит дело в данном случае таким образом: оно платит государству не только обычные налоги, прямые и косвенные, но оно еще переплачивает на сравнительно высоких ценах на товары промышленности - это, во-первых, и более или менее недополучает на ценах на сельскохозяйственные продукты - это, во-вторых».¹ Но он так же понимал, что средств брать более неоткуда, и об этом он говорил откровенно.

Руководитель Советского государства планировал постепенно, из года в год сокращать разницу в цене между продукцией промышленного производства и сельского хозяйства, а не сразу, о чем и указывал в своем выступлении: «Почему я об этом говорю? Потому, что некоторые товарищи не понимают, видимо, этой бесспорной вещи. Они построили свои речи на том, что крестьянство переплачивает на товарах, что абсолютно верно, и что крестьянству не доплачивают на ценах на сельскохозяйственные продукты, что также верно. Чего же требуют они ? Они требуют того, чтобы были введены восстановительные цены на хлеб, чтобы эти "ножницы", эти недоплаты и переплаты были бы уничтожены теперь же. Но что значит уничтожение "ножниц", скажем, в этом году или в будущем году? Это значит затормозить

¹ <http://www.petrograd.biz/stalin/11-18.php>. Дата обращения 04.11.2014.

индустриализацию страны».¹ Конечно, иметь дело с 25 млн. отдельными крестьянскими дворами в деле выколачивания средств для индустриализации было труднее намного, чем с 200 000 колхозов. Поэтому и было решено организовать колхозы, но государство решило не ограничиваться только экономическим контролем. «коллективизация влекла за собой не только создание колхозов и преобразование крестьянина в коллективного производителя, но так же и осуществление серии вспомогательных мер, которые были нацелены на разрушение крестьянского самоуправления и крестьянских рынков... а так же разгрома деревенской верхушки путем раскулачивания»²

Поводом к раскулачиванию послужил хлебозаготовительный кризис 1927/28гг. причиной недостатка зерна было несколько: 1. Крестьянские продажи зерна государству упали из за роста внутреннего потребления – рост городского населения и рост потребления зерна самими крестьянами. Ощущался дефицит товаров промышленного производства. 2. Ценовая политика государства по отношению к крестьянам была неправильной – занижение закупочных цен на зерно, которые оказались ниже цен на другие товары сельского хозяйства.

Во время беседы со студентами Института красной профессуры, Комакадемии и Свердловского университета 28 мая 1928 г. И. В. Сталин откровенно обвинил кулачество в срыве хлебозаготовки: «Я уже говорил в одном из своих докладов, что эти затруднения были использованы капиталистическими элементами деревни и,

¹ <http://www.petrograd.biz/stalin/11-18.php>. Дата обращения 04.11.2014.

² Линн Виола. «Крестьянский ГУЛАГ: мир сталинских спецпоселений» Москва 2010. изд. РОССПЭН. Стр. 39.

прежде всего, кулаками для того, чтобы сорвать советскую хозяйственную политику»¹, а так же указал, что единоличные хозяйства, созданные после провозглашения нэпа не дали того результата в хлебозаготовках, на которое рассчитывало государство и он прямо указал, что крупное сельскохозяйственное объединение более способно применить для улучшения севооборота, производительности труда и улучшения урожайности сельхоз технику, улучшенные способы ведения хозяйства, чем единоличники.

В своей беседе со студентами он был откровенен, указывая, что советское сельское хозяйство в годы нэпа достигло определенного успеха, что довоенный уровень развития села был достигнут, что заготовки хлеба растут, но он так же указал, что темпы роста производства и заготовки хлеба в стране несмотря на явные успехи недостаточны, так как государство во первых не может обеспечить потребности внутреннего рынка и не вывозит за границу достаточного количества хлеба, что в период индустриализации было особо важно.

Но вернемся к теме раскулачивания. По причине того, что цены на хлеб на частном рынке были выше, чем могло предложить государство, то часть крестьян решило или продавать запасы зерна на этом рынке, или попридержать или же вскормить скоту, цены на которое были выше, чем на зерно. Государство для нагнетания атмосферы использовало политический фактор, а точнее внешнеполитический конфликт со странами капиталистического мира, а если быть конкретнее, с Англией и Китаем. В условиях нагнетания политической атмосферы в стране и страха войны, государство считало придержание хлеба –

¹ <http://www.petrograd.biz/stalin/11-9.php>. Дата обращения 05.11.2014.

накопительством, а продажа зерна по высоким ценам на рынке спекуляций. Невыполнение плана хлебозаготовок грозился срывом поставки зерна на внешний рынок и значит получение денежных средств для выполнения плана индустриализации оказывался под вопросом. В данных условиях государство поставленной цели, что крестьянство отдаст хлеб государству по заниженным ценам под давлением угрозы войны, не достигло.

Население оказалось ожесточенное сопротивление хлебозаготовке и поэтому руководству пришлось отказаться от нагнетания военного психоза. Но, это даром не прошло. Изменилось поведение крестьян. Как свидетельствовал Сибирский крайком ВКП(б) 7 января 1928 года в телеграфном послании всем окружкам партии по вопросам хлебозаготовок: «Значительным препятствием проведению хлебозаготовок является убеждение крестьянства в неизбежности войны в ближайшее время, являющееся главным образом результатом неуемной агитации военной опасности... Необходимо, всемерно усиливая мобилизационную работу, другие виды подготовки, рассчитанные на ряд лет, создавать в среде крестьянства убеждение в том, что в ближайшее время при условии укрепления экономической мощи государства можем вполне рассчитывать на мирное строительство. Голую агитацию военной опасности готовящихся нападений необходимо прекратить»¹

В борьбе с крестьянством пошли ст. 61 (невыполнение обязательств перед государством, включая уплату налогов и зерновые поставки) и ст. 107 (спекуляция) УК, что привело к большому количеству штрафов, арестов,

¹ В. П. Данилов. «История крестьянства России в XX веке ». Москва. Изд. РОССПЭН 2011г. Т. 2 стр. 397.

конфискации имущества. 4.01.1928 г. ОГПУ дало директиву начать аресты наиболее злостных частных торговцев. В 1928 и 1929 году были введены новые законы, в соответствии с которыми беднейшие крестьянские дворы, составляющие более трети всех хозяйств, были освобождены от уплаты налогов, в результате чего налогобложение успешных крестьянских хозяйств возросло. Руководство страны так же повело политику к увеличению крестьянского самообложения и изыманию долгов по платежам. Невыполнение предписания каралось ст. 61 УК СССР.

В 1928 году в Сибири впервые был применен опыт разделения бремени сельсоветом зерновых поставок между крестьянскими дворами, в зависимости от их социально – экономического положения, что было рассчитано на раскол крестьянского движения и провоцирование классового конфликта. Постановлением правительства от 27.06.1929 года этот метод был фактически легализован . правительство так же пересмотрело ст. 61 так, что сельсоветы получили право взымать штраф в 5 кратном размере стоимости невыполненных поставок зерна и других обязательств при первом нарушении закона, а последующие карались тюремным заключением и конфискацией имущества. Применение этих жестоких мер могло привести к самораскулачиванию – продаже своего имущества и уплату государственных налогов.

Кулацкие хозяйства оказались в незавидном положении. Кулак стал не просто антинародным, буржуазным элементом в стране, но и был в ответе за возрастание дефицита продовольственных товаров в городе. Самое страшное, непоправимое было и то, что практически любой крестьянин мог получить клеймо кулака в

зависимости от своего политического поведения и взглядов. А городские партийные работники, направленные в деревню, совершенно не знали деревенскую жизнь изнутри и делали ошибочные выводы. Крестьяне могли быть обвинены в кулачестве, если у них были большие семьи, носили одежду, купленную в городе, если у их домов были железные крыши, или если банально высказывали несогласие с мобилизованными в деревню городскими кадрами. Агитация против кулака сопровождается и рядом законодательных мер, направленных на ограничение для кулаков возможности получения кредитов и покупки сельхоз оборудования, в конце 1928 года в результате антикулацкой кампании многие из них потеряли гражданские права. В 1929 году руководство страны решило не допускать кулаков в колхозы, и «вычистить кулаков из ранее созданных колхозов и распустить те колхозы, в которых заправляли кулаки»¹.

03.10. 1929 года Политбюро издало директиву, которое обязало ОГПУ и Наркомюст решительно и быстро расправиться с кулаками – организаторами террористических актов или контрреволюционных беспорядков, рекомендовав при этом мерой наказания расстрел. При наличии особых обстоятельств, когда было важно не упустить время, рекомендовалось самостоятельно принимать решение. К концу 1929 года группа краевых и областных парткомов по своей инициативе провели экспроприацию и выселение групп кулаков. Ряд республиканских совнаркомов и краевых и областных советов начали массовую кампанию депортации социально опасных элементов – кулаков.

¹ Линн Виола. «Крестьянский ГУЛАГ: мир сталинских спецпоселений» Москва 2010. изд. РОССПЭН. Стр. 42.

Раскулачивание началось в период принятия антикулацкого законодательства и применения чрезвычайных мер. К концу 1929 года статьи 60, 61, 79, 107 и 169 УК РСФСР, предписывавшие арест, лишение свободы, экспроприацию и высылку широко применялись к крестьянам, не выполнившим налоговые и другие государственные обязательства, уничтожавших свой скот и сельхозинвентарь, занимавшихся спекуляцией и обманом. 10.01.1930 года правительство РСФСР опубликовало новое постановление, которое разрешало судам высыпать любого, наказанного лишением свободы, сроком до одного года. В результате применения этого постановления, высылка стала массовой.

В своей статье «Год великого перелома» И. В. Сталин рапортовал об исключительных успехах строительства социализма в деревне, имея в виду коллективизацию. Если в 1928 году посевная площадь совхозов составляла 1425 тыс. гектаров с товарной продукцией зерновых более 6 млн. центнеров (более 36 млн. пудов), а посевная площадь колхозов составляла 1390 тыс. гектаров с товарной продукцией зерновых около 31/2 млн. центнеров (более 20 млн. пудов), то на следующий год эти показатели выросли до 1816 тыс. гектаров 8 млн. центнеров (около 47 млн. пудов товарной продукции зерновых), 4262 тыс. гектаров с товарной продукцией зерновых около 13 млн. центнеров (около 78 млн. пудов). В 1930 году предполагалось, что посевная площадь совхозов, составит по контрольным цифрам 3280 тыс. гектаров с 18 млн. центнеров товарной продукции зерновых (около 110 млн. пудов), а посевная площадь колхозов безусловно составит 15 млн. гектаров с товарной продукцией зерновых около 49 млн. центнеров (около 300 млн. пудов).

«Иначе говоря, в наступающем 1930 году товарная продукция зерновых в совхозах и колхозах составит свыше 400 млн. пудов, т. е. свыше 50% товарной продукции зерновых всего сельского хозяйства (внедеревенский оборот)»¹

В своей статье Сталин, указывая о причинах успеха в строительстве колхозного строя указал несколько причин. Первое, это правильное, постепенное воспитание в массах крестьян, что колхозный, общественный строй лучше, чем капиталистический, не применяя в этом деле, якобы, перегибов. Во вторых организацией прокатных пунктов, что было необходимо для улучшенной обработки земли. В третьих, не обошел он и влияние на ситуацию в деревне и тех, кто были посланы партией для помощи парторганизациям на селе из города. «Объясняется он, этот небывалый успех в деле колхозного строительства, наконец, тем, что это дело взяли в свои руки передовые рабочие нашей страны. Я имею в виду рабочие бригады, десятками и сотнями рассеянные в основных районах нашей страны. Надо признать, что из всех существующих и возможных пропагандистов колхозного движения рабочие-пропагандисты являются лучшими пропагандистами среди крестьянских масс. Что же может быть удивительного в том, что рабочим удалось убедить крестьян в преимуществе крупного коллективного хозяйства перед индивидуальным мелким хозяйством, тем более, что существующие колхозы и совхозы являются наглядным примером, демонстрирующим это преимущество?»²

¹ <http://www.petrograd.biz/stalin/12-1.php>. Дата обращения 07.11.2014.

² <http://www.petrograd.biz/stalin/12-1.php>. Дата обращения 07.11.2014.

Далее указывалось, что без наступления на капиталистические элементы в деревне, т. е. на кулаков, «без развития колхозного и совхозного движения мы не имели бы теперь ни решающих успехов в деле хлебозаготовок, одержанных в текущем году, ни тех десятков миллионов пудов неприкосновенных хлебных запасов, которые уже накопились в руках государства».

Для того, чтобы осуществить на деле намеченный план коллективизации, мягкие меры не помогали. Несмотря на заявления о том, что середняк пошел в колхоз массово, было неправдой. Понадобилась для этого асылка в деревню огромного количества городских коммунистов и промышленных рабочих. Для проведения операции создавались районные штабы, и как пишет Линн Виола «сама депортация кулаков была не чем иным, как широкомасштабным учением по осуществлению армейской мобилизации, только вместо солдат в ней выступали семьи раскулаченных, но правила транспортировки и расквартирования были те же, что при быстром разворачивании армейских подразделений. Коллективизация будет проводиться как военная кампания в полном смысле этого слова»¹

Ноябрьский пленум ЦК 1929 г. официально одобрил переход к политике сплошной коллективизации – 80% крестьянских хозяйств. Лишь немногие отважились выступить против данной меры для увеличения темпов коллективизации, говоря об исчезновении убеждения, как метода работы в деревне. 06.01.1930 год ЦК опубликовал постановление о сплошной коллективизации, которая должна была закончиться к осени 1931 года.

¹ Линн Виола. «Крестьянский ГУЛАГ: мир сталинских спецпоселений» Москва 2010. изд. РОССПЭН. Стр. 45.

30 января 1930 года Политбюро утвердило постановление о раскулачивании, подготовленное комиссией Молотова. С этого момента кулакам запрещалось покидать свои деревни, распродавать имущество. В районах сплошной коллективизации должно было начаться конфискация имущества кулаков: средства производства, скот, дом, подсобные помещения промышленные предприятия, корма и семена.

Кулаки были разделены на три категории. I категория – контрреволюционный кулацкий актив. Они подлежали немедленному аресту с последующим тюремным заключением или расстрелом. Плановая цифра для этой категории кулаков была установлена в 60 000 чел. Члены семьи такого кулака подлежали высылке. II категория – оставшаяся часть кулацких активистов и владельцы зажиточных хозяйств. Они подлежали выселению в отдаленные районы СССР – около 150 000 семей. III категория – подлежали частичной конфискации имущества и переселению за пределы колхоза, но в границы своего района.

В результате проведенных мероприятий доля коллективных хозяйств в СССР выросла с 18.1% (в январе) до 31.7% в феврале и до 57.2 % в марте. Однако массовая коллективизация породила и массовые выступления крестьян. Беспорядки заставили Сталина 02. Марта 1930г. опубликовать статью «Головокружение от успехов». Опубликованная в газете «Правда» № 60 от 02. 03.1930 года статья стала сигналом для отступления, в результате которого из колхозов вышло большое количество насильно загнанных крестьян. Доля колхозов уменьшилась в мае до 28%. А накануне следующего витка коллективизации в сентябре доля обобществленных хозяйств оставалась - 21.

5%. Но это не означало, что раскулачивание тоже остановлено. В период между январем и 15. Апреля ОГПУ провело 140 724 ареста кулаков 1 категории. С 15 апреля по 1 октября 1930 года были арестованы 142 993 человека. В 1930 году число крестьян, получивших смертный приговор, колебалось от 18 996 до 20 201 человек. К началу мая количество сосланных кулацких семей достигло 98 002, а к концу 1930 года их количество равнялось уже 115 231 семьям, большинство из которых оказалось на Севере.

Конфискованное имущество шло в счет погашения крестьянских задолженностей и служила материальной базой для формирования колхозов. Общая стоимость конфискованного имущества составила 111 364 400 руб. ок. 75% конфискованного имущества напрямую было передано колхозам.

Что же касается отдельных регионов, то если брать в пример Сибирь, то выясняется, что регион, превратившийся в житницу страны, стал беднеть. «Урожайность упала с 54-58 пудов до 45-46 с одного гектара, однако товарность повысилась по сравнению с 1913 годом до 56% с 23,8% , но это происходило не за счет увеличения повышения урожайности, а за счет увеличения посевных площадей и вытеснения мясного и молочного животноводства, которое было здесь преимущественным до этого времени. По данным историко-партийных источников в Сибири было заготовлено в 1925\26гг 34,5 млн пудов хлебопродуктов, в 1926\27гг 62,5млн пудов, в 1928\29гг 85 млн пудов.»¹ Еще, выколачивание средств происходило еще и за счет обложения крестьян разными налогами.

¹ <http://www.petrograd.biz/stalin/12-2.php>. Дата обращения 08.11.2014.

Кроме ЕCHX крестьяне платили страховые платежи, самообложение, займы. Одновременно, когда выясняется, что промышленность страны не справляется с возросшими запросами населения на товары промышленного производства, Сибирь правительством была отнесена ко второй группе районов. Это означало, что Сибирь промышленными товарами снабжалась из рук вон плохо, что в перспективе помешало бы хозяйственному восстановлению региона. Процент снабжения товарами народного потребления колебался от 25% до 90 %. «В эти годы бюджет в Сибири оставался дефицитным... по бюджету в 1925-1926 хозяйственном году на административные и культурные нужды на душу населения расходовалось 4 руб.27 коп... в Сибири общая товарность сельскохозяйственной продукции снизилась с 30% в 1913 г. До 20% в 1928-1929 хозяйственном году»¹

Повышение налога и администрирование не привело к улучшению сбора хлеба а наоборот. Валовой сбор хлеба сократился, а с 1929 года и поголовье скота. Уровень отчуждения зерна в Западной Сибири в 1932 году была доведена до 32%, что привело к резкому падению сельхозпроизводства, что привело к снижению уровня доли Сибири в сельхоз производстве страны. Хлебозаготовки стали носить внеэкономический характер. «В 1928 году в деревнях Сибири ст. 107 УК РСФСР была применена против 1589 хозяйств. Конфисковано хлеба свыше 687,5 пудов. К концу 1929 года было оштрафовано 13 т хозяйств за срыв твердого задания по хлебозаготовкам. 6 т. Осуждено судом, из них 2 т. Выселены за пределы

¹ М. Д. Северьянов. Сибирская доколхозная деревня: землепользование, землеустройство и переселение (1861-1930 гг). Кызыл 2010. стр. 224.

прежнего места жительства. Обострилось общественно-политическое положение в Сибири. Только в регионах Западной Сибири было зарегистрировано 624 терракта, 379 покушений на жизнь, 880 случаев организации банд. С января 1930 года произошло 65 антисоветских выступлений. Во второй половине 1930 – первой половине 1931 года вооруженная борьба принимает формы мятежей».¹

Что же касается других регионов страны, то ситуация выглядела не лучше. В 1932 году 27 декабря постановлением о паспортной системе и директивой о запрещении выезда голодающих крестьян из Северного Кавказа и Украины в западные и центральные районы, Поволжье от 22 января 1933 г., а затем голод привел к тому, что активное крестьянское сопротивление было сломлено.

В итоге к середине 30 гг. прошлого века основную массу зерна стали давать колхозы и совхозы, а удельный вес единоличных хозяйств в валовом сборе сократился до 5 %, а их доля в товарном зерне не превышала 4 %.

Увеличение производства зерна правительство не добилось, но изъятия в максимальном количестве у крестьян – да. В 1931-1932 гг при сокращении общего намолота зерна его изъятие увеличилось до 33,3 и 34,5 % пшеница забиралась у крестьян в 50 раз дешевле, чем стоил хлеб в коммерческих магазинах. А себестоимость зерна даже в зерновых районах был почти впятеро выше закупочной цены. «Ущерб, нанесенный коллективизацией, не ограничивается разрушением производительных сил – были подорваны крестьянский образ жизни, крестьянская

¹ М. Д. Северьянов. Сибирская доколхозная деревня: землепользование, землеустройство и переселение (1861-1930 гг). Кызыл 2010. Стр. 215-216.

мораль, этика и духовность, потенциал науки. Это последнее особенно страшно»¹

Подводя итоги, необходимо взглянуть на современное состояние российской деревни. Да, кругом, в телевидении, в интернете, в прессе идут обсуждения, что же делать с деревней, которая всегда оставалась кормилицей Русского народа, одной из главных отраслей российской экономики, с крестьянством, которое было на протяжении веков основным классом российского общества. Российская история знает многочисленные реформы, касающиеся сельского хозяйства и крестьянства, как класса общества, но чаще всего они были или половинчатыми, или направлены на высасывание доходов с них ради построения основ российской промышленности, пополнения бюджета государства, обогащения помещичьего класса. Крестьян закрепощали, ради удовлетворения потребностей дворянского класса, с них тянули налоги в любой форме – барщина, оброк (для помещиков), подушная подать (налог для государства). Т. Е. крестьянский класс, сельское хозяйство было тем источником, тем колодцем, с которого черпало воду государство. Так может быть надо в данный, сложный для России период дать многострадальному крестьянству дать не просто свободу, но и оказывать всеобъемлющую поддержку для того, чтобы оно стало одним из основных локомотивом, драйвером развития российской экономики.

¹ Алтухов. А. И. «Коллективизация и раскулачивание: трагедия советского крестьянства»//Аграрная Россия 2008 г. №1 стр 22.

David Shoshiashvili

Siberian Federal University, Krasnoyarsk, Russia

**COLLECTIVIZATION OF THE SOVIET VILLAGE
RESUME**

The article is devoted to the description of the reasons and the process of the development of collectivization in the Soviet village, the reasons for collectivization and the form of the influence of power on the Soviet peasantry are examined to achieve the task.

In the article the author relies on articles published in scientific journals and monographs, documents found on the Internet. Sources show the hard life of the Soviet peasantry.

Analyzing these data, the author shows under the influence of what processes the individual peasant economy in Russia disappeared. The author believes that the collectivization of the village led to a crisis in the agrarian sector of the Soviet economy, which the village abandoned in its development many years ago.

გაუსა ჩოჩია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კატინის ტრაგედიის ისტორიიდან

1939 წლის 23 აგვისტოს გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას (იგივე რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი), რომლის თანახმად, მხარეებმა საიდუმლო ვითარებაში განიხილეს საკითხი აღმოსავლეთ ევროპაში მათი გავლენის სფეროების განსაზღვრის თაობაზე¹. ხელშეკრულებას ერთვოდა საიდუმლო ოქმი – პოლონეთის ფაქტობრივი გაყოფის შესახებ². მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის თავდაუსხმით პოლონეთზე. პოლონეთი ორ კვირაში დამარცხდა და 14 სექტემბერს მთავრობამ დატოვა ვარშავა. 17 სექტემბერს კი პოლონეთში შეიჭრა საბჭოთა კავშირის ჯარი და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების საიდუმლო ოქმის თანახმად, დაიპყრო მისთვის განკუთვნილი ტერიტორიები – დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია.³

აღმოსავლეთ პოლონეთში შეჭრისთანავე, საბჭოელებმა დააპატიმრეს პოლონელი ოფიცრები და ელიტის სხვა წარმომადგენლები. მათი უმრავლესობა 1940 წლის გაზაფხულზე

¹ ლ. სვანაძე. უინსტონ ჩერჩილი. პოლიტიკური ბიოგრაფია. წიგნი მეორე, რთული გზა მწვერვალისაკენ, პრემიერ-მინისტრი. ქუთაისი, 2007, გვ. 365-366.

² იქვე, გვ. 365.

³ იქვე, გვ. 370.

გაუჩინარდა. იმ დროიდან მოყოლებული, მათგან არავის არ მიუღია ან წერილი ან რაიმე ინფორმაცია¹.

საბჭოთა კავშირში ვერაგული შემოჭრით, ჰიტლერმა თავდაუსხმელობის პაქტი დაარღვია და მართალია დასაწყისში დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ახლოვდებოდა ძირითადი გარდატეხის ეტაპი, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. სწორედ ამ დროს, 1942 წლის ზაფხულში, გაუღერდა სენსაციური ამბავი. სმოლენსკთან გერმანელებმა სამშენებლო სამუშაოებზე ჩაიყვანეს პოლონელები. სწორედ მათ ადგილობრივმა პოლონელმა ქალმა მიუთითა კატინის საფლავებზე. იქ აღმოჩენილი პირველი ჯვარი, კატინის ტყეში პოლონელი სამხედრო ტყვეების მასობრივი დახვრეტის და დამარხვის პირველი ფოტოსურათები, გახდა ერთ-ერთი დამადასტურებელი ნამდვილი სამხილი იმ დიდი დანამაულისა და ბოროტებისა, რომელიც ჩაიდინა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (შინსახკომი) არა მარტო კატინში, არამედ ვინიცაში, ოდესაში, ხარკოვში. საინტერესოა, რომ იქვე ნახეს აგრეთვე ახალი საფლავები, რომლებიც ესესელთა ანგარიშსწორებაზე მეტყველებდა მათ მსხვერპლთა მიმართ.

ბუნებრივია, საბჭოთა კავშირში რადიო, გაზეთები და კინოქრონიკის მასალები ავრცელებდნენ ინფორმაციას ჰიტლერელთა მხეცობის შესახებ. პოლონეთის მოსახლეობა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მწირ ინფორმაციას ტყვეებისა და დეპორტირებულთა შესახებ, რომლებიც გაფანტული იყვნენ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე. მრავალი მათგანის კვალი დაიკარგა, გავრცელებული ხმები კი კარგს არაფერს იტყობინებოდნენ. პოლონეთში სულ უფ-

¹ ლ. რიზი. მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა. სტალინი, ნაცისტები და დასავლეთი. თარგმ. ინგლ., თბ., 2016, გვ. 161-162.

რო იზრდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად კი დაიწყო მოლაპარაკებები წინააღმდეგობის მოძრაობის ორ მიმდინარეობას შორის. გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ გააძლიერა ტერორი ზურგში, რათა თავი დაუზღვია მოულოდნელობისაგან და სადაც შეძლო დაპატიმრა მოლაპარაკების მონაწილენი.

რაც შეეხებოდა გერმანიას, 1943 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ხალხის მორალური მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. მართალია, ერთი რომელმა შეძლო მოკავშირეთა ჯარები აფრიკაში შეევიწროვებინა და ტობრუკში ავსტრალიის გარნიზონი გარიყა, რაც უინსტონ ჩერჩილისთვის იყო ”საშინლად მძიმე დარტყმა”¹. 1942 წლის 21 ივნისს რომელის აფრიკულმა კორპუსმა საბოლოოდ აიღო ტობრუკი. ეს მოვლენა, წერდა ჩერჩილი, გახდა ”ერთ-ერთი ის მძიმე დარტყმა, რომელიც მე გადავიტანე ომის დროს”². მოგვიანებით, აფრიკული კორპუსი გაანადგურეს ფელდმარშალ მონტგომერის ხელმძღვანელობით ელ-ალამეინთან³ და ჩრდილოეთი აფრიკა დაიკარგა. სიცილიაში გადასხდნენ მოკავშირეები⁴. ვერმახტის დივიზიები რუსეთში უკან ისევდნენ. სისხლისმღვრელ ბრძოლაში კურსკის რკალზე გერმანელთა რჩეული დივიზიები განადგურდნენ⁵. გერმანიის ქალაქები მუდმივად იბობდებოდა, შემცირდა სურსათის ნორმები. ჰიტლერი არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას ხალხის განწყობის შესახებ. ის მიი-

¹ У. Черчилль. Вторая мировая война, т. 3. Великий Союз. Пер. с англ., М., 1998, с. 173.

² У. Черчилль, указ. Соч., т. 4. Поворот Судьбы, с. 179.

³ Э. Бриггс, П. Клэвин. Европа нового и новейшего времени. Пер. с англ., М., 2006, с. 395.

⁴ Там же.

⁵ Там же, с. 376.

ჩნევდა, რომ თუ გერმანელ ხალხს არ სურდა ბრძოლა, მაშინ ის სიკვდილს იმსახურებდა.

გერმანიის პროპაგანდის მინისტრს იოზეფ გებელსს არ შეეძლო ასე მარტივად ეცქირა შექმნილი სიტუაციისთვის. მას უნდა გამოეჩინა ინიციატივა, როგორც ეს გააკეთა სტალინგრადის კატასტროფის წინ. ყოველდღიურად მას უხდებოდა აეხსნა, დაემშვიდებინა და გაემზევებინა ხალხი. ვითარება იმდენად გაუარესდა, რომ ამის გაკეთება გებელსს სულ უფრო უჭირდა. 1943 წლის აპრილში გებელსმა თავის დღიურში აღნიშნა, რომ სტალინგრადის შემდეგ გერმანიამ არა მარტო უნდა გააგრძელოს ბრძოლა, არამედ პოლიტიკაც აწარმოოს. მისი პროპაგანდის მთავარი არგუმენტი კვლავ იყო ბოლშევიზმის მუქარა არა მხოლოდ გერმანიისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. თავის სტატიაში, სახელწოდებით ”ევროპული კრიზისი”, რომელიც აშკარად მიმართული იყო ინგლისელი და ამერიკელი მკითხველებისადმი, ის წერდა, რომ ბოლშევიზმი თუ შეიჭრებოდა ევროპაში, ის იქნებოდა გადამდები ავადმყოფობა¹. აქედან გამომდინარე, ევროპას ტყუილად ექნებოდა იმედი, რომ წითლები დროთა განმავლობაში აითვისებდნენ ევროპულ ნორმებს.

ამასობაში, როგორც ზემოთ აღნიშნა, შემთხვევით გადაწყვდნენ პოლონელი ტყვეების მრავალათასიან სამარხს კატინის ტყეში, სმოლენსკთან. ეს აღმოჩენა გებელსს აძლევდა შესაძლებლობას გაეშალა უნიკალური პროპაგანდისტული კამპანია და, უნდა ითქვას, რომ მან სანიმუშოდ ჩაატარა ეს სამუშაო. 1943 წლის 9 აპრილს იოზეფ გებელსმა თავის დღიურში ჩაწერა: ”სმოლენსკთან ახლოს აღმოჩენილი იქნა მასობრივი სამარხები. ბოლშევიკებმა გაუსამართლებლად დახვრიტეს და საერთო საფლავებში დამარხეს დაახლოებით

¹ К. Рисс. Геббельс: Адвокат дьявола. М., 2000, с. 364.

10 000 პოლონელი პატიმარი”¹. ორ დღეში ეს ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო ბერლინის რადიოს მეშვეობით. კატინის ტყეში 2-დან 3,5-მდე მეტრის სიღრმის რვა მასობრივი საფლავი იპოვეს, რომლებიც ადამიანთა გახრწნილი გვამებით იყო სავსე. მათი უნიფორმისა და სხვა ჩაცმულობის თანახმად, ისინი ყველანი პოლონელები - უპირატესად პოლონელი ოფიცირები იყვნენ². რა თქმა უნდა, ინფორმაციის დროული გავრცელება საშუალებას მისცემდა გებელსს დიდი დარტყმა მიეყენებინა არა მარტო პოლონელთა განწყობისათვის, რომელიც ანტიფაშისტური კოალიციის მხარეს იყო, არამედ საბჭოთა და პოლონეთის მთავრობების ურთიერთობებისათვის. გააჩნდა რა ურყევი სამხილი შინსახკომის საშინელი დანაშაულის შესახებ, პოლონელი სამხედრო ტყვეების მიმართ, რა-საც გულმოდვინედ მალავდნენ, რაიხსმინისტრ გებელსს იმედი ჰქონდა, რომ მისი გამოაშკარავებით მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე, შეძლებდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის შეჯახებით გაეთიშა ანტიპიტლერული კოალიცია; უკიდურეს შემთხვევაში, გებელსის ვარაუდით, შეიძლებოდა მიეღწიათ სსრკ, აშშ და ინგლისს შორის სერიოზული უთანხმოების ჩამოგდებისათვის.

გებელსი იმედოვნებდა, რომ კატინის ტრაგედია – სტალინური ტერორის შედეგი, სამუდამოდ წააჩხუბებდა პოლონელებსა და რუსებს. ამის საფუძველს იძლეოდა მასშტაბური დახვრეტის ფაქტი, რომელიც უნდა დაედასტურებინათ. ეს ტერიტორია იმ დროს გერმანელების ხელში იყო და შეეძლოთ ჩაეტარებინათ შესაბამისი სამუშაოები. 1943 წლის 29 მარტიდან დაიწყო საფლავების წინასწარი გათხრა და გასამრჯელოს ფასად, ადგილობრივ მოსახლეობაში აგროვებდნენ

¹ ლ. რიზი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

² იქვე.

ჩვენებებს ავტოტრანსპორტის მასობრივი გადაადგილების შესახებ, პოულობდნენ მოწმეებს, რომლებმაც დაინახეს დახვრეტები და ესმოდათ სროლის ხმა.

1943 წლის 13 აპრილს, დილის ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე, ბერლინის რადიომ გადასცა შეტყობინება, რომ სმოლენსკის მახლობლად იპოვეს მასობრივი საფლავები პოლონელი ოფიცრებისა, რომლებიც დაიკარგნენ საბჭოთა კავშირში სამი წლის წინ. ბრალი ამ დანაშაულზე ედებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებს და სახელდებოდა დახვრეტილთა წინასწარი ციფრი - დაახლოებით ათი ათასი ადამიანი¹.

გებელისის პროპაგანდისტული მანქანის აქტიურობამ თავის მიზანს მიაღწია. ცნობა კატინის ტრაგედიის შესახებ მთელ მსოფლიოს მოქდო და უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. მოწვეულ პრესკონფერენციაზე გებელი გამოვიდა გერმანელი ჟურნალისტებისა და რადიოკორესპონდენტების წინაშე და ვრცელი ლექცია წაუკითხა მის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეწოდებინათ ეს ინფორმაცია გერმანელი ხალხისთვის. მაგალითად, ის ამბობდა, რომ სურდა დაეტოვებინა თავისთვის უფლება, გამოეყენებინა ეს მასალა ქვეყნის შიგნით საჭიროებისათვის, რათა მისახლეობას გარკვეულ პირობებში შესძლებოდა დასკვნის გაცემება გერმანელი სამხედრო ტყვეებისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების შესახებ. უცხოეთისათვის კი ამ მასალის მიწოდება თავისუფალი იყო. ნაცისტური პროპაგანდა ჩაეჭიდა შემთხვევით ამოტივტივებულ ბრწყინვალე შანსს, რათა ორგანიზება გაეკეთებინა სენსაციური და ხმაურიანი კამპანიისათვის კინოს, რადიოს და პრესის გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით, პროპაგანდის

¹ Катын, март 1940-сентябрь 2000. Расстрел, судьбы живых. Эхо Катыни. М., 2001, с. 447.

მინისტრი გებელსი 1943 წლის აპრილში წერდა: ”ჩვენი პროპაგანდის სიმბიმის ცენტრი, უახლოეს დღეებში კვლავაც იქნება თავმოყრილი ორ თემაზე: ატლანტიკური ტალღა და ბოლშევიკური საზიზღარი მკვლელობა. მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ ეს საბჭოთა ბოროტება სულ უფრო ახალი ფაქტების უწყვეტი მიწოდების გზით”¹. გარდა ამისა, არსებობდა საშუალება, რომ ადგილზე მიეყვანათ მოწმეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები პოლონეთიდან, საკონცენტრაციო ბანაკებიდან კი – პოლონელი, ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი სამხედრო ტყვეები. პირველი პოლონური ჯგუფი ადგილზე ჩაიყვანეს ჯერ კიდევ რადიოთი გამოცხადებამდე. კატინის ტყეში მიყვადათ სმოლენსკის მაცხოვრებლებიც, უკრნალისტები ”ნეიტ-რალური” ქვეწებიდან, დასავლეთ პოლონეთის საწარმოთა მუშები.

გებელსმა წამოაყენა მოწოდება: ”ჩვენ გვინდა სიმართლე!” და ცდილობდა საჯარო ყოფილიყო ინფორმაცია, იმ მიზნით, რომ ჩატარებულიყო იდენტიფიკაცია. მასალები კატინის შესახებ და ამოცნობილთა სიები სისტემატურად ქვეწებოდა პროპაგანდისტული მიზნებით იმ გამოცემებში, რომელთაც აკონტროლებდნენ გერმანელები, მათ შორის, პოლონეთის ტერიტორიაზეც.

პოლონური ინტელიგენციის და იატაქეშეთის წარმომადგენლები უნდობლად შეხვდნენ გერმანელთა ინფორმაციებს კატინის შესახებ და მიიჩნიეს ის პროპაგანდის შემადგენელ ნაწილად. ამას ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირში წარმოებული კამპანია ჰიტლერელთა მხეცობის შესახებ და კატინის ამბებსაც მათ მიაწერდნენ. ამას დაერთო ყოვლად გაუთვალისწინებელი შემთხვევა – ზოგან აღმოჩნდა გერმანული წარ-

¹ Бабий Яр под Катынью? – Военно-исторический журнал, 1990, №12, с. 31.

მოების ტყვიერი და ვაზნები, რამაც ძალიან დააფრთხო პრო-პაგანდის რაიხსმინისტრი, რადგან ამ ფაქტს შეიძლებოდა ჩა-ეშალა მთელი ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ამასთან დაკავში-რებით, ბერლინის რადიომ დაუყოვნებლივ გადასცა ცნობა, რომ 1935-1936 წლებში გერმანია აწვდიდა საბრძოლო მასა-ლებს სსრკ-ს, პოლონეთს და ბალტიისპირეთს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც, რომ იტალიის დიქტატორი მუსო-ლინი არ ჩერაობდა დაეჯერებინა გებელსისთვის. იტალიის სახალხო კულტურის სამინისტრო რჩევას აძლევდა ურნა-ლისტებს არ შეხებოდნენ კატინის თემას და არ გამოხმაურე-ბოდნენ ახალ შხილებებს.

ასეთ რთულ სიტუაციაში, ნეიტრალური ქვეყნების მეშ-ვეობით, გერმანიის ზოგიერთმა ლიდერმა მიმართა პოლონე-თის მთავრობას დაესახელებინა ექსპერტი, რომელიც გააკონ-ტროლებდა საერთაშორისო კომისიის ექსპერტთა მუშაობას. რაიხსმინისტრი ჰიმლერი იმასაც კი სთავაზობდა, რომ კა-ტინში მიეწვიათ ესპანეთის მეშვეობით სიკორსკი, რომლის უსაფრთხოებაც მთლიანად იქნებოდა დაცული. მაგრამ ეს მცდელობა ჩაშალა საგარეო საქმეთა მინისტრმა იოახიმ რი-ბენტროპმა, რომელიც წინააღმდეგი იყო ნებისმიერი კონტაქ-ტისა პოლონეთის მთავრობასთან და ამ პრინციპს მიიჩნევდა პროპაგანდის ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვნად. შექმნილ სიტუაციაში, გებელსმა მოითხოვა, რომ კატინთან დაკავშირე-ბული ნებისმიერი დოკუმენტის კომენტირება მასთან შეეთან-ხმებინათ. ის მიიჩნევდა, რომ ”საქმე ჩვენთვის ძალიან კარ-გად მიდის და შემთხვევით შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რომელიც ახლა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ. მთელი ეს საქმე არ არის უბრალოდ, ეგრეთწოდებული საშინელებების პროპაგანდა, არამედ ეს არის მაღალი პოლიტიკის სახელმ-

წიფო აქცია”¹. აქედან გამომდინარე, ის მოითხოვდა: ”ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ უდიდესი სიმტკიცით და არ ჩამოვრჩეთ მოწინააღმდეგეს”².

ლონდონში ემიგრირებული პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა სიკორსკიმ არ გამორიცხა წითელი ჯვრის მიერ ამ საქმის გამოკვლევის შესაძლებლობა, მაგრამ მას არასოდეს შეუთავაზებია თანამშრომლობა გერმანის მხარისთვის. გაზეთმა ”პრავდაშ” კი, პოლონელთა სახელის გატეხვის მიზნით, სიკორსკის გერმანელთა გამოძიებაში თანამშრომლობა დასწამა. ამ სიცრუის გზას ადგა საბჭოთა ხელისუფლება, აშკარა სამხილების მიუხედავად, ორმოცდათი წელი, ვიდრე მიხეილ გორბაჩოვმა არ გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა მსოფლიოსათვის³.

გერმანელები დეტალურად აწარმოებდნენ ექსპუმაციის სამუშაოებს. ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ მათ შექმნეს კომპეტენტური გერმანული კომისია ცნობილი სპეციალისტის პროფესორ ბუტცის ხელმძღვანელობით და საერთაშორისო კომისია სასამართლო მედიცინის და კრიმინალისტიკის ცნობილი წარმომადგენლებით. ეს კომისია შედგებოდა 12 ქვეყნის ცნობილი მეცნიერებისგან. ეს ქვეყნები იყო გერმანიის მიერ ოკუპირებული ან მასზე დამოკიდებული ქვეყნები: ბელგია, ბულგარეთი, დანია, იტალია, იუგოსლავია, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, ჰოლანდია. სამუშაოს დიდ ნაწილს ასრულებდა ე. წ. პოლონეთის წითელი ჯვრის ტექნიკური კომისია, რომელთა საქმიანობას აკონტროლებდნენ გერმანელები.

¹ Военно-исторический журнал, 1990., №12, с. 33.

² Там же.

³ ლ. რიზი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

ექსპერტთა საერთაშორისო კომისია მუშაობდა 1943 წლის 28-30 აპრილს. პოლონეთის წითელი ჯვრის კომისია კატინში ჩავიდა 29 აპრილს და მუშაობდა 1943 წლის 3 ივნისამდე. სწორედ პოლონურმა კომისიამ უარყო ჰიტლერელთა მტკიცება, თითქოს კატინში დასაფლავებული იყო 12 ათასი მსხვერპლი. სინამდვილეში, საფლავებიდან ამოიღეს 4143 გვამი 4403-დან, როგორც დღემდე არის ცნობილი. ამოცნობილ იქნა 2815 ნარჩენი, მათგან 2730 სრულიად საფუძვლიანად¹. ტექნიკურმა კომისიამ უარი თქვა ოქმებში ეჩვენებინა ციფრი 12 ათასი, მიუხედავად ზეწოლისა და კომისიის ერთ-ერთ წევრზე მ. ვოძინოვსკიზე ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარისა. პოლონელი ექსპერტები დაუინებით მოითხოვდნენ ეჩვენებინათ, რომ კატინის საფლავებში ესვენა მხოლოდ კოზელის ბანაკის ტყვეები. შემდგომში ეს დადასტურდა დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით.

საბჭოთა კავშირის პასუხი მხოლოდ 15 აპრილს გახდა ცნობილი. დასაწყისში ეს იყო მოსკოვის რადიოს გადაცემა, რომელიც მეორე დღეს დაიბეჭდა გაზეთ ”პრავდაში“. პოლონელი ოფიცირების მკვლელობაში ადანაშაულებდნენ გერმანელებს, რომელთაც თითქოს ტყვედ ჩაიგდეს პოლონელი ოფიცირები 1941 წლის ზაფხულში, როდესაც გერმანიის შეიარაღებული ძალების (ვერმახტის) ჯარები შევიდნენ სმოლენსკის რაიონში. საბჭოთა ხელისუფლებამ იცოდა, რომ კატინში მომხდარი ხოცვა-ულეტის გერმანელებზე გადაბრალებას საფუძველი არ გააჩნდა, რადგან გერმანიის მხარეს ხელთ პქონდა თვითმხილველთა ჩვენებები, რომ დახვრეტა საბჭოელებმა განახორციელეს და, რაც მთავარია, პოლონელთა გვამებზე

¹ И. С. Яжборовская, А. Ю. Яблоков, В. С. Парсаданова. Катынскии синдром в советско-польских и российско-польских отношениях. М., 2001, с. 156.

აღმოჩენილი დოკუმენტებიდან არც ერთი არ იყო 1940 წლის აპრილზე გვიან დათარიღებული, რაც აბსურდულს ხდიდა საბჭოელების მტკიცებას, თითქოს პოლონელები გერმანელებმა 1941 წლის ზაფხულში დახოცეს¹.

სიმართლის გამჯდავნება, ბუნებრივია, არასასურველი იყო როგორც სსრკ ხელმძღვანელობისთვის, ისე მისი მოკავშირეებისთვის. უ. ჩერჩილს და ფ. რუზველტს კარგად ესმოდათ, რომ გერმანელებმა კატინის კამპანია იმიტომ წამოიწყეს, რომ უთანხმოება შეეტანათ მოკავშირეთა რიგებში, მაგრამ ანტიკიტლერული კოალიციის დაშლა ან სერიოზულად დასუსტება რეალობას იყო მოწყვეტილი და, ბუნებრივია, ამას მოკავშირეები არც დაუშვებდნენ².

ლონდონში, დევნილობაში მყოფმა პოლონეთის მთავრობამ 17 აპრილს მიმართა საერთაშორისო წითელ ჯვარს თხოვნით გამოეძიებინა პოლონელი ოფიცრების კატინში დალუპვის ფაქტი. იმავე დღეს, წითელ ჯვარს მიმართა გერმანიის მხარემაც. მოსკოვმა ისარგებლა ამ ერთდროული მიმართვით და დაადანაშაულა სიკორსკის მთავრობა გარიგებაში, გერმანიის ნაკისტურ ხელისუფლებასთან. 19 აპრილს ”პრავდაში” გამოქვეყნდა სტატია სათაურით - ”ჰიტლერის პოლონელი თანამშრომლები”, რომელშიც პოლონელებს ადანაშაულებდნენ გეტელსური პროვოკაციისთვის ხელის შეწყობაში და იმავე დროს, გადმოცემული იყო მოვლენების საბჭოური ვერსია. 21 აპრილს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 19 აპრილის ”პრავდის” სტატია მთლიანად ასახავდა ამ საკითხში საბჭოთა ხელმძღვანელობის პოზიციას.

¹ ლ. რიზი, დასახ. ნაშრ., გვ. 211.

² იქვე, გვ. 166.

1943 წლის 19 აპრილს სტალინმა ჩერჩილს და რუზ-ველტს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღწერდა თავის პოზიციას კატინის საქმეზე და აცნობებდა, რომ აპირებდა ურთიერთობის გაწყვეტას ლონდონში მყოფ პოლონეთის მთავრობასთან¹.

ჩერჩილი და საგარეო საქმეთა მინისტრი ენტონი იდენი შეეცადნენ, რომ სტალინს უარი ეთქვა ამ ნაბიჯზე. ჩერჩილი სწერდა სტალინს, რომ არ სჯეროდა პოლონელების გერმანელებთან გარიგებისა, რომ იდენი შეხვდა ლონდონში პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლებს, რომელთაც კატევორიულად უარყვეს ეს ფაქტი. მაგრამ სტალინი ურყევი იყო თავის გადაწყვეტილებაში და 1943 წლის 25 აპრილს პოლონეთის ელჩს მოსკოვში, გადაეცა ნოტა ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ. ამის გარეშეც, სტალინს დიდ უხერხულობას უქმნიდა პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა, რადგან უკვე ამ დროისთვის მას გააჩნდა პოლონეთის ახალი მთავრობის შექმნის გეგმები, რომელიც უფრო ლოიალური იქნებოდა საბჭოთა კავშირის მიმართ. აქედან გამომდინარე, სტალინმა ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი შესაძლებლობა გზიდან ჩამოეცილებინა პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა.

დასასრულ, რაც შეეხება კატინის ტრაგედიას, თთქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული დავა, რომელიც შემდგომში გაფართოვდა, ჯერაც არ დასრულებულა და პერიოდულად გრძელდება.

¹ См. Переписка Председателя Совета Министров СССР с президентами США и Премьер-Министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945 гг. Т. 1-2. М., 1957. - Т. 1, с. 120-121; т. 2, с. 59-62.

Vazha Chochia

Gori State Teaching University

**FROM HISTORY OF THE KATYN TRAGEDY
RESUME**

During the Second World War was approaching big changes. The Germans have lost North Africa. The Russians destroyed the German divisions in the Kursk region. At this time, in the spring of 1943, in April, it was reported captive Polish officers in execution near Smolensk, in Katyn forest. This evil is blamed for the Soviet Unions Commissariat of Internal Affairs. Germany appeared in a difficult situation with a good opportunity to bring forth a crack between the Allied. German propaganda minister Goebbels spoke for the whole world to hear, that the Soviet Union kettles great evil. Thousands of people were killed in the Katyn, which was the true barbarity. Convened an international commission, which was controlled by Germany, in order to prove the incident that happened at Katyn. The commission said the number of persons executed 12 thousand and recorded a 4 thousand 400 victims. The Soviet Union denied the shooting of Polish officers and blamed the Germans executed. It is clear, that both Moscow and its allies did not want to disclose the truth, that the allied cause this disagreement. People remember Katyn and periodically still respond it.

დაგით ჩოჩიშვილი
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ებრაული თემები „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“
მიხედვით**

გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში ებრაელთა და-სახლებების რაოდენობა და მოსახლეობის რიცხოვნობა განს-ხვავებულია იმასთან შედარებით, ვიდრე ეს ანტიკურ საქარ-თველოში იყო. „ებრაელები თითქმის აღარ ცხოვრობდნენ ან-ტიკური და ადრეფეოდალური განსახლების ადგილებში. მათი კვალი ზოგჯერ ტოპონიმებმა (ურიათუანი, ურიული, ნაური-ები და სხვა) შემოგვინახა“¹. მე-18 საუკუნის პირველი ნახევ-რის ებრაელთა დასახლებებზე ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი. იგი მიუთითებს ყველა იმ დასახლებულ პუნქ-ტზე-ქალაქზე თუ სოფელზე, სადაც ებრაული მოსახლეობაა. ერთ-ერთი მისი ცნობით, „ატენი მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი“². ატენში საკმაოდ მრავალრი-ცხოვანი ებრაული თემი ყოფილა და მათ საკუთარი სინაგო-გაც ჰქონიათ. ებრაელებს უცხოვრიათ ახალდაბაში, ახალცი-ხეში, ახალქალაქში და სხვაგან.

მე-18 საუკუნის დასაწყისის ყველაზე ადრეული წყარო ებრაელთა ქართლში ცხოვრების შესახებ არის 1703 წლის სამოურაოს გარიგების წიგნში³. ვახუშტი ბატონიშვილი ადა-

¹ მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 80.

² იგივე, გვ. 91.

³ ქართლის ცხოვრება, ტ 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 341.

სტურებს, რომ ახალდაბა არის „მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი და ურიანი“¹. ებრაელთა საკმაოდ ვრცელი დასახლება არსებობდა ბრეთში. იეჰუდა ჩორნის ცნობით, ებრაელები ბრეთში მე-17 საუკუნის 80-იან წლებში ჩასახლებულან ახალდაბიდან, ახალციხიდან და ვახნიდან, როდესაც დაღესტნელ ფეოდალებს ეს ადგილები დაურბევიათ. 1749 წელს თამარაშენიდან ბრეთში გადასახლებულა აბრამ დავარაშვილის, ელიაუ ლევიშვილის და შალომა ჯანაშვილების ოჯახები. ისინი ავალიშვილებისა და მაჩაბლების ყმები გახდნენ. ბრეთის ებრაული თემის ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს ის, რომ იეჰუდა ჩორნის მოგზაურობის დროს ბრეთის სინაგოგა ცხინვალის სინაგოგაზე კეთილმოწყობილი იყო². მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ებრაელები ცხოვრობდნენ სურამში, სადაც საკუთარი კვარტალი ჰქონდათ. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ებრაული თემი ცხოვრობდა ცხინვალშიც.

მე-18 საუკუნის ებრაული დასახლებები გვხდება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. მათგან ზოგიერთი მრავალრიცხოვანია, ზოგი კი საკმაოდ მცირე მოსახლეობას ითვლის. დასავლეთ საქართველოს ებრაული დასახლებები ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს. სტატიაში განხილულია მხოლოდ ის დასახლებები, რომლებიც გეოგრაფიულად აღმოსავლეთ საქართველოში იყო, მათი ნაწილი მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა“ დამყარდა, აღწერილია „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“, აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშ-

¹ იგივე, გვ. 380.

² იეჰუდა ჰალევი ჩორნი, „მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია), დავიდი ი., ნაწერები, ტ. 1, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976. გვ. 140.

ვილს, ნაწილმა თვითონ მოუთხრო თავიანთი დასახლების ისტორია მე-19 საუკუნეში საქართველოში ჩამოსულ იუპუდა ჩორნის.

მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ეპრაელთა დასახლებებზე ფასდაუდებელ ცნობებს განვიდის „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც გვიანი შესაუკუნების აღმოსავლეთ საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა. მისი სრული ვერსია შედარებით გვიან გამოჩნდა ქართულ სამეცნიერო სივრცეში. მასზე დიდი წნის განმავლობაში მუშაობდა აკადემიკოსი სერგი ჯიქია, მაგრამ სრული სახით გამოიცა 2009-2010 წლებში. წყარო ფასდაუდებელ მონაცემებს გვაძლევს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ლინგვისტური და ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად. დავთარი ორი ტომის-გან შედგება და შედგენილია ოსმალეთის სულთნის აპმედ III დროს (1703-1730 წწ.)*.

1723 წელს ოსმალეთის ლაშქარმა თბილისი და ქართლის ციხე-ქალაქები დაიპყრო. მთელი ძალაუფლება ოსმალთა ხელში გადავიდა. ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ოსმალეთის სამსახურში ჩადგნენ, მამული ოსმალური წესით დაუმტკიცეს ხასეებად (იურთლუქები და ოჯაქლიქები), ზეამეთებად, თიმარებად. 1724 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოეწყო, მაგრამ ქართველები დამარცხდნენ. 1727 წელს, ქართლის მეფე იესეს გარდაცვალების შემდეგ, მას

* აპმედ III (ოსმ. აحمد აბდ აბდ, თურქ. ოსმალეთის იმპერიის 23-ე სულთანი (22 აგვისტო 1703 – 1 ოქტომბერი 1730). სულთან მეპმედ IV-ისა და ემეთულაპ რაბია გიულნუშ სულთნის შვილი. მუსტაფა II-ის ძმა. ტახტზე ავიდა მისი დამხობის შემდეგ.

მეტკვიდრე არ დაუნიშნეს და ამით ქართლში მეფობა გააუქმდეს. ქართლის გამგებლად (ვალი) ისპაკ-ფაშა დაინიშნა. 1727 წელს ოსმალებმა შეადგინეს „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ფაქტიურად ოსმალების ბატონობის იურიდიული გაფორმება იყო ქართლში.

ქართლში ოსმალების მმართველობის დამყარებიდან რა-მდენიმე წლის შემდეგ თბილისის შემოგარენში მთლიანად სავაკუფო ** მიწისმფლობელობა დამყარდა, რომელთა მფლობელები ცალკეული მეჩეთების გამგებლები და სხვა მუსლიმი სასულიერო პირები იყვნენ. თბილისის დავთრის პირველი ტომის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ვაკუფის მფლობელებს, რომელიც წარმატებით ახორციელებენ თავიანთ გამგებლობას ქართულ მიწებზე.

დავთრის პირველი გვერდები სავაკუფო მიწების სარჩევს უკავია, სადაც მოცემულია თბილისის ციხის რაბათი, ეპლესიების: ფეხსანინის, საპაკის, ნორაშენის, კართაკის, ჯიგრაშენის, სუთინშაპის, ანჩისხატის, ვანქის, ამოს გარშემო მაცხოვრებელი ქართველებისა და სომხების აღწერა. აქეა აღნიშნული მეჩეთებიც და მათი მრევლი. ავრეთვე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებსაც არაერთი გადასახადი ჰქონდათ შეწერილი: ბაჟი, სასწორზე, თამბაქოზე, ხილზე, ბაზარზე გასაყიდ საქონელზე, კერძოდ კი ცხენზე, ტყვე ქალ-ვაჟზე, ასევე გადასახადები იყო დაწესებული კრამიტის სახლებზე, კერძო საკუთრებაში მყოფ სავაკუფო ჯამებზე, მტკვარზე დაჭერილ თევზზე, ბალ-ვენახებზე, რომლებიც გაშენებული იყო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მდინარეებზე აგებულ წისქვილებზე, ზარაფხანებზე“. ეს ყვე-

** ვაკუფი - (Arab. وَقْف Wakūf) მაკმადიანურ ქვეყნებში: უძრავი ან მოძრავი ქონება, რომელიც საჩუქრის სახით გადადის უპირატესად მაპმადიან სასულიერო პირთა ზელში.

ლაფერი, როგორც ნატურალური, ასევე ფულადი სახით ევა-ლებოდათ გადასახადის გადამხდელებს, რომელიც ოსმალური ფულის ერთეულით - ახჩა*** - განისაზღვრებოდა.

ებრაული მოსახლეობა, რომელიც საქართველოს ტერი-ტორიაზე საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდა, ბუნებრივია დამპყრობლების მიერ ჩვეულებრივ იქნა დახარკულნი, რო-გორც ურწმუნონი. ეს დასახლებები იყო საციციანოში – სო-ფელ ატენში, სოფელ ჩანაბეთში, ბორჯომის წეობაში-სოფ-ელ ახალდაბაში, საამილახვროში-გვერდისუბანში, სოფელ ძა-ლინაში, სოფელ ცხინვალში, თამარაშენში, სოფელ ქვედა არაგვისპირში. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავთარში დასა-ხელებულია გადასახადების გადამხდელი კომლის მეთაური, მაშინ სულთა რაოდენობა, სულ მცირე 2 ათასი მაინც უნდა ვივარაუდოთ. („დავთარში“ მოცემული ზოგიერთი ებრაულ დასახლების შესახებ ცნობები მხოლოდ დავთარში მოიპო-ვება)

ებრაელთა პირველი მსხვილი დასახლება „თბილისის დიდი დავთრის“ მიხედვით საციციანოს ნაპიეშია და ესაზღვ-რებოდა სოფელ ატენს. იგი ცალკე პუნქტადაა გამოტანილი საგადასახადო დავთარში, როგორც „ებრაელთა დასახლება“. გადასახადების გადამხდელ მამაკაცთა სახელები და მამის სა-ხელები - სულ ჩამოთვლილია 52 კაცი, აღნიშნულია მათი საგადასახადო ვალდებულებები. დავთარში, ყველგან, მამაკა-ცების სიის შემდეგ მოცემულია საგადასახადო ნუსხა, რომე-ლშიც ქართველებიც და ებრაელებიც მოხსენიებულნი არიან, როგორც „ისფენჯი კაცები“, ე.ი. არამუსლიმიანები, რომლებიც იყვნენ ისფენჯის გადამხდელები. ისფენჯი დაკისრებული ჰქონდა არამუსლიმან მოსახლეობას და ამიტომაც შესული

*** ახჩა - თურქული ვერცხლის ფულის ძირითადი ერთეული (XIV საუკუნიდან).

იყო ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაში და ყოველთვის პირველ ადგილზე იყო მოხსენიებული. ებრაელები იმავე გადასახადებს იხდიდნენ, რასაც ქრისტიანი ქართველები.

საყურადღებოა „დავთრის“ ინფორმაცია სოფელ ჩანაბე-თის (მდებარეობდა ქარელსა და ხაშურს შორის, აგარის მახ-ლობლად) შესახებ: „სოფელი ჩანაბეთიც ექვემდებარება საციციანოს. ხსენებულ სოფელს მიწა არ აქვს. იქ მცხოვრები რეაიაც ებრაელების მოდგმისანი არიან. ისინი მეურნეობას ეწევიან. ახალ დავთარში არიან რეგისტრირებულნი“. დასახე-ლებულია „კაცი თავადი 28“, ამის შემდეგ ცალკე მოცემუ-ლია „კაცი ებრაელი რაოდენობა 112“¹, მათი სახელები და მამის სახელები, რომლებიც ებრაელთა დასახლებას განეკუთ-ვნებოდნენ. ებრაელთა დასახლებაში იყო 15 დუქანი და 1 სამღებრო. მოსახლენი ისევე, როგორც ვაკუფის მფლობელო-ბაში არსებულ სხვა დასახლებებში, იხდიდნენ ზემოთ ჩამოთ-ვლილ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს (ხორბალს, ქერს, ჭვავს, ფეტვს, გადასახადს ვენახზე, ერ-ბოზე, სკაზე, ცხვარზე, არუსენაზე (საქორწინო გადასახადი, რომელსაც პირველი დამის უფლების გამოსყიდვის სახით იხდიდა ის, ვინც ქორწინდებოდა), ზილზე, წისქვილზე და სხვა.

მომდევნო დასახლებული პუნქტი, რომელიც დავთარშია მოცემული, ბორჯომის ხეობის სოფელი ახალდაბაა და ექვემ-დებარება პეტრეს ნაპიეს. ვახუშტის მიხედვით, ახალდაბის მოსახლეობას შეადგენდნენ მხოლოდ ქართველები და ებრაე-

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილე-ებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიაძ და პროფ. ნოდარ შენ-გელიაშ, თსუ, კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, წიგნი I, თბ., 2009, გვ. 206.

ლები. დავთარი გვაუწყებს, რომ ახალდაბის 103 ისფენჯი კაციდან 48 ებრაელი იყო და ისინიც დატვირთული იყვნენ იგივე გადასახადებით. ქართული დოკუმენტური წყაროებით, ახალდაბელი ქართველები და ებრაელები მისდევლნენ სოფლის მეურნეობასა და აღებმიცემობას. მოღწეულია ახალდაბელი ებრაელების მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვის, ზოგიერთი მათგანის ქრისტიანობაზე გადასვლის საბუთები. გადმოცემის მიხედვით, ამ სოფელში ოდესლაც 150 ებრაული ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ მტრების შემოსევების შედეგად სხვადასხვა ადგილებში გაიფანტნენ. როგორც ითქვა, დავთრის მიხედვით, XVIII ს. პირველ მეოთხედში იქ 48 ოჯახი ცხოვრობდა, XIX ს. დასაწყისში კი - დარჩენილი იყო მხოლოდ 8 კომლი, ხოლო იმავე საუკუნის შუა ხანებში აღარც ერთი.

საამილახვროს სოფელი იყო გვერდისუბანი, რომელიც მდებარეობდა სურამსა და სოფელ ბეკამს შორის, სადაც აღრიცხული იყო 46 ებრაელი მამაკაცი. ებრაელთა ეს დასახლება, სავარაუდო სურამის ერთ-ერთი უბანს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი, სომეხნი და ურიანი“. ცნობილია, რომ სურამში ებრაელები ცხოვრობდნენ უძველესი დროიდან და თავიანთი კვარტალი ჰქონდათ. საამილახვროში, სოფელ ძალინაში, მდ. ფრონეს ხეობაში მუხაურისა და ყორნისის მახლობლად, ასევე არსებობდა ებრაელთა დასახლება. ვახუშტი ბატონიშვილი ებრაულ მოსახლეობაზე გადმოგვცემს მხოლოდ მუხაურში: „ამის (თიღვას ჯვრის მონასტრის – ე.მ.) ჩრდილოთ არს ძალინა... აქავ, მდინარის კიდეს, არს მუხაური; მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი“. (1751 წლის ერთი საბუთით მუხაურის მამასახლისის შვილი მარდახა უჩივის სხვა ორ ებრაელსა და ორ ქართველს, რომლებიც ვალს არ უბრუნებდნენ). „დავთარში“ ძალინასა და ებრა-

ულ დასახლებაში სულ აღრიცხულია 118 მამაკაცი (ძალინაში - 33, ებრაელთა დასახლებაში - 85), მაგრამ დასახელებულთა სახელებითა და მამის სახელებით შთაბეჭდილება იქმნება, რომ, სავარაუდოდ, ებრაელი უნდა ყოფილიყო 45 კაცი, ხოლო დანარჩენი კი ქართველი და სომეხი. სოფელ ქვედა არაგვისპირში ჟინვანის მახლობლად აღრიცხული იყო „კაცი ებრაელი 9“. ცხრაკაციან სიას ანოტაციის სახით წამბდოვარებული აქვს შემდეგი: „ხსენებული რეაია აქენჯის ტომისანი არ არიან, რადგანაც ისინი ჯულფას მოდგმისანი არიან, გადასახადებს სოფლის მკვიდრთ აბარებენ.“ საინტერესოა, რომ აღნიშნული დასახლების 9 ებრაელ კაცსა და მათ ოჯახებზე (ამ სოფელში სხვა მოსახლეობა არც არის აღწერილი) მოდიოდა 9 დუქანი და 6 სახლი. ჩანაბეთისა და არაგვისპირის დუქნების სიმრავლე (შესაბამისად 15 და 9) იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დუქნებით ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაც სარგებლობდა.

ამრიგად, ებრაული დასახლებები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიული წყაროებით დასტურდება, ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა; მათ იგივე ვალდებულებები ეკისრებოდათ დამპყრობთა მხრიდან, რაც ქართულ დასახლებებს. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ებრაელი მოსახლეობა ინაწილებდა იმ ჭირ-ვარამს, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა დამპყრობთა მხრიდან განიცდიდა. სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად დავთარი ფასდაუდებელი წყაროა მე-18 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

დამოწმებანი:

1. 1728 წლის თბილისის ვიღაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თსუ, კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, წიგნი I, თბ., 2009.
2. 1728 წლის თბილისის ვიღაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თსუ, კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, წიგნი II, თბ., 2009.
3. ქართლის ცხოვრება, ტ 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
4. ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
5. მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.
6. ჩხეტია შ., ღოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ., 1940.
7. ებრაელობა და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, ს.ს.ი.პ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები VIII, თბ., 2014.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 5, თბ., 1970.
9. პაპისიმელოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-ძიცემობის ისტორიისათვის 1800-1864 წლებში, საქ. ებრაელთა ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I-II-III, თბ., 2014.

10. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985.
11. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეები, თბ., 1971.
12. შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეები, საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.
13. Плисецкий М., Религия и быть грузинских евреев, М., 1931.
14. Шукиан М. П., Правовое положение евреев Грузии, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ., 1940 / ს.ს.ი.З დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები I-II-III, თბ., 2014.
15. Кавказ, 1861, N72
16. Еврейская энциклопедия, т. XI, 1910.
17. Обозрение Российских владений за Кавказом, ч. I-IV, СПБ., 1838-1840.
18. Дюкруаси И. А., Кавказский календарь, СПБ., 1852.
19. Акты, собранные в библиотеках и архивах Российской Империи, СПБ., 1836.
20. იეჰუდა ჰალევი ჩორნი, „მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყნაში (არმენია), დავიდი ი., ნაწერები, ტ. 1, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976.

Davit Chochishvili

Gori State Teaching University

**JEWISH THEMES ACCORDING TO “THE GREAT
BOOK OF TBILISI VILAYET”
RESUME**

During the middle era of the 18th century, numerous of Jewish communities inhabited in Georgia. They compactly settled in Georgian cities and villages and followed the different kinds of activities. The Jewish communities were divided into the different feudal and ecclesiastical vassals among the royal and queenly families. However, their main activity was trade. Information about those communities might be received from the Georgian manuscripts as well as from the foreign sources. Jewish communities in Georgia was especially mentioned by Vakhusheti Batonishvili.

The one of the invaluable sources is also „the Great book of Tbilisi vilayet” dated on 1728. This manual gives us the priceless information about social – economic, political, linguistical, onomastic, historical, geographical and other interesting cases related to southern Georgia.

After establishing of Ottoman`s government in Kartli, the scourge landownership was spread over. „The Great Book” was created for censusing and regulation of tax system definitely. Either villages and areas inhabited by ethnic Georgians and Armenians or Jewish communities are described in this book separately. This present work is aimed at reporting about those information in accordance of Jewish communities and the deals of the tax system which is mentioned in „The Great Book.”

In reference of the sources, the exact quantity and composition of Jewish population is described.

The full edition of „The Great book of Tbilisi vilayet” is a new publication and it has not been spread among the scientific circles yet. Therefore, we think that this is an actual case for those readers who are interested in medieval Georgian history as well as in Jewish theme in Georgia.

ბავრი საგანია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების
ჩამოყალიბებისათვის საქართველოში 1918 წლის 26 მაისის
შემდგომ და დღევანდელი პრობლემები**

დღეს მეტად საშურია საქართველოს მოქალაქეების ჩა-
რთულობა თვითმმართველობების მუშაობაში. თუ რამდენად
არიან ისინი დაკავებულნი ამ საქმიანობით, ამ თემაზე არა-
სამთავრობო ორგანიზაციამ ფაქტობრივი შედეგების პრეზენ-
ტაცია გამართა. მიღებულმა მონაცემებმა ნათლად აჩვენა,
რომ ჩვენი მოქალაქეები არ არიან ჩართული თვითმმართვე-
ლობების საქმიანობაში. ორგანიზაციაში ამის მიზეზად არაინ-
ფორმირებულობას და ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმის
არაეფექტურობას ასახელებენ. კვლევის შედეგებიდან ასევე
ირკვევა, რომ მრჩეველთა საბჭოები, რომელიც ადგილობრივი
თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის
ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, ზოგიერთ მუნიციპალი-
ტეტში შექმნილია, თუმცა არ უუნქციონირებს, თერჯოლის
მუნიციპალიტეტში კი საერთოდ არ უფიქრიათ ამის საჭირო-
ებაზე, რადგან დღემდე არც არსებობს¹.

ნაშრომში წარმოდგენილია თვითმმართველობების ჩამო-
საყალიბებლად და მრჩეველთა საბჭოების გასაძლიერებლად
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ
გატარებული ღონისძიებები, რომელიც გახდა საფუძველი ად-

¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ქუთაისის ოფი-
სის კვლევები, 2017 წელი.

გილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირებისათვის ბრძოლაში.

საქართველოში დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ ნაჩვენებია, როგორ იბრძოდნენ თვითმმართველობების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის. “აუცილებელი ღონისძიებები საჩქაროდ უნდა გატარებულიყო...“ ჩვენი თემის აქტუალობაც აქტები გამომდინარეობს, რადგან მაშინ ჩატარებული ღონისძიებები დღევანდელობას ეხმანება. დღესაც უამრავი რამ არის გასაკეთებელი თვითმმართველობების შესაბამისად ფუნქციონირებისათვის.

1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა ქართველი ერის 117 - წლიანი ბრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსეთის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, მთავრობის სასახლეში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, შეიქმნა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. მოკლე ხანში ჩამოყალიბდა აღმინისტრაციული აპარატი. შეიქმნა მილიცია, სახალხო გვარდია, რეგულარული ჯარი. გატარდა დემოკრატიული რეფორმები, გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა სოციალური სამართლიანობის დამკიდრების გზაზეც. ყურადღება მიექცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბებას, მათ სრულყოფას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გუბერნიებსა და მაზრებს პირველი ხუთი თვის განმავლობაში მთავრობის მიერ დანიშნული კომისრები განაგებდნენ, საზოგადოებრივ წესრიგს მათი ხელქვეთი ადგილობრივ მილიციელთა რაზმები იცავდნენ. მაგრამ კომისართა ავტორიტარულმა ხელისუფლებამ ხალხისა და ეროვნული მიმართულების პოლიტიკურ პარტიათა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ დაარწმუნეს პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობა, რომ

მხოლოდ საერობო თვითმმართველობის ორგანოებს შეეძლო სოფლად ანარქიის აღმოფხვრა და სტაბილური მდგომარეობის შექმნა¹.

ჩამოყალიბდა საოლქო და საერობო კომისიები, შედგა ამომრჩეველთა სიები. 1918 წლის ივლისში ზოგიერთ რეგიონში წინაასაარჩევნო ბრძოლაც დაიწყო.

დღოებითი დებულება ითვალისწინებდა სამაზრო საკრებულოთა მიერ საგუბერნიო ერობის ხმოსანთა არჩევნებს. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა ქვეყნის გუბერნიებად დაყოფა, ამიტომ, ბუნებრივია, საგუბერნიო ერობებიც არ შექმნილა. ერობის წვრილი ერთეულების (სათემო-საკრებულოებისა და გამგეობების) ჩამოყალიბება კი რამდენადმე დაგვიანდა. საერობო თვითმმართველობის ახლად შექმნილ ორგანოებს გაუჰსირდათ თავის საკმაოდ ფართო ფუნქციების შესრულება.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობის გამო გამნელდა ნორმალური ურთიერთობის დამყარება ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, ამ უკანასკნელთა საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების განსაზღვრა და გამიჯვნა.

ერობების წარმომადგენელთა საგრძნობი ნაწილი ფიქრობდა, რომ სამაზრო და სათემო თვითმმართველობათა საქმიანობის სწორად და შედეგიანად წარმართვისათვის საჭირო იყო ადგილობრივი ცენტრალური ორგანოს დაარსება. 1919 წლის 27 თებერვალს შედგა სამაზრო ერობების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა, რომელმაც აირჩია ერობების ცენტრალური დროებითი ბიურო. მას დაევალა საერობო

¹ მაგანია, ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები), თბილისი, 2014, გვ. 68.

თვითმმართველობების ღონისძიებათა კოორდინაცია და ერობათა კავშირის დაარსებისათვის წინასწარი სამუშაოების ჩატარება.

1919 წლის 22 სექტემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა, რომელმაც განიხილა ერობათა კავშირის შექმნის საკითხი. „უმრავლესობა მხარს უჭერდა ერობათა კავშირის შექმნას, ზოგს კი იგი ზედმეტად მიაჩნდა. მოწინააღმდეგნი ფიქრობდნენ, რომ დემოკრატიის ინტერესები მოითხოვდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ერთიან საფუძველზე აგებას. ერობა უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის შემადგენელი ნაწილი, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საშუალო აპარატი საჭირო არ იყო. ასეთივე იყო მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისიც. ისინი საჭიროდ თვლიდნენ საერობო თვითმმართველობებზე მთავრობის კონტროლის დაწესებას. ერობათა ცენტრის დაარსება, მათი აზრით, არასასურველ პარალელიზმს შექმნიდა. ყრილობაზე მწვავე დებატები გაიმართა. დელეგატთა დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ერობათა კავშირის შექმნას, ზოგი კი ზედმეტად თვლიდა მას. ამ საკითხებზე სტატიები პრესაშიც დაიბეჭდა. ვიქტორ ლლონტმა გამოაქვეყნა წერილი „ერობის ცენტრი“. აღნიშნულ სტატიაში მან საკითხი ისტორიულ ასპექტში განიხილა. აღნიშნა, რომ მეფის რუსეთში ერობის კომპეტენციაში თითქმის მხოლოდ კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე შედიოდა. თვითმპრობელობის მმართველობის დროს აუცილებელი იყო უფლებაშეზღუდულ ერობათა გამაერთიანებელი ცენტრის შექმნა და ამიტომ ომის დასაწყისში რუსეთის დემოკრატია სიხარულით შეხვდა ერობათა კავშირის დაარსებას. პოლიტიკური სიტუაცია დამოუკიდებელ საქართველოში სულ სხვაგვარი იყო. დე-

მოკრატიის ინტერესები მოითხოვდა, ავტორის აზრით, ერთ საფუძველზე აგებულ სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს. მათ შორის განსხვავება უნდა ყოფილიყო მხოლოდ უფლებამოსილებაში, სახელმწიფო და საზოგადო შრომის განაწილებაში. ამდენად, ასკვნიდა ვ. ლლონტი, საქართველოს ერობა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ორგანიზაციის აპარატის შემადგენელი ნაწილი, მისი ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანო. იგი ცენტრალურ ხელისუფლებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული და მათ შორის საშუამავლო ორგანო არ უნდა არსებულიყო, - წერდა ავტორი.

ვ. ლლონტის წერილში არსებითად სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისია გადმოცემული. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ერობათა ცენტრის დაარსებით ერობათა საქმიანობაზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი გამოიყენდებოდა. ერობათა წარმომადგენლებთან წარმოთქმულ სიტყვაში შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ხაზი გაუსვა „საერთოდ ყველა ორგანიზაციის დამოუკიდებლად მუშაობისაკენ მიღრეცილებას”¹ და იმედი გამოთქვა, რომ „ახლო მომავალში კანონიერების იდეალის განმტკიცების კვალობაზე, სახელმწიფოსათვის ამ მავნე მიღრეცილებას ბოლო მოეღებოდა. „მთავრობა, მართალია არ ცდილობს სახელმწიფო საქმეები დაუპირისპიროს საერობო საქმეებს, მაგრამ სამაზრო ერობისათვის ფართო საბიუჯეტო უფლების მინიჭება საქართველოს დემოკრატიას ზარალის მეტს არაფერს მოუტანს, - წერდა ის.

¹ ძაგანია, ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები), თბილისი, 2014, გვ. 71.

ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობაში არსებითად უარი თქვა რჩევის მიღებაზე, თავის თვალსაზრისზე დარჩა და მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირის დაარსების შესახებ. ყრილობაში დაამტკიცა ამ კავშირის დებულება.

მიღებული დებულების მიხედვით, ერობათა კავშირის მიზნად გამოცხადდა: გაეწია ერობებისათვის იდეური ხელმძღვანელობა, ხელი შეეწყო ერობების ჩამოყალიბება-განვითარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის; დახმარებოდა ერობებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში; მოეწვია ერობის სპეციალისტთა ყრილობები, ჩამოყალიბებინა საქმიანი კომისიები, შეესრულებინა საშუალო როლი ერობებისა და მთავრობის დაწესებულებათა ურთიერთობაში; დაეჩქარებინა ცალკეულ ერობათა თხოვნა-შუამდგომლობის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში განხილვა-დაგმაყოფილება, მოეწესრიგებინა საერობო ქონების დაზღვევის საქმე, დაეკრძებინა საერობო ბანკი და საერთოდაც დახმარებოდა საერობო თვითმმართველობას კრედიტების მიღებაში¹.

ერობათა კავშირის აღმასრულებელი ორგანო იყო რწმუნებულის მიერ არჩეული კომიტეტი, რომლის უფლებამოსილება სამი წლით განისაზღვრა. ერობათა კავშირის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა: „კავშირში შემაგლებული ერობათა მიერ გაღებული საწევროს შესატანი, კავშირის უძრავ-მოძრავი ქონებისა და კაპიტალის შემოსავალი, კავშირის საწარმოთა მოგება და სესხები“².

¹ იქვე, გვ. 83.

² ძაგანია, ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები), თბილისი, 2014, გვ. 100.

ერობათა წარმომადგენლობის მეორე ყრილობამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირის დაარსების შესახებ. მანვე დაამტკიცა ამ კავშირის დებულება.

ერობათა კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოს მთავრობის წინაშე დაისვა საერობო თვითმმართველობებთან ურთიერთობა-თანამშრომლობის ფორმათა დადგენის საკითხი. ამ პრობლემას დიდი ყურადღება მიაქცია დამუჟუნებელმა კრებამ, რომლის მიერ 1919 წელს შედგენილი და 1920 წლის დამდეგს გამოქვეყნებული კონსტიტუციის პროექტის მე-10 თავის რამდენიმე პარაგრაფი ეძღვნებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს. „პროექტის მიხედვით, უნდა შემოღებულიყო ორსაფეხურიანი ადგილობრივი თვითმმართველობა. პირველ საფეხურს წარმოადგენდა წვრილი ერთეული თემი, მეორეს კი სამაზრო ერობა. „ადგილობრივი მმართველობა განაგებს ადგილობრივი მართვა-გამგეობისა და მუურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში“. ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრა კანონით. ადგილობრივ მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, თანახმად კანონისა. ადგილობრივი მმართველობა ირჩევა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით. მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს. ადგილობრივი მმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს. ადგილობრივი თვითმმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, განსაზღვრული ცალკე კანონით...“¹.

¹ ბენდიანიშვილი, ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 125.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის წევრი მ. რუსია იძლევა განმარტებას, რომ კონსტიტუციის პროექტის ამ თავის შემუშავების დროს კომისია გამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ქალაქისა და ერობის ადგილობრივი მმართველობა სახელმწიფო ხელისუფლებად უნდა იქნას აღიარებული. უარყოფილ იქნა ის შეხედულება, თითქოს არსებობდეს სახელმწიფო ონტერესებისაგან განცალკევებული ადგილობრივი სარგებლობა და სჭიროება და რომლის მოგვარება უნდა ენდობოდეს „თვითმმართველობებს“ და ამასთანავე სახელმწიფოს ჰყავდეს ცალკე თავისი ორგანოები სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად. ამ პროექტში ცნება „ადგილობრივი თვითმმართველობა“ შეცვლილია „ადგილობრივი მმართველობით“.

ახალგაზრდა რესპუბლიკის კანონმდებლობამ ადგილობრივ მმართველობას სამეურნეო საქმეებთან ერთად გადასცა ადმინისტრაციული, საპოლიციო, კულტურული, საგანმანათლებლო ფუნქციები. ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ ადგილობრივ მმართველობათა მიერ შედგენილ-გამოქვეყნებულ დადგენილებათა შეჩერება, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს მოქმედ კანონებს. მათი გაუქმება კი სასამართლოს ფუნქციებში შედიოდა.

სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა-დამოკიდებულების საკითხზე კამათი ამის შემდეგაც გრძელდებოდა. პირველი მათგანის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფო აპარატის გარეშე არსებობდა, მის პარალელურად მოქმედებდა. ამ შეხედულებით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-მოვალეობა განსაკუთრებულია, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ხალხის ცხოვრება – საქმიანობის, მეურნეობისა და

კულტურის განსაზღვრულ დარგებზე. მეორე მიმართულების მიმდევართა მოსაზრებით კი, თვითმმართველობის ორგანოები სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილი იყო, ადგილებზე მათ მინიჭებული პქნიდათ ხელისუფლების უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობა იყო სახელმწიფოებრივი მექანიზმის ნაწილი, ამ მექანიზმის ადგილობრივი ორგანო. ამიტომ მათ უწყებაში უნდა გადასულიყო ადგილობრივი მართვა-გამგეობისა და მეურნეობის ყველა სფერო.

უურნალ „ერობა და ქალაქის“ თანამშრომელთა უმეტესობა კონსტიტუციის პროექტში გატარებულ პრინციპს უჭერდა შხარს. დ. ნათაძე წერდა, რომ კონსტიტუციის პროექტის სათანადო პარაგრაფის ავტორი ცდილობდა „იმგვარად შეეთანხმებინა ცენტრისა და პროვინციის ინტერესები, რომ არც დემოკრატია დარღვეულიყო და არც სახელმწიფო ერთიანობის ინტერესები“¹. კონსტიტუციის პროექტი, წერილის ავტორის განცხადებით, გულისხმობდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობას ხელში იქნებოდა ფართო უფლებების ადმინისტრაციული სასამართლოს, მეურნეობის, სკოლის, ჯანმრთელობისა და სხვა საქმეები, მაგრამ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ სფეროში ცენტრი და პროვინცია განუყოფელი, ერთმანეთის შემავსებელი უნდა ყოფილიყო. ამასთან, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონ-განკარგულებანი ცხოვრებაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უნდა გაეტარებინათ.

საერობო თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს მიწათმოწყობის სამინისტრო, რომელიც თავისი საქმიანობით, ერობის მსგავსად, ძირითადად სოფელსა და

¹ „ერობა და ქალაქი“, უურნალი №4, 1920.

სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. ამ სამინისტროს ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „მთავრობისა და ადგილობრივ თვითმმართველობათა ურთიერთდამოკიდებულების, საბიუჯეტო უფლებათა გამიჯვნის პრობლემა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს¹. ასევე, აღნიშნულია, თუ რა მონაწილეობას უნდა იღებდეს ერობა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების, აგრარული რეფორმების გატარების საქმეებში.

დღეს უპირობოდ მიგვაჩნია, რომ მთავრობასა და ადგილობრივ ორგანოებს შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. კანონის ძალით თვითმმართველობებს უნდა დაეკისროს მრავალი ადმინისტრაციული და აღმასრულებელი ფუნქცია და, ამდენად, ისინი უნდა წარმოადგენდნენ არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობების, არამედ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსაც. მართალია, სახელმწიფომ ადგილობრივ ორგანოებს უნდა გადასცეს მმართველობის ზოგიერთი ფუნქცია, მაგრამ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა შეინარჩუნოს მათი მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის უფლება.

1918–1921 წლების საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმექვიდრე დღევანდელი გარდამავალი, განვითარებადი პერიოდის საქართველოს რესპუბლიკა ცდილობს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელი თანამედროვეობის პრინციპულ მოთხოვნებს შეუსაბამოს, პოლიტიკურ ორიენტაციაში აშკარა მისწრაფება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ, რომელიც უნდა გახდეს საქართველოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი.

¹ ძაგანია, ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები), თბილისი, 2014, გვ. 103.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე აქტუალური გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სრულყოფის საკითხი. უკანასკნელად თვითმმართველობის კოდექსის პროექტი 2013 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში შევიდა საქართველოს პარლამენტში და განხილვაც დაიწყო. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, პროექტი დიდ რისკებს შეიცავდა. მთავარ საფრთხედ რეგიონული დაყოფა აღიქმებოდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს კოდექსზე გამოთქმული შეშფოთებები გადაჭარბებული იყო, იქიდან გამომდინარე, რომ კოდექსმა, ვიდრე მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივად იქცეოდა, ბევრი უწყების იურისტის ხელში გაიარა და პრაქტიკულად სამართლებრივად დახვეწილი დოკუმენტი აღმოჩნდა, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს, რომელიც აღნიშნული კოდექსიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, საფუძველს მოკლებულია. შესაბამისმა სამინისტროებმა, პარლამენტმა და სხვა უწყებებმა კარგად იმუშავეს, რომ შიშისა და შეშფოთების ყველანაირი მექანიზმი აღმოფხვრილიყო.

დამოწმებანი:

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ქუთაისის ოფისის კვლევები, 2017 წელი.
2. ანთელავა, ა., (1980): XI-XV საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გამომც. „მაცნე“, თბილისი.
3. ბენდიანიშვილი, ალ., (1960): საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, „გამომც. „განათლება“, თბილისი.
4. „ერობა და ქალაქი“, ჟურნალი №4, 1920.

5. ვანიშვილი, ივ., (1974): ქართველი საზოგადოების პრძო-ლა საერობო თვითმმართველობისათვის. მენშევიკური მთავ-რობის საერობო პოლიტიკის კრახი, გამომც. „მაცნე“, თბილ-ისი.
6. ძაგანია, ბ., (2014): საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები), გამომც. „ინტელექტი“, თბილისი.

Badri Dzagania

Georgian Technical University

**FOR FORMATION OF LOCAL SELF-GOVERNING IN
GEORGIA AFTER 26 TH OF MAY, 1918 AND MODERN
PROBLEMS
RESUME**

In the Constitution of the first Democracy Republic of Georgia in relation to the Local Selfgoverning Law it is outlined that Local Selfgoverning is the body of Local governing and it governs local cultural, educational and economical affairs within the territory of definite location Municipalities and Self-governed Communities by direct ways of election. So the number of self-governed towns are increasing.

Modern Code of Selfgoverning is a direct Succession of the Constitution of Georgia which was adopted by the Founding Council of Georgia on 21 February, 1921.

კლადიმერ წვერავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოქროს ჩარდახი

მდინარე რიონი ქალაქ ქუთაისს ორ ნაწილად ყოფს. მარცხნა სანაპირო თითქმის მთლიანად ვაკეს წარმოადგენს. იგი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული და ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ უმთა ვითარების გამო ძველ საცხოვრებელ სახლებს და სამოქალაქო ნაგებობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამჟამად ქუთაისში XIX საუკუნეზე ადრინდელი საერო დანიშნულების შენობა დაცული არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს ერთადერთი ნაგებობა, რომელიც იმერეთის მეფეთა სასახლის ე.წ. „ოქროს ჩარდახის“ სახელითაა ცნობილი.

ეს შენობა ნაშთია ქართველი მეფეების ერთ-ერთი რეზიდენციისა, რომელიც გაშენებული იყო ახლანდელ თეთრ ხიდსა და რუსთაველის ხიდს შორის მდებარე უბანში. ეს უბანი წერილობით წყაროებში მოხსენიებულია სხვადასხვა სახლით: რუსი ელჩისი ტოლოჩინოვი და იევლიევი მას „პატარა ქუთაისს“ უწოდებდნენ, რადგან იგი ცალკე გალავნით იყო შემოზღუდული და განსხვავდებოდა „დიდი ქუთაისი-საგან“, გერმანელი მეცნიერი ი. გიულდენშტედტი – „ოქროს ჩარდახს“, ხოლო ითანე ქართველიშვილი „სამეფო ეზოს“¹.

ძველი ქუთაისის ამ უბანში სამეფო რეზიდენცია ადრი-დანვე არსებობდა. მის შესახებ პირველი ცნობა ეკუთვნის ვე-

¹ ნ. ბალანჩივაძე, პატარა ქუთაისი ანუ ოქროს ჩარდახი, გაზ. “ქუ-თაისი”, 18 ივნისი, 1976, გვ. 6.

ნეციელ დესპანს, ამბროზიო კონტარინის, რომელმაც ქუთაისი და ეს უბანი ინახულა მე-15 საუკუნეში, კონტარინის სიტყვით „პატარა მინდორზე იდგა სასახლე, საქართველოს მეფის ბაგრატის, რომელსაც ეკუთვნოდა ქუთაისის ციხე—ქალაქ“.

მე-17 საუკუნის შუა წლებში ტოლოჩანოვისა და იველიევის აღწერილობით, ეს უბანი „პატარა ქუთაისი“ იყო. 1651 წლის 8 ივლისს ელჩები, ალექსანდრე III-ს ბრძანებით, გადავიდნენ წინა ქალაქში, სადაც იყო მეფის სასახლე. ამ ადგილს ელჩები უწოდებენ ქვედა ქალაქს. მათი ცნობებით, ქალაქის ეს ნაწილი მდინარე რიონის ნაპირზე მდებარეობდა, რომელიც ქვის გალავნით ყოფილა შემოზღუდული. ქალაქის გალავნთან ორი კოშკი იდგა, მათგან ერთი აღაყაფის კარებთან მდგარა, რომელზეც მცირეყალიბიანი ზარბაზანი ყოფილა დამაგრებული. ასეთივე სამი ზარბაზანი მდგარა მეორე კოშკზეც, რომლის სიმაღლე 15 საუენს შეადგენდა. გალავნის შიგნით მდ. რიონის ნაპირზე მოთავსებული იყო ერთი სასახლე, ეს უკანასკნელი თაღებით შეკრულ 12 სვეტზე მდგარა, ხოლო მდინარის ნაპირზე სამ თაღზე იყო გადაკიდებული. ელჩების ცნობით, სასახლის კედლები შიგნიდან მეფეთა საბრძოლო შინაარსის ფრესკებით ყოფილა მოხატული. შენობის სიგრძე - 8 საუენს, ხოლო სიგანე - 5 საუენს შეადგენდა. 6. ტოლოჩანოვის სიტყვით ეს სასახლე აუშენებია იმერეთის მეფის ალექსანდრეს III-ს მამას გიორგის (1605–1639). ამ შენობის ახლოს 6. ტოლოჩანოვი იხსენიებს დიდ თავდია დარბაზს, რომელიც სასადილოდ ყოფილა გამოყენებული. მას ერთ მხარეზე 25 ფანჯარა ჰქონია, ხოლო მეორე მხარეზე - 24. დარბაზის სიგრძე 20-ს და სიგანე 8 საუენს აღწევდა. ეს მეორე შენობა ორ ნაწილისაგან შედგებოდა, ერთი ნაწილი სასადილოს ეკავა, ხოლო მეორე, რომელშიაც გასასვლელი შიგნიდან იყო მოწყობილი, ღვინის სარდაფს წარმოად-

გენდა. ელჩების „აღწერილობაში“ შეტანილია კიდევ მეორე დიდი ნაგებობა, რომელსაც ერთი მხრიდან 18 ფანჯარა, ხოლო მეორე მხრიდან ყრუ კედელი ჰქონია ამოშენებული. ამ კედელში სათოფურები ყოფილა გაკეთებული. შენობის ახლოს ელჩები იხსენიებენ ქვითკირის კოშკს, რომელშიც მეფის ხაზინა იყო მოთავსებულიო. ამ შენობის გვერდით არის მოხსენიებული ჭადარი, რომლის ძირში ყოფილა ქვის ტახტი. ტახტზე ალექსანდრე მესამე ჯდებოდაო, გვაუწყებენ ელჩები. ტახტი ერთ მთლიან ქვას წარმოადგენდა, მასზე აღმართული ყოფილა ოთხი ბოძი, რომელსაც ყავრის სახურავი ჰქონია გაკეთებული. ამ შენობებს დაახლოებით ეკავა ის ტერიტორია, სადაც ამჟამად მოთავსებულია სიყვარულის ხეივანი (ყოფილი აღ. წულუკიძის სკვერი – ვწ.) და პირველი საჯარო სკოლა (გიმნაზია)¹.

რუსი ელჩების მიერ აქ წარმოდგენილი ქუთაისის აღწერილობის შედარება ამბ. კონტარინის ცნობასთან ნათელყოფს, რომ ქართველი მეფების რეზიდენცია ქალაქის მოცემულ ადგილზე მნიშვნელოვნად გაზრდილა და გაფართოებულა მე-17 საუკუნის შუა წლებისათვის. თუ კონტარინის მხოლოდ ერთი სასახლე აქვს აღნიშნული, რუსი ელჩები აქ რამდენიმე სამეფო სასახლეს, ზღუდე-გალავანს და სხვა ნაგებობას ასახელებდნენ².

„პატარა ქუთაისის“ მე-18 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როცა გერმანელმა მეცნიერმა ი. გიულდენშტედტმა ინახულა, ნაწილობრივ დანგრული იყო. მას ძველი ქუთაისის ამ უბნის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ იგი „გარ-

¹ ტოლოჩინოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, თბ., 1970, გვ. 52.

² 6. ბალანჩივაძე, პატარა ქუთაისი ანუ ოქროს ჩარდახი, გაზ. „ქუთაისი“, 18 ივნისი, 1976, გვ. 4.

შემორტყმულია 300 ნაბიჯის სიგრძის მრგვალი კედლით, რიონის ნაპირზე, ამ კედლის შიგნით დგას კიდევ (გარდა ეპლესისა) 2 საცხოვრებელი შენობა, რომელთაგან ერთი რიონშია ამოყვანილი სამ თაღზე, შემოლობილი მოედნის შუაში დგას... კირქვის მავიდა. კიდეზე ქართული წარწერით. ამ ადგილს ეძახიან ოქროს ჩარდახს, ე. ი. ოქროს გალერეას და მგონია, რომ ის უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი. ამ აღწერილობიდან ჩანს, რომ ოქროს ჩარდახად სახელდებულია არა შენობა, არამედ სამეფო კარის ბანაკი ანუ ადგილი, ეზო.

ქველი ქუთაისის ამ უბანს ეპითეტი ოქრო მიღებული აქვს იქ მდგარი სამეფო ჩარდახიდან, რომელიც სამკედელა ნაგებობას წარმოადგენდა და რომელსაც 53 წითელმინიანი სარკმელი ჰქონდათ, ცნობილია, რომ მველ ჭრილში წითელი ოქროს სინონიმი იყო¹.

მეფის რუსეთის მოხელე პ. გნილოსაროვის ცნობით, რომელიც ერთხანს ქუთაისის გუბერნატორის მოადგილე იყო, წერდა: „საკუთრივ სოლომონ მეორეს ჰქონდა ორი სასახლე: ერთი ოქროს ჩარდახი, რომელიც ახლაც უწინდელი სახითაა დაცული იმ განსხვავებით, რომ წინათ მას ირგვლივ უვლიდა ფართე დახურული გალერეა, ხოლო შიგნით ახლანდელი ოთახების ნაცვლად იყო ერთი ფართე დარბაზი, რომელსაც კედლები შელესილი ჰქონია, ხოლო კედლების გასწვრივ განლაგებული ყოფილა ტახტები“².

ამ ცნობის მიხედვით ოქროს ჩარდახი იმერეთის სოლომონ მეორის მეფობას უკავშირდება. ეს მდგომარეობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ შესაძლებელია მის დროს განი-

¹ ოქვე

² მ. ნიკოლეიშვილი. ოქროს ჩარდახი, ძეგლის მეგობარი, კრ. 22, 1970, გვ. 51.

ცადა ამ ნაგებობის მეორე სართულმა რეკონსტრუქცია, ე.ი. სასახლის ირგვლივ ფართო დახურული გალერეა იმდენად ნიშანდობლივია, რომ არ შეიძლებოდა გამორჩენოდათ მოსკოველ ელჩებს, თუკი ნამდვილად ქუთაისში მათი ყოფნის დროს (1651 წ.) ასეთი გალერეა შენობას ჰქონდა.

მაგრამ რატომ ეწოდებოდა ამ შენობას "ოქროს ჩარდახი"? პროფ. ს. კაკაბაძე მის წარმომავლობას ხსნის შემდეგ-ნაირად. სიტყვა ჩარდახი არის თურქული წარმოშობისა და ამიტომ ის ქართულში შესაძლებელია შემოსულიყო უფრო მე-11 საუკუნიდან, როდესაც წინააზიაში (და ჩვენშიც) დამკვიდრდნენ თურქ-სელჯუკები. ქართულში ჩარდახი ნიშნავდა მეორე სართულად გაშენებულ ხის დარბაზს ანუ ოთახს, საფიქრებელია ამიტომ, რომ ამ ადგილას მე-17 საუკუნეზე ბევრად უწინარეს ქვითკირის პირველ სართულზე გაშენებული იყო ოქროს ვარაყიანი სვეტებით შემკული ხის ჩარდახი, რომელსაც ეწოდებოდა „ოქროს ჩარდახი“. ეს ჩარდახი მე-16 საუკუნეში დამველებულა თუ დანგრეულა და იმერეთის მეფეს გიორგი მესამეს მის ადგილას აუშენებია ჩვენამდე მოღწეული ქვითკირის შენობა, რომელსაც ტრადიციული, როგორც ეს ასეთ შემთხვევაში ხდება ხშირად, შერჩენია ძველი სახელი „ოქროს ჩარდახი“¹.

ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში: „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიი-სათვის“ - იძლევა ამ ტერმინის განმარტებას. ის აღნიშნავს, რომ „ჩარდახი“ საპროექტო სიტყვაა და ნიშნავს ხის ოთხ სვეტზე ხეივნის მსგავსად გადახურულ ფანქჩიურს. თანამედროვე ქართულში „ჩარდახი“ ურმის ჭალებზე კამარის მსგავსად გადაწინულს მოფარდაგებულს, მაგრილებელ სახურავს

¹ ს. კაკაბაძე, ოქროს ჩარდახი, გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 15 ოქტ., 1940, გვ. 3.

ჰქვია და ზაფხულში მოგზაურობის დროს იციან წოლმე. ამ-
გვარად „ჩარდახს“ კამარის მრგვალი მოყვანილობა აქვს და
ვიწრო და გრძელ ოთხკუთხ სადგომზეა გადაყვანილი¹.

თუ ამ განმარტებას მივუყენებთ ჩვენთვის საინტერესო
სასახლეს, მაშინ გამოდის, რომ მას ასეთი სახელწოდება უნ-
და მიეღო იმიტომ, რომ შენობის მეორე სართულს გარს უვ-
ლიდა დახურული გალერეა, რომელსაც ისეთივე ფორმა ჰქო-
ნდა, როგორც ამ განმარტებაშია მითითებული. მაგრამ ი. გი-
ულდენშტედტი წერს: „ამ ადგილს ეძახიან ოქროს ჩარდახს,
ე. ი. ოქროს გალერეას, და მგონია, რომ ის უნდა ყოფილიყო
სამეფო კარის ბანაკი (სადგომი)“. მაშასადამე, გიულდენშ-
ტედტი არ მიუთითებს რომელიმე კონკრეტულ ობიექტს და
საერთოდ ადგილს აკუთვნებს ამ სახელს. უფრო გვიან, კერ-
ძოდ, 1859 წელს პ. გნილოსაროვი წერდა: „საკუთრივ მას
„ოქროს ჩარდახი“ იმიტომ ეწოდებოდა, რომ იმყოფებოდა
თვალსაჩინო და გრილ ადგილზე და იმიტომაც, რომ მისი
გალერეიდან საგანგებოდ იშლებოდა შორეული მთებისა და
რიონის ფართე ვაკის ლამაზი ხედი. აქ მევეს უყვარდა სა-
დილის გამართვა და დასვენება. ის აქ თათბირობდა აგრეთვე
თვის დაახლოებულ პირებთან“².

როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში ამ შენობის შესახებ
ასეთი გადმოცემა არსებობდა, რაც საგმაოდ დაშორებულია ამ
სახელის მატარებელ კონკრეტულ ობიექტს და მდებარეობით
ხსნის მას³.

რაც შეეხება სახელწოდებას „ოქროს ჩარდახს“, მკვ-
ლევარ ვ. ბერიძის აზრით, იგი მოწმობს, რომ იმერეთის მე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კუ-
ლტურის ისტორიისათვის, თბ., 1946, გვ. 129.

² „Кавказский календарь», 1859, с. 61.

³ მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

ფეთა ეს რეზიდენცია აღიარებული იყო ლამაზ და მდიდრულ სასახლედ: „ოქროს ჩარდახი“, ცხადია, ოფიციალური სახელი კი არ არის, არამედ შერქმეულია. ჩარდახი და მით უფრო ოქროს ჩარდახი, ხალხურ სიტყვიერებაში ყოველთვის ლამაზი, საგანგებო შენობის სინონიმია, ზოგჯერ ზღაპრულად სანატრელი შენობისაც კი: „ოქროს ჩარდაყსა დაგიდგამ, თეთრი ირმის ღჯისას“ – ნათქვამია ერთ აჭარულ ლექსში, ხოლო მეორე, კახეთში ჩაწერილ ლექსში ასეთი სტრიქონებია: „ნეტავი ნატვრა მანატრა, ნატრული ამიცხადაო, ოქროს ჩარდახი დამიდგა, გარს მინა შემოარტყაო (ზუსტი მნიშვნელობით ჩარდახი სასახლის, შენობის ზემო ნაწილის, ზემო სართულს ნიშნავს, მაგრამ ამ ლექსებში ჩანს, რომ ზოგჯერ მთელი ნაგებობის მნიშვნელობითაც იხმარება). ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ქუთაისის სასახლის ეს სახელწოდებულ კონკრეტულ რამეს კი არ გამოხატავს, არამედ თავისებური შეფასებაა. მისი ხსენება ხალხურ პოეზიაშიც გვხვდება – სოლომონ II მეუღლისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში, რომელშიაც სხარტულადა მინიშნებული სასახლის ზოგადი თავისებურება:

„ნეტავ რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია
იმ ოქროს ჩარდახისთანა,
გაღმით–გამოღმით ქალაქი
შუაზედ მეღნისთანა“.
ეტყობა ქუთაისის სასახლეს მხოლოდ დიდი სახელი ჰქონია, თუკი ხალხის მეხსიერებაში ამომავალ მზესთან შე-

სადარებლად დარჩა მას შემდეგ, რაც უკვე მიტოვებულ იქნა¹.

როგორც აღვნიშნეთ, იმერეთის მეფის სასახლე, რომლის ნაშთია ჩვენამდე მოღწეული, კამარებით შეკრულ 12 სვეტზე იყო დადგმული. თუ გავითვალისწინებთ იმსაც, რომ ეს სასახლე შიგნიდან საგანგებოდ იქნებოდა მოწყობილი „ოქროთა გარდაგებული”, მაშინ მე-17 საუკუნიდან მისთვის „ოქროს ჩარდახის” სახელწოდების მიკუთვნება სავსეით ბუნებრივია. მაშასადამე, ამ სასახლეს ჩარდახის სახელწოდება იმიტომ უნდა მიეღო, რომ იგი თაღებით შეკრულ 12 სვეტზე იყო დადგმული და ასეთი შენობის აღსანიშნავად მე-15 საუკუნიდან ჩარდახი შემოსულა ხმარებაში. დღემდე მოღწეული ნაშთებიდან თაღებით შეკრული სვეტები მთლიანადაა დაცული. ამ ძეგლს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქის ისტორიისა და საქართველოს გვიანთვეოდალური ხანის საერთო ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (1810 წ.) „ოქროს ჩარდახი“ და მიმდებარე ტერიტორია რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. 1830 წელს აღნიშნული სამეფო რეზიდენცია იმერეთის დროებითმა მმართველობამ, თხოვნის საფუძველზე, სამარადისო მემკვიდრეობითი კუთვნილებით მისცა იმპერიის ერთგულ სამეცნიეროს მფლობელს, უგანათლებულეს თავადს, ლევან გრიგოლის ძე დადიანს, რომლისგანაც მემკვიდრეობით მიიღო მისმა ვაჟმა დავით ლევანის ძე დადიანმა. ამ უკანასკნელმა კი მოგვიანებით დაუთმო (მიჰყიდა) თავად მიხეილ თუმანოვს (თუმანიშვილს). იგი თუმანოვების და აკოფოვების საკუთრება გახდა².

¹ ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I ტომი, თბ., 1983, გვ. 231.

² ჯავახაძე, ქუთაისი, ჩემო დედავ! თბ., 2012, გვ. 59.

ქუთაისში გიმნაზიის გახსნასთან დაკავშირებით, 1851 წელს „ოქროს ჩარდახი“, გიმნაზიის ინსპექტორის ბინად განსაზღვრეს. 1891 წელს „ოქროს ჩარდახი“ (რომელსაც უკავე ფლიგელი აქვს მიშენებული) ვასილ და გიორგი აკოფოვებმა და პავლე თუმანოვმა გიმნაზიის ძევლი კორპუსთან და სხვა დამხმარე შენობებთან ერთად, სასწავლო უწყებას მიყიდეს და მასში გიმნაზიის სხვადასხვა თანამშრომლები ცხოვრობდნენ. ასე გაგრძელდა სხვადასხვა ხელისუფლების წლებშიც. თუმცა შენობის მდგმურებიდან გამოთავისუფლების საკითხი რამდენჯერმე დაისვა. უკვე 1939 წლის 14 ივნისს დაადგინა ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა „ოქროს ჩარდახიდან“ მობინადრეების გამოსახლება და მისი სახელმწიფო სამმართველოსთან არსებულ კულტურულ ძეგლთა დაცვის ქუთაისის განყოფილებაზე გადაცემა. აღნიშნულ დადგენილება პრაქტიკულად 60-იან წლებში განხორციელდა, როცა „ოქროს ჩარდახიდან“ გამოსახლებული იქნენ მდგმურები, შენობას ჩაუტარეს რემონტი – რესტავრაცია და გაიხსნა ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“¹.

„ოქროს ჩარდახი“ (სასახლის) ბაღში იდგა და დგას ისტორიული ჭადარი. ისტორია გადმოგვცემს, რომ მის ქვეშ იმერეთის მეფეები ისვენებდნენ და აქვე აწარმოებდნენ საქმის წარმოებას.

„ოქროს ჩარდახის“ სასახლის დარბაზი ქუთაისის მერიის მხარდაჭერით აღადგინა მუზეუმის დირექტორმა, მხატვარ-დეკორატორმა ემზარ ჯინჭარაძემ, როგორც მან განაცხადა, სოლომონისეულ სასახლის ნივთებიდან არაფერი შემონა-

¹ მ. კეზევაძე, ოქროს ჩარდახი, გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 9 აპრილი, 2004, გვ. 3.

ხულა, თუმცა კი არსებობს სოლომონ მეფისეული ტახტი, რომელიც თბილისში მარიანა ელიოშვილის ოჯახი ინახება¹.

ამჟამად რეკონსტრუქციას განიცდის სასახლის გარშემო მდებარე ბაღი და მაღე ქუთაისის მოსანახულებლად ჩასულ უცხოელ თუ ქართველ სტუმარს საკმაოდ სასიამოვნო გარემოში მოხვედრა ელის.

დამოწმებანი:

1. მ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (1650–1652), ი. ცინცაძის თარგმანი და გამოცემა, თბ., 1970.
2. ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I ტომი, თბ., 1983.
3. ქუთაისი, გზამკვლევი, შემდგენლები: მ. ნიკოლეიშვილი, პ. ვაჭრიძე, თბ., 1967.
4. მ. კეზევაძე, ოქროს ჩარდახი, გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 9 აპრილი, 2004.
5. მ. ნიკოლეიშვილი, ოქროს ჩარდახი, ძეგლის მეგობარი, კრ. 22, 1970.
6. ბეგურიშვილი, ოქროს ჩარდახი, გაზ. „24 საათი“, 2 ოქტ., 2007.
7. 6. ბალანჩივაძე, „რა არის ოქროს ჩარდახი“, გაზ. „ქუთაისი“, 27 დეკ., 1966.
8. 6. ბალანჩივაძე, ოქროს ჩარდახი, გაზ. „ქუთაისი“, 17 ნოემბ., 1990.
9. 6. ბალანჩივაძე, პატარა ქუთაისი ანუ ოქროს ჩარდახი, ქუთ., 18 ივნ., 1976.

¹ ბ. ჩეგურიშვილი, ოქროს ჩარდახი, გაზ. „24 საათი“, 2 ოქტ., 2007, გვ. 5

10. რ. ბეროძე, რიონის პირას სახლია ერთი, გაზ. „ქუთაისი“, 7 ნოემბ., 1972.
11. ჭ. ჯავახაძე, ქუთაისო, ჩემო დედავ! თბ., 2012.
12. ს. კაკაბაძე, „ოქროს ჩარდახი“, გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 15 ოქტ., 1940.
13. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946.
14. Кавказский календарь, 1859.

Vladimer Tsverava
Akaki Tsereteli State University
THE “GOLDEN CHARDAKHI”
RESUME

The river Rioni divides Kutaisi in to two parts. The left bank is almost entirely a plain. It has been inhabited since the ancient time and it was the important part of the city, but because of the times circumstance, the old dwelling houses and civil structures haven't been able to come to us. At present, the building which was built in Kutaisi before the XIX century isn't protected, the exception is one of the building that is known is known as the palace of the of Imereti so-called the “Golden Chardakhi”.

The information about the “Golden Chardakhi” belongs to the ambassador Ambrozio Contarin, who visited Kutaisi and this district too.

In his word, “there was a palace of the king“ of Georgia Bagrati on the small field, who belonged the fortress of Kutaisi.

In the middle of the XVII century, ambassadors Tolachanov and Ievliev arrived in Imereti from Russia. King

Aleksandre III got them on 8 July, in 1651. The ambassadors called this palace the “Golden Chardakhi” in their descriptions and the interestingly described the palace.

After Tolochinov and Ievliev we receive information about the “Golden Charbakhi” from the scientist and sailor I. Giuldenshtedt who is from German. Then French Monpere repeated his words in the of the XIX century.

After conquering the Imeretian Kingdom, Russian goverment gave the palace called the “Golden Chardakhi” to the Treasury. In 1830, the treasury gave it to David Dadian, who was the chief of Samegrelo. Then, he sold the palace to brothers Tumanovis and Akopovis but soon the “Golden Chardakhi” and the director of the gymnasium bought it for its needs, where he had his staffs. Therefore, it lasted in the years of the Soviet Union until the tourist club wasn’t established there, in the 60s of XX century. Now, there is a museum and its repair – restoration is being continued.

There was a plane tree in the garden and the kings discussed the affairs under its shadow.

„The Golden Chardakhi“ is an interesting monument by its architectural meaning, which needs warning and care.

**დაუით ჯავახიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი — მირიან ბაგრატიონი

წინამდებარე გამოკვლევაში მოთხრობილია ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენლის, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ერთ-ერთი ძის — მირიან ბაგრატიონის (1767-1834) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ნაშრომი ოთხი ქვეთავისაგან შედგება.

I. მირიან ბატონიშვილის მშობლები და და-ძმა

ერეკლე II (1720-1798) სამჯერ დაოჯახდა. მისი პირველი მეუღლე იყო ქეთევან ზაალის ასული მხეიძე (ფხეიძე), მეორე — ანა ზაალის ასული აბაშიძე (1730-1749), ხოლო მესამე — დარეჯან კაციას (გიორგის) ასული დადიანი (1734-1807).

ორჯერ დაქვრივებულმა ერეკლე II-მ მესამე ქორწინებით ცოლად შეირთო ასული, რომელიც იყო სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის (მთავრობდა 1728-1757 წლებში) ძმის კაციას (გიორგის) ქალიშვილი. მათ თბილისში დიდებული ქორწილი გადაუხადეს¹.

მესამე ქორწინებიდან მეფეს შეეძინა 23 შვილი: ელენე (1753-1786), მარიამი (1755-1828), ლევანი (1756-1781), ოუ-

¹ ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 180.

ლონი (1760-1816), ვახტანგი (ალმასხანი) (1761-1814), ბერი (1761/2-?), თეიმურაზი – მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (1762-1827), ანასტასია (1763-1838), ქეთევანი (1764-1840), სოლომონი (?-1765), მირიანი (1767-1834), ალექსანდრე (1770-1844), ლუარსაბი (1772-?), ეგატერინე (1774-1818), თეკლე (1776-1846), ფარნაოზი (1777-1852) და არჩილი (1780-?). ჩამოთვლილის გარდა, მათ სხვადასხვა დროს შეეძინათ კიდევ 6 შვილი: სოფიო, იოანე და სალომე, სოსლან-დავითი, ხორუშანი და კიდევ ერთი შვილი, რომლე-ბიც ბავშვობაში გარდაიცვალნებ¹.

1767 წლის 19 აგვისტოს დაიბადა ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის რიგით მეთერთმეტე შვილი – მირიანი.

სიმბოლურია, რომ ყრმა უფლისწულს დაარქვეს იმ მე-ფის სახელი, რომელმაც 326 წელს ქრისტიანობა საქართვე-ლოში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

მირიანს ნახევარმად ეპუთვნოდა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII, რომელიც ერეკლე II-ს მეორე ქორწინებიდან (ანა აბაშიძესთან) შეეძინა².

ამრიგად, უფლისწული მირიანი დაიბადა ქართლ-კახე-თის სამეფო ოჯახში. მას ჰყავდა მრავალი და-ძმა, რომელთა ნაწილიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სა-ქართველოს ისტორიაში.

¹ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამე-ცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003, ნუსხა №6.

²ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სა-მეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003, ნუსხა №6.

II. უფლისწული მირიანი – ქართველი დიპლომატი და რუსეთის სამხედრო მოღვაწე

ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა-გამგეობაში მირიანი ჭაბუკობიდან მონაწილეობდა. გვირგვინოსანი მამის სურვილის შესაბამისად, იგი ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში ჩართეს რუსეთში მიმავალი დიპლომატიური მისიის შემადგენლობაში.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში მირიანი იყენებდა რვაკუთხა ფორმის საკუთარ საუფლისწულო ბეჭედს, რომელზედაც ამოტვიფრული იყო ოთხსტრიქონიანი ლეგენდა ქართულ ენაზე (მხედრული შრიფტით): „დავითის ტომთა სქესისა, ძე ვარ ირაკლი მეფისა, მირიან”¹.

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის მიერ 1768 წლის 20 თებერვალს გაცემულ დოკუმენტს – „წყალობის წიგნი სოლომონ კუალიაშვილისადმი” ერთვის როგორც ანტონ I-ის ხელრიცვა, ასევე, მეუე ერეკლე II-ის, დედოფალ დარეჯან დადანიანისა და მათი რამდენიმე ვაჟის ბეჭედი. მათ შორის არის მირიანის ბეჭედიც – ზემოხსენებული ლეგენდით².

1780 წლის 2 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტს – „წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სახლოთხუცეს ამილბარ მაღალაძისადმი” ერთვის როგორც კათოლიკოს-პატრიარქის ხელ-

¹ ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, I, თბ., 1978, გვ. 44.

² ქართული სამართლის ბეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 867.

მოწერა, ასევე, ქართლ-კახეთის მეფე-დედოფლისა და მათი რამდენიმე ვაჟის ბეჭედი, მათ შორის – მირიანისაც¹.

მირიანის ბეჭედით ასევე დამოწმებულია შემდეგი დოკუ-მენტები (განჩინებანი): 1779 წლის 20 ივნისით დათარიღებული „განჩინება სოლომონ ბეგთაბეგიშვილის ყმების საქმეზე”²; 1780 წლის 21 ივლისით დათარიღებული „განჩინება ადამ ყარანგოზიშვილისა და ივანე ბურდულის მამულის საქმეზე”³; 1781 წლის 19 იანვრით დათარიღებული „განჩინება საგინაშვილების ყმების დათუაშვილების საქმეზე”⁴; 1782 წლის 22 ივნისით დათარიღებული „განჩინება შერმაზან ავ-ხაზისშვილის მკვლელობის საქმეზე”⁵; 1783 წლის 3 აპრილით დათარიღებული „განჩინება არქიმანდრის ანტონისა და ბაყალ მიკირტუმას სახლების საქმეზე”⁶; 1783 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებული „განჩინება გივი და უთრუთ ციცი-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 934.

² ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 89.

³ ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 121.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 138.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 184.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 216.

შვილების გაყრის საქმეზე”¹; 1784 წლის 8 იანვრით დათარიღებული „განჩინება გოსშტაშიშვილებისა და ციციშვილების მამულის საქმეზე”²; 1784 წლის 11 თებერვლით დათარიღებული „განჩინება მზეჭაბუკ მდივანბეგის ყმების შაბაშვილების საქმეზე”³ და სხვ.

1782 წლის 12 აგვისტოს ერეკლე II-მ უბრძანა თავ-ლიდარ ნასყიდას, რათა მას უფლისწულ მირიანის მსახურის – ყულუხჩ დიმიტრი ქუმსიშვილისათვის ხელწერილით გადა-ეცა ხუთი მინალთუნის ლირებულების ფარჩა⁴.

1783 წელს გეორგიევსკი ხელმოწერილი მფარველო-ბითი ტრაქტატის შემდეგ, ერეკლე II-მ გადაწყვიტა, რომ ეკატერინე II-სთან გაეგზავნა საგანგებო დელეგაცია რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფ-ლებიან მინისტრ-რეზიდენტად დამტკიცებული თავადის გარ-სევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. იმავე დელეგაციის შე-მადგენლობაში ჩარიცხეს იეროდიაკვანი ანტონი (ერისკაცობა-ში – თეიმურაზ ერეკლეს ძე, მომავალში – კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) და მისი უმცროსი ძმა – მირიანი.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 238.

² ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 246.

³ ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 250.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში – სცსს), ფონდი 1448, საბუთი №3645.

1784 წლის მაისის მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიური მისია სათანადო ამაღლითურთ თბილისიდან რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრა. 20 სექტემბერს იმპერატრიცამ მიიღო დელეგაციის მეთაური გარსევან ჭავჭავაძე, რომელმაც ეკატერინე II-ს რწმუნებათა სიგელი გადასცა¹.

მირიანი საკუთარი ნებით ჩაირიცხა იმპერიის შეიარაღებულ ძალებში შემავალ იზიუმის საკავალერიო პოლკში, სადაც მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა².

რუსეთს მყოფი მირიანის ერთ-ერთ მსახურს – გლახა თარზნიშვილს მეფის 1786 წლის 17 აპრილის სიგელით მეჯოგეთუხუცესის თანამდებობა შეუნარჩუნდა³.

პოლკოვნიკი მირიანი მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში.

მები – ანტონი და მირიანი სამი წლის განმავლობაში პეტერბურგში ცხოვრობდნენ. მათთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ქართული წარმომავლობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი, საგარეო საქმეთა კოლეგის წევრი სერგეი ლაზარეს ძე ლაშქარიოვი (1739-1814), რომლის ნამდვილი გვარიც იყო ბიბილური. 1787-1788 წლებში ბატონიშვილები ცხოვრობდნენ კრემენჩუგში, გენერალ-ფელდ-მარშალ, გრაფ გ. პოტიომკინთან, რომელსაც დაგალებული ჰქონდა რუსულ-ქართული ურთიერთობების გაძლილა⁴.

¹ ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოუნივერსიტეტის მოღვაწეობა (საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში), თბ., 1982, გვ. 68-75.

² ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 59.

³ სცსსა, ფონდი 1450, წიგნი 33, საბუთი №242.

⁴ Горгидзе М., Грузины в Петербурге, страницы летописи культурных связей, Тб., 1976, стр. 35-66.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს უფლისწულები რუსეთში ფაქტობრივად იმყოფებოდნენ საპატიო მძღვალთა როლში¹.

რუსეთში მცხოვრებ მირიანს მიმოწერა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფო კართან და მათ შორის, თავის გვირგვინო-სან მამასთანაც. ერეკლე II-მ მირიანს მისწერა, რათა მას დაესვა საკითხი რუსეთის ხელისუფლების წინაშე და აეცი-ლებინა აღა-მაჭად-ზანის მოსალოდნელი თავდასხმა საქართ-ველობე. მას შემდეგ კი, რაც ეს თავდასხმა მოხდა, ამის თა-ობაზე მეფემ შვილს დაუყოვნებლივ შეატყობინა. კრწანისის ბრძოლიდან სულ რამდენიმე დღეში, 1795 წლის 15 სექტემ-ბერს, დამარცხებით გამწარებული ერეკლე II თავის ვაჟს მი-რიანს და გარსევან ჭავჭავაძეს შესჩიოდა – ფიცით რომ არ ვყოფილიყავით დაკავშირებული რუსეთთან და აღა-მაჭად-ზანთან თანხმობა გვქონოდა, ჩვენ ეს უბედურება არ დაგვატ-ყდებოდაო².

გარსევან ჭავჭავაძე შეძლებისდაგვარად მფარველობდა უფლისწულს და ფინანსურადაც ეხმარებოდა. 1795 წელს მან მირიანს ათასი რუბლი ასესხა³.

რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი მირიანი სწრა-ფად მიიწევდა წინ კარიერულ კიბეზე. 1793 წელს მას მიე-

¹ მაჭარაძე ვ., ბესიგი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1963, გვ. 159-160.

² Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. 2, вып. 2, Грузинские документы, с 1769 по 1801 год (под редакцией А. Цагарели), СПб., 1902, стр. 80-165.

³ ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქა-რთული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 104.

ნიჭა გენერალ-მაიორის, ზოლო შემდგომში – გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდებები¹.

მირიანი მსახურობდა კავკასიის სამხედრო ხაზზე განლაგებული რუსთა ჯარის სარდლის, გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ივანე ვასილის ძე გულოვიჩის არმიაში და ირიცხებოდა ყაბარდოს ქვეითი პოლკის შეფად (1796-1798). იგი იყო რუსეთის სენატის წევრი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის წოდება².

აქვე დავსძენთ, რომ ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი იყო სამოქალაქო ჩინი, რომელიც რუსეთის იმპერიაში იმხანად მოქმედი რანგთა ტაბელის მიხედვით შეესაბამებოდა ინფანტერიის ან კავალერიის გენერლის, ანდა ადმირლის სამხედრო წოდებებს და ასევე, საიმპერატორო კარზე არსებულ უმაღლეს ჩინს – ობერ-კამერჰერს³.

პოლონელი მეცნიერი იან პოტოცკი (1761-1815) თავის მოგონებებში მიუთითებდა, რომ ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობისას იგი შეხვდა და დაუმეგობრდა მირიანს. 1797 წლის 1 დეკემბერს პოტოცკიმ თავის დღიურში ჩაწერა: „ეკატერინოგრადში მე საქართველოს მეფის ძის, უფლისწულ მირიანის სტუმარი ვარ, რომელიც რუსეთის არმიაში გენე-

¹ დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე, თბ., 2003, გვ. 34.

² Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722-1803, ч. 2, СПб., 1869, стр. 439; Николай Николаевич, Великий князь, Петербургский некрополь, III, СПб., 1912, стр. 133.

³ Дворянские роды Российской империи, I, под редакцией С. Думина, СПб., 1993, стр. 72.

რალ-მაიორის ჩინით მსახურობს. ახალგაზრდა ბატონმა მშვენივრად იცის რამდენიმე ენა და აზის ისტორია”¹.

გვირვინოსანი მამის ავადმყოფობის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, მირიანი მოზდოკიდან საქართველოში გამოემგზავრა. მას თან ახლდა ადიუტანტი შენშინი და გერმანული წარმომავლობის ასტრახანელი ექიმი გირთციუსი (Girtzius), რომელსაც უნდა ემკურნალა დასნეულებული ერეკლე II-ისათვის. საქართველოში დაბრუნებულმა მირიანმა მამას ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწორო. იგი დაესწრო მეფის დაკრძალვას, რის შემდეგაც, რუსეთის არმიაში სამსახურიდან საკუთარი სურვილით გათავისუფლდა².

სამშობლოში დაბრუნებული უფლისწული ამიერიდან აქვე აპირებდა დარჩენას, თუმცა განგებამ სულ სხვაგვარად განსაჯა.

დაქვრივებულმა დედოფალმა დარეჯანმა 1798 წლის მარტში იმპერატორ პავლე I-ს აცნობა, რომ დაბრუნდა მირიანი, რომელიც უკვე „14 წელი არ გვინახავსო”³.

საქართველოში ყოფნის პერიოდში მირიანი მხარს უჭერდა თავის უფროს ღვიძლ ძმას იულონს, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა. იულონის გამეფების მომხრენი განსაკუთრებით გააქტიურდნენ გოორგი

¹ იან პოტოცკის ცნობები საქართველოს შესახებ, პოლონურიდან თარგმნა ა. გრიშიკაშვილმა, კომენტარები დაურთო ე. გვაშანტირაძემ, თსუ შრომები, №349, თბ., 2003, გვ. 338.

² ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 104; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 209.

³ ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 104.

XII-ის გარდაცვალებისა (1800 წლის 28 დეკემბერი) და რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრედ ჯერ კიდევ 1799 წელს აღიარებული დავით ბატონიშვილის (1767-1819) ამ სამეფოს გამგებლად დადგინდების შემდეგ.

ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებლის, უფლისწულ დავითის წინააღმდეგ გაერთიანებული მისი ბიძები (გიორგი XII-ის ნახევარმმები) თავიანთი პრეტენზის საფუძვლად იყენებდნენ ერებლე წის მიერ 1791 წელს შედგნილ დოკუმენტს – „განწესებანი”, რომელიც მეფემ თავისი მესამე მეუღლის – დარეჯან დელოფლის ჩაგონებით დაწერა. მართალია, შემდგომში მეფემ თავადვე უარყო ეს დოკუმენტი, მაგრამ მან უფლისწულთა შორის უთანხმოება მაინც გამოიწვია¹.

პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ დარეჯანის ვაჟებს და მათ შორის მირიანსაც „სურდათ აღსრულებულიყო მეფი-სა ირაკლისა უგვანი ანდერძი დასაღუპავად ქვეყნისა შედგენილი. ანდერძითა ამით უნდა მისცემოდა მეფობა პირველსა – იულონსა, მერეთ – ვახტანგსა, მერეთ – მირიანსა, მერეთ – ალექსანდრეს, მერეთ უკანასკნელსა შვილსა ირაკლისსა – ფარნაოზს. შემდეგ ამათსა უნდა გარდასულიყო გვირგვინი მეფობისა მეფისა გიორგისა შვილებზედ, ე.ი. პირველად უნდა მისცემოდა მეფობა დავითსა, მერეთ იოანეს, მერეთ ბაგრატს, მერეთ თეიმურაზს, მერეთ მიხაილს და სხვათა. შემდეგ ამათსა მეფობა უნდა გარდასულიყო იულონის შვილზედ, მერეთ ვახტანგისა შვილზედ და სხვა...“

¹ დუმბაძე მ., ქორთუა ნ., ქართული სამეფოები დაქვეითების გზა-ზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, ობ., 1973, გვ. 739-740.

მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი. ამა ანდერძით ირღვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან. ესე იყო მიზეზი, რომელმანცა დაბადა შფოთი ძმათა შორის და გადაუყენა ერთგულობიდამ მრავალნი”¹.

1800 წლის 20 დეკემბერს, როცა გიორგი XII ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მისმა ნახევარმებმა – იულონმა, ვახტანგმა და მირიანმა მოწოდებით მიმართეს გორის მოსახლეობას, რათა მათ მხარი დაეჭირათ იულონის გამეფებისათვის².

პ. იოსელიანი გვამცნობს, რომ 1801 წლის 14 იანვარს „გამოცხადდა ღრამატა ესე თბილისს და სცნესცა ყოველგან. გარნა არა მიიღეს არცა ბიძათა მისთა და არცა დედოფალმან დარეჯან... იულონი, ვახტანგ, მირიან, ფარნაოზ შეგროვდნენ დუშეთს, აქედამ მივიღენ მუხრანს და უნებდათ დაეგვირგვინებინათ მეფედ იულონ მცხეთას. ლაზარევმან, რჩევითა თვით მემკვიდრისა დავითისა, წარგზავნა მუნ 250 სალდათი. ამან დააბრკოლა განზრახვა მათი“³.

რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები რაც შეიძლება სწრაფად გადაესახლებინა პეტერბურგში, სადაც მათი ცხოვრება, განსხვავებით მუდმივად მოჯანყე საქართველოში ყოფნისაგან, იმპერიის ინტერესებისათვის საშიში აღარ იქნებოდა.

¹ იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 222-223.

² Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), I, Тифлис, 1866, стр. 228-229.

³ იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 220-221.

მიუწედავად იმისა, რომ თავისი ლვიძლი მმების: იულონის, გახტანგის, ალექსანდრეს და ფარნავაზისაგან განსხვავებით, მირიანს იარაღით არ უბრძოლია რუსეთის წინააღმდეგ, იგი მაინც გადასახლებულთა შორის აღმოჩნდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან მირიანი ყველაზე ადრე გაასახლეს, თორემ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, მას მხარი დაეჭირა თავისი ძმებისათვის.

პენსიაზე მყოფი გადამდგარი გენერალი მირიანი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა თავისი მთავარსარდლის – იმპერატორის მოთხოვნას და სამშობლო დაეტოვებინა. 1801 წლის 15 მარტს მირიანი ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა¹.

ამის შემდეგ უფლისწული მირიანი გარდაცვალებამდე ცხოვობდა და მოღვაწეობდა რუსეთში, ძირითადად – პეტერბურგში, ხოლო დროდადრო – მოსკოვშიც.

III. მირიან ბაგრატიონის საუფლისწულო მამულების ისტორიიდან

გვირგვინოსანმა მამამ თავის ძეს – მირიანს სხვადასხვა დროს უბოძა ყმები და ასევე მამულები, რომლებიც მდებარეობდა კახეთსა და შიდა ქართლში. ქვემოთ თანამიმდევრულად ვიმსჯელებთ მათ შესახებ.

მირიან ბაგრატიონის კუთვნილი საუფლისწულო მამულებიდან თბილისთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა ყანდიაური², რომელიც ისტორიულ გარეკახეთში, ცივ-გომბორის

¹ ბერძნიშვილი მ., მირიან ბატონიშვილი, ქსე, 7, თბ., 1984, გვ. 12.

² ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გმოკვლევა და საძიებლები დაურთეს ო. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 66.

ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე გაშენებული სოფელია. ამ ანთროპონომიული წარმომავლობის ტოპონიმს საფუძვლად უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი – ყანდია¹. სოფლის თანამედროვე დასახელებაა ყანდაურა (ამჟამად შედის საგარეჯოს რაიონში).

ყანდიაურს, რომელიც ძველთაგანვე შეწირული იყო ალავერდის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრისადმი, საყურადღებო ისტორიული წარსული გააჩნია.

შაჰ-აბას I-ის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად კახეთს აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა. განსაკუთრებით დაზარალდა გარეკახეთი. მოსახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლას შეეწირა, ხოლო ნაწილი სპარსეთში დაასახლეს. უამრავი დასახლებული პუნქტი ნასოფლარად იქცა. მათ შორის იყო ყანდიაურიც. მტრისგან აოხრებული ეს სოფელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში დაუსახლებელი რჩებოდა. XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, მეფე ერეკლე II-მ ნასოფლარ ყანდიაურის აღორძინება დაიწყო. ამ სოფელში სხვადასხვა დროს დამკვიდრდნენ შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან და სამეგრელოდან გადმოსახლებულები.

სოფელ ყანდიაურის აღდგენის მნიშვნელობაზე მეტყველებს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის მიერ 1797 წლის 23 თებერვალს გამოცემული განჩინება „სოფელ ყანდიაურის თაობაზე”². მას ერთგვის როგორც კათოლიკოს-პატრიარქის ხელრთვა და მაღალი თანამდებობის მქონე სასულიერო პირ-

¹ სახლოთხუციშვილი უ., ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბ., 1997, გვ. 139.

² სცსსა, ფონდი 1448, საბუთი №957; ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 13-15.

ების (მათ შორის – ბოდბელი და ნინოწმინდელი მიტროპოლიტების) ხელმოწერები, ასევე, ქართლ-კახეთის მეფე-დედოფლისა და მათი რამდენიმე ვაჟის ბეჭედი, მათ შორის მირიანისაც, რომელიც ყანდიაურის მფლობელი იყო. ამ დოკუმენტის ბოლოს გვითხულობთ: „ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფის ძე, დიდებულის ხელმწიფის იმპერატორ პავლე პეტროვიჩის სარდალი – მირიან, მისის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდელ ჩვენის ძმის და მისის დიკასტირის განსჯილსა და გარიგებულსა ამას ვამტკიცებთ”¹.

იოანე ბატონიშვილის (1768-1830) ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა” ცალკეა გამოყოფილი გარეკახეთის ტერიტორიაზე მდებარე დასახლებული პუნქტები, რომელთაგან საუფლისწულოდ იხსენიება მხოლოდ ზემოხსენებული სოფელი, მის მფლობელად კი მითითებულია – ბატონიშვილი მირიანი².

ქართლ-კახეთის მეფეების – ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მმართველობის პერიოდში ყანდიაურის მოურავი იყო თავადი როსებ (იოსებ) ზაალის ძე ჯანდიური, რომელსაც ნასახჩიბაშის თანამდებობა ეკავა³. სხვადასხვა დროს ის მოუ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საბიექტები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 15.

² ბაგრატიონი ო., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საბიექტები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 66.

³ იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 273.

რავად იყო ასევე კახეთის სხვა სოფლებში – ჯიმითსა¹ და კალაურში².

ყანდიაურის მოურავის ვაჟი – სვიმონ ჯანდიერი³, ისევე, როგორც ამ სოფლის მცხოვრებნი, აქტიურად მონაწილეობდნენ 1812 წლის სახალხო აჯანყებაში⁴, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთის მეფედ გამოცხადებული გრიგოლ I (1789-1830) – შვილთაშვილი ერეკლე II-ისა და შვილიშვილი გიორგი XII-ისა⁵.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ყანდიაურის ნაცვლები იყვნენ მამა-შვილი ბერი და ივანე გამყრელიძეები. შემდგომ პერიოდში იმავე სოფლის მამასახლისმა ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯავახიშვილმა (1846-1902)⁶, რომელიც ამ თანამდებობაზე ოთხჯერ აირჩიეს, თავის მეუღლესთან ერთად მონათლა იქვე მცხოვრები მედავითნის გიორგი ფხალაძის ოჯახში დაბადებული ვაჟი – მიხეილი (1872-1960)⁷, რომელიც 1952-1960 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო.

¹ ოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 273.

² ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 267.

³ ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 267.

⁴ ღოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, გმოსაცემად მოამზადა შ. ხანთაძემ, თბ., 1999, გვ. 117-118.

⁵ ჯავახიშვილი ნ., გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.

⁶ სცსსა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 279, გვ. 313.

⁷ სცსსა, ფონდი 489, აღწერა 9, საქმე 471, გვ. 9.

ერეკლე II-მ თავის ვაჟს მირიანს ასევე უწყალობა სოფელი შალვაური¹, რომელიც თელავს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. ანთროპონომიული წარმომავლობის ამ ტოპონიმს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი – შალვა. ამჟამად თელავის რაიონში შემავალი ამ სოფლის თანამედროვე დასახელებაა – შალვაური.

მირიანს ასევე უბოძეს ბახტრიონი და მაღრაანის ნაწილი, ხოლო მის ყმებად ჩარიცხეს სოფლებში – ქისტაურში, ზემო ხოდაშენსა და აწყურში მოსახლე ბოჭორმელები². ამჟამად ეს სოფლები ახმეტის რაიონის შემაღებელობაში შედის.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მირიანს უწყალობეს ყმა-მამული „სააზნაუროთი და საეკლესიოთი” ხეფინისხევის სოფლებში, რომელთა შორისაც იყო (ჩამოვთვლით ანბანურად): ბჟინევი, გრიგალათი, გესამანია (ამჟამად – გედსამანია), ვერტყვიჭალა, მლაშე, ნადაბური, ფონა, ციცქაური (ამჟამად – ციცქიური), ხევიჯვარი და ხუნევი³. ეს სოფლები, რომლებიც იმ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოს უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფოს, ამჟამად ზოგიერთის (მლაშე, ხევიჯვარი) გარდა, ადმინისტრაციულად შედის ხარაგაულის რაიონში, რომელიც თავის მხრივ გაერთიანებულია იმერეთის მხარეში.

¹ ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გმოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, ობ., 1986, გვ. 68.

² ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გმოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, ობ., 1986, გვ. 69-70.

³ ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გმოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, ობ., 1986, გვ. 44.

საქართველოში მყოფი მირიანი ცდილობდა მოეწესრიგებინა თავის კუთვნილ მამულებში მცხოვრებთა ყოფითი პრობლემები.

სოფელ ფშავლის (ამჟამად შედის თელავის რაიონში) ეკლესიაში მოღვაწე ძლვდელმა მათე ყოდალაშვილმა 1799 წლის 14 მარტს უფლისწულ მირიანს მიართვა არზა სოფელ ხორბალოში (ამჟამად შედის ახმეტის რაიონში) მდებარე მისი მამულის თაობაზე¹. ამ სათხოვარს მირიანმა შემდეგი რეზოლუცია (ოქმი) დაადლო: „ქ. ბატონო თუშთ მოურავო დურმიშხან! მათე ძლვდელს არზით ასე რომ მოუხსენებია, ამას, როგორც სანატრელის მათის უმაღლესობის, ბატონის მეფის, მამის ჩვენის ოქმებში უცხადებს, ასე უნდა აღუსრულოთ და გაურიგოთ. ამის მამულთან საქმე არავისა აქვს”².

ასეთია ერკლე II-ის მიერ თავისი ვაჟის – უფლისწულ მირიანისათვის ბოძებული ყმა-მამულის მოკლე ისტორია.

1801 წლის 15 მარტს ხელისუფლების მოთხოვნით რუსეთს გამგზავრებულმა მირიანმა თავისი ყმა-მამული საპატრონოდ დაუტოვა დედას, დარეჯან დედოფალს³.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 519-520.

² ქართული სამართლის ძეგლები, VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 520.

³ ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 105.

IV. უფლისწული მირიანი – სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი და მთარგმნელი

პეტერბურგში ჩასული მირიანი დააჯილდოვეს წმ. ანას I ხარისხის ორდენით. იგი საპატიო სტუმრის რანგში ესწრებოდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის კორონაციას, რომელიც მოსკოვში 1801 წლის 15 სექტემბერს შედგა¹.

მირიანმა, როგორც რუსეთის საიმპერიო სენატის წევრმა, 1812 წელს, ნაპოლეონის არმიის რუსეთში ლაშქრობისას, ცეცხლმოკიდებული მოსკოვიდან გამოიტანა სენატის არქივი და ნიუნი ნოვგოროდში წაიღო².

სახელმწიფო მოღვაწეობის პარალელურად, მირიანი ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერდა იამბიკოებს. მის კალამს გაუთვის შემდეგი ლიტერატურული ნაწარმოებები: „ჩახრუხაული”; „ჩამოკითხვანი ტაეპებად”; „სვეტიცხოვლის ქება დღეი ცისკრის ხმაზედ”; „ფერისცვალების შესხმა დღეი ცისკრის ხმაზედ”; „მეფის ერებლეს ქება დღეი ცისკრის ხმაზედ”; „გოპარის ხმაზედ”; „იამბიკო”; „ვარლაამ არხიერთან მიწერილი იამბიკონი”³ და სხვ.

პოეტ უფლისწულს წილად ხვდა პატივი – 1787 წელს, კრემბნჩუგში ცხოვრების პერიოდში შეხვედროდა მირგოროდიდან ჩამოსულ მხცოვან პოეტ დავით გურამიშვილს (1705-1792) და სამშობლოში ჩამოეტანა მისი უნიკალური ლიტერატურული მექანიზრეობა, რომელიც ცნობილია „დავი-

¹ Горгидзе М., Грузины в Петербурге, страницы летописи культурных связей, Тб., 1976, стр. 103-104.

² ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 105.

³ ბაგრატიონი მ., ლექსიბი, წიგნში: ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), შეადგინა, ბოლოთქმა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ქენჭოშვილმა, თბ., 2014, გვ. 95-102.

თიანის” საერთო სახელწოდებით. აქვე დავსძენთ, რომ იმავე პერიოდში კრემენჩუგში იმყოფებოდა პოეტი ბესიკიც (ბესარიონ გაბაშვილი), რომელიც იქ დიპლომატიური მისის ხელმძღვანელად მიავლინა იმერთმეუე დაგით II-მ¹.

შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებული მირიანი ლიტერატურულ მოღვაწეობას განაგრძობდა. უცხოეთის ცის ქვეშ იძულებით მყოფი და სამშობლოს მონაზრებული საკუთარ განცდებს ლექსებში გადმოსცემდა. მისი რამდენიმე იამბიკოს ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში². 1805 წელს მან თარგმნა დრამატურგ იოაკიმ ვილჰელმ ფონ ბრავეს ტრაგედია „ათეისტი”³ და ასევე, „სწავლა თქმული ილია მინიატისაგან”, რომელიც 1818 წელს გადაწერა ტარასი ალექსი-მესხიშვილმა⁴ და სხვ.

1814 წლის 22 აპრილს მირიანმა ცოლად შეირთო მარია ხილკოვა (1788-1815), ასული რუსი თავადისა, ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლისა ალექსანდრე ხილკოვისა (1755-1819). მომდევნო წელს მირიანის მეუღლე გარდაიცვალა. მათ შვილები არ შესძენიათ⁵.

1826 წელს მირიანი დაინიშნა უმაღლეს სასამართლოში დეკაბრისტების საქმის განხილვასთან დაკავშირებით.

¹ Горгидзе М., Грузины в Петербурге, страницы летописи культурных связей, Тб., 1976, стр. 36-37.

² კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ხეც), ხელნაწერი A-1164; ხეც, A-1762 გ.; ხეც, H-2541.

³ ხეც, H-2321.

⁴ ხეც, A-1448.

⁵ Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, Москва, 1998, стр. 71.

პეტერბურგში მცხოვრებ მირიანთან ურთიერთობა პქონდა პლატონ იოსელიანს, რომელიც ამ ქალაქში 1831 წლიდან სწავლობდა.

1834 წლის 15 ოქტომბერს, 67 წელს მიღწეული მირიანი გარდაიცვალა¹. იგი დაკრძალული პეტერბურგში, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, სადაც ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის არაერთი წარმომადგენელი განისვენებს.

ამრიგად, მირიან ბაგრატიონი (1767-1834) იყო მეფე ერეკლე II-ის მესამე ქორწინებიდან შემენილი რიგით მეთერთმეტე ვაჟი, რომელიც ჭაბუკობის ასაკიდან ეწეოდა სახელმწიფო მოღვაწეობას. იგი მსახურობდა რუსეთში, მინიჭებული პქონდა გენერალ-ლეიტენანტისა და ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის წოდებები, იყო სამპერიო სენატის წევრი. 1801 წლიდან რუსეთში გადასახლებულმა სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი გაატარა პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც ლიტერატურულ-მთარგმნელობით მოღვაწეობას აგრძელებდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
2. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003.
3. ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, I, თბ., 1978.

¹ ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 105.

4. ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
5. ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში – სცსა), ფონდი 1448, საბუთი №3645.
7. ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო ეპიფრივი მოღვაწეობა (საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში), თბ., 1982.
8. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბ., 1941.
9. სცსა, ფონდი 1450, წიგნი 33, საბუთი №242.
10. Горгидзе М., Грузины в Петербурге, страницы летописи культурных связей, Тб., 1976.
11. მაჭარაძე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1963.
12. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. 2, вып. 2, Грузинские документы, с 1769 по 1801 год (под редакцией А. Цагарели), СПб., 1902.
13. ბერძნიშვილი ბ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.
14. დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე, თბ., 2003.
15. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722-1803, ч. 2, СПб., 1869.

16. Николай Николаевич, Великий князь, Петербургский некрополь, III, СПб., 1912.
17. Дворянские роды Российской империи, I, под редакцией С. Думина, СПб., 1993.
18. იან პოტიკის ცნობები საქართველოს შესახებ, პოლონურიდან თარგმნა ა. გრიშიკაშვილმა, კომენტარები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თსუ შრომები, №349, თბ., 2003.
19. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980.
20. დუმბაძე მ., ქორთუა ნ., ქართული სამეფოები დაქვეითების გზაზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
21. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936.
22. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), I, Тифлис, 1866.
23. ბერძნიშვილი მ., მირიან ბატონიშვილი, ქსე, 7, თბ., 1984.
24. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986.
25. სახლთხუციშვილი უ., ადგილის დედა ანუ რას მოგვითხოვებს ტოპონიმები, თბ., 1997.
26. სცესა, ფონდი 1448, საბუთი №957.
27. ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977.

28. დოკუმენტები კაზეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, გამოსაცემად მოამზადა შ. ხანთაძემ, თბ., 1999.
29. ჯავახიშვილი ნ., გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.
30. სცსსა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 279.
31. სცსსა, ფონდი 489, აღწერა 9, საქმე 471.
32. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, სასამართლო არზაოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1985.
33. ბაგრატიონი მ., ლექსები, წიგნში: ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), შეადგინა, ბოლოთქმა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. კენჭოშვილმა, თბ., 2014.
34. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ხეც), ხელნაწერი A-1164.
35. ხეც, A-1762 პ.
36. ხეც, H-2541.
37. ხეც, H-2321.
38. ხეც, A-1448.
39. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, Москва, 1998.

David Javakhishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

**THE STATESMAN AND POET – PRINCE MIRIAN
BAGRATIONI
RESUME**

The presented essay is about the life and activity of representative of the Bagration's royal dinasty – the Georgian prince Mirian Bagrationi (1767-1834), who was statesman and poet.

Mirian was one of the son of the King Erekle II (1720-1798; in 1744-1762 – king of Kakhetian kingdom, in 1762-1798 – king of United Kartalino-Kakhetian kingdom) from his third marriage with the princess Darejan Dadiani.

Upon signing of the Treaty of Georgievsk (1783) between Erekle II and Catherine II, Mirian and his brother, the hierodeacon Anton, journeyed to St. Petersburg and were attached to the Imperial court. On this occasion, Mirian was commissioned into the Russian service as a colonel of the Iziu-msky Light Cavalry Regiment. Promoted to Lieutenant-general, he was the chief of the Kabardinsky Musketeer Regiment. Mirian served on the Caucasus Line. In January 1798, as his father lay dying, Mirian hurried to Georgia. In contrast to his brothers, Mirian did not take up arms or try to resist the deportation of the Georgian royal family effected by the Russian administration. On 15 March 1801 Mirian acceded to the Emperor's request and departed for Russia. In 1803 he permanently settled in St. Petersburg, where he served as an Actual Privy Councilor and senator. During his years in St. Petersburg, Mirian translated from Russian the sermons of the Greek religious author I. Miniatis and Der Freigeist, a tragedy by the J. Brawe. Himself a poet of some talent, Mirian

composed love-poetry influenced by his contemporaries, D. Guramishvili and B. Gabashvili, the finest pre-Romanticist Georgian poets. Guramishvili met Mirian at Kremenchuk in 1787 and through him sent his writings to Georgia. Mirian married on 1814 princess Maria Khilkova. They had not children.

Prince Mirian Bagrationi died in 1834, at age 67. He was interred at the necropolis of the Georgian nobility at the Alexander Nevsky Lavra in St. Petersburg.

**ნიკო ჯავახიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ცხოვრება და ღვაწლი მეფე-პოეტ არჩილისა

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წარმომადგენელ სახელოვან მონარქთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია მეფე-პოეტ არჩილს (1647-1713), რომელსაც წლეულს დაბადებიდან 370 წელი შეუსრულდა.

ქართველ მწიგნობარ მეფეთა ბრწყინვალე კოპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართლის სამეფო ტახტის ღეგიტიმური მემკვიდრე უფლისწული – არჩილი, მთელ რიგ მიზეზთა გამო, მეფობდა არა ქართლში, არამედ – იმერეთსა და კახეთში, თანაც – დროგამოშვებით.

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოჩნდილია ამ ბაგრატოვანი ხელმწიფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები, პარალელურად, მოთხოვნილია მისი მშობლების, და-ძმისა და შვილების შესახებ. ნაშრომი ხუთი ქვეთავისაგან შედგება.

I. არჩილის მშობლები და და-ძმა

არჩილი იყო უფროსი ვაჟი და მემკვიდრე ქართლის გვირგვინოსან ვახტანგ V-ისა, იგივე შაპნავაზისა, რომელიც 1658-1676 წლებში მეფობდა და დედოფალ როდამისა, რომელიც გახლდათ ასული თავად ყაფლან ბარათაშვილისა.

მომავალი მეფე-პოეტი დაბადა 1647 წელს. 11 წლამდე იგი იზრდებოდა მუხრანში, თავის მამაპაპისეულ მამულში,

ხოლო მამამისის ქართლში გამეფების (1658 წ.) შემდეგ – თბილისში, სამეფო კარზე.

ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, არჩილი იყო „ახოვნებითა, შუენიერებითა, სიმხნითა და ყოვლისა სამხედრო-სანადიმო ზნითა სრული... შემმართებული, ძლიერი, ლალი და ამაყი, მონადირე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმრთოთი აღმატებული“¹.

არჩილს ათი და-ძმა ჰყავდა. არჩილის უმცროსი ძმები იყვნენ: გიორგი, მომავალში მეფე გიორგი XI, რომელიც ქართლში ორჯერ (1676-1688 და 1703-1709 წლებში) მეფობდა, ლევანი (გარდაიცვალა 1709 წელს), ალექსანდრე (საისტორიო წყაროებში ჩანს 1666-1697 წლებში), ლუარსაბი (გარდაიცვალა 1698 წელს) და სოლომონი (გარდაიცვალა 1703 წელს)².

არჩილის მომდევნო ძმის – მეფე გიორგი XI-ის ავლანეთში დაღუპვის (1709 წ.) შემდეგ, ქართლის მეფე გახდა მისი მომდევნო ძმის, იმავე წელს გარდაცვლილი ლევანის უფროსი ვაჟი – ქაიხოსრო I, რომელიც 1711 წელს ასევე ავლანეთში, ყანდაართან მომხდარ ბრძოლაში დაიღუპა. მეფე-ების გიორგი XI-ისა და ქაიხოსრო I-ის სპარსეთში ყოფნის გამო, 1703 წლიდან ქართლს ჯანიშინის რანგში განაგებდა არჩილის ძმისწული – უფლისწული ვახტანგ ლევანის ძე (1675-1737), იგივე მეფე ვახტანგ VI.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 602.

² ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიების კრებული, გრიგორიური ნუსხებითურთ, თბ., 2003, ნუსხა 4.

არჩილს ჰყავდა დები: ანუკა (საისტორიო წყაროებში ჩანს 1660-1668 წლებში), თამარი, იგივე გაიანე (გარდაიცვალა 1694 წელს) და კიდევ ორი და¹, რომლებიც როგორც ჩანს, მცირეწლოვანნი გარდაიცვალნენ და ამიტომ მათი სახელები უცნობია.

თამარი გაათხოვეს გორის მოურავზე, თავად გივი ამილახვარზე (1636-1700), ხოლო 1660 წელს ანუკა ცოლად გააყოლეს შაპინშაპი² – აბას II-ს (აბას I-ის შვილთაშვილს), სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელს, რომელიც 1642-1666 წლებში მეფობდა³. აბას II-ის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა სულეიმან I-მა, იგივე სეფი II-მ (მეფობდა 1666-1694 წლებში), თავისი გარდაცვლილი მამის ქვრივი – ანუკა, ამ უკანასკნელის მამასთან – ვახტანგ V-სთან შეთანხმებით, 1668 წელს ცოლად გააყოლა თავის ქვეშევრდომს, ლორისტანის ხანს – შაპივრდის⁴.

ვახტანგ V-ის მიერ გაცემულ სიგელებში დასახელებულ მის ვაჟებს შორის უფროსი – არჩილი იხსენიება პირველ ადგილზე, როგორც პირმშო და მემკვიდრე, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილი არიან მისი ძმები. ერთ-ერთ ასეთ სიგელში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩუენ,

¹ Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, М., 1998, стр. 43.

² ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 449; Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, М., 1998, стр. 42).

³ Сычев Н., Книга династий, М., 2006, стр. 598.

⁴ ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 454.

მეფეთ-მეფებან პატრონმან შაპნავაზ, თანამეცხედრებან ჩუებ-მან დედოფალთ-დედოფალმა..., პირმშომა და სასურველმან ძემა ჩუენმა პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ და პატ-რონმან ლევან...”¹.

II. არჩილის დაქორწინების მცდელობა და მისი პირველი მეფობა იმერეთში

ქართლის მეფის უფროსი ვაჟისა და სამეფო ტახტის მემკვიდრის – უფლისწულ არჩილის დაოჯახებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

1660 წელს გარდაიცვალა იმერეთის გვირგვინოსანი ალექსანდრე III (მეფობდა 1639-1660 წლებში) და სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ბაგრატ IV (1620-1681), რომელიც გარდაცვალებამდე დროგამოშვებით მეფობდა. 1661 წელს, ექვსთვიანი მეფობის შემდეგ, ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავებინა თავისმა დედინაცვალმა, ალექსანდრე III-ის ქვრივმა, მეფე თეიმურაზ I-ის (მეფობდა 1606-1648 წლებში, დროგამოშვებით) ასულმა – ნესტან-დარეჯან დედოფალმა (მოკლეს 1668 წელს).

ნესტან-დარეჯანმა ქართლის მეფეს მისწერა: „ოუ მამე-შველებიო, ჩემს ქეთევანს თქვენს არჩილს მივსცემო და ლიხთ იმერეთს მეფედ ვაკურთხებო”².

¹ ქართული სამართლის ბეგლები, II, საერო საკანონმდებლო ბეგლები (XI -XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთი ი. ღოლიძემ, თბ., 1965, გვ. 224.

² ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდგან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, წიგნში: „საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლითვან, ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, 336.

იმერეთის თავადთა ერთმა ნაწილმა მეფედ მიიწვია მეფე ვახტანგ V, ხოლო მეორე ნაწილმა – სამეგრელოს მთავარი ვამიყ (ვამეხ) დადიანი (მთავრობდა 1658-1661 წლებში). მეფე და მთავარი იმერეთის ტერიტორიის გაყოფაზე შეთანხმდნენ¹.

ვახტანგ V-მ მოისურვა, რომ მის ძეს არჩილს ცოლად შეერთო ასული სამეგრელოს მთავრისა ვამიყ დადიანისა. ამ წინადაღებაზე მთავარმა თავდაპირველად თანხმობა განაცხადა, ვინაიდან ქართლის მეფის სახით ძლიერი მოკავშირე ეგულებოდა და წყვილის ნიშნობაც შედგა. მეფე და მთავარი ასე შეთანხმებულან: „არგვეთს აქეთი – ქართველს მეფესა და იმას იქით – დადიანსა და მასუკან დადიანმა თვისი ქალი მეფის შვილს არჩილს მისცეს და იმერეთში გააბატონონ”².

მიუხედავად ამისა, მეუღლის – ელენე გურიელის ჩაგონებით, ვამიყმა უგვე დანიშნული თავისი ასული ცოლად გააყოლა იმერელ წარჩინებულს ბეჟან ღოლობერიძეს, რითაც ქართლის მეფე სასტიკად განარისხა. მემატიანე მოგვითხრობს: „ინება მეფემან მოყვანება დადიანის ასული ცოლად არჩილ – ძისა თვისათვის, მოითხოვა, მან მოსცა და დაიმზახლნენ. არამედ ჰყვა დადიანს ცოლი გლისპი და აიძულებდა ქმარსა თვისსა არა ყოფად ამისსა სიშორისათვის. უშმინა

¹ ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხდვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 448.

² ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდგან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, წიგნში: „საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხოვნა 1469 წლითვან, ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, გვ. 337.

მანცა და მისცა ღოღობერიძეს ქალი იგი ცოლად. გარნა შეჩენითა მეფისათა მოკლეს ღოღობერიძე იმერთა”¹.

შეურაცხყოფილმა ვახტანგ V-მ იმერეთთან ერთად სამეგრელოც დაიმორჩილა და მოაკვლევინა სვანეთს გახიზნული ვამიყი. მან მთავრად დაადგინა ვამიყის ბიძაშვილის შვილი – ლევან III, იგივე შამადავლე, რომელიც 1660-1680 წლებში მთავრობდა. ამის შემდეგ ვახტანგ V-მ ქუთაისში იმერეთის მეფედ აკურთხებინა თავისი 14 წლის ბე – არჩილი, რომელიც ორწელიწად-ნახევარს (1661-1663) მეფობდა².

საინტერესოა, რატომ გაამეფა ვახტანგ V-მ თავისი უფროსი ვაჟი და იმავდროულად ქართლის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე იმერეთში?

ვფიქრობთ, რომ ამ ფრიად საყურადღებო ფაქტს შედეგი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ვახტანგ V-მ, თავისი შტოს – მუხრანელ ბაგრატიონთა წარმომადგენელთაგან პირველმა მიიღო ქართლის სამეფო ტახტი თავისი შორეული ნათესავისა და მამობილის – მეფე როსტომისაგან, რომელიც 1658 წელს გარდაიცვალა. ამიტომ, ვახტანგ V-ს სურდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ემეფა, რათა მის გენეტიკურ შთამომავლობას ქართლის სამეფო ტახტი მშვიდობიანად და ლეგიტიმურად გადასცემდა. იმავდროულად, მას უნდოდა, რომ უფროსი ვაჟი და მემკვიდრე – არჩილი გაემეფებინა თავის სიცოცხლეშივე, რათა თვითონ დახმარებოდა მართვა-გამგეობაში. მცირეწლოვანი არჩილის იმერეთში გამეფებით მის

¹ ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუნებიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 449.

² ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუნებიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 836-837.

გვირგვინოსან მამას სურდა, რომ მოემზადებინა ნიადაგი საქართველოს გაერთიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვახტანგ V-ის ამოძრავებდა სრულიად პრაგმატული ჩანაფიქრი, რაც, საერთო ჯამში, საქართველოსთვისაც სასარგებლო იყო.

სპარსეთისა და ოსმალეთს შორის დადგებული 1639 წლის ზოკაბის საზავო ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე, როდესაც ამ მუსლიმურმა იმპერიებმა კიდევ ერთხელ გაიყვეს საქართველო, ქართლისა და კახეთის უფლისწულები (ამ შემთხვევაში – არჩილი) ითვლებოდნენ სპარსეთის შაჰინშაჰის ქვეშევრდომებად, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ გამუფებულიყვნენ თსმალეთის ვასალ ქვეყნებში (ამ შემთხვევაში – იმერეთში). ამის გამო, ოსმალეთის სულთან მეჰმედ IV-ის (მეფობდა 1648-1687 წლებში) პროტესტისა და შაჰინშაჰ აბას II-ის (მეფობდა 1642-1666 წლებში) დაუნებული მოთხოვნის შესაბამისად, არჩილი იძულებული გახდა, რომ 1663 წელს დაეტოვებინა იმერეთი და დაბრუნებულიყო ქართლში, ხოლო იქიდან სპარსეთში ჩასულიყო¹.

ყველაფერი კი იმით დაწყებულა, რომ ახალციხის ფაშა ასლანი შეაწუხა იმერლების დაუმორჩილებლობამ და მათმა ერთგულებამ მეფე არჩილის მიმართ, რის გამოც სულთანთან იჩივლა². მემატიანე წერს: „აცნობა ახალციხის ფაშამან ხონთქარს ვახტანგ მეფისაგან დაპყრობა იმერეთისა. მსმენელმან ხონთქარმან წარმოულინა დესპანი ყენსა მეტყუელმან: „არს ზავი ჩუენ შორის და აწ დაუპყრავს იმერეთი შანაოზ მეფესა

¹ ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 346.

² ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუნქჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 837

და, უკეთუ გნებავს, ვძრძოთ ურთიერთსა”. ამის მიერ მოუმცნო შანაოზ მეფესა ყენმან, რათა წარუკლინოს ძე თვისი არჩილ მას და მან მისცეს ქუეყანა უმჯობესი და ნუ იქმნების მშლელი ზავთა მათ შორის. ამისთვის მეფემან მოიყვანა ძე თვისი არჩილ და წარატანა გივი ამილახორი და წარგზავნა წინაშე ყენისა”¹.

ამდენად, არჩილი იძულებული გახდა დაეტოვებინა იმერეთი და წასულიყო სპარსეთში, რათა, როგორც ქვეშევრდომი – შაპინშაპი ხლებოდა.

III. არჩილის მეფობა კახეთში

თავისი სიძის გივი ამილახვრის თანხლებით სპარსეთში ჩასული იმერეთის მეფედყოფილი არჩილი პატივით მიღო მისმა მეორე სიძემ აბას II-მ. მან ცოლისძმა იძულებული გახადა გამაპმადიანებულიყო, რის შემდეგაც არჩილი – „შაპინ-ზარ-ზანად” იწოდა.

გივი ამალახვარმა სპარსეთის შაპინშაპის კარზე ასევე ჩაიყვანა თეიმურაზ I, რომელიც რუსეთიდან დაბრუნებისა და ბერად აღკვეცის (1661) შემდეგ იმერეთში, სკანდეს ციხეში ცხოვრობდა. შაპინშაპის მოთხოვნაზე – გამაპმადიანებულიყო, მეფედყოფილმა თეიმურაზმა მტკიცე უარი განაცხადა. ამის გამო, ის გამოკეტეს ასტრაბადის ციხეში, სადაც 1663 წლის შემოდგომის მიწურულს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქრისტიანობისათვის თავდაღებული მეფის ნეშტი ქართველებმა ჩამოასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს ალავერდის სა-

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუნწიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 450.

კათედრო ტაძარში¹, სადაც ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოს არაერთი წარმომადგენელი განისვენებს.

განსვენებული თემურაზ I-ის შვილიშვილი და ერთადერთი მემკვიდრე, რუსეთში ხანგრძლივი (1653-1662 წლები) ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული უფლისწული ერეკლე დავითის (დათუნას) ძე (1640-1709), მომავალში – მეფე ერეკლე I, იმხანად თუშეთში იმყოფებოდა და პაპისეულ სამეფო ტახტზე ასასვლელად ემზადებოდა².

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აბას II-მ „კახეთის ვალის” (ანუ გუბერნატორის) თანამდებობაზე დაამტკიცა შაჰნაზარ-ხანი და სამშობლოში გამოისტუმრა. როგორც არჩილის შემდგომმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ დაგვანახა, მის გამუსლიმებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან შინაგანად ის ქრისტიანად დარჩა და შემდგომში თავის წინაპართა ტრადიციული სარწმუნოება კიდევაც დაიბრუნა.

1664 წელს 17 წლის შაჰნაზარ-ხანად წოდებული არჩილი მისთვის სამართავად გადაცემულ კახეთში ჩავიდა. ადგილობრივ ფეოდალთა გარკვეული ნაწილის მიერ დარაზმული მოსახლეობა მხარს უჭერდა სამეფო ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრე უფლისწულს, იმუამად ქრისტიანული აღმსარებლობის ერეკლე დავითის ძეს³.

¹ ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი”, თბ., 1964, გვ. 113.

² ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვები, IV, თბ., 1973, გვ. 347.

³ საქართველოს მეფები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2000, გვ. 222.

კახი უფლისწულის მომხრეთა წინააღმდეგობის დასაძლევად, არჩილ II-ს, ქართლელთა და სპარსელთა გაერთიანებული ლაშქრით, სამი დიდი ბრძოლის გადახდა დასჭირდა. პირველი და მეორე ასეთი ბრძოლა მოხდა 1664 წლის ზამთრის მიწურულსა და შემოღვმაზე, ხოლო მესამე – 1665 წლის გაზაფხულზე¹.

უთანასწორო ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხებულმა ერეკლემ ერთხანს თავი შეაფარა თუშეთს, სადაც „შესჭირდა მწირობა” და იძულებული შეიქმნა, რომ რუსეთში წასულიყო². 1666 წლის ივნისში იგი მოსკოვში ჩავიდა³.

არჩილი კახეთს 1664-1675 წლების განმავლობაში ანუ თითქმის 12 წელიწადს განაგებდა. თვით მეფე-პოეტი აღნიშნავს: „ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი”⁴.

მართალია, კახეთს გამეფებული არჩილი თავის გვირგვინოსან მამას ემორჩილებოდა, მაგრამ ეს სამეფო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა. ეს პერიოდი ამ სამეფოსათვის მშვიდობიანობისა და აყვავების ხანას წარმოადგენდა. როგორც მემატიანე გვაუწყებს: „შენდებოდა კახეთი, ვინაითგან იყო სიმშვიდე და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა

¹ ასათიანი ნ., მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 59-62.

² გაზუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხდვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 603.

³ პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), „საისტორიო მოამბე”, №23-24, თბ., 1970, გვ. 160.

⁴ არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, წიგნში: „ქართველ მეფეთა მწერლობა”, შემდგენელი მარინე ჯალიაშვილი, თბ., 1996, გვ. 77.

ყეუნი არჩილს, რამეთუ ვერცაღათუ ლექი იკადრებდნენ
ხდომასა”¹.

საგულისხმოა, რომ ვამიყ დადიანის ასულზე დაქორწი-
ნების ჩაშლის შემდეგ, ქართლის სამეფო კარმა არჩილისათ-
ვის შეარჩია ასული თავად ნოდარ ციციშვილისა, რომელიც
საისტორიო წყაროში 1655 წელს იხსენიება².

ნოდარ ციციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის
სამეფო კარმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა. ეს კი იმან
განაპირობა, რომ კახეთის სამეფო ტახტზე გარკვეული ლე-
გიტიმაციის მოპოვების მიზნით, არჩილს ურჩიეს ცოლად შე-
ერთო ბატონიშვილი ქეთევან დავითის ასული (1648-1719) –
კახეთის ტახტის პრეტენდენტის ერეკლეს და, რომელიც
ახალციხის ფაშასთან მძევლად იმყოფებოდა.

კახეთის წარჩინებულებს არჩილისათვის განუცხადები-
ათ: „თუ გინდაო, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ თქვენ დაგრჩე-
სო, ჩვენის ბატონის ქალი შეირთევითო... აღარვინ იკითხა
რა და ნოდარ ციციშვილი მიცვალებულიყო, იმისი ქალი ბა-
ტონისაგან (იგულისხმება ვახტანგ V. 6. ჯ.) არჩილისათვის
ნათხოვნი იყო. იმ ქალის დაგდება და ქეთევან დედოფლის
შერთვა უნდოდა და საბოლოო ციციშვილის სისხლს ერიდე-
ბოდა. ტყვილი ძრახვა თქვეს, უქადეს, გაწირეს სული, ჰგმეს
ღმერთი და ის დაუგდეს”³.

¹ გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის
ცხოვრება”, ტექტი დადგნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 603.

² ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა,
სამეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ.,
2003, ნუსხა №4.

³ ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქა-
რთველოს ისტორიიდან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, წიგნში: „საქა-
რთველოს ცხოვრება, ახალი მოთხოვბა 1469 წლითვან, ვიდრე 1800

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული ქეთევანი იმ დრო-ისათვის უკვე ორჯერ იყო გათხოვილი. მისი პირველი ქორწინების ინიციატორი გახლდათ მისივე მამიდა – ზემოხსენებული დედოფალი ნესტან-დარეჯანი. იმერეთის დაქვრივებულმა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა, რომელიც სამეფოს ფაქტობრივი მმართველი გახდა, თავისი მმისწული ქეთევან ბატონიშვილი ცოლად შერთო საკუთარ გერს – ბაგრატ IV-ს. ამ ქორწინებიდან სულ რამდენიმე თვეში, ნესტან-დარეჯანის ბრძანებით, ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდეს, დააბრმავეს და ცოლსაც დაამორეს. გვირგვინოსან ქმართან იმულებით დაცილებული ქეთევანი ცოლად გაჰყვა იმერელ თავად ღოლობერიძეს¹. ქეთევანს არც პირველი და არც მეორე ქორწინებიდან შვილები არ შესძენია.

ქეთევანი ახალციხის ფაშასთან მდევლად გაგზავნა თავისმა ხსენებულმა მამიდამ, რომელსაც იმერეთის შესანარჩუნებლად ოსმალთა ჯარის დახმარება სჭირდებოდა.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ახალციხის ფაშის კარზე მცხოვრებ ქეთევან დავითის ასულს „შვილივით ინახავდნენ“².

ვახუშტი მოგვითხრობს, რომ როცა „იხილეს არჩილ უცოლო, ეტყოდნენ სიკეპლუცესა და შუენიერებასა ქეთევანი-

¹ ბაგრატიონი, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიიბის კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003, ნუსხა №5.

² ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდგან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, წიგნში: „საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლითვან, ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, გვ. 340.

სას, რათა შეირთოს ცოლად. მსმენელი არჩილ ეტრუიალა და ევედრა მამასა, რათა მოგუაროს ცოლად იგი, რამეთუ უმეტეს მკვიდრად დავიპყრობ კახეთსა. შემდგომად დიდისა უარყოფისა შაპნაოზ მეფემან წარავლინა ტფილისელი ვაჭარი და დაიხსნა ქეთევან ც თუმნად”¹. იგივე თხზულება გვაუწყებს: „იმულებითა არჩილისათა დაიხსნა მეფემან ასული დათუნასი ქეთევან ახალციხის ფაშისაგან, მოიყვანა ტფილის და უქმნა ქორწილი დიდებული”².

ამდენად, არჩილის ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით, ვახტანგ V-ის დავალებით ახალციხეში ჩასულმა თბილელმა ვაჭარმა ფაშასთან მძევლად მყოფი ქეთევანი დიდი თანხის – 2 000 თუმნის ანუ 20 000 მარჩილის ფასად გამოისყიდა³.

თბილისში ჩამოყვანილი ქეთევანი დიდი ზარ-ზეიმით დააქორწინეს არჩილზე და ახლადშეუღლებულნი კახეთს გაისტუმრეს. ერთი საისტორიო წყაროს მიხედვით, ეს ქორწილი შედგა 1667 წელს⁴, მეორეს თანახმად – 1668 წელს⁵,

¹ ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 603.

² ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 454.

³ ჯამბურა გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 348.

⁴ საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XIX სს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 43.

⁵ ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 117.

ხოლო ნოდარ ასათიანი უფრო სარწმუნო თარიღად მიიჩნევდა არა უგვიანეს 1665 წლისა¹.

არჩილმა თავისი სამეფო ხელისუფლება თანდათან განვრცო როგორც კახეთის სამეფოს ცენტრალურ ნაწილში, ასევე მის განაპირა, მთიან მხარეებში, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ასევე დიდოეთსა და ნაწილობრივ ქისტეთშიც, როგორც იმსანად საქართველოში მყოფი პავლე ალექოელი გვაუწყებს².

კახეთი გაძლიერდა სამხედრო თვალსაზრისით, გაიზარდა მისი თავდაცვისუნარიანობა, რამაც დაღესტნელთა თარეში შეამცირა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ამ სამეფოს ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას.

მაკარიოს ანტიოქელი, რომელიც საქართველოში თავის ზემოხსენებულ ვაჟთან – პავლე ალექოელთან ერთად იმყოფებოდა, გვამცნობს, რომ კახეთის იმდროინდელი მოსახლეობის რაოდენობა – 80 ათასამდე კომლს აღწევდა³. ეს ციფრი ზოგიერთ მკვლევარს გადაჭარბებულად მიაჩნია⁴.

არჩილ II-ის მიერ კახეთში გატარებულ რეფორმათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო სატახტო ქალაქის გადატანა გრემიდან – თელავში. ეს დონისბიება განხორციელდა დედაქალაქის საგარეო უსაფრთხოების უზრუნველსა-

¹ ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 117.

² ასათიანი ნ., მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 75.

³ Жузе П., Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария, Казань, 1905, стр. 20-21.

⁴ ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 119.

ყოფად. გრემი მდებარეობდა დაღესტნის სიახლოეს, ფაქტობრივად სასაზღვრო ზოლში, რის გამოც მტრის (როგორც ყიზილბაშთა, ასევე დაღესტნელთა) შემოსევებისას მისი დაცვა და მოსახლეობის გახიზნვა ძნელდებოდა. ამ მხრივ თელავს სტრატეგიული თვალსაზრისით გაცილებით ხელსაყრელი მდებარეობა გააჩნდა. ის ბევრად უფრო ახლოს იყო თბილისთან, რომელსაც გომბორის უღელტეხილზე გამავალი გზით უკავშირდებოდა. სამხრეთიდან თელავს თავს ადგა ცივ-გომბორის ტყიანი მთები, რომლებიც ქალაქიდან მოსახლეობის გახიზვნის შემთხვევაში საიმედო თავშესაფრად იქცეოდა¹.

კახეთის მეფე-დედოფალს – არჩილსა და ქეთევანს შეეძინათ ოთხი შვილი: დარეჯანი, ალექსანდრე, მამუკა და დავითი. ამ ბატონიშვილთა დაბადების ზუსტი თარიღები ჯერაც არ არის დადგენილი.

კრებულში „ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა”, რომელსაც გენეალოგიური ნუსხებიც ერთვის, მოყვანილია არჩილის შვილების დაბადება-გარდაცვალების შემდეგი თარიღები: დარეჯანი (1670-1740), ალექსანდრე (1674-1711), მამუკა (1676-1693) და დავითი (1676-1693)².

ამ დათარიღებას ეწინააღმდეგება რამდენიმე საისტორიო სიგელი, რომლებიც არჩილმა კახეთში მეფობის პერიოდში გასცა. არჩილის მიერ 1669 წელს გაცემულ წყალობის სიგელზე („დავით ენისელთ მოურავისათვის გავაზში მამულის ბოძების შესახებ“) დაყრდნობით, ჯუმბერ ოდიშელი თვლიდა,

¹ აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, საკითხავი წიგნი ზ. აბაშიძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 337.

² ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003, ნუსხა №4.

რომ იმ დროისათვის უკვე დაბადებულნი უნდა ყოფილიყვნენ ამ მეფის პირველი და მეორე ვაჟები, ვინაიდან ისინი ამ დოკუმენტში იხსენიებიან¹. აქედან გამომდინარე, სარწმუნოდ მოჩანს ნ. ასათიანის ზემოხსენებული მოსაზრება, რომ არჩილისა და ქეთევანის ქორწილი უნდა შემდგარიყო არა უგვიანეს 1665 წლისა².

ამდენად, საისტორიო წყაროები უეჭველად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ არჩილის და ქეთევანის უფროსი შვილები – დარეჯანი და ალექსანდრე დაიბადნენ თავიანთი მამის კახეთში მეფობისას. ზემოხსენებული წყალობის სიგელი გვაუწყებს, რომ არჩილის კახეთში მეფობისას დაბადებულა მისი მესამე შვილიც – უფლისწული მამუკა, ხოლო არჩილის მიერ ნოდარ ჯორჯაძისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში, თავის ძმებთან ერთად იხსენიება მეფის უმცროსი, მეოთხე შვილი – დავითიც³.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებული ბატონიშვილების დედამ, ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენელმა – ქეთევან დედოფალმა იმშობიარა თელავის სამეფო სასახლეში. აქვე უნდა გავიჩერნოთ, რომ საქართველოში ოდითგან არსებული ტრადიციის

¹ ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი”, თბ., 1964, გვ. 113.

² ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 117.

³ ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი”, თბ., 1964, გვ. 113-114.

თანახმად, ქალი – მშობლებისეულ კერაზე მოილოგინებდა-
ხოლმე¹.

მემატიანე მოგვითხრობს: „არჩილ ჰყო სასახლე თე-
ლავს და განაახლა ეკკლესიანი ყოველნი და დასხნა ეპისკო-
პოზსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქუეყნისას”².

არჩილისდროინდელი შენობა-ნაგებობებიდან განსაკუთ-
რებით საყურადღებოა თელავის ცენტრში მდებარე კახეთის
მეფეთა რეზიდენცია, იგივე – „პატონის ციხის” კომპლექსი,
რომლის ჩრდილოეთით მდინარე ალაზნის ველის შთამბეჭდა-
ვი პანორამა მოჩანს. შემთხვევითი არ არის, რომ მეფე-პოეტ-
მა სწორედ ეს რომანტიკული ადგილი შეარჩია სამეფო სასა-
ხლის ასაგებად. კომპლექსი აერთიანებს მშენებლობის ორ
ეტაპს: 1) არჩილის მეფობისას აგებულ სასახლეს, აბანოს
და გალავნის აღმოსავლეთ შესასვლელს; 2) XVIII საუკუნე-
ში დასრულებულ გალავანს, რომელიც მიჰყება მანამდე აგე-
ბული გალავნის კონტურს, კარის მეორე ეკლესიის დასავ-
ლეთ შესასვლელს და კომპლექსის გარეთ მდგარ მრგვალ
ბურჯს³.

არჩილის ხელშეწყობით კახეთში აიგო და განახლდა
არაერთი საერო და სასულიერო დანიშნულების შენობა-ნაგე-
ბობა. მეფის ძალისხმევით აღდგა სამონასტრო ცხოვრება და-

¹ ჯავახიშვილი ნ., ცხოვრება და ღვაწლი მეფე არჩილისა, ისტო-
რიულ-შემუცნებითი ჟურნალი „ისტორიანი”, თბ., 2017, №7 (79), გვ.
16.

² გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის
ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 603.

³ დვალი თ., ბატონის ციხის კომპლექსი, წიგნში: „საქართველოს
ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა”, 1-II, თბ., 2015, გვ.
65-66.

ვითგარეჯის უდაბნოში, ახალი შესაწირავები გაუჩნდა სვეტი-ცხოვლის საკათედრო ტაძარს და სხვ.

პავლე ალექსონელის ცნობით, კახეთში იყო ორი სამიტ-როპოლიტო – ალავერდისა და ბოლბისა და შვიდი საეპისკოპოსო, მათ შორის: 1) საარქიეპისკოპოსო რუსთველისა; 2) წმ. სამებისა; 3) ნინოწმინდელისა; 4) ჭერემელისა; 5) ნეკროსელისა; 6) ხარჭაშნელისა, 7) გიშელისა. ამ უკანასკნელი საეპისკოპოსოს არსებობა ადასტურებს, რომ არჩილის სამეფო ხელისუფლება ვრცელდებოდა საინგილოდ წოდებულ აღმოსავლეთ კახეთშიც, სადაც ქართველებთან ერთად დაღესტნური ტომებიც ცხოვრობდნენ¹.

არჩილმა კახეთში გამეფების პირველივე წელს მეფეთა ძველი სიგელების საფუძველზე გაათარხნა წმ. გიორგის ეკლესიის მამულები².

საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრის – დავითგარეჯას მიმართ არჩილის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ სასულიერო პირნი ყოველ-თვის მადლიერებით მიუთითებდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქ იოანე X-ის მიერ ხელმოწერილ საბუთში „განწესება დავით-გარეჯის მონასტრის რიგისა”, რომელიც დათარიღებული იყო 1690 წლის 12 მარტით და რომელსაც თავიანთი ხელრთვებით ადასტურებდნენ: ნიკოლოზ ალავერდელი, ევდემოზ ბოლბელი, ნიკოლოზ რუსთველი, ნიკოლოზ სამებელი, არსენ ნინოწმინდელი, ტფილელი

¹ ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 117-119.

² ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი”, თბ., 1964, გვ. 113.

მთავარეპისკოპოსი დომენტი და სხვები და ამტკიცებდა მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე, ვკითხულობთ: „ჩვენ... გავარიგეთ უდაბნო დავით-გარეჯისა. ასე, რომ უამთა ვითარებისაგან მოოხრებულიყო და შენობა აღარ იყო. ბრძანებითა ღმრთისათა, ქართველთა მეფისა შაჰნაზის პირმშომან სასურველმან ძემან, კახთ მეფედ დადგინებულმან არჩილ, კვალად შენობა ჩააგდო, მღვდელ-მონოზნები და წინამდღვარი დაუდგინა, წლითიწლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა, პირველებრ გარიგებას უპირობდა, აღარ დასცალდა; კიდევ შენობა არ მოიშალა, ის წმიდანი მღვდელ-მონოზანნი ხორცთაგან განვიღეს”¹.

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული კათოლიკოს-პატ-რიარქი იოანე X (დიასამიძე) იყო ბიძა (დედის ძმა) ერეკლე I-ისა², რომელიც 1688 წლიდან მეფებდა ქართლში, ხოლო 1703 წლიდან ითვლებოდა კახეთის მეფედ.

1712 წლით დათარიღებულ საბუთში „შეწირულების გუჯარი წინამდგვარ ონოფრე მაჭუტაძისა დავით-გარეჯისადმი” აღნიშნულია: „ამას წინანდელი უდაბნონი და მონასტერი უამთა ვითარებისა და ქუენის შლილობისაგან აოხრებულ იყო; როსცა რომ კახეთს მშვიდობა და შენობა ჩავარდნილიყო, მეფის არჩილის დროს ორნი კარგნი მღვდელ-მონაზონნი დამდგარიყუნენ – პავლე და ნიკოლოზ, კარგნი და პატიოსანი. აღარც რა არჩილ მეფეს დასცალებოდა და ის მღვდელ-მონაზონნიც მიცვალებულიყუნენ; მაგდენი მონასტრის შემა-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI -XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 597.

² საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული რ. შეტრეველის რედაქციით, თბ., 2000, გვ. 115.

ტების საქმე არა დასცალებოდათ რა. იმათ მიცვალებას უკან ჩუქუც ზედ მოვესწრენით მონასტერსა”¹.

არჩილმა წარმატებით დალაშქრა დაღესტნელები, რომლებიც ხშირად არბევდნენ კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. მემატინის ცნობით, არჩილმა „მოიყვნა ქართველნი, წარავლინნა და მიუხდნენ ჭუმურტს, შემუსრნეს სიმაგრენი, მოსწყვდნეს, მოსტყუევნეს და მოვიდნენ გამარჯუებულნი. ამისთვის მარადის ემატებოდა და შენდებოდა კახეთი და იყვნენ შეერთებულნი ქართველთა თანა ყოვლითურთ”².

იტალიელი მისიონერის დიონიჯო კარლის ცნობით, არჩილმა „თავისი მართვა-გამგეობით არა მარტო თავის ქვეშვრდომთა სიყვარული დაიმსახურა, არამედ მთელ საქართველოში და მეზობელ ქვეყნებშიც დიდი პატივისცემა მოიხვეჭა”³.

არჩილის ხელისუფლების სიმტკიცეს კახეთში და ამ სამეფოს კეთილდღეობას განაპირობებდა ის გარემოება, რომ მას ზურგს უმაგრებდა გვირგვინოსანი მამა – მეფე ვახტანგ V. გაძლიერებულმა არჩილმა თავისი მამის დახმარებით დაიბრუნა ერწო-თიანეთი, რომელიც თავის დროზე შაჰინშაჰმა კახეთს ჩამოაშორა და არაგვის ერისთავს გადასცა. ამას ისიც დაემატა, რომ არაგვის ერისთავმა მოსკოვში მიავლინა ელჩი, რომელმაც რუსთხელმწიფებრივი მის კარზე მყოფი ერებულეს საქართველოში გამოშვება სთხოვა. ამის გამო, გვირგვი-

¹ ქართული სამართლის ბეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI -XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საბიბლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 692.

² ვახტატი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 603.

³ გიორგაძე ბ., დიონიჯო კარლის „თბილისის აღწერა”, მსდკი, ნაკვეთი 29, თბ., 1979, გვ. 165.

ნოსანმა მამა-შვილმა თვით არაგვის საერისთავოს გაუქმებაც სცადეს, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებაში მათ ზელი ისევ შაპინშაპმა შეუშალა.

სულეიმან I-ს (იგივე სუფი II-ს) არ მოსწონდა მამა-შვილის – ვახტანგ V-ისა და არჩილის შეხმატებილებული მეფობა ქართლსა და კახეთში და მათი გაძლიერება, რაც შე-საძლებელია დასრულებულიყო ამ სამეფოების გაერთიანებით და საბოლოო ჯამში – სპარსეთის იმპერიიდან აღმოსავლეთ საქართველოს ჩამოცილებით. ამ სავსებით რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, შაპინშაპმა არჩილს დაუპირისპირა კახეთის სამეფო ჭახტის ლეგიტიმური მემკვიდრე ბატონიშვილი ერეკლე, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობის გამო, უწინ სპარსეთისათვის მიუღებელ კანდიდატად ითვლებოდა.

წარმატებული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მიუხედავად, არჩილს მაინც არალეგიტიმურ მეფედ მიიჩნევდა კახეთის ფეოდალთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოსკოვს გახიზნული უფლისწულის – ერეკლეს ჩამოყვანასა და გამეფებაზე ოცნებობდა. ისინი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არც კი მიმართავდნენ არჩილს თავიანთი საადგილმამულო დავისა და უფლებრივი საკითხების გადასაწყვეტად, ვინაიდან მას დროებით მმართველად, ხოლო მისი ეპოქის ცვლილებებს უკანონოდ თვლიდნენ.¹

1674 წელს უფლისწული ერეკლე მოსკოვიდან ასტრანანისა და ჩრდილო კავკასიის გავლით ჩავიდა თუშეთში, სადაც დიდი პატივისცემით მიიღეს. იგი, როგორც ცოლისმმა და საპატიო სტუმარი თავის სასახლეში მიიპატიჟა მეფე არ-

¹ ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 119-121.

ჩილმა¹. მან „თუშეთიდან მოიწვია არჩილ და ისტუმრა სიყუარულითა დიდითა ერეკლე, ანადიმა, ანადირა მრავალდღე”².

ერეკლეს კახეთში გამოჩენამ გააქტიურა მისი მომხრე ფეოდალები, რომლებმაც არჩილს აგრძნობინეს, რომ სამეფო დაეთმო ლეგიტიმური ტახტის მემკვიდრისათვის. კახეთში სამი თვის ყოფნის შემდეგ, როდესაც ერეკლეს გადასცეს შაპინშაპისაგან გამოგზავნილი „რაყამი და ხმალი”, იგი სპარსეთში გაემგზავრა³.

შაპინშაპმა ტახტისმაძიებელ ბატონიშვილს შემდეგი პირობა წამოუყენა: „გათათრდიო, ქართლსა და კახეთს ორივეს შენ მოგცემო”⁴. ამაზე ერეკლემ უარი განაცხადა, რასაც მისი მეფედ დამტკიცების გაჭიანურება მოჰყვა.

ვინაიდან მეფე არჩილი დარწმუნებული იყო, რომ შაპინშაპი ჩამოართმევდა კახეთს და გადასცემდა მის ცოლისძმას, როგორც სამეფო ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრეს, 1675 წელს მან მამის უკითხავად დატოვა სამეფო და იმერეთში გადავიდა.

¹ პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), „საისტორიო მოამბე”, №23-24, თბ., 1970, გვ. 165-166.

² გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 604.

³ ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფიბის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 123-124.

⁴ ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდგან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, წიგნში: „საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლითვან”, ვიღრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, გვ. 344.

მიუხედავად კახეთში ხელმწიფობისას არსებული წინა-აღმდეგობებისა, არჩილის, როგორც მეფისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლისათვის, ეს ხანა მის ცხოვრება-მოღვაწეობაში ყველაზე წარმატებული გამოიდგა.

იმერეთის სამეფო ტახტის მოსაპოვებლად მხარდაჭერის სათხოვნელად არჩილი ჩავიდა ახალციხის ფაშასთან, რომელთანაც ამავე მიზნით უკვე იმყოფებოდა მისი უმცროსი ძმა – უფლისწული ლუარსაბი – სიძე რაჭის ერისთავებისა.

არჩილის წასვლის შემდეგ, კახეთს განავებდა მამამისი ვახტანგ V, რომლის ორი ვაჟი სპარსეთის მტრული სახელმწიფოს – ოსმალეთის სულთნის მოხელის, ახალციხის ფაშის კარზე აღმოჩნდა. შაპინშაპის მოთხოვნით, ვახტანგ V „ახსნა-განმარტებისათვის“ სპარსეთში გაემგზავრა¹. იგი გზად მიმავალი გარდაიცვალა 1676 წელს².

ამის შემდეგ კახეთს მართავდნენ სპარსეთის შაპინშაპის მიერ ჯანიშინად გამოგზავნილი გამაპმადიანებული წარჩინებულები, ჯერ რევაზ ჩოლოყაშვილი, ხოლო 1677 წლიდან – ბეჟან-ხანი³, რომელიც, გივი ჯამბურიას აზრით, იყო ყიზილბაში⁴, ხოლო ნოდარ ასათიანის აზრით – გორჯასპი კახაბ-

¹ აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, საკითხავი წიგნი ზ. აბაშიძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 338.

² ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“, თბ., 1964, გვ. 111.

³ გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 605.

⁴ ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“, თბ., 1964, გვ. 350.

რიშვილი¹. ამის შემდეგ, კახეთს 1703 წლამდე მართავდნენ შაპინშაპის მიერ დადგენილი ყიზილბაში ხანები, რომელთა რეზიდენციაც ყარაღაჯში მდებარეობდა².

IV. არჩილის ხელახალი მეფობა იმერეთში

არჩილმა რამდენჯერმე შეძლო იმერეთის სამეფო ტახტის დაკავება (1678-1679, 1690-1691, 1695-1696 და 1698 წწ.), თუმცა მისი ხანგრძლივად შენარჩუნება ვერ მოახერხა.

ზაზა აბაშიძის მართებული შეფასებით, არჩილის ოთხევრად, თითოწლიან მმართველობას იმერეთში მხოლოდ პირობითად თუ დავარქებული მეფობას³.

იმერეთში ხელმწიფობის პერიოდში არჩილი იყენებდა თავის პირად, სამეფო ბეჭედს. 1691 წელს დამხადებული ამ ნუშის ფორმის მქონე ბეჭდის შუაში გამოსახულია ჯვარი, რომლის გარშემოც ამოტვიფრულია შემდეგი შინაარსის ლეგენდა ქართულ ენაზე (მხედრული შრიიფტით): „შეწევნითა ღო(ი)ს(ა)თ(ა) მეფე არჩილ ვამტკიცებ“⁴.

იმერეთის სამეფო ტახტის მაძიებელი არჩილი რამდენიმე წლის განმავლობაში, დროდადრო ცხოვრობდა რუსეთში, რომლის მონარქისაგან დახმარებას ელოდებოდა, თუმცა ეს მოლოდინი უშედეგოდ დასრულდა. არჩილი გულისტკივილით

¹ ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი“, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 125.

² ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 348.

³ აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, საკითხავი წიგნი ზ. აბაშიძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 338.

⁴ ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, I, თბ., 1978, გვ. 47.

წერს: „ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იძღერთა?”¹.

ტახტდაკარგულმა და იმედგაცრუებულმა არჩილმა გა-დაწყვიტა, რომ საბოლოოდ გადასახლებულიყო რუსეთში. 1698 წლის მიწურულს იგი შიდა ქართლის მთიანეთიდან გადავიდა თაგაურის თემში, ოსებთან და იქ გამოიზამთრა².

1699 წლის გაზაფხულზე არჩილი თავის ამალასთან ერთად გაემგზავრა რუსეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

V. არჩილის და მისი ოჯახის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთში

პეტრე I-მა დიდი პატივით მიიღო არჩილი და უბოძა მამული, რომელიც მოსკოვთან ახლოს, სოფელ ვსესვიატსკო-ეში მდებარეობდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართველთა სათვისტომოს მოსკოვში.

რუსეთში დამკვიდრებულმა არჩილმა ნაყოფიერად განა-გრძო კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა³. მის მიერ მოსკოვში დაფუძნებულ ქართულ სტამბაში 1705 წლის 13 მარტს დაიბეჭდა „დავითინი”. ეს იყო მეორე ნაბეჭდი წიგნი ქართულ ენაზე, 1629 წელს რომში ნიკოლოზ ჩოლოკაშვი-ლის (ნიკიფორე ირბახის) მიერ გამოცემული პირველი ქარ-თული წიგნის შემდეგ.

არჩილმა პირველმა დაიწყო მზადება ქართული ბიბლი-ის დასაბეჭდად და ამ მიზნით შეაგროვა მისი ნუსხები, რომ-

¹ არჩილი, გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა, წიგნში: „ქართველ მეფეთა მწერლობა”, შემდგენელი მარინე ჯალიაშვილი, თბ., 1996, გვ. 213.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხხიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 860.

³ კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.

ლებიც შეადარა სლავურ ტექსტს, თარგმნა ქართულ ენაზე არარსებული ზოგიერთი ბიბლიური წიგნი (ისო ზირაქისა და მაკაბელთა), თუმცა, მისი დაბეჭდვა მის სიცოცხლეში ვეღარ მოესწრო. ამ შრომით მოგვიანებით ისარგებლა მისმა მმის-შვილიშვილმა ბაქარმა, რომელმაც ბიბლია 1743 წელს დასტამბა. არჩილმა რუსულიდან თარგმნა უკრაინელი მწერლისა და განმანათლებლის პეტრე მოგილას სამანწილანი კატეხიზმო: „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიისაი”. მასვე ეკუთვნის „ხრონოლრაფი” – მსოფლიოს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია უძველესი დროიდან ფერარა-ფლორენციის კრებამდე.

მეფე-პოეტმა დატოვა მდიდარი და საყურადღებო ლიტერატურული მემკვიდრეობა. იგი სამართლიანად მიიჩნევა ქართული ისტორიული პოემის ფუძემდებლად და ქართულ პოეზიაში „მართლის თქმის” პრინციპის დამამკვიდრებლად. მისი ნააზრევი გამსჭვალულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით, რაც ავტორს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთ სწორ გზად ესახებოდა¹.

არჩილის პოეტური შემოქმედებიდან გამოირჩევა „გაბაა-სება თეიმურაზისა და რუსთველისა”. მის კალამს ასევე განეკუთვნება: „გაბაასება კაცისა და სოფლისა”, „საქართველოს ზნეობანი”, „ლექსნი ასეულნი”, „ლექსნი”, „ასდაათნი”, „კაცს ვუთხარ”, „იამბიკო ლექსები” და სამიჯნურონი. მანვე გალექსა „ვისრამიანის” ნაწილი².

¹ აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, საკითხავი წიგნი ზ. აბაშიძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 339-340.

² საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2000, გვ. 223.

პოეტი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს სიძლიერე ემყარებოდა გლეხობის, როგორც მწარმოებელი სოციალური ფენის შრომას და ფეოდალებს აფრთხილებდა: „გლეხს ძალი მოაშორეთა” და ასევე – „თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა”. ღრმა იდეური შინაარსით გაუღენთილ მის შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა გააჩნდა ეროვნული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის¹.

არჩილის ვაჟი ალექსანდრე – პეტრე I-ის უახლოეს მეგობართა და თანამოაზრეთა წრეში შედიოდა. ის თან ახლდა „დიდ ელჩიობაში” წასულ რუსთხელმწიფეს (1697-1698). დასავლეთ ევროპიდან დაბრუნებული და სამხედრო განათლებამიღებული ალექსანდრე 1700 წლის 19 მაისს დანიშნეს რუსეთის არტილერიის უფროსად – გენერალ-ფელდცეიხმაისტერად. იგი ამ თანამდებობაზე რუსეთში პირველი დაინიშნა². იმავდროულად, ის იყო პირველი ქართველი, რომელსაც გენერლის წოდება მიენიჭა. მას შემდეგ ასეთი პატივი ერგო ასობით ქართველს, რომელთა უმეტესობაც რუსეთის არმიაში მსახურობდა³.

ალექსანდრე ღრმად ფლობდა მშობლიურ ენას, რასაც ადასტურებს მის მიერ რუსულიდან გადმოქართულებული „სვიმონ პოლოცკისგან თქმული სიტყვა მიცვალებისათვის

¹ გუბია ვ., ქართული გულტურა XVI-XVII სს., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 369-370.

² Хмыров М., Главные начальники русской артиллерии, 1-ый генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский, „Артиллерийский Журнал“, №1, СПб., 1866, стр. 31-48.

³ Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003.

ღვთისმშობლისა”¹. ამ ნაწარმოების თარგმნა კი იმის მიმანიშნებელია, რომ სამხედრო სამსახურში მდგარი უფლისწული ლიტერატურულ-მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა, რითაც აგრძელებდა მწიგნობარ ბაგრატოვანთა ტრადიციებს.

1700 წლის ნოემბერში, ნარვასთან მომხდარ ბრძოლაში დამარცხებული რუსეთის არმიის არაერთ გენერალთან ერთად, შვედებს ტყვედ ალექსანდრეც ჩაუვარდა. ასე დაიწყო მისი ხანგრძლივი ტყვეობა შვედეთის სამეფოს ტერიტორიაზე, რამაც 10 წელიწადზე მეტხანს გასტანა და ახალგაზრდა უფლისწულის ჯანმრთელობა შეიწირა².

1706 წლის 2 თებერვალს არჩილმა ვრცელი წერილი გაუგზავნა შვედეთის მეფეს კარლ XII-ს და სოხოვა, რომ სტოკჰოლმში პატიმრად მყოფი მისი ვაჟი ალექსანდრე გაეცვალა რუსთა ტყვეობაში ჩავარდნილ რამდენიმე შვედ ოფიცერში. ეს წერილი, რომელიც შედგენილია დიდი დიპლომატიური ტაქტით, პირველმა გამოაქვეყნა მარი ბროსემ³, ხოლო მისი ქართული თარგმანი დაბეჭდა მ. გონიკიშვილმა⁴.

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი ო. უორდანის მიერ, წიგნი მესამე (1700 წლიდან – XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. უორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 46.

² Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 50.

³ Броссе М., О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XII от 2 февраля 1706 года и о пребываниях царя Арчила в России, „Ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям“, т. II, вып. IV, СПб., 1854, стр. 547-549

⁴ გონიკიშვილი გ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986, გვ. 35-36.

მიუხედავად პეტრე I-ისა და არჩილის გამუდმებული მცდელობისა – ტყველიდან გამოხსნათ ალექსანდრე, ის პატიმრობაში რჩებოდა. მის სანაცვლოდ შვედებმა თავდაპირველად მოითხოვეს 10 კასრი ოქრო, ხოლო შემდეგ – რუსთა ტყველიაში მყოფი 60 შვედი ოფიცრის გათავისუფლება. პეტრე I-მა სოხოვა თავის მეგობარს, რომ ამ წინადადების თაობაზე აზრი გამოეთქვა. ალექსანდრემ სასტიკი უარი განაცხადა, რომ მისი გათავისუფლების სანაცვლოდ სახელმწიფო დაზარალებულიყო¹.

სამწუხაროდ, ალექსანდრე გაათავისუფლეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი უკვე მძიმედ იყო დასწეულებული. 1711 წლის 3 თებერვალს რუსეთში მიმავალი 37 წლის ბატონიშვილი გზად, პიტეოში გარდაიცვალა. მან სული დალია თანმხლები ბერის პანკრატის (ერისკაცობაში – ბაგრატ სოლოდაშვილი) ხელებში². აქვე დავსძენთ, რომ სწორედ ამ ბერმა ჩაიტანა არჩილის ხსენებული წერილი შვედეთის მონარქთან.

ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი ვაჟის ასეთმა ჭრა-გიკულმა ხვედრმა სიცოცხლე გაუმწარა არჩილს, რომელიც იმედგაცრუებული წერდა:

„დიდება ყოვლი სოფლისა განქარდეს, ვითარცა ავლი.

თუ სოფლის საქმეს ავჭყვები, სასუჯეველში ვერ ავლი,
ვითარ მოვსულვარ შიშველი, აგრევე აქდამ გავლი.

¹ Устриялов Н., История царствования Петра Великого, т. 1, СПб., 1856, стр. 50-64; Ватейшили Д., Грузия и европейские страны, т. 2, Побратим Петра Великого (жизнь и деятельность Александра Багратиони), М., 2003, стр. 500.

² Ватейшили Д., Грузия и европейские страны, т. 2, Побратим Петра Великого (жизнь и деятельность Александра Багратиони), М., 2003, стр. 516-517.

მიჯობს წამალი სულისა, საძებრად მისდა სამ დავლი”¹.

1713 წლის 16 აპრილს, 66 წლის ასაკში, „შემდგომად დიდისა მწუხარებისა მიცვალა” მეფედყოფილი არჩილი, რომელიც მოსკოვში, დონის მონასტერში დაკრძალეს. იმავე ტა-ძარში განისვენებენ მისი მეუღლე² და მათი შეიღები.

უფლისწული ალექსანდრე ორჯერ დაოჯახდა. 1687 წელს მან ცოლად შეირთო ფეოდოსია (თეოდორა) ივანეს ასული მილოსლავსკაია, რომელთანაც შვილები არ შესძენია. მეორედ ალექსანდრემ იქორწინა გლიკერია ელიზაბარის (ილიას) ასულ ბაგრატიონ-დავითიშვილზე³. ამ ქორწინებიდან შეძენილი ერთადერთი ასული – სოფიო (1691-1747) ცო-ლად გაჰყვა სამეგრელოს მთავრის ლევან IV-ის (მთავრობდა 1681-1691 წლებში) ვაჟს, გენერალ-მაიორ გიორგი დადიანს (1683-1765)⁴.

გარდაცვლილი მამის მამული გადაეცა დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც არ გათხოვილა. მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა იმპერატორი პეტრე I⁵.

¹ არჩილი, გაბაასება თემურაზისა და რუსთველისა, წიგნში: „ქარ-თველ მეფეთა მწერლობა”, შემდგენელი მარინე ჯალიაშვილი, თბ., 1996, გვ. 309.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XIX ს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები და-ურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 51.

³ Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, М., 1998, стр. 46.

⁴ Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, М., 1998, стр. 49.

⁵ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი წელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 873.

1721 წელს, როდესაც პეტრე I-მა საბოლოოდ სძლია შვედეთს და ნიშტადტში სამშვიდობო ხელშეკრულებაც გააფორმა, მან ამ გამარჯვების საზეიმოდ აღნიშვნა დაიწყო ვსე-სვიატსკოეში, სადაც დარეჯანის სასახლეში ბალ-მასკარადი მოაწყო¹.

საგულისხმოა, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, პეტრე I-მა არ შეასრულა არჩილის უკანასკნელი თხოვნა – გაეთხოვებინა დარეჯანი მისთვის შესაფერის, სამეფო ღირსების მქონე პირზე, რათა ამ გზით (ქალის ხაზით) მაინც გაგრძელებულიყო მისი შტო, რომელსაც ვაჟი შთამო-მავლები აღარ შერჩა².

რუსი მეცნიერი სერგეი დიანინი – ვაჟი გამოჩენილი ქიმიკოსისა ალექსანდრე დიანინისა (1851-1918), მიუთითებდა: “Петр I считал себя наследником карталинских царей и весьма неблагоприятно отнесся к желанию последнего карталинского царя продолжать свой род путём брака своей дочери Дареджаны”³.

საკითხი, თუ რის საფუძველზე მიიჩნევდა პეტრე I საკუთარ თავს „ქართლის მეფეთა მემკვიდრედ” – დამოუკიდებელ კვლევა-მიებას საჭიროებს. თუმცა საყურადღებოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერატორმა არანაირად არ იზრუნა დარეჯანის გათხოვებაზე, რაც მას უდავოდ შეეძლო.

ამრიგად, მეფე არჩილს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია ურთულეს, წინააღმდეგობებით აღსაგსე ეპოქაში. მას

¹ Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, М., 1998, стр. 46.

² ტატიშვილი ვ., ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 227.

³ Дианин С., Бородин, жизнеописание, материалы и документы, под общей редакцией Н. Бэлза и В. Киселева, М., 1955, стр. 154.

განვებამ არაერთხელ არგუნა გამარჯვებაც და მარცხიც, მეფობაც და იმავდროულად – უმძიმესი ხვედრიც...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წერ.: „ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973.
2. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003.
3. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, III, под редакцией С. Думина, М., 1998.
4. Сычев Н., Книга династий, М., 2006.
5. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, М., 1998.
6. ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (XI -XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთი ი. დოლიძემ, თბ., 1965.
7. ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, წიგნში: „საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლითვან, ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913.
8. ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.

9. ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი”, თბ., 1964.
10. საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2000.
11. ასათიანი ნ., მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973.
12. პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), „საისტორიო მოამბე”, №23-24, თბ., 1970.
13. არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, წიგნში: „ქართველ მეფეთა მწერლობა”, შემდგენელი მარინე ჯალიაშვილი, თბ., 1996.
14. საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XIX სს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980.
15. ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
16. ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675 წწ.), კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი”, ეძღვნება შ. მესხიას ხსოვნას, თბ., 1984.
17. Жузе П., Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария, Казань, 1905.
18. აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, საკითხავი წიგნი ზ. აბაშიძის რედაქციით, თბ., 2013.

19. ჯავახიშვილი ნ., ცხოვრება და ღვაწლი მეფე არჩილისა, ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი „ისტორიანი”, თბ., 2017, №7 (79).
20. ღვალი თ., ბატონის ციხის კომპლექსი, წიგნში: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა”, 1-II, თბ., 2015.
21. ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI -XIX ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
22. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2000.
23. გიორგაძე ბ., დიონიჯო კარლის „თბილისის აღწერა”, მსდკი, ნაკვეთი 29, თბ., 1979.
24. ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, I, თბ., 1978.
25. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.
26. გუჩუა ვ., ქართული კულტურა XVI-XVII სს., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
27. Хмыров М., Главные начальники русской артиллерии, 1-ый генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский, „Артиллериийский Журнал“, №1, СПб., 1866.
28. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003.
29. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. უორდანიას მიერ, წიგნი მესამე (1700 წლი-

- დან – XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოა-მზადეს გ. ჟორდანიაშ და შ. ხათაძემ, თბ., 1967.
30. Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.
31. Броссе М., О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XII от 2 февраля 1706 года и о пребываниях царя Арчила в России, „Ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям“, т. II, вып. IV, СПб., 1854.
32. გონიძეშვილი გ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
33. Устрилов Н., История царствования Петра Великого, т. 1, СПб., 1856.
34. Ватейшвили Д., Грузия и европейские страны, т. 2, Побратим Петра Великого (жизнь и деятельность Александра Багратиони), М., 2003.
35. ტატიშვილი ვ., ქართველები მოსკოვში, თბ., 1959.
36. Дианин С., Бородин, жизнеописание, материалы и документы, под общей редакцией Н. Бэлза и В. Киселева, М., 1955.

Niko Javakhishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE LIFE AND ACTIVITY OF THE KING AND POET –
ARCHIL
RESUME**

The presented article is about the history of the life and activity of the King of Imereti and Kakheti – Archil (1647–1713). He was ruling Imereti kingdom during 1661–1698

(1661-1663; 1678-1679; 1690-1691; 1695-1696) and reigned in Kakheti kingdom in 1664-1675. The ongoing year is the 370th anniversary of the King Archil's birth.

Archil was the son of Vakhtang V – King of Kartalinia (Kartli), who, under the Persian protection, attempted to reunify a fragmented Kingdom of Georgia under his crown. Having brought the neighboring kingdom of Kakheti under his control, Vakhtang V marched into western Georgia in 1661, deposed King Bagrat IV of Imereti, and crowned his son Archil king of Imereti. The Ottoman government strongly objected to what it considered a Persian-inspired incursion into the Turkish zone of influence. A Ottoman ultimatum was soon received in Isfahan, threatening a declaration of war if Vakhtang V maintained his son on the throne of western Georgia. Vakhtang V was forced to recall Archil from Kutaisi in 1663 and to restore the rightful Bagrat IV. Instead, Vakhtang V installed Archil as king of Kakheti. In 1664, Archil defeated an attempt by the rival Kakhetian prince and his brother-in-law, Erekle, to regain his father's crown, and achieved a degree of stability and prosperity in Kakheti. In 1675 Archil abandoned Kakheti. Eventually Archil gave up hope of reestablishing himself in Imereti and, in 1699, crossed the Caucasus Mountains once more into Russia where he settled in Vsesviatskoye near Moscow. Archil died in 1713 and was buried in the Donskoy Monastery.

Archil was married to Princess royal Ketevan Bagrationi of Kakheti. The couple one daughter and three sons: 1) Darejan/Darya (1670- 1740) died unmarried; 2) Aleksander (1674-1711), a Russian army artillery commander, he was married, with one daughter; 3) Mamuka/Matfey (1676-1693) died unmarried; 4) Prince David (1682-1688) died unmarried. They where buried in the Donskoy Monastery.

King Archil was a prominent Georgian cultural figure and writer of that time. After a series of unsuccessful attempts to establish himself on the throne of Imereti, Archil retired to Russia where he spearheaded the cultural life of a local Georgian community. He was also a lyric poet. He founded Georgian printing-house in Moscow (1705), where the ecclesiastical books in Georgian language were published.